საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
7 – 13 მარტი, 2012
№9 (147)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

პაატა კოღუაშვილი:
17 ქვეყნის სავარგულების 60 პროცენტი დაუმუშავებელია

9



„რუსეთში მიმდინარე მოვლენებიდან ერთი დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება — რუსეთში იწყება ვლადიმერ პუტინის მმართველობის ახალი, როგორც მინიმუმ, 12-წლიანი ერა. და კიდევ: როგორც მინიმუმ, 12 წელიწადი რუსეთის ფედერაცია არ დაიშლება, მიუხედავად ჩვენში თუ დასავლეთში არსებული ტვინგაცხელებული „ექსპერტების“ პროგნოზებისა!“

## პუტინის ახალი ერა და ამერიკის ძველი სახე...

## ამერიკელი გარემოსდამცველი საქართველოს პრეზიდენტს ქურდობაში ამხელს

ენდრიუ მურდზა: 10

იმ ხალხმა, ვინც ახლა თქვენი ქვეყნის ხელისუფლებაშია, ჩემი სახით მტერი შეიძინა. მივალ ნებისმიერ სასამართლოში და მანამდე ვივლი, ვიდრე არ გავიგებ, რომ მტერი დამარცხდა!



«გაიღვიძეთ, ხალხო, თვალი გაახილეთ, თქვენ აღარავერი აღარ დაგიტოვეს, ისინი გართმევენ მიწას და კლავენ თქვენში ღმერთს, გაიღვიძეთ!»

### რა მოხდა ხაშურში

გამოუცხადებელი სიკვდილის ქრონიკა 7

აღიარებს თუ არა სააკაშვილი ცხინვალის და სოხუმის დამოუკიდებლობას? 8

პატრიარქის ლოცვა-კურთხევას ამოფარებული ღვინის პრომოუტერი 12

გაკოტრებული ბიზნესმენი ირაკლი მენაღარიშვილს თაღლითობაში ადანაშაულებს 13

საქართველო — ამერიკული თამაშის ახალი მსხვერპლი 14

ერეკლე დეისაძე:
მართლ-მადიდე-ბელი ვარ! 16



ქვეყნის პრეზიდენტი «ფეისბუქზე» რომ «ლაიქებს» მოიპარავს, ის არჩევნებს არ გააყალბებს?! 18



2

CENSORED

## დამოუკიდებელი ჟურნალისტი თინა ხიდაშელს ცენზურაში ადანაშაულებს

დავით მხეიძე: თინა ხიდაშელმა «ქართულ ოცნებაში» აღადგინა ის, რასაც ადრე «მთავლიტს» ეძახდნენ და რაც იყო ჩვეულებრივი ცენზურა...

მაია ფანჯიკიძე: ცენზურის უფლება აქვს იმას, ვინც ფლობს ამა თუ იმ მედია საშუალებას. ასე არ არის?

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანდალი

„ეს რომ რედაქტორს გადაეწყვიტა
და დაესაბუთებინა ან, უბრალოდ,
ეთქვა, რომ არ მოეწონა ჩემი წერილი,
არანაირი პრობლემა არ იყო.
აქ კი გადაწყვეტილება გაზეთში
მასალის გასვლა-არგასვლაზე
მიიღო პარტიულმა ბოსმა.“

# დამოუკიდებელი ჟურნალისტი თინა ხიდაშელს ცენზურაში ადანაშაულებს

**სულ ახლახან კოალიცია „ქართული ოცნების“ სადამფუძნებლო დეკლარაცია თავად ბიძინა ივანიშვილმა წარუდგინა საზოგადოებას. მასში სხვა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებთან ერთად ხაზგასმით არის მითითებული, რომ „ქართული ოცნება“ დაიცავს მედიის თავისუფლებას. მართლაც, მედიის თავისუფლება სწორედ ის აქილევსის ქუსლია, რომელზეც დღემდე ძირითადად მმართველ პარტიას უთითებდნენ და საყვედურობდნენ, მაგრამ დღეს უკვე იმის შესახებ გახდა ცნობილი, რომ კოალიციის წევრებსა და მხარდამჭერებს პიარ-ჯგუფთან შეუთანხმებლად (რომელსაც რესპუბლიკელი თინა ხიდაშელი კურირებს) მედიასთან ურთიერთობას და ინტერვიუების მიცემას უკრძალავენ. თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც „საქართველო და მსოფლიომ“ შეიტყო და მას დამოუკიდებელმა ჟურნალისტმა დავით მხეიძემაც დაუდასტურა.**



«მხეიძის არაფერი გვინდა, რადგან რესპუბლიკელების ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს...»

დავით მხეიძე:

## თინათინ ხიდაშელმა «ქართულ ოცნებაში» აღადგინა ის, რასაც საბჭოთა პერიოდში «მთავლიტს» ეძახდნენ და რაც იყო ჩვეულებრივი ცენზურა...

**— ბატონო დავით, რა ინციდენტი შეგემთხვათ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერთან, თინათინ ხიდაშელთან?**

— თქვენ საიდანღა გაიგეთ? მე ამას ინციდენტს არ დავარქმევდი. რომ არ დაგიმალოთ, მიჭირს მომხდარის შეფასება...

**— შეფასებას არ გთხოვთ, მომხდარი ფაქტი გვაინტერესებს, თუ, რა თქმა უნდა, მისი მიჩუმათება არა გაქვთ გადაწყვეტილი...**

— ნამდვილად არ ვაპირებდი ამ ფაქტის მიჩუმათებას, მაგრამ არც ვჩქარობდი, რადგანაც რაღაც-რაღაცების გარკვევას ვცდილობ. თუმცა რაკი ფაქტის შესახებ მეკითხებით, გეტყვით: ამასწინათ ბიძინა ივანიშვილის მომავალი პარტიის საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაციაზე გახლდით, სადაც ჟურნალ „ათიანის“ ყოფილი რედაქტორი და ჩემთვის ახლობელი პიროვნება, გიორგი გორგაძე ვნახე.

ვაა, „ფუტბოლს“ თავი დაანებე და პოლიტიკაზე გადახვედი-მეთქი, გავეხუმრე.

თურმე გაზეთ „ქართული ოცნების“ რედაქტორი ყოფილა. მე არც ამ გაზეთის არსებობისა ვიცოდი რამე და მითუმეტეს — მისი რედაქტორის ვინაობისა.

გამეხარდა, რადგანაც გიორგი გორგაძე არა მარტო რიგიანი ჟურნალისტია, არამედ კარგი ქართველი, ნაღდი ქალაქელი კაცი და, აქედან გამომდინარე, სპორტულ ჟურნალშიც ახერხებდა ქართული ტრადიციული ღირებულებების პრიორიტეტის ხაზგასმას.

აბა, წერილები არ გინდამეთქი? წერილებსაც გააჩნიაო, მანაც ხუმრობით მიპასუხა და ყოველგვარ ანაზღაურებაზე წინასწარი საუბრის გარეშე შევთავაზე: მასალებს მოგაწვდი-მეთქი. „ქართული ოცნების“ უკვე გამოსულ ნომრებს რომ გადავხედე, რომლებიც გიორგი გორგაძემ ელექტრონული ფოსტით გამომიგზავნა, მივხვდი, არ შევმცდარვარ — „ქართული ოცნების“ უკვე გამოსულ ხუთივე ნომერში იგრძნობოდა ეროვნული სულისკვეთება. მეც, შეპირებისამებრ, გავუგზავნე საგაზეთო პუბლიკაცია. როდესაც გაზეთ „ქართული ოცნების“ მორიგი ნომერი, წესით და რიგით, უკვე სტამბაში უნდა ყოფილიყო, გიორგი გორგაძემ დამირეკა და შეწუხებული ხმით მაუწყა, რომ **„ჩემი ნაცოდვილარი“, პირადად ქალბატონ თინიკო ხიდაშელის ბრძანებით, გაზეთის უკვე გამზადებული მაკეტიდან ამოუღიათ, — მხეიძის არაფერი გვინდა, რადგან ჩვენი (რესპუბლიკელების. — დ.მ.) ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებსო...**

**— ვინ მიიღო გაზეთიდან თქვენი მასალის ამოღების გადაწყვეტილება?**

— როგორც გიორგი გორგაძისგან ვიცი, თინათინ ხიდაშელმა. და ეს არის ყველაზე არასიამოვნო, რომ პარტიული ბოსი იღებს ამ გადაწყვეტილებას, თორემ ეს რომ რედაქტორს გადაეწყვიტა და დაესაბუთებინა ან, უბრალოდ, ეთქვა, რომ არ მოეწონა ჩემი წერილი, არანაირი პრობლემა არ იყო. აქ კი გადაწყვეტილება გაზეთში მასალის გასვლა-არგასვლაზე მიიღო პარტიულმა ბოსმა. მინდა, ვთქვა: გიორგი გორგაძე თვითონაც შეწუხებული იყო ამ ამბით და მირჩია, იქნებ შენ თავად გაარკვიო, რატომაა ასეთი აგრესია შენ მიმართო. რაღა გარკვევა უნდა, თავადვე უბრძანებია მიზეზი-მეთქი

**— რით შეგიძლიათ დაადასტუროთ, რომ ეს გადაწყვეტილება თინათინ ხიდაშელმა მიიღო და არა გაზეთის რედაქტორმა?**

— არ ვარ ის ადამიანი, რომ სატელეფონო საუბრები ფარულად ჩავიწერო, მაგრამ თითქმის სიტყვა-სიტყვით გეუბნებით, რაც მითხრა რედაქტორმა და დანარჩენი მასთან გაარკვიეთ. ისე, ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა: ჩემო გიორგი, ჩემთვის რომ მსგავსი რამ ეთქვათ შენზე, ან იქვე გავარკვევდი გასარკვევს, ანდა საერთოდ არაფერს გეტყოდი...

**— თქვენი აზრით, რა რეაქცია მოჰყვება თქვენს განცხადებას “ქართულ ოცნებაში”?**

— ვწუხვარ, რომ ჩემი თქვენთან საუბრით და ამ ფაქტის გახმაურებით, შესაძლოა, გიორგი გორგაძეს უსიამოვნება შეხვდეს თინიკო ხიდაშელისგან, მაგრამ, ჯერ ერთი, ის, რაც ქალბატონმა თინიკომ თქვა, ალბათ, — იმ ვარაუდით, რომ, დიახაც, მე უნდა გამეგო, ანუ ჩემი საჯარო რეაქცია არ უნდა იყოს მოულოდნელი „თინა დეიდასთვის“. პირადულს რომ თავი დავანებოთ, არსებობს კიდევ ჩემი ჟურნალისტური თავმოყვარეობა, რენომე, რისი დაცვის უფლებაც უდავოდ მაქვს. უმთავრესი კი ის არის, რომ, **დღიდან ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისა, არ წყდება საუბრები „ქართულ ოცნებაში“ ზოგად ად რესპუბლიკელების და პირადად „კაბიანი ბოკერიას“ ზღვარგადასულ ამბიციებზე — „თინა დეიდა“ წყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს „ქართულ ოცნებაში“ და ვინ — არა!**

ასე ლაპარაკობენ და ეს რომ ასეა, ჩემთან დაკავშირებული შემთხვევაც ადასტურებს. თუმცა მე რა მოსატანი ვარ: ნინო ბურჯანაძე, მთლიანად „სახალხო კრება“, მურმან დუმბაძე, ნანა დევდარიანი, კახა კუკავა და ა. შ., ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, ყველანი რესპუბლიკელების ხუშტურების მსხვერპლნი არ არიან?

ამას წინათ ბატონმა რეზო ამაშუკელმა დაწერა პრესაში: ერთმა სათვალიანმა დედაკაცმა, ბიძინას ურჩია, რეზო ამაშუკელი არ გავიკაროთ, ეგ ქსენოფობია და სომხების ხმებს დაგვაკარგვინებსო.

თინა ხიდაშელს გულისხმობდით-მეთქი? — ვკითხე ბატონ რეზოს. არ მიპასუხეთ, მაგრამ, ბატონო რეზო, ეგ ისე გამოგივიდათ, ერთ ანეგდოტში რომაა — სახელს არ გეტყვით, მაგრამ ის არის, ჩვენი თავმჯდომარეო.

ჰოდა, „თავმჯდომარე“ რომ ბოკერიაა კაბაში, ამას ბევრი ლაილაი უნდა? რაც შეეხება სომხების ხმების დაკარგვას, ბატონო ბიძინა, არც რობიკო სტურუა გაიკაროთ ახლოს, თორემ სომხების ხმებს ვინღა დაეძებს, მთელ ლიბერასტულ დასავლეთში მოეჭრება თავი „ქართულ ოცნებას“ — მსოფლიო თეატრალური ხელოვნების კორიფე, რობიკო სტურუა ხომ დიდი პოეტის სიყრმის მეგობარია და სომხური ქსენოფობიის „საკითხიც“ ხომ რობიკოს „აწეულია“...

**როგორც ვიცი, თინა ხიდაშელია „ქართული ოცნების“ პიარსამსახურის უფროსი. ამ ორგანიზაციის ყველა მედიასაშუალების მთავარი ცენზორიც „თინა დეიდაა“. პარტიულმა ბოსმა თინათინ ხიდაშელმა „ქართულ ოცნებაში“ აღადგინა ის, რასაც საბჭოთა პერიოდში „მთავლიტს“ ეძახდნენ და რაც იყო ჩვეულებრივი ცენზურა...**

**— ბატონო დავით, თემას გადავუხვიეთ, იქნებ გვითხრათ, რაზე იყო თქვენი პუბლიკაცია, რომელსაც ეს ინციდენტი მოჰყვა?**

— ის სტატია ივანიშვილის მომავალი პოლიტიკური პარტიის პრეზენტაციი- ▶

მოკლედ

### ესპანეთსა და საფრანგეთში საპროტესტო აქციები გაიმართა

**ესპანეთსა და საფრანგეთში მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართა. მადრიდსა და ესპანეთის რამდენიმე დიდ ქალაქში ათასობით სტუდენტმა და უფროსკლასელმა სახელმწიფოს მხრიდან განათლების დაფინანსების შემცირება გააპროტესტა.** მანიფესტანტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს იმ სტუდენტებსაც, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ვალენსიაში გამართული აქციისას პოლიციასთან შეტაკების შედეგად დაშავდნენ. „არ გვსურს, პასუხი ვაგოთ იმ კრიზისზე, რომელიც ჩვენ არ შეგვიქმნია. არ გვინდა, ვიხდიდეთ იმ თანხას განათლებისა და ჯანდაცვისთვის, რომელიც სახელმწიფოს გადასახდელია“, — განაცხადეს მანიფესტანტებმა. მკაცრი ეკონომიის ზომები საფრანგეთშიც გააპროტესტეს. პარიზში მოწყობილ მსვლელობაში 15 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

### საფრანგეთმა სირიაში საელჩო დახურა

**საფრანგეთმა სირიაში საელჩოს დახურვის გადაწყვეტილება ქვეყანაში მიმდინარე ძალადობის გაგრძელების გამო მიიღო. ეს განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ გააკეთა. „ის რაც ხდება სირიაში სკანდალურია.** ქალაქი ჰომსი, შესაძლოა, პირისაგან მიწისა აღიგავოს. ჩვენ საგარეო საქმეთა მინისრტთან ალენ ჟიუპესთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება სირიაში ჩვენი საელჩო დავხუროთ“, — განაცხადა ნიკოლა სარკოზიმ ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე.

საკანდალი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქართულ ოცნებაში“ რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ არის, როგორც უპირობო გამარჯვებისთვისაა საჭირო, ეს ჩემი მოგონილი არ არის. სხვათა შორის, არც ის, რომ ამ „ჯერჯერობითში“ დამნაშავედ რესპუბლიკელებს თვლის საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა.“**



# მაია ფანჯიკიძე: ცენზურის უფლება აქვს იმას, ვინც ფლობს ამა თუ იმ მედია საშუალებას. ასე არ არის?

◀დან გამომდინარე დავწერე და უნდა ვაღიარო, რომ ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებით, როცა კითხვები თითქმის არ მქონდა. აბა, რა კითხვები უნდა მქონდეს ულამაზესი და უსაყვარლესი ნინელი ჭანკვეტაძის, ჩემი კოლეგისა და მეგობრის, ელისო ჩაფიძის ან ბატონ ვანო კილურაძის მიმართ? დანარჩენებს არ ჩამოვთვლი და არ მიწყინოთ...

განსაკუთრებით იმედი მომეცა ჩემთვის უცნობი არჩილ კბილაშვილის გამოსვლის შემდეგ, როდესაც განაცხადა, რომ ლიბერალური დემოკრატია, პირველ რიგში, ეროვნული, მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვას ნიშნავს ჩემთვისო!

სწორედ ამიტომ გავითვალისწინე ბიძინას თხოვნა ჟურნალისტების მიმართ — ჩვენი კოალიციიდან ზოგს რომ აქებთ, ზოგსაც ნუ ლანძღავთო. მართალია, ის ზოგი გალანძღული არ დაუსახელებია, მაგრამ ვისზე იყო მინიშნება, იმ „თავმჯდომარის“ არ იყოს, ისედაც ცხადია.

ამიტომ ვიფიქრე, „რესპების“ კრიტიკაზე დროებით მორატორიუმს გამოვაცხადებ-მეთქი და იმ წერილში, რომელიც თინა ხიდაშელმა ამოაგდო, რესპუბლიკელები არც ავად ვახსენე და არც კარგად... მაგრამ რად გინდა, არ მოვწონვარ თინიკოს და რა ვქნა?!

**— აპირებთ თუ არა თინათინ ხიდაშელთან ამ ინციდენტის გამომწვევი მიზეზების გარკვევას?**

— მე მასთან გასარკვევი არაფერი მაქვს. პირველი — იმიტომ, რომ არ მაინტერესებს, რატომ არ მოსწონს ჩემი პუბლიკაციები. უფრო მეტიც: ღმერთმა დამიფაროს, რომ რესპუბლიკელებს მოვწონდე. ამიტომ რის მორატორიუმი და რა დიპლომატია, სადაც წავასწრებ, ყველგან „მოვეფერები“, ანუ, როგორც „მონანიებაშია“, ყოველგვარი სინანულის გარეშე, „მაინც ამოვთხრი“!

**— არ გეჩვენებათ, რომ მიკერძოებული ხართ?**

— მე ვარ მიკერძოებული? მართალია, ჟურნალისტი ვარ, მაგრამ ასევე ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, ქართველი, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი და მაქვს ჩემი პოზიცია, შეხედულებები ამა თუ იმ პარტიის მიმართ, თუმცა ეს შეხედულებები არაფერ შუაშია... ჩემს მიკერძოებულობაზე როგორ საუბრობთ, როდესაც მთელი მსოფლიო ხაზს უსვამს და ნაცებიც ვერ უარყოფენ, რომ, სიტყვის თავისუფლების მხრივ, სერიოზული პრობლემებია ქვეყანაში. ამას ადასტურებს იგივე „მოდელირებული ქრონიკა“ და ის, რომ ყველასთვის კარგად ცნობილი ტელევიზიების „პროდიუსერები“ „ნაცმოძრაობის“ პარტიული ბოსები არიან. საზოგადოებას ეს რომ არ უნდა და არ მოსწონს, ცენზურა და მლიქვნელობა, შავის თეთრად წარმოჩენა რომ მობეზრდა, იმიტომაც გამოუცხადა თითქმის ულიმიტო ნდობა ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ დააკვირდით: **თინიკო ხიდაშელი ჯერ ხელისუფლებას სათოფეზე ვერ მიკარებია და უკვე ცენზურას აწესებს. ადვილი წარმოსადგენია, რას გააკეთებს ის, თუკი ხელისუფლებაში მოვა!**

ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნებისადმი“ დიდი პატივისცემის მიუხედავად, როდესაც პარტიული ბოსი ერევა სარედაქციო პოლიტიკაში და, ფაქტობრივად, ცენზურას აწესებს, ამაზე არ გავჩუმდები. ხიდაშელის ქცევა კი ამ შემთხვევაში ვნებს არა დავით მხეიძეს, არამედ, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილს, მის ავტორიტეტს და იმ დიდ იმედს, რომელიც საზოგადოებას მის მიმართ გააჩნია.

**— ჩვენ ამ ინციდენტთან დაკავშირებით დავუკავშირდით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს. გიორგი გორგაძემ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა. სხვა წარმომომადგენლებიც ან არ აკეთებენ კომენტარს, ან კატეგორიულად უარყოფენ მომხდარის თქვენეულ ვერსიას.**

— აბა, რა გითხრათ, ვიმედოვნებ, რომ საზოგადოება მათი კომენტარების გარეშეც გააკეთებს სწორ დასკვნებს. ერთი რამ ჩემთვის ცხადზე უცხადესია — „ქართულ ოცნებაში“ რომ ჯერჯერობით ყველაფერი ისე არ არის, როგორც უპირობო გამარჯვებისთვისაა საჭირო, ეს ჩემი მოგონილი არ არის. სხვათა შორის, არც ის, რომ ამ „ჯერჯერობითში“ დამნაშავედ რესპუბლიკელებს თვლის საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა. ხსენებული ინციდენტი მხოლოდ კიდევ ერთი წვრილმანი დასტურია ამისა.

**მე ახლა უფრო პირადული რამ მაღელვებს — როგორც ჩანს, გიორგი ვერ ასცდება ჩემ გამო უსიამოვნებებს. მაგრამ ის, რა მოტივითაც ეს საქმე გავახმაურე, „შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც სჯობს, ჩემო გიორგი“ — რესპუბლიკელებთან ერთად ქართულად ოცნება ვერ წარმომიდგენია...**

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის რამდენიმე ადამიანს დაუკავშირდა. საკითხის გარკვევა თავდაპირველად გიორგი გორგაძესთან ვცადეთ.**

**გიორგი გორგაძე, გაზეთ „ქართული ოცნების“ რედაქტორი:**

— ამ თემაზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. **(ტელეფონი გათიშა).**

**თავად თინა ხიდაშელმა, მოუცლელობის გამო არ გვიპასუხა, ხოლო მისმა თანაშემწემ განმარტა: „ქალბატონი თინა შეხვედრაზეა. ვერ გეტყვით, როდის გათავისუფლდება“.**

**ბუნებრივია, დავინტერესდით ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში ახალგადანაცვლებული ელისო ჩაფიძის აზრით, რომელიც მედიის დამოუკიდებლობის ხელყოფაზე ყოველთვის მყისიერად რეაგირებდა.**

**ელისო ჩაფიძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრი:**

—სარედაქციო საქმიანობაში, ბუნებრივია, პარტიული ლიდერები არ უნდა ერეოდნენ. პირველ რიგში კი პრეზიდენტი არ უნდა ერეოდეს მედიასაშუალებების საქმიანობაში. არ უნდა ერეოდეს ასევე გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, გიორგი არველაძე და ა.შ. რაც შეეხება თქვენ კითხვას ჟურნალისტ დავით მხეიძის საგაზეთო პუბლიკაციასთან დაკავშირებით, მე მას ველაპარაკე და მან იგივე მითხრა, რაც თქვენთან ინტერვიუში: ის, რომ თითქოს თინა ხიდაშელის უშუალო ჩარევით მისი სტატია არ გაუშვეს გაზეთში. ესაა სიცრუე. დათომაც იცის იმის შესახებ, რომ თინა ხიდაშელი არც კი იმყოფებოდა ამ დროს საქართველოში. თქვენ იცით ალბათ, რომ საუბარია პარტიულ გაზეთზე. **ეს ჩვეულებრივი გაზეთი არაა. მასში გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიები არის არა ავტორებისგან შემოსული, არამედ წარმოადგენს კოალიციაში შემავალი პარტიების პროგრამებს და მათ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ესაა უფრო პარტიული მედია, რომელიც უფასოდ რიგდება და მას არ შეიძლება სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობაზე პრეტენზია ჰქონდეს.** რაც შეეხება თინა ხიდაშელს, ფიზიკურად არ იმყოფებოდა საქართველოში და არც ჰქონდა ნანახი დათო მხეიძის წერილი. ძალიან ვწუხვარ, რომ მიწევს ადამიანის გამართლება. მე დათო მხეიძესაც ვესაუბრე და თინა ხიდაშელსაც.

**— როგორია თინა ხიდაშელის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— მისი თქმით, ესაა სიცრუე და ჭორი. თინამ არც კი იცოდა ამ წერილის შესახებ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ესაა სიცრუე. შეიძლება დათოს ვილაცამ მიაწოდა ეს ინფორმაცია, თუმცა თინა ხიდაშელი რომ არაფერ შუაშია, უშუალოდ მასთან საუბრის დროსაც გავარკვიე. რატომ ილანძღება ადამიანი იმის გამო, რაც მას არ ჩაუდენია, არ ვიცი. მე ამას სანამ თქვენ გეტყოდით, პირველ რიგში დათო მხეიძეს ვუთხარი. ორი დღის წინ ვესაუბრე ამის შესახებ და მას ეს არ გაუპროტესტებია.



## ელისო ჩაფიძე: რაც შეეხება თინა ხიდაშელს, ფიზიკურად არ იმყოფებოდა საქართველოში და არც ჰქონდა ნანახი დათო მხეიძის წერილი

**ბუნებრივია, კოალიციის წევრები რომ ერთმანეთს იცავენ და ესარჩლებიან, მაგრამ ელისო ჩაფიძის ვერსიას თინა ხიდაშელის საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ თავად ხიდაშელის თანაშემწე უარყოფს.**

**— როგორც ვიცით, ქალბატონი თინა უახლოეს დღეებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მართალია?**

— საზღვარგარეთ? არა, საქართველოში იყო.

**— არსად წასულა?**

— არ ვიცი, კი, მგონი იყო. გავარკვევ. ზუსტად ვერ გიპასუხებთ.

**ეს ყოყმანი, ჩვენი ვარაუდით, იმან გამოიწვია, რომ თინა ხიდაშელის თანაშემწეს მკაფიო ინსტრუქცია არ მიუღია იმის თაობაზე, იმყოფებოდა თუ არა იგი დავით მხეიძის სტატიის გაზეთის მაკეტიდან ამოღების მომენტში საქართველოში. მაგრამ, ელისო ჩაფიძეს არ ესწავლება, რომ ინტერნეტის ეპოქაში სულაც არ არის აუცილებელი სტამბაში ყოფნა იმისთვის, რომ სტატია ამოაღებინო!**

**ხიდაშელის თანაპარტიელმა, მედიის თავისუფლებისთვის ასევე ხმალამოღებულმა მებრძოლმა ლევან ბერძენიშვილმა ჩვენი შეკითხვის მოსმენის შემდეგ ავადმყოფობის მომიზეზებით კომენტარზე უარი გვითხრა.**

**ლევან ბერძენიშვილი, „რესპუბლიკელების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— სამწუხაროდ, შეუძლოდ ვარ. ინტერვიუებსაც არ ვიძლევი. რამდენიმე დღეში დამიკავშირდით და, რაც გაინტერესებთ, გიპასუხებთ.

**— სულ რამდენიმე წუთს წაგართმევთ, პატარა კომენტარი გვჭირდება.**

— იცით, რა? ავად ვარ და არ შემიძლია ამ მდგომარეობაში პასუხი გაგცეთ. არ შემიძლია...

**რაკი მედიასთან ურთიერთობა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ახალდანიშნულ პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძეს დაავალა, მისი აზრითაც დავინტერესდით.**

**მაია ფანჯიკიძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის პრეს-სპიკერი (სტილი დაცულია):**

— თუკი პარტიული ლიდერები ერევიან რომელიმე ჟურნალისტის საქმიანობაში, ეს არის ცუდი. პარტიულ ლიდერებს ცენზურის უფლება რატომ უნდა ჰქონდეს? პარტიულ ლიდერს შეუძლია ჩაერიოს, მოინდომოს გავლენის მოხდენა, ეს ცუდია, მაგრამ ცენზურის უფლება აქვს იმას, ვინც ფლობს ამა თუ იმ მედიასაშუალებას. ასე არ არის? ნამდვილად არ ვიცი, რა სტატიაზეა საუბარი, არც ის, რატომ გავიდა თუ არ გავიდა. თინა ხიდაშელი მე არ მითანხმებს თავის პუბლიცისტურ მოღვაწეობას. შესაბამისად, არ ვიცი, ამ ორ პიროვნებას შორის რა მოხდა.

**მთელ ამ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ პასუხს ან არ გაძლევენ (ჩვენი ხელისუფლებისა არ იყოს), ან აცხადებენ, რომ არაფერი იციან, ან (რაც ყველაზე შემაშფოთებელია) იმას ამტკიცებენ, რომ პარტიულ პრესაზე დამოუკიდებლობის პრინციპი არ ვრცელდება! ასე იყო 70 წლის განმავლობაში და ამ „წესს“ ერთგულად იცავდნენ „ზემოდან“ დანიშნული ცენზორები, რომელთაც მორცხვად „მთავლიტს“ უწოდებდნენ.**

**არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გაზეთი პარტიულია თუ არა. ადამიანებს სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება ყველგან და ყოველთვის უნდა ჰქონდეთ, მათ შორის პარტიებშიც და მათ კოალიციებშიც. ცუდი კი ის არის, რომ „ჩემიანებად“ და „სხვისიანებად“ დაყოფა იმაზე გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის სურვილს გამოთქვამდა. ეს ხელისუფლებაც ხომ ზუსტად ასე იქცევა და მაშინ რას ერჩით სააკაშვილს, ბატონებო?!**

**და ბოლოს: „ქართული ოცნების“ პრეს-სპიკერს, როგორც გაირკვა, გულწრფელად სჯერა, რომ მედია საშუალების მფლობელს ცენზურის უფლება აქვს!**

**ასე სჯერა და ზუსტად ასე იქცევა ყველა ნაციონალური ტელეარხის „მფლობელი“ მიხეილ სააკაშვილიც!**

**ჯაბა ჟვანია,**
**ლილი მიროტაძე**

მსოფლიო

## აშშ ირანზე დარტყმისთვის მზადაა

**როგორც ჟურნალისტებს სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის ხელმძღვანელმა ნორტონ შვარცმა განუცხადა, იმ შემთხვევაში, თუ დიპლომატიური ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდება, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები მზადაა, ბირთვულ ობიექტებზე დარტყმა განახორციელოს.** მისივე თქმით, პენტაგონი ძლიერი ავია-ბომბების საკმაო რაოდენობას ფლობს, რომელთაც მიწისქვეშა და სხვა ობიექტების დანგრევა შეუძლია და მსგავსი საბრძოლო მასალების მოდერნიზაციის კუთხით მუშაობა გრძელდება. „ჩვენ ასეთი საბრძოლო საშუალებები გვაქვს და არ ვისურვებდი მაშინ იქ აღმოჩნდეთ, როდესაც ჩვენ მათ გამოვიყენებთ“, — განაცხადა გენერალმა.



## რუსეთი ირანში ომს არ დაუშვებს

**რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, „რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა ირანში ომი არ დაუშვას“.** როგორც პუტინმა დასავლური გამოცემების რედაქტორებთან შეხვედრაზე განაცხადა, „რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რათა სამხედრო კონფლიქტი არც ირანთან და არც მის ირგვლივ მოხდეს. ამას ჩვენთვის ძალიან ნეგატიური, პირდაპირი შედეგები ექნება. ვფიქრობ, არავინ არის იმით დაინტერესებული, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდეს“, — განაცხადა პუტინმა. ამასთან, მისივე თქმით, ირანს მშვიდობიანი ატომის განვითარების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ოღონს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილს კი ყველაფერთან ერთად პროპაგანდისტული კოზირები სჭირდება, რომელსაც წინასაარჩევნოდ გამოიყენებს. რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება ან მისი საგრძნობი გამარტივება, ასევე, რუსულ ბაზარზე თავისუფალი მოქმედების გარანტიები, საზოგადოების საკმაოდ მოცულობითი ნაწილის მოწონებას დაიმსახურებდა; თეორიულად, არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამ მიზნის მიღწევა გამორიცხული ნამდვილად არ არის. მეტის მიღწევა სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია, უფრო სერიოზულ თემებზე რუსები მას არ დაელაპარაკებიან, რის შესახებაც ადრე არაერთხელ განაცხადეს.**

## ბელარუსი ევროკავშირის ელჩებმა დატოვეს

**ბელარუსი ევროკავშირის ოცდაშვიდივე ქვეყნის ელჩმა დატოვა. დიპლომატიური კონფლიქტი ევროკავშირსა და ბელარუსს შორის 21 პირის — ორი მაღალჩინოსანი პოლიციელისა და 19 მოსამართლის მიმართ სავიზო სანქციების დაწესების შემდეგ დაიწყო.** ევროკავშირში მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პირები ოპოზიციაზე ზეწოლასა და პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მონაწილენი არიან. პასუხად ბელარუსის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ აუკრძალავს ქვეყანაში შესვლას ევროპული სანქციების ინიციატორებს. ამის შემდეგ ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ ბელარუსიდან საკუთარი ელჩების გაწვევის შესახებ განაცხადა.

## ფოლადის მუშტი — ტყავის ხელთათმანში

**„რუსეთმა ტყავის ხელთათმანში ფოლადის მუშტის პოლიტიკა უნდა გაატაროს“, — განაცხადა რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა.** „მთავარი ამოსავალი წერტილია, დავიბრუნოთ ჩვენი ძალა, უხეში ფიზიკური ძალა, მათ შორის არმიისა და ფლოტის. ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს „ფოლადის მუშტი — ტყავის ხელთათმანში“ და არავის ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს, რომ ტყავის ხელთათმანის ქვეშ ნამდვილად ფოლადის მუშტია“, — აღნიშნა როგოზინმა არმიისა და საზღვაო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მხარდამჭერ ღონისძიებაზე.

## პან გი მუნმა მარცხი აღიარა

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა სირიის ხელისუფლება სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ სისტემატიურად ჩადენილ დანაშაულში დაადანაშაულა. ამასთან ერთად, მან აღნიშნა, რომ ამბოხებულების შეიარაღება სირიაში არსებულ სიტუაციას ხელს არ შეუწყობს. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ სირიის კრიზისის დარეგულირების საკითხში მარცხი განიცადა და მოუწოდა დამასკოს, ყველა ღონე იხმაროს სისხლისღვრის შესაჩერებლად და ოპოზიციასთან დიალოგის დასაწყებად.



# მიხეილ სააკაშვილის რუსული არია, ანუ «ისინი ყოველთვის ბრუნდებიან»

**მიხეილ სააკაშვილი მალე ბალალაიკაზე დაუკრავს; მისმა ბოლო განცხადებებმა და ინიციატივებმა შეიძლება სწორედ ამ დასკვნამდე მიგვიყვანოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფიგურანტმა ექსპრომტად ახალი თამაში დაიწყო, რომლის საბოლოო მიზანს მისი რეჟიმის გადარჩენა წარმოადგენს. ვინაიდან ხელისუფლების ყველა ადრინდელი მანევრი სამკუთხედში მოსკოვი-თბილისი-ვაშინგტონი საქართველოსთვის გამანადგურებლად მძიმე შედეგით დასრულდა. მიზანშეწონილია, თადარიგი წინასწარ დავიჭიროთ და იმის დადგენა ვცადოთ, თუ რას უქადის ქვეყანას სააკაშვილის „ახალი რუსული პოლიტიკა“, თუკი ასეთი ბუნებაში არსებობს.**

### შანტაჟი თუ ხავსი წყალწაღებულისთვის?

მას შემდეგ, რაც აშშ-რუსეთის ურთიერთობებში „გადატვირთვა“ დაიწყო, სწრაფვა მოსკოვთან ურთიერთობების დალაგებისკენ თბილისისთვის ერთგვარ „ადეკვატურობის ტესტად“ იქცა. თეთრმა სახლმა არაერთგზის მიანიშნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების ნაბიჯებს სხვა მიმართულებით გაგებით ვერ მოეკიდება. გზავნილი „მოაწესრიგეთ ურთიერთობები რუსებთან!“ ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ისევე, როგორც ევროპელმა პარტნიორებმა (მაგალითი: ნიკოლა სარკოზის გამოსვლა თბილისში) სხვადასხვა ფორმით არაერთგზის გააჟღერეს. **თეთრ სახლს, სავარაუდოდ, ძლიერ აღიზიანებდა სააკაშვილის ოცნებები „გადატვირთვის“ ჩაძირვაზე და სამწლიანი შთაგონების შემდეგ, ის, შესაძლოა, მიხვდა, რომ ახალი „ცივი ომის“ პროვოცირებაზე ორიენტირებული გამოხდომებით ვერაფერს მიაღწევს, ხოლო გეოპოლიტიკური არაადეკვატურობა შეიძლება ძალიან ძვირად, ვაშინგტონის მხარდაჭერისა და ხელისუფლების დაკარგვის ფასად დაუჯდეს.**

რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირებას ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ემხრობა, მეტიც, როგორც ჩანს, არცთუ ცოტა მოქალაქე, შინაგანად მზად არის, გაცილებით შორს წავიდეს. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით, „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ახლახან ჩატარებულ კვლევაში ერთი საინტერესო მონაკვეთი გვხვდება (დაწვრილებით ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ექსპერტმა ვალერიან გორგილაძემ ისაუბრა). **გამოკითხულთა 47,7%-მა შემდეგი მოსაზრება გაიზიარა: „ამერიკა შორს არის და ვერაფერს გვიშველის. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე, იმისათვის რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა“. ყველაზე პიკანტური და ერთობ ღიმილისმომგვრელი ისაა, რომ ამ აზრს, სხვებთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა 26,4% მიემხრო. ის, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს რუსეთთან ურთიერთობების დალაგება სურს, არაერთგზის დაფიქსირდა; მაგალითად, IRI-ს ბოლო გამოკითხვაში, დიალოგის განახლებას მხარი გამოკითხულთა 73%-მა დაუჭირა. არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, სააკაშვილს ამ გარემოების უგულებელყოფა, უბრალოდ, არ შეუძლია.**

ეს ორი ფაქტორი „ზედაპირზე დევს“ და სააკაშვილის ბოლო ნაბიჯები, კერძოდ კი რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება და ანტიმოსკოვური რიტორიკის აშკარა შერბილება, ძალიან დიდი ალბათობით, სწორედ აქედან მოდის. თუმცა მრავალრიცხოვან კომენტარებში, რომლებიც ყოველივე ამას მოჰყვა, გამოიკვეთა კიდევ ერთი, მნიშვნელოვანწილად კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ **სააკაშვილი უკმაყოფილოა იმით, რომ ამერიკელებმა ხელისუფლებიდან წასვლა მოსთხოვეს, მათ ზურგი შეაქცია და მხარდაჭერის მოპოვებას მოსკოვში ცდილობს; ან კიდევ, მოჩვენებითი შეტრიალებით ჩრდილოეთისკენ ვაშინგტონის დაშანტაჟებას ლამობს.** ეს ვერსია, ფაქტებით გამყარებული არ არის და მხოლოდ ვარაუდებს ეფუძნება.

ობიექტური წინაპირობები შეზღუდულ დროში მსგავსი გეოპოლიტიკური ვირაჟების განხორციელებისთვის არ არსებობს და ასეთი გლობალური, უაპელაციო დასკვნების გაკეთება მიზანშეწონილი, ალბათ, მაინც არ არის, თუმცა კიდევ ერთი, „მესამე“ მოტივი სააკაშვილის მოქმედების მიღმა, სავარაუდოდ, მართლაც დგას. საქმე ისაა, რომ „გადატვირთვის“ დაწყების შემდეგ **მოსკოვი და ვაშინგტონი პოსტსაბჭოთა სივრცეში ცდილობენ, საჩოთირო სიტუაციებში ურთიერთგაგებას მიაღწიონ.**

ყველაზე კარგი მაგალითი, ამ მხრივ, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებია, როდესაც აშშ-ს არც კი უცდია, რუსეთის პოზიციების აშკარა გაფართოებისთვის ხელი შეეშალა. კომპრომისს მხარეებმა არაერთგზის ცენტრალურ აზიაშიც მიაღწიეს. ამ კონტექსტში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ორი ზე სახელმწიფოს მორიგ კონსენსუსს საფუძვლად არ დაედოს ფორმულა „სააკაშვილი უნდა წავიდეს“, რასაც დღეს, სავარაუდოდ, ხუთიოდე წუთი უკლია, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით ვაშინგტონისა და მოსკოვის პოზიციებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდეს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს ბედს მხოლოდ უცხო ქვეყნები განკარგავენ და ქართული საზოგადოების აზრი აღარაფერს წყვეტს, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების „დამსახურებით“ ზე სახელმწიფოების პოზიცია შიდაქართულ პროცესებთან მიმართებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა.

**რაზე არის გათვლილი სააკაშვილის დღევანდელი აქტიურობა — მოკლევადიან პროპაგანდისტულ** ▶

**გამოკითხულთა 47,7%-მა შემდეგი მოსაზრება გაიზიარა: «ამერიკა შორს არის და ვერაფერს გვიშველის. საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, თუნდაც უარი თქვას ამერიკასთან თანამშრომლობაზე იმისათვის, რომ გაიუმჯობესოს რუსეთთან ურთიერთობა». ამ აზრს, სხვებთან ერთად, «ნაციონალური მოძრაობის» მხარდამჭერთა 26,4% მიემხრო**

მოკლედ

## მიტ რომნიმ კვლავ გაიმარჯვა

**მასაჩუსეტსის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა, რესპუბლიკელმა მიტ რომნიმ წინასაარჩევნო მარათონის მორიგ რაუნდში ვაშინგტონის შტატში გაიმარჯვა. მან ხმათა 36% მიიღო.** რომნის კონკურენტებმა, კონგრესმენმა რონ პოლმა და ყოფილმა სენატორმა რიკ სანტორუმმა დაახლოებით 24-24% მიიღეს. წარმომადგენლობითი პალატის ექსსპიკერ ნიუტ გინგრიჩს კი მხარი 11%-მა დაუჭირა. ვაშინგტონში გამარჯვება მიტ რომნისთვის ზედიზედ მეოთხე იყო. ანალიტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ ბარაკ ობამას კონკურენციას არჩევნებზე სწორედ რომნი გაუწევს. 6 მარტს კი პრაიმერი ერთდროულად აშშ-ის 10 შტატში გაიმართება. ამ დღეს ამერიკაში სუპერ სამშაბათად მოიხსენიებენ.



## ანქვაბმა ხმა პუტინს მისცა

**აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა ვლადიმერ პუტინს მისცა. ამის შესახებ ანქვაბმა საარჩევნო უბნიდან გამოსვლისას განაცხადა.** „აფხაზეთმა იცის, როგორი არჩევანი უნდა გააკეთოს. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთი ხმას ვლადიმერ პუტინს აძლევს. ხვალინდელ დღეს აფხაზეთი ვლადიმერ პუტინს უკავშირებს. მეც ასე ვფიქრობ და სიამოვნებით მივეცი ხმა პუტინს. მე ხმა მივეცი ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს და ეს სრულიად გააზრებულად და დარწმუნებით გავაკეთე“, — განაცხადა ანქვაბმა.

**სააკაშვილის ბოლო ნაბიჯები, მათი გარეგნული პოზიტიურობის მიუხედავად, ალბათ, მაინც არ წარმოადგენს იმას, რაც ეროვნული ინტერესების რეალიზებას სინამდვილეში სჭირდება. ცხადია, იმაზე დაკვირვება, თუ როგორ იწყებენ მმართველი ძალის წარმომადგენლები „ბალალაიკაზე დაკვრის სწავლას" დროდადრო საინტერესოა, თუმცა ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებთან ამ სახალისო სანახაობას საერთო ძალიან ცოტა აქვს.**

## პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# რაზე არის გათვლილი სააკაშვილის დღევანდელი აქტიურობა — მოკლევადიან პროპაგანდისტულ ეფექტზე თუ რაიმე უფრო მასშტაბურზე?

**ეფექტზე თუ რაიმე უფრო მასშტაბურზე?** რუსეთის მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების პრაქტიკული ღირებულება არც ისე დიდია, მათ, ვიზების მიღებასთან დაკავშირებით, რამდენადმე შესამჩნევი პრობლემები ისედაც არ ჰქონდათ. გაცილებით საინტერესოა ის, რაც მოხდება (თუ მოხდება) შემდეგ. **რამდენად შორს შეიძლება წავიდეს სკამის დაკარგვის შიშით შეპყრობილი სააკაშვილი?** რუსეთის ოფიციალური პირების ბოლო განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, მათ სწორედ ამის დადგენა გადაწყვიტეს.

### კალინკა+მალინკა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ **რუსეთი მზად არის, საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმი შემოიღოს, თუმცა ამისთვის აუცილებელია, რომ „ქართულმა მხარემ უზრუნველყოს საიმედო სამართლებრივი პირობები, რომლებიც საქართველოში ჩასული რუსეთის მოქალაქეებისთვის უსაფრთხოების გარანტიებს შექმნის. ასევე, ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას ვთავაზობთ".** ლუკაშევიჩის მიერ ნახსენებ „სამართლებრივ პირობებში" იგულისხმებოდა საქართველოს კანონმდებლობის იმ ნორმების გადახედვა, რომლებიც სეპარატისტულ რესპუბლიკებში ცენტრალური ხელისუფლების დაუკითხავად (უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან) ჩასვლისთვის სანქციებს აწესებს. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური თბილისი საპასუხო განცხადებებში საუბარი მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პრობლემატიკას შეეხო. კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" და რუსი ტურისტების პრობლემები, რომლებიც მისგან გამომდინარეობს, ამ განცხადებებში არ ფიგურირებდა; საინტერესოა, **ხომ არ არის სააკაშვილის ხელისუფლება მზად ამ მიმართულებით დათმობაზე წავიდეს? ნებისმიერ შემთხვევაში ეს ერთგვარი ტესტია, რომელიც კრემლმა სააკაშვილს შესთავაზა.**

თუმცა ორმხრივი ურთიერთობებისთვის აქტუალური ბევრი თემა ოფიციალურ განცხადებებში კიდევ საკმაო დროის განმავლობაში ვერ მოხვდება. **კრემლს, სავარაუდოდ, აინტერესებს შეუფერხებელი სახმელეთო კომუნიკაცია სომხეთში განლაგებულ სამხედრო ბაზებთან, მაგისტრალური გაზსადენი, საქართველოს რკინიგზა და კიდევ ბევრი რამ, რაც რთულ მდგომარეობაში (როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით) ჩავარდნილმა სააკაშვილმა შეიძლება ძალიან იაფად დათმოს.**

ის, ვინც „ა"-ს ამბობს მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ „ბ"-ს თქმას და მთელი ანბანის ჩამორაკრაკებას მოსთხოვენ. მთავარი პრობლემა კი ამ სიტუაციაში, სავარაუდოდ, ისაა, რომ ის მეტ-ნაკლებად ღირებული აქტივები, რომლებიც საქართველოს ჯერ კიდევ დარჩა, შეიძლება არა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ სააკაშვილის სკამის გამყარებაზე გაიცვალოს.

დიალოგი რუსეთთან აუცილებელი და გარდაუვალია, თუმცა, შესაძლოა, დღეს მისი დაწყებისთვის საუკეთესო მომენტი არ არის (იგივე შეიძლება აშშ-თან დიალოგის გაგრძელებაზე ითქვას), რადგან **სააკაშვილის ხელისუფლება დღეს, როგორც არასდროს, ორიენტირებულია არა ეროვნული, არამედ საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფაზე.**

სამწუხაროდ, ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკაში მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებს და პათოლოგიური სწრაფვა ძალაუფლებისკენ, რომელსაც, მათ შორის, შეიძლება ქვეყნის ინტერესები შეეწიროს, მისაღები თუ არა, ასე თუ ისე, ბუნებრივი რამ არის. ვიდრე ეს დამოკიდებულება არ შეიცვლება და აშკარა პათოლოგიის ირიბი გამართლება არ შეწყდება, ნორმალურ სახელმწიფოს, სავარაუდოდ, ვერ ვეღირსებით. ასე თუ ისე, საზოგადოებამ აშკარად „გამოტოვა" ის მომენტი, როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ორიენტირად სააკაშვილის სკამის გადარჩენა იქცა.

თუმცა, შეთანხმებები ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით საიდუმლო დიპლომატიის სფეროს მიეკუთვნება, **სააკაშვილს კი ყველაფერთან ერთად პროპაგანდისტული კოზირები სჭირდება, რომელსაც წინასაარჩევნოდ გამოიყენებს.** რუსეთის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმება ან მისი საგრძნობი გამარტივება, ასევე, რუსულ ბაზარზე თავისუფალი მოქმედების გარანტიები, საზოგადოების საკმაოდ მოცულობითი ნაწილის მოწონებას დაიმსახურებდა; თეორიულად, არჩევნებამდე დარჩენილ დროში ამ მიზნის მიღწევა გამორიცხული ნამდვილად არ არის. მეტის მიღწევა სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, უბრალოდ, შეუძლებელია, უფრო სერიოზულ თემებზე რუსები მას არ დაელაპარაკებიან, რის შესახებაც ადრე არაერთხელ განაცხადეს.

# საზოგადოებამ აშკარად «გამოტოვა» ის მომენტი, როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ორიენტირად სააკაშვილის სკამის გადარჩენა იქცა

### დრო იწურება

**4 მარტს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. გამარჯვება პირველსავე ტურში ვლადიმერ პუტინმა მოიპოვა. ის რუსეთს მომავალი ექვსი, ხოლო ხელმეორე არჩევის შემთხვევაში, თორმეტი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. საქართველოს ხელისუფლებას საქმის დაჭერა სწორედ პუტინთან მოუწევს.**

საბოლოო ჯამში, სააკაშვილის მანევრები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ასე თუ ისე, ტაქტიკის სფეროს მიეკუთვნება და, ალბათ, აუცილებელია, უფრო ფართო პერსპექტივას შევეხოთ. დღევანდელი მსოფლიო სულ უფრო არასტაბილური ხდება (ყოვლისმომცველი კრიზისისა და მისგან გამომდინარე ომის მზარდი საფრთხის გამო) და საქართველოს, როგორც პატარა ხომალდს მოახლოებული ქარიშხლის წინ, საიმედო ნავსადგომის მოძებნა სჭირდება, რადგან **მომავალი 20-30 წლის პერსპექტივაში ქვეყნებს, რომელთაც უსაფრთხოების მყარი გარანტიები არ ექნებათ, სავარაუდოდ, სრული განადგურების საფრთხე დაემუქრებათ.** მსოფლიო იცვლება და არხეინი ცეკვათამაშისთვის მასში სულ უფრო ნაკლები ადგილი რჩება. წერილის ავტორს ნამდვილად არ სურს უიმედო პესიმისტად ან ალარმისტად ჩათვალონ, თუმცა წამყვანი ეკონომისტების, პოლიტოლოგებისა და სამხედრო ექსპერტების პროგნოზები ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ახალი რეალობა სუსტი ეკონომიკების, სახელმწიფოებისა და ერების მიმართ წარმოუდგენლად სასტიკი იქნება. ძალიან დიდი ალბათობით, **XXI საუკუნის პირველ ნახევარში პლანეტა დაემსგავსება ტერარიუმს, რომლის ბინადრებს საკვების მიწოდება შეუწყვიტეს.**

საქართველოსთვის ძალზე რთული იქნება ამ სახეცვლილ მსოფლიოში გადარჩენა, თუკი უსაფრთხოების ფუნდამენტურ პრობლემას არ მოაგვარებს. ეს კი რუსეთთან დარეგულირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. ამაზე ყველა მიუთითებს — ადგილობრივი ექსპერტებიდან დაწყებული, ევროკავშირის მაღალჩინოსანი წარმომადგენლებით დამთავრებული; ეს აქსიომაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

**სრულმასშტაბიანი დარეგულირება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში შეუძლებელია და ეს კიდევ ერთი ფუნდამენტური, ქვეყნის გამთლიანების პრობლემის გადაწყვეტას აფერხებს.**

ორმხრივი ურთიერთობების გადაყვანა ტაქტიკური და, საბოლოო ჯამში, მეორეხარისხოვანი საკითხების გადაწყვეტის ჭრილში საქართველოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რესურსს — დროს აკარგვინებს, რომელიც ასე სჭირდება იმისთვის, რომ ქაოტური ახალი დროის გამოწვევებს მომზადებული შეხვდეს. ამიტომ **სააკაშვილის ბოლო ნაბიჯები, მათი გარეგნული პოზიტიურობის მიუხედავად, ალბათ, მაინც არ წარმოადგენს იმას, რაც ეროვნული ინტერესების რეალიზებას სინამდვილეში სჭირდება**. ცხადია, იმაზე დაკვირვება, თუ როგორ იწყებენ მმართველი ძალის წარმომადგენლები „ბალალაიკაზე დაკვრის სწავლას" დროდადრო საინტერესოა, თუმცა ქვეყნის გრძელვადიან ინტერესებთან ამ სახალისო სანახაობას საერთო ძალიან ცოტა აქვს. ჩვენ რუსეთთან, ალბათ, გაცილებით უფრო სერიოზული, ყოვლისმომცველი დიალოგი გვჭირდება, რომლის წარმოება, მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას, გარემოებათა გამო, არ შეუძლია.

**დიმიტრი მონიავა**

## ობამა დაძაბულ ბრძოლას ელის

**აშშ-ის პრეზიდენტი საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატებს შორის დაძაბულ პოლიტიკურ ბრძოლას ვარაუდობს.** ამის შესახებ ბარაკ ობამამ საპრეზიდენტო კამპანიის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა. მისი თქმით, დაპირისპირება არჩევნებში შეუპოვარი იქნება. „არც ერთ ჩვენგანს არ აქვს ილუზია, რომ მარათონი შეიძლება მსუბუქი იყოს", — აღნიშნა ობამამ. როგორც პრეზიდენტი აცხადებს, შიდა პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების — ბიუჯეტის, გადასახადების, ინვესტიციების, განათლებისა და მეცნიერების კუთხით „დემოკრატიულ პარტიას" ბევრად მომგებიანი პოზიცია აქვს, ვიდრე კონკურენტ რესპუბლიკელებს. გარდა ამისა, ობამას აზრით, რესპუბლიკურ პარტიას პრობლემები აქვს საგარეო პოლიტიკის კუთხითაც.

## ჰერმან ვან რომპეი მეორედ აირჩიეს

**ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტზე ჰერმან ვან რომპეი მეორე ვადით აირჩიეს.** ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ევროკავშირს მომდევნო 2 წლისა და 5 თვის განმავლობაში უხელმძღვანელებს. გადაწყვეტილება გაერთიანების წევრებმა სამიტზე ერთხმად მიიღეს. ევროკავშირის სამიტის მთავარი თემა იმ საბიუჯეტო პაქტის მიღებაა, რომელსაც 27-დან 25 წევრი ხელს მოაწერს. დოკუმენტი ევროკავშირის ქვეყნების ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

## ევროპის უკანასკნელი დიქტატორი

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს ევროპის უკანასკნელ დიქტატორს უწოდებს.** როგორც ვესტერველემ განაცხადა, ლუკაშენკო ახორციელებს ზეწოლას იმ ადამიანებზე, რომლებსაც საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა უნდათ. „ლუკაშენკო ევროპის უკანასკნელი დიქტატორია. ის ახორციელებს ზეწოლას იმ ადამიანებზე, რომლებსაც საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებების დაცვა უნდათ. ჩვენ მოვახდინეთ შესაბამისი რეაგირება იმ რეპრესიებზე, რაც ევროპაში ჩვენს მეზობლად ხორციელდება", — განაცხადა ვესტერველემ.

ევროპა

## უშვილობის გადასახადი

**დემოგრაფიულ კატასტროფასთან ბრძოლას გერმანიის პარლამენტი გადასახადებით აპირებს — ბუნდესტაგში უშვილობაზე გადასახადის დაწესების შესახებ კანონპროექტს განიხილავენ. კანონპროექტის მიხედვით, 25 წელს გადაცილებულმა ყოველმა უშვილო გერმანელმა დამატებითი გადასახადის სახით საკუთარი შემოსავლის 1% უნდა გაიღოს.** შვილის გაჩენისთანავე გადასახადის თანხა ორჯერ მცირდება, მეორე შვილის გაჩენის შემთხვევაში კი მოქალაქე გადასახადისგან თავისუფლდება. უშვილობისთვის გადასახადის დაწესების იდეა ანგელა მერკელის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრებს ეკუთვნით. კანცლერის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ არ უნდა არსებობდეს არავითარი გამონაკლისი მათთვის, ვისაც არ სურს ან არ შეუძლია შვილების ყოლა, ვინაიდან 2040 წლიდან, როდესაც ყოველი მესამე გერმანელი 60 წლის იქნება, სოციალური გადასახადების დასაფარად ფული იქნება საჭირო. შვილი არ ჰყავს თავად კანცლერსაც.



საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საგარეო საქმეთა მინისტრობიდან რომ წავედი, ამერიკაში ჩავედი, შევხვდი კოლინ პაუელს, ვისთანაც აშშ-ში ჩემი ელჩობიდან მოყოლებული, კარგი ურთიერთობა მქონდა. კოლინ პაუელს ჰგონია, რომ საქართველოშიც „ყოფილებთან“ თანამშრომლობის იგივე წესი „მუშაობს“, როგორც ამერიკაში, და რუსეთთან ურთიერთობის თემაზე საუბრისას ასე მითხრა: — ერთი რამ მინდა გთხოვო, საქართველოში რომ დაბრუნდები და მიშას შეხვდები, ჩემი რჩევა გადაეცი: რუსეთს ყოველდღე ნუ ატაკებს თვალში თითს, თუ შეიძლება, ეს კვირაში ერთხელ გააკეთოს!“**

# «ვილაც შავი ქალი» და რასისტული ლექსიკის ფესვი

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესიონალი დიპლომატი, ამჟამად „ქართულ ოცნებაში“ საგარეო საკითხებზე მრჩევლად მიწვეული თედო ჯაფარიძე სტუმრობდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან საქართველოს უახლესი ისტორიის ბევრ პრინციპულ და ფართო საზოგადოებისთვის უცნობ საკითხზე ილაპარაკა. ზოგიერთ პასაჟს დღეს გთავაზობთ.**

**ოვალური კაბინეტიდან გამოსულ ფოტოგრაფს რომ ჰკითხეს, მართლა გადაიღე სურათი ბუშთან ერთადო, კიო, უპასუხა. ვილაც შავი ქალი იყო და იმას გადავაღებინეო. შავი ქალი — კონდოლიზა!**



## ვინ იყო ის შავი ქალი?

**თედო ჯაფარიძე:**

— 2004 წელს, სააკაშვილის პირველ ოფიციალურ შეხვედრამდე აშშ-ის პრეზიდენტთან თეთრ სახლში ორმოციოდ წუთი იყო დარჩენილი, როცა მიშამ ბუშის ბოლოდროინდელი გამოსვლების ტექსტები მოითხოვა. როგორც იქნა, 15 წუთში ერთი ტექსტი ვიპოვეთ. მივეცით. სასწრაფოდ გადაიკითხა და შევედით კიდეც ოვალურ კაბინეტში. მაშინ ჯერ კიდევ, თუმც ფორმალურად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ. არის ასეთი შავი ფაქტი ჩემს ბიოგრაფიაში...

დაგვხვდა ბუში მთელი თავისი გუნდით — დიკ ჩეინი, კონდოლიზა რაისი და სხვები. წესისამებრ, მასპინძელი მიესალმა სტუმარს და კარგი სიტყვები უთხრა. რაღაც შეუქო, რაღაც დახმარება აღუთქვა და ა.შ.

დადგა სააკაშვილის ჯერი და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: სულ ზეპირად უთხრა გრძელ-გრძელი ციტატები ბუშის იმ გამოსვლიდან, რომელიც ჩვენ ვუპოვეთ.

ვუყურებ ბუშს და რას ვხედავ? კაცს ყბა ჩამოუვარდა, გაილურსა, თვალები ცრემლებით აევსო და ოფიციალური მიღების პროტოკოლით დადგენილი რეგლამენტი არა მარტო დროის თვალსაზრისით დაარღვია, არამედ დიპლომატიური ეტიკეტისაც. გაშინაურდა ხალხი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა ჩვენმა ფოტოგრაფმა ბუშთან ერთად სურათის გადაღება მოინდომა. დადგა აშშ პრეზიდენტის გვერდით და კონდოლიზა რაისს ფოტოაპარატი მიაჩეჩა. კონდოლიზამაც გადაუღო.

ოვალური კაბინეტიდან გამოსულ ფოტოგრაფს რომ ჰკითხეს, მართლა გადაიღე სურათი ბუშთან ერთადო, კიო, უპასუხა. ვილაც შავი ქალი იყო და იმას გადავაღებინეო. შავი ქალი — კონდოლიზა!

**(ასე რომ, სააკაშვილის ქედმაღლურ განცხადებას, საზღვრის გადაკვეთის პროცედურასთან დაკავშირებით რომ ბრძანა, — ჩვენ რა, ზანგები ვართო?! მისი პირადი ფოტოგრაფის განცხადება უსწრებდა.**

**არც აქ იყო ორიგინალური, ისევე, როგორც ბუშთან შეხვედრის დროს, როცა მასპინძლის ტექსტი ისე გადმოიღო და შეასაღა ბუშს, რომ თქვენი მოწონებული).**

**— სამაგიეროდ, ბატონო თედო, სააკაშვილი განაგრძობს ორიგინალურ კურსს არადიპლომატიული ზეპირსიტყვიერების განსავითარებლად და დასამკვიდრებლად ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რაც გაამჟღავნა კიდეც 28 თებერვალს, როცა პრეზიდენტის საპარლამენტო ტრიბუნიდან შავი პიარის შავ მარგალიტებად გადმოიბნა შავ ტალახში დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას ამოთხვრის და მასთან ერთად ყველა მსურველის თბილისის ბალნეოლოგიურ ცენტრში ყვითელი ავტობუსით უფასოდ გადაყვანის და იქ მანდატურების მიერ ერთ გემოზე დაზელვის მუქარის სახით.**

**ამ გრძელ ტირადას თედო ჯაფარიძემ ერთი სიტყვით უპასუხა:**

— გიკვირთ?

**— არა. სხვათა შორის, არც ის, რომ „ბუშის სიკეთეები“ სააკაშვილმა ობამას შეხვედრიდან თეთრი სახლის უკანა ეზოში გამოსვლისთანავე დაივიწყა და ჟურნალისტებს განუცხადა: ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, მაგრამ ასეთი შედეგიანი შეხვედრა არც ერთი არ ყოფილაო.**

— რა შედეგზეა ლაპარაკი?! ჩვეულებრივ, დიპლომატიური ეტიკეტი ითვალისწინებს, რომ ასეთი შეხვედრების დროს მასპინძელი მაღალ სტუმარს თავის პატივისცემას დაუდასტურებს, ქებას არ დაიშურებს და მთავარ სათქმელს, შეიძლება, არასასიამოვნოდ მოსასმენ კრიტიკას, საუბრის „საქმიან ნაწილში“ კარგად შეფუთულს მიართმევს.

აქ პირიქით მოხდა. ბარაკ ობამამ იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია მთავარი აქცენტი, რომ მაინც და მაინც ამით დაიწყო საუბარი, ხოლო ის, რაც ამას მოაყოლა, „ლამაზი შეფუთვა“ იყო. აშშ-ის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილს უთხრა: ხელისუფლების დემოკრატიული არჩევნების გზით გადაცემა მოგიწევსო.

**— საბჭოთა დროში, როცა „მაღალი ნომენკლატურული ამხანაგის“ თანამდებობიდან გაშვებას დააპირებდნენ, არის მოსაზრება, რომ უნდა წახვიდეო, ეტყოდნენ და ამ მწარე აბს მისი დამსახურების აღნიშვნით და გულზე ოქტომბრის რევოლუციის ორდენის ჩამოკიდებით დაუტკბობდნენ.**

**სხვა ორდენები იმ ამხანაგს მიღებული ჰქონდა.**

— რაღა კომუნისტები, იმავე ბუშმა შევარდნაძე, რა, ნაკლებად შეაქო ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისა და ურთულეს მომენტში მშვიდობიანად გადადგომის გამო?!

**— პარლამენტში კამათისას სააკაშვილმა ისეთი ფორსაჟი ჩართო, იმდენჯერ ამოხტა სავარძლიდან, რომ აშკარად გამოჩნდა: ეს კაცი სკამის დამთმობი არ არის.**

— მაგრამ მოუწევს. და აქ ობამას მითითება კი არა, ხალხის ნება იქნება გადამწყვეტი.

## „თითი კვირაში ერთხელ ატაკოს და არა ყოველდღე!“

**თედო ჯაფარიძესთან, პროფესიონალ დიპლომატთან, თავისთავად იგულისხმება, ჩვენი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკაზე უნდა ილაპარაკო.**

**ვლაპარაკობთ.**

— სააკაშვილის პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში მისი გამოგონილი ნარატივია.

ხომ გახსოვთ, როგორ გვარწმუნებდა იგიც და მთელი სახელისუფლებო პროპაგანდა, რომ 2008 წელს, მართალია, მაპი არ მოგვცეს, მაგრამ მივიღეთ მაპზე უკეთესიო.

**(ვასიკო ოდიშვილის სკაბრეზულ რეპლიკას ვაიხსენებთ: მოგვცეს მაპზე უკეთესი, მაგრამ არ ვიცით, სად გავიკეთოთო. ვიცინით).**

2012-ში კი ისევ მისი პირიდან გავიგეთ, რომ ნატოში შესვლა ერთი-ორი დღის ამბავი არ არის, წლებია საჭიროო.

**— ევროკავშირში?**

— თურქეთი 40 წელიწადია ევროკავშირში შესვლის რიგში დგას. არ იღებენ. ნატოს წევრ ამ ქვეყანას თავზე საქართველოს არ გადაახტუნებენ. პერსპექტივა თუ გვაქვს, — ძალიან შორეულ მომავალში.

სამაგიეროდ უკვე ვართ „ახალი ბერლინის კედელი“ და „ახალი მანერჰეიმის ხაზი“.

**— ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის აფორისტულ გამონათქვამებზე მიუთითებთ?**

— დიახ. მაგრამ რა არის, იცით? ცოტა ხომ უნდა დაფიქრდეს კაცი ნებისმიერი ისტორიული პარალელის გავლებისას?

**— ელემენტარულია!**

— რომ დაფიქრებულიყვნენ, ხომ მიხვდებოდნენ, რომ „ახალი შედარებები“ ავტორებისთვის უფრო ცუდია, ვიდრე კარგი: ბერლინის კედელი 1990 წელს დაანგრიეს, მითი მარშალ მანერჰეიმის „არაჩვეულებრივად გამაგრებული“ თავდაცვითი ხაზის შესახებ ჯერ კიდევ სსრკ-ფინეთის ზამთრის კამპანიის დროს დასრულდა.

ამასვე ხომ არ უქადიან საქართველოს „სიტყვაკაზმულობის“ მოყვარე პოლიტიკოსები?

**— ესე იგი, ევროკავშირისკენ და ნატოსკენ გზა ან გადაკეტილია, ან ძალიან შორია. ამერიკასთან ჩვენი ურთიერთობა როგორ ყალიბდება, ბატონო თედო?**

— მოკლედ გეტყვით: დღეს აშშ-ის პრიორიტეტებში საქართველოს ადგილი არ აქვს. თუმცა შეხვედრებიც კარგია, „ქარტიაც“ და ა.შ. ჯერჯერობით სააკაშვილის გინება ვაშინგტონში მოვეტონად ითვლება.

**— რუსეთთან ურთიერთობა?**

— რუსეთთან ურთიერთობა ნულს ქვემოთაა. უვიზო რეჟიმის გამოცხადება იმ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აქვს დაკავებული, დიპლომატიის ისტორიაში გაუგონარი ფაქტია. უაზრო და უშედეგო პიარია. სხვათა შორის, რუსეთმაც სწორედ ასე აღიქვა, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაშიც გაცხადდა.

— ამერიკაში მიღებულია, — **თქვა ბატონმა თედო ჯაფარიძემ,** — რომ ყოფილი მაღალი რანგის მოღვაწენი სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და არცთუ იშვიათად — პრეზიდენტს, რომელიც ამ გამოცდილ ადამიანებს საქვეყნო პრობლემებზე ესაუბრება და რჩევას ეკითხება.

საგარეო საქმეთა მინისტრობიდან რომ წავედი, ამერიკაში ჩავედი, შევხვდი კოლინ პაუელს, ვისთანაც აშშ-ში ჩემი ელჩობიდან მოყოლებული, კარგი ურთიერთობა მქონდა. კოლინ პაუელს ჰგონია, რომ საქართველოშიც „ყოფილებთან“ თანამშრომლობის იგივე წესი „მუშაობს“, როგორც ამერიკაში, და რუსეთთან ურთიერთობის თემაზე საუბრისას ასე მითხრა:

— ერთი რამ მინდა გთხოვო, საქართველოში რომ დაბრუნდები და მიშას შეხვდები, ჩემი რჩევა გადაეცი: რუსეთს ყოველდღე ნუ ატაკებს თვალში თითს, თუ შეიძლება, ეს კვირაში ერთხელ გააკეთოს!

კოლინ პაუელს, როგორც ჭკვიან კაცს, ეტყობა მხედველობაში ჰქონდა სახარებისეული გაფრთხილება — თვალი თვალის წილ! — რაც თანამედროვეობაში გადმოტანილი, ნიშნავს ურთიერთობის გამწვავების საფრთხეს ძლიერი სახელმწიფოს მხრიდან, რამაც კატასტროფამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

## ნაციონალ-ბოლშევიკების ვენდეტა

**— რა აწყენინეთ ნაციონალ-ბოლშევიკებს ისეთი, რომ ასე თავგამოდებით შემოგიტიეს?**

— ეს ერთი ხანია, რაც ბიძინა ივანიშვილზე უფრო ხშირად ჩემს სახელსა და გვარს ატრიალებენ ყველა ბრუნვაში. გასაკვირი იქნებოდა ასე რომ არ ყოფილიყო.

ნაციონალ-ბოლშევიკებთან, როგორც თქვენ უწოდეთ, დაპირისპირება კარგა ხანია დაიწყო, მას შემდეგ, რაც 2007-8-9 წლებში კრიტიკული წერილები გამოვაქვეყნე უცხოურ პრესაში. იმ დროს შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად ვმუშაობდი. რაც მაშინ იკადრა ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ მწირი ფანტაზიის საჩვენებელ მაგალითად გამოდგება.

მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადება კი გვირგვინი იყო: მან წამოაყენა „ბრალდება“, რომ ჯაფარიძეს აკადემიური ბეგრაუნდი აკლიაო (!).

შემოტევის ახალ ტალღაში გამოირჩა ვინმე თავხელიძე, რომელიც, როგორც ვატყობ, ერთადერთია, ვინც აპირებს საფლავში ჩაჰყვეს ხელისუფლებას. მაგრამ მის და კიდევ იმათ განცხადებებს, რომ ჯაფარიძე ევრაზიის გაერთიანებაში საქართველოს შეთრევას აპირებს, ჯაფარიძე რუსეთის აგენტიაო და მსგავს სისულელეებს სერიოზულ პასუხს ვერ გავცემ.

**— რომ ახსენეთ, ისიც ზედმეტია.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



თედო ჯაფარიძე:

**დღეს აშშ-ის პრიორიტეტებში საქართველოს ადგილი არ აქვს. თუმცა შეხვედრებიც კარგია, «ქარტიაც» და ა.შ. ჯერჯერობით სააკაშვილის გინება ვაშინგტონში მოვეტონად ითვლება**

**არჩევნების წინ ეს ინციდენტი ყველაზე ნაკლებად მიხეილ სააკაშვილს სჭირდებოდა, თუმცა სისტემას, რომელიც მან შექმნა, სხვა ნაყოფის მოტანა, უბრალოდ, არ შეეძლო. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან ობიექტური გამოძიება და დამნაშავეების დასჯაა, მაგრამ, თუ სააკაშვილი ამ გზით წავა, სხვა პოლიციელები მომავალში ასჯერ დაფიქრდებიან, ვიდრე კანონს გადააბიჯებენ, ეს კი რეჟიმის მთავარი საყრდენის პარალიზებას გამოიწვევს.**





www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რა მოხდა ხაშურში

# გამოუცხადებელი სიკვდილის ქრონიკა



**კეთილგონიერება სააკაშვილის რეჟიმს არც არასოდეს ახასიათებდა, თუმცა ის, რასაც ხელისუფლება გასულ კვირას სოლომონ (სოსო) ქიმერიძის საქმესთან დაკავშირებით სჩადიოდა, აშკარად მიანიშნებდა, რომ დეგრადაციის მორიგი ეტაპი არა მხოლოდ დაიწყო, არამედ, შესაძლოა, დასრულდა კიდეც.**

ოფიციალური ინფორმაციით დავიწყოთ: შსს-ს ცნობით, 27 თებერვალს **„ხაშურის რაიონულ პოლიციაში ბრალდებულის სახით იკითხებოდა წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი სოლომონ გივის ძე ქიმერიძე.**

დაკითხვის დროს ბრალდებული სოლომონ ქიმერიძე ხაშურის პოლიციის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულიდან მეორე სართულზე კიბეზე ჩამოსვლისას კიბის მოაჯირიდან გადავარდა და დაეცა პირველი სართულის ფოიეში, რის შედეგადაც მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანება“. დროებით შევწყვიტოთ ციტირება და ყურადღება ზოგიერთ დეტალს მივაქციოთ, რომელიც შემდეგი მონაკვეთის მიღმა დგას: **„დაკითხვის დროს... შენობის მესამე სართულიდან მეორე სართულზე კიბეზე ჩამოსვლისას ბრალდებული...“.**

ომბუდსმენის რწმუნებულებმა შემთხვევის ადგილი დაათვალიერეს, სამმართველოს უფროსის მოადგილეს ავთანდილ სამსონიძესა და სხვა თანამშრომლებს გაესაუბრნენ. სამსონიძის თქმით, **„ქიმერიძისთვის ბრალის წაყენება და მისი დაკავება იმ ეტაპზე არ განხორციელებულა. იგი ხაშურის რაიონული სამმართველოს დაკავებულ პირთა წიგნში არ გაუტარებიათ“.** სახალხო დამცველის აპარატის განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამია: **„ქიმერიძე ხაშურის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში პოლიციის მიერ ყოველგვარი პროცესუალური სტატუსის გარეშე იქნა „წარმოდგენილი“.**

ის არ გახლდათ ბრალდებული, დოკუმენტაციის მიხედვით, არ იყო დაკავებული, თუმცა, როგორც ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, მას ამავდროულად, ფაქტობრივად, შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება“.

ამგვარად, ერთის მხრივ, ჩვენ გვაქვს შსს-ს **„ბრალდებულის სახით იკითხებოდა“,** ხოლო მეორეს მხრივ, სახალხო დამცველის — **„ის არ გახლდათ ბრალდებული“.**

უაღრესად საინტერესო ქვეყანაში ვცხოვრობთ, ღმერთმანი.

ის, ვისაც რეჟიმის რეპრესიულ მანქანასთან თუნდაც მცირედი შეხება ჰქონია, ალბათ, დაგვეთანხმება, რომ **მშიერ გიენებთან ერთ გალიაში გაღვიძება გაცილებით უსაფრთხო რამ არის, ვიდრე ყოველგვარი სტატუსის გარეშე პოლიციის შენობაში ყოფნა;** თუმცა მეტაფორები გვერდზე გადავდოთ და ვნახოთ, თუ რა მოხდა შემდეგ. ომბუდსმენის აპარატის განცხადების თანახმად, რომელიც პოლიციელების ახსნა-განმარტებას ეფუძნება, 27 თებერვალს, დაახლოებით 17:25 საათზე ქიმერიძე **„ჩამოჰყავდათ მეორე სართულზე, იმ მიზეზით, რომ მესამე სართულზე დაზარალებულს უნდა გასაუბრებოდნენ“** (აღსანიშნავია, რომ განცხადებებში არსად ფიგურირებს დაკითხვის ოთახი, მესამე და მეორე სართულებზე განლაგებული ოთახების დანიშნულება გაურკვეველია, რაც დამატებით კითხვებს აჩენს), **„კიბეზე ჩამოსვლისას ს. ქიმერიძეს წინ სამმართველოს თანამშრომელი მალხაზ ციყელაშვილი მიუძღოდა“.** რას გულისხმობს ეს პოეტური „მიუძღოდა“, აბსოლუტურად გაუგებარია. ქიმერიძე დაკავებული იყო და ბადრაგირების რეჟიმის ქვეშ იმყოფებოდა, თუ ციყელაშვილი დაახლოებით ისე მიაცილებდა, როგორც ვერგილიუსი დანტეს? **იურიდიული თვალსაზრისით, ეს ორი სხვადასხვა სიტუაციაა, თუმცა ამ თემის განვრცობა ისევ ქიმერიძის დაუდგენელ სტატუსამდე მიგვიყვანს.** შემდეგ, შსს-ს ცნობით, ქიმერიძე გადმოვარდა და პირველი სართულის ფოიეში დაეცა. ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, ციყელაშვილს და სხვა თანამშრომლებს **„გადავარდნის ფაქტი უშუალოდ არ დაუნახავთ, თუმცა ვარაუდობენ, რომ დიდი სიმაღლისა და წონის გამო შესაძლებელია, ს. ქიმერიძემ წონასწორობა დაკარგა და მოაჯირიდან გადავარდა“.** კრიტიკული მნიშვნელობა ამ კონტექსტში ვიდეოჩანაწერს ენიჭება, კამერები ხომ პოლიციის ახალ შენობებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ლამის საპირფარეშოებშია დამონტაჟებული. მაგრამ შსს-ს ამ დრომდე ჩანაწერი არ გამოუმზეურებია და გამორიცხული არაა, რომ ის ბუნებაში არ (ან აღარ) არსებობს.

ძველ სიუჟეტში, რომელიც ხაშურის პოლიციის შენობის გახსნას ასახავს, ეს მოაჯირი კარგად ჩანს. ის არც ისე მაღალია (ჰქონდა თუ არა პოლიციის შენობისთვის ასეთი მოაჯირების შერჩევის დროს ადგილი უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფას, ცალკე საუბრის თემაა), თუმცა ძნელად წარმოსადგენია, რომ წონასწორობის დაკარგვისას ქიმერიძემ მისი აღდგენა ვერ მოახერხა, მოაჯირი გადალახა და ქვემოთ დავარდა, თუ კოორდინაცია (მაგალითად, ცემის შედეგად) დარღვეული არ ჰქონდა. ცხადია, ამქვეყნად ყველაფერი ხდება, მაგრამ ეს ეპიზოდი ძალიან სერიოზულ ეჭვებს ბადებს.

საერთოდ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელებში გამართული დისკუსიების დროს **ოთხი ძირითადი ვერსია გამოიკვეთა: ა) პოლიციელებმა ქიმერიძე კიბიდან გადმოაგდეს; ბ) პოლიციელებმა ქიმერიძე ცემით მოკლეს, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, უბედური შემთხვევის ინსცენირება მოახდინეს; გ) ვერსია, რომლის ფარგლებში ქიმერიძე ფსიქოლოგიური და ფიზიკური (ერთი მეორეს არ გამორიცხავს) ზეწოლის გამო, ანერვიულდა და გულის შეტევით გარდაიცვალა, მაგრამ, ვინაიდან მას ფიზიკური ზემოქმედების კვალი აღენიშნებოდა, საჭირო ისევ და ისევ უბედური შემთხვევის ინსცენირება გახდა; დ) მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ამის შესახებ შსს მოგვითხრობს** (ეს უკანასკნელი ვერსია ცოტა ვინმემ თუ გაიზიარა).

შეუსაბამობები ამ ისტორიაში პოლიციის შენობაში არ სრულდება. შსს-ს ცნობით, ქიმერიძის პირველი სართულის ფოიეში დაცემის შემდეგ, **„პოლიციის თანამშრომლებმა დაუყონებლივ გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სოლომონ ქიმერიძე ხაშურის რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიმდინარე წლის 28 თებერვალს, სიცოცხლესთან შეუთავსებადი ტრავმების გამო, ბრალდებული სოლომონ ქიმერიძე გარდაიცვალა“.**

**სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები ქიმერიძემ მაშინ მიიღო, როდესაც პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და ამ ფაქტს სააკაშვილის ხელისუფლება ვერსად გაექცევა.** მაგრამ მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, როდის და როგორ გარდაიცვალა ის, თუმცა საავადმყოფოში განვითარებული მოვლენების ზუსტი რეკონსტრუქცია ჯერჯერობით ფრიად პრობლემურია. კიბიდან გადმოვარდნა, პოლიციელების განმარტებით, რომელიც ომბუდსმენის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, დაახლოებით 17 საათსა და 25 წუთზე მოხდა. გარდაცვლილის შვილის, გივი ქიმერიძეს ცნობით, **„საღამოს ისევ ამოვიდნენ სახლში პოლიციელები, დაახლოებით 18:00 საათზე, გვთხოვეს, მამის დაზღვევის პოლისი და პირადობა გვინდაო. სახლში არ ვიყავი, დამირეკეს, ავნერვიულდი, ჩავედი საავადმყოფოში, მამა აპარატზე იყო შეერთებული და ნახევარ საათში გარდაიცვალა“** („ინტერპრესნიუსი“).

ხაშურის საავადმყოფოს კლინიკურმა მენეჯერმა თეიმურაზ მძინარიშვილმა „ნეტგაზეთთან“ საუბარში თქვა, რომ ქიმერიძე „მოყვანილი იყო საავადმყოფოში 27 რიცხვში, 18 საათსა და 45 წუთზე“ და „საავადმყოფოში მოყვანიდან 6 საათში გარდაიცვალა“. იმავე თეიმურაზ მძინარიშვილმა presa.ge-ს კითხვებზე: **„28 თებერვალს შემოიყვანეს პაციენტი და იმავე დღეს გარდაიცვალა? რამდენ ხანს იყო იგი კლინიკაში?“** უპასუხა: **„დიახ. მე ამდენი ინფორმაციის გაცემის უფლება რამდენად მაქვს, არ ვიცი. კლინიკაში იყო დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში“.** ამავე ინტერვიუში მძინარიშვილმა თქვა, რომ ქიმერიძემ **„თვითონ განაცხადა სიმაღლიდან ჩამოვვარდიო, გარემოებები არ დაუკონკრეტებია, მოყვანისას პაციენტი კონტაქტური იყო“.** news.ge-სთან საუბარში კი მძინარიშვილმა განაცხადა, რომ ქიმერიძე **„კლინიკაში დაახლოებით 17:45-ზე შემოიყვანეს. პაციენტმა შემოყვანიდან დაახლოებით 6 საათი იცოცხლა. მოყვანისას პაციენტი კონტაქტური არ იყო“.** აშკარაა, რომ ზოგიერთი ფრაზა მძინარიშვილის სხვადასხვა განცხადებიდან ერთმანეთს 100%-ით ეწინააღმდეგება.

ჯერ სად ვართ, შემდეგ უარესი დაიწყო. **ქიმერიძეების ეზოს მისადგომებთან ვიღაც გაურკვეველი ტიპები გამაგრდნენ, რომლებიც თავს ოჯახის ახლობლებად ასაღებდნენ და არჩევდნენ, თუ ვინ უნდა შესულიყო სახლში და ვინ არა. ზოგიერთი მათგანი ამოიცნეს, როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი და პოლიციასთან დაკავშირებული პირი, რომელსაც გარდაცვლილის ოჯახთან ახლო ურთიერთობა არ აკავშირებდა.** ტელეკომპანია „მაესტროს“ გადამღებ ჯგუფს აშკარად თავს დაესხნენ (სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი „ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა“). სახელისუფლო ტელევიზიები კი გადასცემდნენ იდენტურ ცნობებს იმის თაობაზე, რომ ოპოზიცია ჭირისუფლებს აწუხებს (იმას, რომ სამივე სახელისუფლო არხის კომენტარი ერთმანეთს დაემთხვევა, ინტერნეტში ფართოდ გავრცელებული ვიდეორგოლი ასახავს).

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის“ დირექტორმა ალექსანდრე გეჯაძემ გარეგანი ექსპერტიზის შედეგებზე დაყრდნობით opinion.ge-სთან საუბარში შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: **„თუ ექნებოდა ადგილი თავისუფალ ვარდნას, ასეთ შემთხვევაში სხივმაჯის სახსარზე არსებული დაზიანებების ერთდროული განვითარება როგორც წინა, ასევე უკანა ზედაპირზე გამორიცხულად მიმაჩნია. ამავდროულად, გარკვეულწილად ძნელად წარმოსადგენად მიმაჩნია ცხვირის ძვლისა და წარბის დაზიანება ერთად განვითარებულიყო“.** მეტ-ნაკლებად კვალიფიციური ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა, ვინც გარდაცვლილის ცხედარი ნახა ან ინტერნეტში გავრცელებული ფოტოები დაათვალიერა და შემდგომ საკუთარი შეფასება საჯაროდ დააფიქსირა, ამბობს, რომ **გარდაცვლილს წამების კვალი ეტყობა.**



ქიმერიძეების ეზოს მისადგომებთან ვიღაც გაურკვეველი ტიპები გამაგრდნენ, რომლებიც თავს ოჯახის ახლობლებად ასაღებდნენ და არჩევდნენ, თუ ვინ უნდა შესულიყო სახლში და ვინ არა

**არჩევნების წინ ეს ინციდენტი ყველაზე ნაკლებად მიხეილ სააკაშვილს სჭირდებოდა, თუმცა სისტემას, რომელიც მან შექმნა, სხვა ნაყოფის მოტანა, უბრალოდ, არ შეეძლო. ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციიდან ობიექტური გამოძიება და დამნაშავეების დასჯაა, მაგრამ, თუ სააკაშვილი ამ გზით წავა, სხვა პოლიციელები მომავალში ასჯერ დაფიქრდებიან, ვიდრე კანონს გადააბიჯებენ, ეს კი რეჟიმის მთავარი საყრდენის პარალიზებას გამოიწვევს.**

მთელ ამ ისტორიაში სააკაშვილის რეჟიმის და მისი ე.წ. გამჭვირვალე პოლიციის ნამდვილი სახე ძალიან კარგად გამოჩნდა. ცხადია, **სააკაშვილი ველარასოდეს იტყვის, რომ ხალხი პოლიციის ფანჯრებიდან მხოლოდ შევარდნაძის დროს ცვიოდა,** რადგან ცხვირწინ უმალვე განხილულ ფაქტს დაუდებენ, ხოლო ისედაც ნულთან მიახლოებული ნდობა მერაბიშვილის უწყების მიმართ „მინუსებში წავა“. მაგრამ მთავარი ამ სიტუაციაში სულ სხვა რამ არის: **თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩება, ის უბედურება, რომელიც ქიმერიძეების ოჯახს თავს დაატყდა, ძალიან დიდი ალბათობით, თითოეულ ქართულ ოჯახში შეაბიჯებს, რადგან საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნებას სრულმასშტაბიანი ტერორის გარეშე მმართველი ჯგუფი, სავარაუდოდ, ვერ მოახერხებს.** ამისგან დაზღვეული არც ერთი ჩვენგანი არ არის, თუმცა **ახლო, კერძოდ კი პოსტსაარჩევნო მომავალში ასეთ მოპყრობას, სავარაუდოდ, საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკის სახე მიეცემა.**

საყურადღებო მონაკვეთი სოზარ სუბარის ინტერვიუდან, რომელიც მან „ასავალ-დასავალს“ მისცა: **„სოსო ქიმერიძე იყო აქტიური ოპოზიციონერი, რომელიმე პარტიაში არ ყოფილა, მაგრამ თავშეყრის ადგილებში პირდაპირ გამოხატავდა თავის მკვეთრად უარყოფით განწყობას. როგორც ჩანს, მოინდომეს მისი დაშინება და გაჩუმება, ამიტომ წაიყვანეს განყოფილებაში, მიზეზად კი ის მოსდეს, რომ თითქოს ვიღაცამ დაკარგა ალუმინის ქვაბი“.** ფაქტია, ამ ისტორიის ანალიზი ჩვენ კიდევ საკმაო დროის განმავლობაში მოგვიწევს.

და ბოლოს: დიდი მადლობა შალვა რამიშვილს და ტელეკომპანია „მაესტროს“; რომ არა მათი პროფესიონალიზმი, ამ ამბის შესახებ საზოგადოება, დიდი ალბათობით, ვერაფერს შეიტყობდა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკა**

**პუტინი, ამერიკის გავლენის შემცირების მიზნით, რუსეთის საზღვრების სიახლოვეს აგრესიული პოლიტიკის გატარებას შეეცდება. ამის მისაღწევად კი ოკუპირებულ ტერიტორიებს მაქსიმალურად გამოიყენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკისთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უკვე დაბრკოლება ხდება, რის „გადალახვასაც“, სავარაუდოდ, სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმის დახმარებით უახლოეს მომავალში შეძლებს, მათი აღიარების გზით. ამგვარად, საქართველოს მმართველი რეჟიმი მიბაძავს სერბეთის ხელისუფლებას და აღიარებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის დასავლეთის ქვეყნებს, უპრობლემოდ აღიარონ ამ რეგიონების საქართველოსგან იურიდიულად გამოყოფის ფაქტი.**

# აღიარებს თუ არა სააკაშვილი ცხინვალის და სოხუმის დამოუკიდებლობას?

**უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს ჩიხიდან გამოყვანას არ ცდილობს. უფრო მეტიც, მის პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში უმწვავესი პრობლემა — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა საერთოდ ვერ მოხვდა. როგორც ჩანს, მმართველი რეჟიმი არ აპირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ზრუნვას და ამ მიმართულებით რაიმე სახის პოლიტიკური აქტივობის განხორციელებას, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სააკაშვილს პარლამენტში გამოსვლისას არა თუ არ უსაუბრია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნების გზებისა თუ მეთოდების შესახებ, არამედ ქვეყნისთვის ასეთ უმნიშვნელოვანეს და ყველაზე მტკივნეულ საკითხზე სიტყვაც არ დასცდენია. ენაწყლიანი პრეზიდენტის ასეთი „სიჩუმე“ ამ თემის გარშემო გვაფიქრებინებს, რომ ის და მისი ანტიეროვნული ხელისუფლება უკვე შეეგუა ტერიტორიების დაკარგვას და შესაძლოა, უახლოეს მომავალში, სერბეთის ხელისუფლების მსგავსად, მიიღოს მორიგი არაადეკვატური, ქვეყნისთვის დამღუპველი გადაწყვეტილება და სეპარატისტული რეგიონების აღიარების მიმართულებით მთელ რიგ დათმობებზე წავიდეს.**



**საქართველოს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებისთვისაც მთავარი არა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება და ნატოში გაწევრიანებისკენ გაუაზრებელი სწრაფვაა**

საქმე ის არის, რომ 24 თებერვალს სერბეთმა და კოსოვომ ორ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი — რეგიონული თანამშრომლობისა და საზღვარზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის შესახებ, ასევე — სერბეთის ხელისუფლება დათანხმდა, რომ კოსოვოს დელეგაციებმა საერთაშორისო ფორუმებში დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა, ოღონდ სახელწოდებაში „რესპუბლიკა“ არ იქნება გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ მანამდე პრიშტინას ინტერესებს კოსოვოში გაეროს მისია იცავდა. ახლა კი ბელგრადი „კოსოვოს“ დასახელების გამოყენებაზე დათანხმდა, თუმცა მის გვერდით ვარსკლავს დაბეჭდავენ, რომელიც ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის გაურკვეველ სტატუსს აღნიშნავს. ეს კი, ფაქტობრივად, სერბეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს, რასაც აუცილებლად მოჰყვება უახლოეს მომავალში სრულფასოვანი აღიარება.

რაში სჭირდებოდა სერბეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის „აღიარება“? — ეს გადაწყვეტილება, სერბეთის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წამგებიანი სვლაა, თუმცა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: სერბეთსაც, ისევე როგორც საქართველოს, პროამერიკული ხელისუფლება ჰყავს, რომელიც ეროვნულ ინტერესებს უგულებელყოფს და მთავარ პრიორიტეტად არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, არამედ ევროსტრუქტურებში ინტეგრაციას მიიჩნევს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ შეთანხმებებს ხელი ევროკავშირში სერბეთის გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანამდე მოეწერა. შესაბამისად, **ოფიციალური ბელგრადის დათმობებზე წასვლა კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით ევროკავშირში გაწევრიანების სურვილით არის გამოწვეული,** ამ გადაწყვეტილებით კი შანსი გაიმყარა.

მართალია, თავის დროზე (2008 წელს) სააკაშვილსა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლებს ოფიციალურად არ ულიარებიათ კოსოვოს დამოუკიდებლობა, მაგრამ სერბებისგან „დაჩაგრული“ ალბანელების სასარგებლოდ სერბეთის ისტორიული ნაწილის გამოყოფას დიდი სიხარულით შეხვდნენ. უფრო მეტიც ერთ-ერთი გავლენიანი ესტონური გაზეთის შეკითხვას: „მზად არის თუ არა საქართველო კოსოვოს აღიარებისთვის?“ — მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ლადო გურგენიძემ მოურიდებლად უპასუხა: „დიახ, როგორც ეს ყველა ჩვენმა მეგობარმა გააკეთა“, რამაც დიდი სკანდალი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი პრემიერის უპასუხისმგებლო გამონათქვამის მართებულობა კატეგორიულად უარყვეს და ჟურნალისტის ინტერპრეტაციად მონათლეს. მაგრამ **აშკარა იყო, რომ ხელისუფლების გარკვეულ წრეებში ამერიკის „თანადგომის“ სადემონსტაციოდ კოსოვოს აღიარების საკითხი აქტიურად განიხილებოდა,** თუმცა ამ ინციდენტის შემდეგ გადაიფიქრეს.

**ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია თავის დროზე უშიშრად აპროტესტებდა ნატოს ავიაციის მიერ ბელგრადის ქუჩების დაბომბვას და მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალოდ დახოცვას, დაუფარავად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის კოლონიალისტურ პოლიტიკას და კოსოვოს სერბეთისგან გამოყოფის მცდელობას. ღიად საუბრობდა იმ ფარულ მიზნებსა და საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, ვინაიდან კარგად აცნობიერებდა, რომ ეს გადაწყვეტილება გახდებოდა პრეცედენტი, რომელსაც საქართველოს წინააღმდეგ აუცილებლად გამოიყენებდნენ.** 2005 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში ალექსანდრე ჭაჭია აცხადებდა, რომ **„კოსოვოს სქემის“ უნივერსალურობის აღიარება ავტომატურად ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფის უფლების აღიარებას. მეტიც: ეს ანალოგიურ პერსპექტივებს შეუქმნის საქართველოს სხვა რეგიონებსაც, რომლებიც, ძირითადად, მოსული უცხოტომელებით არის დასახლებული. „კოსოვოს სქემა“ სახიფათოა ევროპის ბევრი ქვეყნისთვისაც და მის შესახებ ევროპელ მოღვაწეთაგან არაერთი მწვავე შეფასება მომისმენია.** მაგრამ **პრობლემა ის არის, რომ „კოსოვოს სქემის“ უკან ამერიკის შეერთებული შტატები დგას. მას კონკრეტული მიზანი აქვს — მაქსიმალურად დაასუსტოს გაძლიერების გზაზე დამდგარი ევროპა, ამიტომ ქმნის ევროპის ცენტრში მძლავრ მუსლიმურ ანკლავს დიდი ალბანეთის სახით. ამასთანავე, ანტიმართლმადიდებლური ტენდენციების დაკმაყოფილებაც ხერხდება, რაც მეტად ძლიერია როგორც კათოლიკურ, ისე პროტესტანტულ ქვეყნებში. მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, ევროკავშირის დასუსტებაა. სწორედ ამიტომ გაიტანეს თავისი ამერიკელებმა და ევროკავშირში აღმოსავლეთევროპული პოსტსოციალისტური სახელმწიფოები მიაღებინეს. უფრო მეტიც, იუგოსლავიის დაშლა აიძულებს ევროკავშირს, თავის შემადგენლობაში ყველა ახალი ბალკანური სახელმწიფო მიიღოს. ეს უდავოდ სერიოზულ გავლენას იქონიებს გაერთიანებული ევროპის ეკონომიკაზე, ევროს (როგორც დოლარის კონკურენტის) კურსზე, დაძაბულობას შეიტანს წამყვანი ევროპული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში“.**

მაგრამ, ამერიკაზე უგონოდ შეყვარებულ ვაიპატრიოტებს ეს პროგნოზი აბსურდად მიაჩნდათ და ალექსანდრე ჭაჭია მართალი სიტყვის გამო ლამის სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს, მაგრამ 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ჯერ ომმა, შემდეგ კი რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების აღიარებამ დაადასტურა, რომ მის შეშფოთებას ჰქონდა საკმაოდ მყარი საფუძველი.

**დღეს ნათლად უნდა ითქვას, რომ სერბეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება არის ჩვენთვის მორიგი, ძალიან ცუდი სიგნალი. მიტუმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებისთვისაც მთავარი არა აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება და ნატოში გაწევრიანებისკენ გაუაზრებელი სწრაფვაა.**

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნატოს ინტერესებში არ შედის ისეთი სახელმწიფოს თავის რიგებში მიღება, რომელსაც აქვს მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები. მითუმეტეს, რომ ამ კონფლიქტების უკან დგას მსოფლიოში ყველაზე დიდი და ბირთვული სახელმწიფო, რომელიც რეგიონს საკუთარი გავლენის სფეროდ განიხილავს და მის დათმობას არ აპირებს.

მითუმეტეს პუტინის „მეორედ მოსვლის“ შემდეგ, როცა დღესავით ნათელია, რომ რუსეთის საგარეო ვექტორი არ შეიცვლება და არც ამერიკასთან ურთიერთობის კონტექსტშია რაიმე გარდამტეხი ცვლილება მოსალოდნელი. უფრო მეტიც, დიდი ალბათობით, **პუტინი ამერიკის გავლენის შემცირების მიზნით რუსეთის საზღვრების სიახლოვეს პრინციპული, ხისტი პოლიტიკის გატარებას შეეცდება.** ამის მისაღწევად კი ოკუპირებულ ტერიტორიებს მაქსიმალურად გამოიყენებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკისთვის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უკვე დაბრკოლება ხდება, რის „გადალახვასაც“, სავარაუდოდ, სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმის დახმარებით უახლოეს მომავალში შეძლებს, მათი აღიარების გზით. ამგვარად, საქართველოს მმართველი რეჟიმი მიბაძავს სერბეთის ხელისუფლებას და აღიარებს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას, რაც ხელ-ფეხს გაუხსნის დასავლეთის ქვეყნებს, უპრობლემოდ აღიარონ ამ რეგიონების საქართველოსგან იურიდიულად გამოყოფის ფაქტი. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, **ამერიკას გაუადვილდება რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის წარმოება და სრულფასოვანი მოლაპარაკებების გამართვის შესაძლებლობა მიეცემა, რადგან არ იქნება მთავარი დაბრკოლება და საპრობლემო საკითხი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სახით.**

ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ ნათლად უნდა გაიაზროს, რომ, **სანამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხს არ მოვაგვარებთ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში არ მიგვიღებენ,** ან ყველაზე უარესი, ნატოში ინტეგრაციის სასარგებლოდ **უნდა ვთქვათ უარი ჩვენი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებაზე და, სერბეთის მსგავსად, ვაღიაროთ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.** მაგრამ, თუ ნატოს რიგებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე გავწევრიანდებით, საქართველოს მომავალი არ აქვს, ვინაიდან ნაწილებად დაშლილი საქართველო, რაც უნდა ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი გახდეს, სრულფასოვანი სახელმწიფო მაინც არ იქნება. შესაბამისად, საქართველოს სამომავლო არსებობისთვის კი მთავარია არა ნატოში გაწევრიანება, არამედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით და სწორი საგარეო პოლიტიკის გატარებით არის შესაძლებელი.

მაგრამ დღეს ყველაზე მთავარი ის არის, რომ სააკაშვილის რეჟიმს არ გააჩნია პოლიტიკური რესურსი (როგორც ჩანს, არც აქვს სურვილი) ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ვინაიდან მას რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებისა და ურთიერთობის ნორმალიზაციის უნარი არ შესწევს, ხოლო რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე ძნელად წარმოსადგენია საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დეოკუპაციის განხორციელება. ფაქტი კი ერთია, რაც დრო გადის, ტერიტორიების დაბრუნების შანსი მით უფრო კლებულობს.

**გიორგი მექმარიაშვილი**

რუსეთში მიმდინარე მოვლენებიდან ერთი დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება — რუსეთში იწყება ვლადიმერ პუტინის მმართველობის ახალი, როგორც მინიმუმ, 12-წლიანი ერა. და კიდევ: როგორც მინიმუმ, 12 წელიწადი რუსეთის ფედერაცია არ დაიშლება, მიუხედავად ჩვენში თუ დასავლეთში არსებული ტვინგაცხელებული „ექსპერტების“ პროგნოზებისა!



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინის ახალი ერა და ამერიკის ძველი სახე...



**წინამდებარე წერილზე მუშაობას, მართალია, გასულ პარასკევს შევუდექი, მაგრამ, როდესაც გაზეთის ეს ნომერი დღის სინათლეს იხილავს, იმ დროისთვის რუსეთის პრეზიდენტი კვლავ ვლადიმერ პუტინი რომ იქნება, ამის თქმა ახლავე შეიძლება. არც იმის დასადასტურებლად დაგვჭირდება „ბრძენთა ხმობა“, რომ ყოველგვარი გაყალბების გარეშე „ხელმესამედ“ არჩევა 6 წლის მერე ლამის ავტომატურ რეჟიმში „ხელმეოთხეობაში“ გადავა, ანუ 2012 წლის 5 მარტიდან პუტინის 12-წლიანი მმართველობის ახალი ერა იწყება!**

დიახ, იქაური ე.წ. არასისტემური ოპოზიცია (როგორც მათ დაარქვეს) აქედანვე იმუქრება გაყალბებული არჩევნების შედეგების არმიღებით და სანქცირებული მიტინგის უფლებაც წინასწარ, 5 მარტს დაიბევეს.

**ჰოდა, სანამ ეგ „ВНЕСИСТЕМНАЯ“ ოპოზიცია, უფრო მარტივად და ჩვენთვის გასაგებ ენაზე კი, იქაური „თავისუფლების ინსტიტუტი“ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს „ჩამოაყირავებს“, მანამდე მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ, რათა უკეთ გავერკვეთ, თუ რა და რატომ ხდება დღეს თანამედროვე, ერთმორწმუნე (!!!) რუსეთში...**

გასულ საუკუნეში რუსეთის ჯერ თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია, ხოლო შემდეგ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება რომ საერთაშორისო სიონისტების შეთქმულების შედეგი იყო, იმდროისთვის უძლიერესი და უმდიდრესი რუსული მართლმადიდებლური მონარქიული იმპერიის წინააღმდეგ და რუსეთის დაშლის პირველი სცენარიც რომ მაშინ დაიწერა, ამაზე სერიოზულ, ისტორიულ-ანალიტიკურ წრეებში არ დავობენ.

სამოქალაქო ომის ქაოსი — აი მთავარი ინსტრუმენტი რუსეთის დაშლისა. ეს რომ ასე იყო, ამაში ამასწინათ რუსეთის ტელევიზიით გასული დოკუმენტური ფილმიდანაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ფილმიდან, რომელიც უკანასკნელ ხანს გამომზეურებულ (აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით არის შექმნილი, რომლის მთავარი გმირებიც ვლადიმერ ილიჩი და მისი უსაყვარლესი ფავორიტი, ლევ დავიდოვიჩ (ბრონშტეინი) ტროცკი არიან, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სპეცსამსახურებთან რევოლუციამდე პირდაპირ თუ ირიბად თანამშრომლობდნენ, რევოლუციის შემდეგ კი ვალებს უბრუნებდნენ პატრონებს, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, ტონობით რუსული ოქროს გაზიდვით ამერიკისა თუ ევროპის ბანკებში და რუსეთის სისხლში თუ ცრემლში ჩახრჩობით.

**თუმცა ამ ყველაფრის მთავარი შემოქმედი მაინც ტროცკი იყო, რადგანაც სულით არამდგრადმა ლენინმა ათაშანგისგან ხორციელად ლპობაც დაიწყო. სწორედ ტროცკის ეკუთვნის დეფინიციის — „ხალხის მტერი“, ავტორობა, რომელიც მასიურად დასახვრეტთა მიმართ მის მიერ გაცემულ წერილობით ბრძანებაში იხმარა პირველად.**

მაგრამ, რუსეთის საბედნიეროდ, ბოლშევიკებში რუსეთის პატრიოტებიც ერივნენ, რომელთაგან უპირველესი ქართველი სტალინი აღმოჩნდა. იოსებ ბესარიონოვიჩი, რომელსაც ლევ დავიდოვიჩი საკუთარ ვიწრო წრეში დაცინვით კინტოს ეძახდა. ჰოდა, ამ კინტომ უტირა დედა ბოლშევიკებში სიონისტურ დაჯგუფებას და პრაქტიკულად დაშლის პირას მყოფი რუსეთი კვლავ მსოფლიოს უძლიერეს და უდიდეს, ამჯერად ატომურ იმპერიად აქცია.

**გასული საუკუნის მიწურულს, ისტორია განმეორდა და ახლა ტყლიპიანი გორბაჩოვის თამადობით ტროცკისტების იდეურმა მემკვიდრეებმა დაამხეს და ლამის დაშალეს სტალინის გადარჩენილი რუსეთი, რომელსაც მხსნელად გასული საუკუნის ბოლოს ვლადიმერ პუტინი მოევლინა...**

ქაოსიდან, უმძიმესი მდგომარეობიდან შეძლო ამ კაცმა ქვეყნის მეტ-ნაკლებად გამოყვანა და რა გასაკვირია, რომ „იძულებითი დემოკრატიული რევერანსის“ შემდეგ, რასაც მედვედევის ულიმლამო პრეზიდენტობა ჰქვია, მადლიერმა რუსმა ხალხმა კვლავ აირჩიოს ვლადიმერ პუტინი, რათა ის „მეტნაკლებობა“ მეტობისკენ გადახაროს.

ამ ისტორიული ექსკურსიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად მოჩანს, თუ რატომ ააგო პუტინმა თავისი წარმატებული საარჩევნო კამპანია პატრიოტულ, აშკარად ანტიამერიკულ რიტორიკაზე. რასაც რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა მიესალმება, მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ე.წ. არაბული გაზაფხულების შემდეგ დასავლურ მედიაში კვლავ აქტიურად განიხილება რუსეთის დაშლის, საუკუნისწინანდელი გეგმების თანამედროვე ვარიაციები, რომელთა ერთ-ერთი ავტორი, ალენ დალესის სულიერი მემკვიდრე და დღეს პრეზიდენტ ობამას მთავარი იდეოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკია.

კომუნიზმის დამარცხების შემდეგ გლობალიზაციის უპირველესი მტერი მართლმადიდებლობაა და ახლა ის უნდა დავამარცხოთო! — დაახლოებით ეს განაცხადა ბჟეზინსკიმ, ამ ხორცშესხმულმა მეფისტოფელმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ჰოდა, ვინ და რა იგულისხმება მართლმადიდებლობის დამარცხებაში, თუ არა რუსეთი, როგორც უპირველესი ბასტიონი მსოფლიო მართლმადიდებლური რელიგიისა?

არც ეს იკმარეს და რუსდათვს გასაღიზიანებლად რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის განცხადება აუფრიალეს ცხვირწინ. მეფისტოფელის არ იყოს, ვერც მიხრწნილების ასაკში გადამდგარი მადლენას ციტირებაზე დავდებ თავს, მაგრამ შინაარსს ზუსტად მოგახსენებთ:

სამწუხაროა (ან უსამართლობაა), რომ უზარმაზარი ტერიტორიები და გლობალური მნიშვნელობის ბუნებრივი სიმდიდრეები (ურალს იქით არსებული ოქრო, ნავთობი, გაზი და ა.შ. მენდელეევის მთელი სისტემა), მხოლოდ რუსეთს ეკუთვნისო!

თავი დავანებოთ იმას, რომ მსგავსი განცხადება ისეთი დონის თავხედობა, ისეთ „დაუკრეფავში გადასვლაა“, რომ ამერიკელებისგანაც კი გასაკვირია მსგავსი არადიპლომატიური გულახდილობა, რადგანაც მთავარი ამ განცხადების შედეგია, რამაც ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი იქონია, რამაც ყოველგვარი კითხვის ნიშნები მოხსნა რუსი ამომრჩევლის უმეტესობის თვალში ვლადიმერ პუტინის ნაციონალისტურ-პატრიოტული ანტიამერიკული კამპანიის მიმართ.

**ამიტომ ვისაც „ნატოს ოფისის დვარნიაშკის“ (როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა უწოდა), თენგიზ გოგოტიშვილის პასკვილების, ანუ „რუსთავი 2“-ის გარდა, სხვა არაქართული ტელევიზიების ცქერის საშუალება აქვს, სასაცილოდ არ ეყოფოდა იმის მტკიცება, რომ პუტინის მხარდამჭერ მიტინგებზე 100 ათასობით ადამიანი ავტობუსებით მიჰყავდათ ძალდატანებით.**

„არა, ნარინჯისფერ ჭირს!“, „რუსეთის მოკავშირეები მხოლოდ არმია და ფლოტია!“, „ჩვენ ვიცით ლაკირებული ხელთათმანის დიპლომატია, მაგრამ ამ ხელთათმანის ქვეშ ფოლადის მუშტი გვაქვს!“ — აი ძირითადი ლოზუნგები პუტინის საარჩევნო კამპანიისა.

მართალია, არასისტემურმა ოპოზიციამ თეთრი ლენტები შეირჩია საკუთარ სიმბოლოდ, მაგრამ პირველ ლოზუნგში უკრაინის რევოლუციაზეა მინიშნება, ზოგადად „ფერად რევოლუციებსა“ და მათ აპოლოგეტებზე რუსეთში (ვალერია ნოვოდვორსკაია, კოსტია ბოროვოი და ბორის ნემცოვები, ანუ იქაურ „თავისუფლების ინსტიტუტზე“), რომლებიც ბევრს ბაქიბუქობენ, მაგრამ 100-დან 200 კაცამდე მეტის მობილიზებას ვერ ახერხებენ სამიტინგოდ.

**რაც შეეხება მეორე ლოზუნგს, ის თავის დროზე რუსეთის ერთ-ერთ წარმატებულ იმპერატორ ალექსანდრე მესამეს ეკუთვნის. ხოლო მესამე, უფრო თეზა, ვიდრე ლოზუნგი, ისეთი რიხით დაახეთქა რუსეთის ერთ-ერთმა ცნობილმა „ქორმა“, დიმიტრი როგოზინმა, რომ...**

თანაც სად? მისივე ორგანიზებულ, რუსეთის „სსკ“-სამხედრო სამრეწველო კომპლექსის, არმიისა და ფლოტის მხარდამჭერ მასობრივ შეკრებაზე, სადაც სიტყვით რუსეთის პატრიარქიც (!!!) კი გამობრძანდა.

ჩვენ, დიახაც უზარმაზარი ტერიტორიები გვაქვს და მას ისე დავიცავთ, რომ მტერი შემოვიდეს კი არა, „никто даже чтобы нос не посмел сунуть“, ხოლო რაც შეეხება ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეებს — „не то что говорить, даже думать про это забудте!“-ო.

ერთ-ერთი შეკრებიდან „მოკითხვა შეუთვალა“ ვლადიმერ პუტინმა ოკეანისგაღმელ „მეგობრებს“, რის პარალელურად ეკრანზე მიდიოდა რუსეთის „ჟანგიანი“, მაგრამ მაინც რატომღაც უახლესი სამხედრო ტექნიკის მიღწევების დემონსტრირება, უახლესი ტანკების, თვითმფრინავების, ატომური სუბმარინების, რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარების და ა. შ. სხვა მრავალი შეტევითი თუ თავდაცვითი ტექნიკის სახით, რომლის ხილვისას ნორმალური ადამიანი დარწმუნდებოდა, რომ რუსებს „ძალაც შესწევთ ქადილისა“...

რუსეთში მიმდინარე მოვლენების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი მსოფლიო გლობალისტ-სიონისტების ბრძოლაც არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ზუსტად ისე, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში!!!

აი, მეტ-ნაკლებად ობიექტირი **სურათი რუსეთში მიმდინარე მოვლენებისა, რომლებიდანაც ერთი დასკვნის გაკეთება უკვე შეიძლება — რუსეთში იწყება ვლადიმერ პუტინის მმართველობის ახალი, როგორც მინიმუმ, 12-წლიანი ერა. და კიდევ: როგორც მინიმუმ, 12 წელიწადი რუსეთის ფედერაცია არ დაიშლება, მიუხედავად ჩვენში თუ დასავლეთში არსებული, ტვინგაცხელებული „ექსპერტების“ პროგნოზებისა!**

**ამის გარანტია კი, სამხედრო პოტენციალთან ერთად, დიახაც რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიაა, რომლის პატრიარქის ერთი მოწოდება ხშირად გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე თუნდაც ვლადიმერ პუტინის კარგად გათვლილი პიარაქციები. რუსეთში ოდიდგან ასე იყო და დღესაც ეკლესია და სახელმწიფო ერთსულ და ერთხორც არიან, რაც საქილიკო კი არა, ანგარიშგასაწევი ფაქტორია.**

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რა გველის ჩვენ, პატარა საქართველოს, პუტინის ახალ ერაში? თუ არ მოვიშლით აბსოლუტურად უპერსპექტივო „ნატო, ნატოს!“ სკანდირებას, რასაც, დიდი ალბათობით, ივანიშვილის კოალიციაც აპირებს ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის შემთხვევაში, კარგი არაფერი, მაგრამ ეს ცალკე თემაა და ამაზე სხვა დროს...



**ვისაც «ნატოს ოფისის დვარნიაშკის» (როგორც ბატონმა რეზო ამაშუკელმა უწოდა), თენგიზ გოგოტიშვილის პასკვილების, ანუ «რუსთავი 2»-ის გარდა, სხვა არაქართული ტელევიზიების ცქერის საშუალება აქვს, სასაცილოდ არ ეყოფოდა იმის მტკიცება, რომ პუტინის მხარდამჭერ მიტინგებზე 100 ათასობით ადამიანი ავტობუსებით მიჰყავდათ ძალდატანებით**

**დავით მხეიძე**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«გაიღვიძეთ, ხალხო, თვალი გაახილეთ, თქვენ აღარაფერი აღარ დაგიტოვეს, ისინი გართმევენ მიწას და კლავენ თქვენში ღმერთს, გაიღვიძეთ!»**

# ამერიკელი გარემოსდამცველი საქართველოს პრეზიდენტს ქურდობაში ამხელს

ენდრიუ მურდზა:

## იმ ხალხმა, ვინც ახლა თქვენი ქვეყნის ხელისუფლებაშია, ჩემი სახით მტერი შეიძინა. მივალ ნებისმიერ სასამართლოში და მანამდე ვივლი, ვიდრე არ გავიგებ, რომ მტერი დამარცხდა!





დავით კარტოზია:

## გარდა იმისა, რომ ლაზიკის იდეა მოიპარეს, რაღაც ეშმაკის გეგმად გარდაქმნეს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ «როგორ გავანადგუროთ საქართველო»

**არც ერთ პროექტთან დაკავშირებით არ გაჩენილა იმდენი კითხვა, რამდენიც მიხეილ სააკაშვილის მიერ ანონსირებულმა „ლაზიკამ“ — ანაკლიასა და ყულევს შორის ნახევარმილიონიანი ქალაქის მშენებლობის იდეამ წარმოშვა. ზოგმა ეს ჩინელების ჩამოსახლებას დაუკავშირა, ზოგმა — ირანთან მოსალოდნელ ომში ამერიკული სამხედრო პლაცდარმის შექმნას. „ლაზიკა“ მართლაც უკავშირდება ამერიკას, ოღონდ სულ სხვაგვარად და ამ პროექტს სიკეთე უნდა მოეტანა, რომ არა სააკაშვილის რეჟიმის არაკომპეტენტურობა, სიხარბე და მანიაკალური კლეპტომანია. დიახ, მომპარავთა ხელისუფლებამ ამჯერად ამერიკული პროექტი მოიპარა, რომლის ირგვლივ სკანდალი სულ უფრო სერიოზულ მასშტაბებს იძენს.**

ერთი თვის წინ, მიხეილ სააკაშვილის თეთრ სახლში სტუმრობისას, „საქართველო და მსოფლიო“ წერდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა „ლაზიკა“ ამერიკულ კომპანიას მოჰპარა. სკანდალი იმის გამო დაიწყო, რომ, პროექტ „ლაზიკას“ თავდაპირველი მიზნებისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლებამ კოლხეთის ჭაობს მძიმე ტექნიკა მიაყენა და მისი ამოშრობისთვის მზადება დაიწყო. მსოფლიოს გარემოს დამცველებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს, რადგან ჭაობებს სპეციალური, ე.წ. რამსაარის კონვენცია იცავს, ხოლო მათი ამოშრობა იმას ნიშნავს, რომ შავი ზღვა თითქმის მთელ კოლხეთის დაბლობს მიიტაცებს!

ამერიკული პროექტის მიხედვით, გარემოსაც და ადამიანებსაც პირდაპირი სარგებელი უნდა ენახათ. პროექტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, მის მსოფლიო ბაზარზე გატანასა და, რაც მთავარია, დევნილი მოსახლეობის დასაქმებას ითვალისწინებდა. თითოეული დევნილისთვის უფასო ბინა და კულტურული გარემო იყო გათვალისწინებული, რომელიც მზის ენერგიის ბატარეებით იქნებოდა აღჭურვილი. დევნილები ამ ახალი წამოწყების მეწილეებიც გახდებოდნენ, საშუალო ხელფასი კი ამ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს და საკუთარი მთავრობა უკვე მერამდენედ ყრის ღია ცის ქვეშ, 500-600 დოლარი უნდა ჰქონოდათ!

სააკაშვილის ობამასთან შეხვედრამდე აშშ-ში, საქართველოს საელჩოში ერთი ფაციფუცი იყო ამტყდარი. პროექტის ავტორებს ხვდებოდნენ, აწყნარებდნენ, მათ საგანგებოდ ჩასული პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით ტყეშელაშვილიც შეხვდა და ამ გაუგებრობის გარკვევას დაჰპირდა. როგორც ვივარაუდეთ, საქართველოს ხელისუფლებამ სააკაშვილის „ისტორიული ვიზიტი“ გადააგორა და ყველაფერი დაივიწყა. „საქართველო და მსოფლიოს“ „ლაზიკას“ პროექტის ავტორები დაუკავშირდნენ, ერთ-ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე, ამერიკაში 90-იან წლებში წასული დავით კარტოზია აღმოჩნდა. მისი კომპანიონი ენდრიუ 77 წლისაა, იგი მართლმადიდებლურად მოინათლა და გულწრფელად უკვირს, როგორ შეიძლება ისე იქცეოდეს ხელისუფლება, როგორც საქართველოში.

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს „ლაზიკას“ პროექტის ავტორებთან: **დავით კარტოზიასა და ენდრიუ მურდზასთან.**

**— ენდრიუ, დავით, როგორ დაიწყო თქვენი პროექტი და როგორ მოხვდა ის საქართველოში?**

**ენდრიუ:** — დავითი ჩემი უახლოესი მეგობარია, უკვე დიდი ხანია. მე დავინახე, თუ როგორი ამბიციური იყო, იგი, კარგად ვიცნობ მის ოჯახს, ისინი ნამდვილი ქართველები არიან. მე ვუთხარი დავითს, რომ არაფერი სჯობს სამშობლოში დაბრუნებას და საკუთარი ხალხის დახმარებას. ასე დავიწყეთ ფიქრი, რა გაგვეკეთებინა საქართველოსთვის. რომ დავფიქრდეთ საქართველოზე, მისი პლიუსია ის, რომ იგი ძალიან უბიწოა (როდესაც უბიწოს ვამბობ, იმას ვგულისხმობ, რომ არავინ აწუხებს ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში ხდება — აშშ-ში), საქართველო საკმაოდ სუფთაა და სისუფთავის შენარჩუნება უნდა. ყველაზე საინტერესო ჩვენს საქმეში კი ისაა, რომ თქვენ გყავთ უამრავი ადამიანი, ვისაც საკვები სჭირდება, ჩვენ კი შეგვიძლია საკვების წარმოება, რომელიც მდიდარი იქნება პროტეინებით. ხალხი, რომელიც იქ იცხოვრებს, ახალ ინდუსტრიას განავითარებს, რაც ხამანწკების ექსპორტს გულისხმობს, რა თქმა უნდა, მოყვანის შემდეგ — მათ დაფასოებას კონსერვებში და მსოფლიოში გატანას. საკონსერვო წარმოება სერიოზულ ფულს შემოიტანს. აი, დაახლოებით ასეთია პროექტი და ძალიან გვინდოდა დავითის სამშობლოში მისი განხორციელება. ის არ ჰგავს იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, ყველაფრისგან ფული აკეთონ. იგი თავგანწირულია თავისი ქვეყნისთვის, მე კი თავგანწირული ვარ ჩემი საქმისთვის და ამიტომ ვთანამშრომლობთ. თქვენ საკმაოდ საინტერესოები ხართ. შავ ზღვას საჭირო მარილიანობა აქვს ხამანწკების მოსაშენებლად.

**— როდის დაიწყეთ პროექტზე მუშაობა?**

**ენდრიუ:** — 7 წლის წინ. იცით, რაც უნდა კარგი იდეა გქონდეს, უნდა დარწმუნდე, რომ ის იმუშავებს. ჩვენც უნდა დავრწმუნებულიყავით და იდეამ იმუშავა. ვინც არ უნდა მკითხოს, ახლა უკვე ვეტყვი, რომ ის მუშაობს. ჩვენ ვასუფთავებთ წყალს, ვამრავლებთ ხამანწკებს და პროცენტი იმ ხამანწკებისა, რომლებიც შეეგუენ პირობებს, 10-ჯერ აღემატებოდა სხვების მიერ ჩატარებულ კვლევებს. ხამანწკები იქცევიან ექიმივით, რომელიც ავადმყოფს ფილტრის დაყენებით მკურნალობს და ასე წმენდს მის ორგანიზმს. ხამანწკებს წყლიდანაც და ადამიანის ორგანიზმიდანაც ტოქსინები გამოაქვთ და ამიტომაც არის ასეთი სასარგებლო საკვები ჩვენთვის. ჩვენ ამ ფილტრს მუდმივად ვცვლით. 6-12 კვირა ველით ხამანწკების გამოყვანას.

**— ანუ გინდათ თქვათ, რომ 6-12 კვირაში „მოსავალს“ იღებთ?**

**ენდრიუ:** — არა, ასე სწრაფად არა, ამისთვის 9 თვეა საჭირო. რომ დავფიქრდეთ, არც ისე ცუდია, რადგან სხვაგან მოსავალს 2 წელსაც ელიან ხოლმე, თქვენ კი პროტეინით მდიდარი საკვები 9 თვეში გაქვთ მზად. ეს ადამიანისთვის ძალიან სასარგებლოა, მათ შორის, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის.

**— როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც გაიგეთ, რომ სააკაშვილმა პროექტი მოგპარათ?**

**საუბარში დავით კარტოზიას ვაჟი, 17 წლის გიორგი ერთვება:**

— ჩვენ დავსხედით და ვიფიქრეთ, იყო კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის (მე ამას ომს არ ვეძახი) და საბოლოო ჯამში რა მოხდა? ხალხი დაიღუპა, დაკარგეს თავისი სახლები, დაკარგეს ღირსება და რის გამო? არაფრისთვის. 2008 წელს ომის შემდეგ ჩვენ უკვე გვქონდა ხამანწკების განვითარების ბიზნესის კვლევები და ვიფიქრეთ, შეიძლებოდა აშენებულიყო მთელი ქალაქი უმწეოებისთვის, უსახლკაროებისთვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს. ჩვენ გვინდოდა, ▶



**«ჩვენ არასოდეს არაფერი გვითქვამს ამ მიწის განადგურების შესახებ, მათ კი ჭაობის დაშრობა უნდათ, რაც მოკლავს ამ ადგილს და ყველაფერს მის გარშემო»**

# „ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ ისინი ახლაც რაღაც თამაშს გვეთამაშებიან. გუშინ, თქვენთან საუბრის შემდეგ, 4 ზარი იყო საქართველოს საელჩოდან. მთავაზობდნენ სხვადასხვა პროექტს, მაგალითად, ღვინოსთან დაკავშირებით, რაც ჩვენთვის მიუღებელია.“

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შეგვეთავაზებინა სამუშაო ადგილები და უფასო სახლები. საყურადღებოა ის, რომ სახლები, მანქანები, ქარხნები ამ დასახლებულ პუნქტში უნდა ყოფილიყო, ანუ ეს ეკოლოგიურად სუფთა, ე. წ. მწვანე სისტემის ქალაქი უნდა ყოფილიყო.

**— რა გინდოდათ, დაგერქმიათ ამ ქალაქისთვის?**

**გიორგი:** — ლაზიკა. იცით, მეც მაქვს ერთი კითხვა. მაინც ბოლომდე ვერ ვიჯერებ, რომ იდეა არა, უბრალოდ, ადამიანმა, არამედ პრეზიდენტმა მოგვპარა.

**ენდრიუ:** — ჩვენ მივედით ჩვენი პროექტით საქართველოს საელჩოში, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან. მათ მოგვისმინეს, დაგვისვეს კითხვები, გვქონდა საერთო სადილები. მათ გააანალიზეს, რის გაკეთება გვინდოდა, რას ვაპირებდით. ჩვენ ბევრი კვლევა ჩავატარეთ შავ ზღვაზე, რათა გაგვერკვია, როგორ იმოქმედებდა შავი ზღვა ჩვენს ხამანწკებზე, როგორ გაიზრდებოდნენ ისინი, რამდენად გამოიტანდნენ ტოქსინებს. ასევე ჩვენ დავინტერესდით, იყო თუ არა თავისუფალი მიწა იმისთვის, რომ პროექტი განხორციელებულიყო. ლაზიკა უნდა გაშენებულიყო ჭაობზე, რომელიც არ განადგურდებოდა, რადგან ჭაობიანი ადგილი განვითარების შემთხვევაში ხდება ბუნების ნატურალური ფილტრი. რამდენადაც ვიცი, ახლა თქვენი მთავრობა ჭაობების დაშრობას აპირებს და ეს არაფერ კარგს არ მოიტანს. ჩვენ ყველაფერი ავუხსენით მათ, ამის მერე კი, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ვიღაცამ შემთხვევით სადღაც მოისმინა... არ მინდა ვინმეზე რამე ვთქვა, მაგრამ ეს უღირსი საქციელია და არ წარმოაჩენს ქვეყანას კარგად.

**დავითი:** — ჩვენ არასოდეს არაფერი გვითქვამს ამ მიწის განადგურების შესახებ, მათ კი ჭაობის დაშრობა უნდათ, რაც მოკლავს ამ ადგილს და ყველაფერს მის გარშემო.

**ენდრიუ:** — ამის გაკეთება არ შეიძლება არც ბუნებისთვის, არც იმ ცხოველებისთვის, რომლებიც შავ ზღვაში ბინადრობენ. ჩვენ გვინდოდა, ზღვა გაგვეწმინდა, ვიღაცას კი უნდა, ეს ადგილი ამოაშროს და უზარმაზარი მოლი (ძალიან დიდი ჰიპერმარკეტი) გახსნას. ისინი ამას ვერ იზამენ. ამას სპეციალისტები არ დაუშვებენ.

**დავითი:** — ახლა იმ ადგილას უფასო სახლების, ხალხის გამოკვების, ლტოლვილთა სიცოცხლის გადარჩენის მაგივრად მიკი მაუსის კონსტრუქცია დგას! რა თქმა უნდა, ძალიან გაბრაზებულები ვართ და ვიბრძოლებთ. გარდა იმისა, რომ ლაზიკის იდეა მოიპარეს, რაღაც ეშმაკის გეგმად გარდაქმნეს, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ „როგორ გავანადგუროთ საქართველო“.

**— დავით, როდესაც საელჩოში მიხვედით და პროექტი ელჩს მიაწოდეთ, შემდეგ სად აღმოჩნდა?**

**დავითი:** — 2010 წლის 16 დეკემბერს ჩემს სახლში მოხდა შეხვედრა. მაშინ ელჩი ბათუ ქუთელია იყო. ჩვენ მას წარვუდგინეთ საკუთარი თავი და ჩვენი პროექტი. იგი შეგვპირდა, რომ თვითონ დაეკონტაქტებოდნენ მსოფლიო ბანკს და მოგვეხმარებოდნენ ჩვენც და ქვეყანასაც. ჩვენ წინაშე, ანუ ჩემს, ენდრიუსა და გიორგის თვალწინ პროექტი გადაეცა ადამიანს სახელად ნიკოლოზ რევაზიშვილს, რომელსაც უთხრეს, რომ წაეღო პროექტი მსოფლიო ბანკში დაუყოვნებლივ. ჩვენ ვიცადეთ 4 თვე და შემდეგ უკვე მოვიკითხეთ შედეგები და აღმოვაჩინეთ, რომ მსოფლიო ბანკში ჩვენი პროექტის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

**— ანუ მსოფლიო ბანკში არავის არაფერი გაუგია პროექტის შესახებ?**

**დავითი:** — დიახ, არავის და არასოდეს. ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანი მსოფლიო ბანკიდან, რომელიც ჩვენს გუნდშია, ძალიან გაკვირვებული იყო ამით. მათი საქციელი საზიზღარია. მე ამას ქურდობას ვეძახი. ჩვენი პროექტი მოიპარეს.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ რევაზიშვილი შეკრული იყო საქართველოს მთავრობასთან?**

**დავითი:** — არა, რევაზიშვილი ამ ამბავში ყველაზე პატარა ადამიანია.

**— მაგრამ მას ხომ დაავალეს, მიეტანა პროექტი მსოფლიო ბანკში, რაც მან არ გააკეთა?!**

**დავითი:** — ზუსტადაც.

**— მაშ, რატომ არ გააკეთა?**

**დავითი:** — იმიტომ, რომ, როგორც კი მათ გაიგეს, რის გაკეთებას ვგეგმავდით, როგორც კი ნახეს ჩვენი ბიზნესგეგმა, გადაწყვიტეს, მოეპარათ იგი და გაეკეთებინათ ის, რასაც ახლა აკეთებენ.

**— თქვენ უამრავი კვლევა და ანალიზი ჩაატარეთ. რა დაჯდა საბოლოო ჯამში ეს პროექტი?**

**დავითი:** — რთულია, შეაფასო 7 წლის მუშაობა და 32 ადამიანის შრომა, რომლებიც დღე და ღამე მუშაობდნენ ამ პროექტზე. დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ჩვენ ხომ ყველა სამუშაოს, კვლევისა და ანალიზის ფულს ვიხდიდით.

**— აპირებთ, რომ სასამართლოში იჩივლოთ?**

**ენდრიუ:** — ეს არაა ჩემი მიზანი. მაინც მინდა, მივცე დრო ისეთ ხალხს, ვისაც ოდნავ მაინც აქვს ღირსება და გავლენა.

**— მე საერთაშორისო სასამართლო ვიგულისხმე.**

**დავითი:** — მე აგიხსნით, რაშია საქმე. ენდრიუ ძალიან კარგი ადამიანია, ძალიან პატიოსანი და ხომ ხედავთ, ამ თემაზე საუბრისას იგი კვლავ პატიოსნებაზე საუბრობს. მე კი ზუსტად ვიცი, რაც ხდება, და ამიტომ ვამბობ, რომ დიახ, ჩვენ მივალთ სასამართლომდე.

**ენდრიუ:** — მე არ მაქვს ამის დრო, მაგრამ, თუ საქმე ასეა, მივალ სასამართლოშიც. მე 77 წლის ვარ, თავის დროზე თეთრმა სახლმა დამაჯილდოვა, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. კაცის სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს და იმ ხალხმა, ვინც ახლა თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობაშია და არ იცის სიტყვის ფასი, ჩემი სახით მტერი შეიძინა. კარგი, მე არ მაქვს პრობლემა, — მივალ ნებისმიერ სასამართლოში და მანამდე ვივლი, ვიდრე არ გავიგებ, რომ მტერი დამარცხდა.

მე ღმერთი მწყალობს. უდედმამოდ გავიზარდე. მშობლები მანამდე დამეღუპნენ, ვიდრე სიარულს ვისწავლიდი და გეტოდან გამოსულმა ამ პატარა ბიჭმა შევძელი სწავლაც და მუშაობაც. ავაშენე ქარხანა მერილენდში, რომელსაც 300-მდე სამზარეულო აქვს ვირჯინიასა და ნიუ იორკში. გავედი პენსიაზე, გავხსენი ქარხნები ფლორიდაში. ადამიანი ყოველთვის იმას აკეთებს, რაც ღმერთს სურს. ხამანწკებს რაც შეეხება, ადამიანისგან განსხვავებით, ისინი წყალს კი არ აბინძურებენ, წმენდენ. 1 ხამანწკა დღეში 15 გალონ წყალს წმენდს და, სხვათა შორის, თუ მოგშივდება, დაიხარე, ამოიღე წყლიდან და შეჭამე. ეს საოცარი ქმნილებაა, თქვენ კი შესანიშნავი პოტენციალი გაქვთ, ხამანწკების მწარმოებელი ქვეყანა გახდეთ, რადგან შავ ზღვას საამისოდ ყველა პირობა აქვს.



**«ამერიკაში სააკაშვილის ვიზიტის ფარგლებში ჩვენც უნდა შევხვედროდით მას, რაც არ მოხდა, რადგან არანაირი მიწვევა ან რაიმე მსგავსი არ მიგვიღია იმის ნიშნად, რომ პრეზიდენტს ჩვენთან შეხვედრა უნდოდა»**

**დავითი:** — ხედავთ მის შთაგონებას და იდეას? იგი ძალიან ძლიერი ადამიანია. ჩემი ოჯახისა და ენდრიუს მთავარი მიზანი ის არაა, თუ როგორ გავისქელოთ ჯიბე. ჩვენ პლანეტის ხვალინდელ დღეზე ვზრუნავთ. ჩვენ მორწმუნეები ვართ, მართლმადიდებლები და გვჯერა კაცობრიობის მომავლის.

**— ენდრიუ, თქვენც მართლმადიდებელი ხართ?**

**ენდრიუ:** — დიახ, ჭეშმარიტად.

**— დავით, თქვენს პროექტში, დევნილების დასაქმების გარდა, ეკლესიების აშენებაც გქონდათ გათვალისწინებული. რა პოზიცია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას?**

**დავითი:** — მათი პოზიცია იყო: არავითარი ეკლესიები, არც ახსენოთო.

**— არ გიკითხავთ, რატომ?**

**დავითი:** — ამ პასუხის შემდეგ აღარ გიჩნდება ასეთი კითხვა. დღემდე შოკირებული ვარ.

**— რამდენადაც ვიცით, მოსწავლეებისთვის დარიგებული კომპიუტერებიც თქვენი პროექტი იყო და ასევე სააკაშვილმა დაიბრალა.**

**დავითი:** — ამის გამო არ ღირს ხმაურის ატეხვა. ასე თუ ისე, ეს მხოლოდ კომპიუტერებია და დიდად არ მაღელვებს ამ იდეის მითვისება, რადგან მთავარია, კარგი საქმე გაკეთდეს და, ვინ მიიწერს, ეს არაა მნიშვნელოვანი. ჩვენი იდეა მართლა კარგი იყო: მიწას საფრთხე არ ემუქრებოდა... კარგი იდეა იყო მართლმადიდებლური საქართველოსთვის. ჩვენ გვინდოდა, ხალხისთვის უფასო სახლები შეგვეთავაზებინა, მათ კი შესთავაზეს გამომშრალი მიწა საკვების გარეშე.

**ენდრიუ:** — ჩვენ მათ უზრუნველვყოფდით საცხოვრებლით, სამუშაოთი, საკვებით და სწავლებით. ეს მნიშვნელოვანია.

**— რა იყო ყველაზე საშინელი მოსასმენად, როდესაც გაიგეთ, რომ სააკაშვილმა ლაზიკის პროექტი მოგპარათ?**

**დავითი: — ყველაზე შემაძრწუნებელი ისაა, რომ ისინი ახლაც რაღაც თამაშს გვეთამაშებიან. გუშინ, თქვენთან საუბრის შემდეგ, 4 ზარი იყო საქართველოს საელჩოდან. მთავაზობდნენ სხვადასხვა პროექტს, მაგალითად, ღვინოსთან დაკავშირებით, რაც ჩვენთვის მიუღებელია.**

**ენდრიუ:** — ეს არაა ჩვენი სფერო. ჩვენი სფეროა ხალხის გამოკვება და წყლის გაწმენდა.

**დავითი:** — რაც ხდება, საშინელება და საზიზღრობაა. ბოლოს საელჩოშო დეკემბერში ვიყავით მე და ჯორჯი მაიკლთან ერთად (იგი მსოფლიო ბანკის წარმომადგენელია). ჩვენ გვითხრეს, რომ უნდა გამოიყოს 100 მილიონი დოლარი, რათა პროექტი დაიწყოს ჩვენთან ერთადო. მაშინ მივხვდით, რომ თამაშიდან ამოგვაგდეს.

**ენდრიუ:** — ჩვენ გვყავს წარმომადგენლები კონგრესში. მე მგონი, არავის ულირს, რომ ამერიკის კონგრესში ხმაური ატყდეს თქვენი ქვეყნის გარშემო და ეს მოხდება აუცილებლად, როდესაც გაიგებენ, რა გაგვიკეთეს.

**— მხარს რესპუბლიკელები გიჭერენ თუ დემოკრატები?**

**ენდრიუ:** — ყველა, ვინც წყალს იყენებს, ჩვენ და ხამანწკებს გვიჭერს მხარს.

**— არ გიცდიათ, რაიმე გეთქვათ ამ ყველაფრის შესახებ სააკაშვილის ახლო მეგობრისთვის — მაკკეინისთვის?**

**დავითი:** — ჩვენ აუცილებლად ვეტყვით მასაც, უბრალოდ, ეს ყველაფერი 1 თვის წინ მოხდა და ჩვენ ჯერ კიდევ ველოდით რაიმე ნიშანს ან მოძრაობას სააკაშვილისგან. იყო ნათქვამი, რომ ამერიკაში სააკაშვილის ვიზიტის ფარგლებში ჩვენც უნდა შევხვედროდით მას, რაც არ მოხდა, რადგან არანაირი მიწვევა ან რაიმე მსგავსი არ მიგვიღია იმის ნიშნად, რომ პრეზიდენტს ჩვენთან შეხვედრა უნდოდა.

**ენდრიუ:** — გთხოვთ, გაიგოთ, განა ცუდია, დავსხდეთ და დავილაპარაკოთ იმაზე, რომ შავი ზღვა საშინლად ბინძურდება? ნუთუ ტვინი საერთოდ არ აქვთ?

**დავითი:** — 4 დეკემბერს, როდესაც გავიგე, რომ ლაზიკა შენდება, დავრეკე საელჩოში და ვუთხარი, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ასე მითხრეს: „დათო, ღმერთმა გადმოგხედა შენ და ახლა ხელს გისვამს თავზეო“, ანუ ყველაფერი დაიძრა, შენ გაიმარჯვე და კეთდებაო. მათ უნდათ, რომ გაგვაჩუმონ. მათ არ აქვთ არაფერი გაკეთებული, ყველაფერს ჩვენი პროექტით აკეთებენ. ორი გზაა: ან ჩვენი პროექტი უნდა გაკეთდეს და ეს მიწა აყვავდეს, ან მათი, რაც განადგურებას მოიტანს.

**— თუ თქვენი „ლაზიკა“ განხორციელდებოდა, აპირებთ თუ არა საქართველოში გადმოსახლებას?**

**დავითი:** — დიახ, აუცილებლად.

**ენდრიუ:** — დიახ, მეც აუცილებლად წამოვალ.

**დავითი:** — ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ენდრიუ ჩემი შვილებისთვის ბაბუაა და იგი ჩვენსავით ყოველდღე ფიქრობს საქართველოზე.

**— და ბოლოს, რას ეტყვით ქართველ ხალხს?**

**დავითი:** — **გაიღვიძეთ, ხალხო, თვალი გაახილეთ, თქვენ აღარაფერი აღარ დაგიტოვეს, ისინი გართმევენ მიწას და კლავენ თქვენში ღმერთს, გაიღვიძეთ!**

ესაუბრა
**მაია ჩუბინიშვილი**



**«რთულია, შეაფასო 7 წლის მუშაობა და 32 ადამიანის შრომა, რომლებიც დღე და ღამე მუშაობდნენ ამ პროექტზე. დაახლოებით 11 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ჩვენ ხომ ყველა სამუშაოს, კვლევისა და ანალიზის ფულს ვიხდიდით»**





ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გოჩა ტყეშელაშვილის სატელევიზიო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გვირგვინი მაინც 2010 წლის „ეტალონი სკოლის დირექტორის“ გამოვლენა გახდა. მთელი ქვეყანა სიამაყით აღივსო, როცა გაირკვა, რომ ეს მაღალი წოდება ჟენია თუმანიშვილმა-მერაბიშვილმა მიიღო. ჟურნალისტებმაც იხალისეს: „ეტალონი-დირექტორი ხარისხის ახალი ნიშანია. გადაცემა ეტალონი ამ ნიშნის ავტორიც და გადამცემიც თავად არის, ხოლო პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი დირექტორი, რომელსაც ეტალონი-დირექტორის სტატუსი მიენიჭა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დედაა“!**

# პატრიარქის ლოცვა-კურთხევას ამოფარებული ღვინის პრომოუტერი




**გოჩა ტყეშელაშვილი უკანასკნელი წლების ტელეწამყვანისა და ბიზნესმენის ეტალონად ჩამოყალიბდა, ხოლო მისმა ამავე სახელწოდების გადაცემამ იმაზე მეტი ტელეარხი გამოიცვალა, ვიდრე ინგა გრიგოლიამ — გაქრისტიანებამდე. გადაცემა „ეტალონის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დაბრუნებაზე თვით საქართველოს პარლამენტის წევრები ზრუნავდნენ.**

ქართულ ვიკიპედიაში განთავსებული „ეტალონის“ აღწერა იმდენად ნიშანდობლივია, რომ მის შესავალს (სარედაქციოს) უცვლელად შემოგთავაზებთ: „ეს სტატია (ანუ „ეტალონის“ ავტორისეული აპოლოგია. — თ.დ.) იკითხება როგორც პრეს-რელიზი ან ზედმეტად სააგიტაციო ხასიათისაა. გთხოვთ, დაგვეხმაროთ და გადააკეთოთ ეს სტატია მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით. აშკარად სარეკლამო ხასიათის ტექსტის დაუყოვნებლივი წაშლისთვის მონიშვნა შესაძლებელია თარგით (წასაშლელი – სპამი)“.

ცხადია, მის წაშლაზე ან გადაკეთებაზე არავის უზრუნია, თავად „ეტალონის“ ავტორი კი იქვე მოურიდებლად ეწევა თვითრეკლამას: „გადაცემა „ეტალონი“ პირველი მსხვილმასშტაბიანი პროექტია **(საჭიროებს წყაროს მითითებას),** რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივ დაინტერესებას სწავლა-განათლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, მათ შორის მედიასაშუალებებით.

ეტალონი, ანუ ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი, ტელეკომპანია „იმედისა“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ერთობლივი, მოსწავლე-ახალგაზრდობაზე გათვლილი ინტელექტუალურ-შემეცნებითი გადაცემაა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ცოდნის პოპულარიზაციას, გამოავლინოს და წაახალისოს ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდები (სტილი დაცულია! – თ.დ.). „ეტალონის“ იდეის ავტორია მისი წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი. პროექტის შექმნის შემდეგ სულ მალე იქცა ქვეყნის მასშტაბით მოზარდთათვის ყველაზე პოპულარულ გადაცემად **(საჭიროებს წყაროს მითითებას).** ახალგაზრდებთან ერთად მას სიამოვნებით უყურებენ უფროსი ასაკის ადამიანებიც **(საჭიროებს წყაროს მითითებას).**

პროექტს ეთერში გასვლამდეც კი მხარს უჭერდნენ ცნობილი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები. „ეტალონი“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს **(საჭიროებს წყაროს მითითებას).** „ეტალონი“ ქართული პროექტია და მსოფლიოში მისი ანალოგი არ არსებობს **(საჭიროებს წყაროს მითითებას).** იდეა, თამაშის მიმდინარეობა და წესები მთლიანად ქართულ მხარეს ეკუთვნის. „ეტალონი“ სერიოზულ დაინტერესებას იწვევს საზღვარგარეთ და შესაძლებელია, მალე სხვადასხვა ქვეყნის არხებზეც ვიხილოთ **(საჭიროებს წყაროს მითითებას).**

„ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიამ“ ქალაქ ჰანოვერში (გერმანია) 2006 წლის 26-28 მაისს ფართომასშტაბიან კონფერენციაზე პროექტი „ეტალონი“ პედაგოგიკის სიახლედ აღიარა, დიპლომი და ოქროს მედალი მიანიჭა და სპეციალური ტერმინი „მედიაპედაგოგიკა“ შეურჩია **(საჭიროებს წყაროს მითითებას)“.**

„მედიაპედაგოგ“ გოჩა ტყეშელაშვილს სულაც არ აწუხებს ეს ხშირი მითითება: **საჭიროებს წყაროს მითითებას**, მან ხომ საკუთარი თავი „ეტალონად“ თავად გამოაცხადა და ვინმეს დამოწმება არაფერში სჭირდება! მერე რა, რომ „პირველი მსხვილმასშტაბიანი პროექტი“, „ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი“, „ქვეყნის მასშტაბით მოზარდთათვის ყველაზე პოპულარული გადაცემა“, „მსოფლიოში მისი ანალოგი არ არსებობს“ მთლიანად გოჩა ტყეშელაშვილის ფანტაზიის ნაყოფია, ამისთვის წყაროს მითითება სულაც არ არის სავალდებულო! რაც შეეხება იმას, რომ „ეტალონი“ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს, ამას ქვემოთ მივუბრუნდეთ, ახლა კი ვნახოთ, როგორ ახერხებს ტყეშელაშვილი „ამა ქვეყნის ძლიერებთან“ ურთიერთობას და მათი პირადი პირისფარეშობით როგორ განაგრძობს საკუთარი „მცირე ტელეიმპერიის“ გაძლიერებას.

2008 წლის 16 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გია ხუბუას ბრძანება 22/01.01 გამოუცია, რომელშიც „ეტალონის“ შემოქმედებით ჯგუფთან ერთად „სტუდენტური პროექტის – დიდი პერსპექტივა“ ერთობლივი განხორციელების მიზნით საორგანიზაციო სამუშაო ჯგუფი შეუქმნია. უნივერსიტეტიდან პროფესორების გამყრელ ხუბუას ამაზე უფრო დიდი საზრუნავი არ ჰქონია და ამ ჯგუფში (საკუთარი თავით დაწყებული, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით გაგრძელებული და თითქმის ყველა დეპარტამენტის უფროსებით დამთავრებული) სულ 12 პირი შეუყვანია. „ეტალონს“ ამხელა რესურსი არ ჰქონდა და მისი მხრიდან 5 პირი — გოჩა ტყეშელაშვილი და მისი პროდიუსერ-ასისტენტები იყვნენ წარმოდგენილნი.

გაურკვეველია, რამ შეუშალა ხელი ამ პროექტის განხორციელებას, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ „სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ, უნივერსიტეტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს“. მიზეზი ორი შეიძლებოდა ყოფილიყო: პირველი – რექტორი ხუბუა კორუფციაში დაადანაშაულეს და გერმანიაში გაიქცა; მეორე (უფრო რეალისტური) — მისი განხორციელება 2008 წლის ზაფხულში იგეგმებოდა, მაგრამ იმ ზაფხულმა სულ სხვა რამით – ტერიტორიების დაკარგვით დაგვამახსოვრა თავი.

თუმცა გოჩა ტყეშელაშვილს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის გამო ხელები არ ჩამოუყრია და 2009 წელს ახალი იდეა გაუჩნდა. ეკონომიკის მაშინდელ მინისტრ ლაშა ჟვანიასთან ერთად მან სატელევიზიო ბიზნესმარათონის „ქართული პროდუქციის პოპულარიზაცია“ განხორციელება დაიწყო. რა კავშირშია ეს საქმიანობა „მედიაპედაგოგიკასთან“, კაცმა არ იცის, თუმცა ამ მიზნით პროექტში 16 სასწავლებლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების სტუდენტები ჩართეს. ლაშა ჟვანიამ მათთან შეხვედრაზე განაცხადა: **„სამწუხაროდ, ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანაში იმპორტი სჭარბობს ექსპორტს, ამიტომ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საქართველოში წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული პროექტი გარკვეულწილად დაგვეხმარება ამ მიმართულებით. ამასთან, ეს ყველაფერი მიბმულია ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან და მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში უმუშევრობა ყველა თაობის ერთობლივი ძალისხმევით დაიძლიოს“.**

ზუსტად 10 დღეში ლაშა ჟვანია თავად შეუერთდა უმუშევრების არმიას, ქართული ეკონომიკა მის გარეშე მდგრადი გახდა, ხოლო მის მიერ „სუსტ პრემიერად“ წოდებული გილაური დღესაც იქ არის და ამტკიცებს, რომ უმუშევრობა შემცირდა. გოჩა ტყეშელაშვილი ლაშა ჟვანიას ხომ ვერ გადაჰყვებოდა?! მან სულ მალე 21 უმაღლეს სასწავლებელში გამოკითხვა ჩაატარა და 8 ნომინაციის გამარჯვებულები გამოავლინა. მაშ, ასე: 2009 წლის „მსოფლიო ეტალონი პოლიტიკოსი“ ბარაკ ჰუსეინ ობამა გახდა, „საქართველოს ეტალონი საზოგადო მოღვაწე“ — პაატა ბურჭულაძე, „ეტალონი სპორტსმენი“ — ზაზა ფაჩულია, „ეტალონი სატელევიზიო გადაცემა“ — „ვის უნდა 20 ათასი“, „საქართველოს ეტალონი პოლიტიკოსი ხელისუფლებაში“ — გიორგი წერეთელი, შესაბამისად, „საქართველოს ეტალონი პოლიტიკოსი ოპოზიციაში“ — ირაკლი ალასანია, „ეტალონი კომპანია“ — თიბისი ბანკი, ხოლო „საქართველოს ეტალონი ბიზნესმენი“ — მაია რჩეულიშვილი.

**ობამაზე ნუ ვიდავებთ, მაგრამ, გიგი წერეთელი რომ წლის ეტალონი პოლიტიკოსი გახდა, ეს უფრო პოლიტიკურ ანეკდოტს ჰგავს, ხოლო მაია რჩეულიშვილი ამ დროს უკვე ათასობით ოჯახს ტოვებდა ღია ცის ქვეშ. თუმცა დრო არ იცდის და ტყეშელაშვილი ახლა უკვე უზენაეს სასამართლოს უწევდის პიარ-ყავარჯენს: 2010 წლის 2 მარტს კოტე კუბლაშვილმა უზენაეს სასამართლოში სტაჟირებაგავლილ სტუდენტებს სერტიფიკატები გადასცა.** სწორედ მაშინ გაირკვა, რომ სასამართლო აქტიურად ყოფილა ჩართული გადაცემა „ეტალონის“ მზადებაში. ამ გადაცემაში გამარჯვებული სტუდენტი იურისტები სტაჟირების გავლის პარალელურად, მთელი წლის მანძილზე ყოველთვიურ სტიპენდიასაც იღებდნენ. მთავარი ის ხომ არ არის, რომ მოსახლეობა სასამართლოს არ ენდობა, მთავარია, რომ იგი „ეტალონის“ მონაწილეებს სტიპენდიას უხდის!

მაგრამ **გოჩა ტყეშელაშვილის სატელევიზიო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის გვირგვინი მაინც 2010 წლის „ეტალონი სკოლის დირექტორის“ გამოვლენა გახდა. მთელი ქვეყანა სიამაყით აღივსო, როცა გაირკვა, რომ ეს მაღალი წოდება ჟენია თუმანიშვილმა-მერაბიშვილმა მიიღო. ჟურნალისტებმაც იხალისეს: „ეტალონი-დირექტორი ხარისხის ახალი ნიშანია. გადაცემა ეტალონი ამ ნიშნის ავტორიც და გადამცემიც თავად არის, ხოლო პირველი და ამ დროისთვის ერთადერთი დირექტორი, რომელსაც ეტალონი-დირექტორის სტატუსი მიენიჭა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის დედაა“!**

„ეტალონი დირექტორი“ აგრარული უნივერსიტეტის, სასულიერო აკადემიის, თსუ-ს და თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის სტუდენტებს „აურჩევიათ“. კითხვაზე, თუ საიდან აქვთ სტუდენტებს ინფორმაცია სკოლის დირექტორების საქმიანობის შესახებ, „ეტალონის“ პროდიუსერმა არჩილ თავბერიძემ უპასუხა, რომ ისინი ადგილზე ჩადიან კანდიდატ სკოლებში, ეცნობიან იქ არსებულ მდგომარეობას და ამის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. თავად გოჩა ტყეშელაშვილმა კი საჯაროდ განაცხადა: **„არსებობენ ადამიანები, რომლებიც პედაგოგობისთვის არიან დაბადებულები და ქალბატონი ჟენია თუმანიშვილ-მერაბიშვილი სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება“.**

ქალბატონი ჟენია კი, რომელიც მანამდე მხოლოდ მისი მოპარული ქათმების გამო გუბერნიის ფეხზე დაყენებით იყო ცნობილი, გულაჩუყებული ყვებოდა „საკუთარი წარმატების საიდუმლოს“ შესახებ: **„ვეძებ ფულს. დირექტორის ერთ-ერთი პრიორიტეტი ის არის, რომ სპონსორები მოიძიოს. ზოგმა რაღაც დამპირდა, ზოგი ლამინატს მიგებს, ზოგი რაღაცას მჩუქნის, ზოგი ფულს მოიტანს, ზოგი ფიზიკურად მუშაობს“.**

„ქვეყნის ხერხემლის“ დედას რომ სპონსორები არ გამოელევა, ეს სკოლის მოწაფესაც ესმის და გოჩა ტყეშელაშვილსაც. მას შემდეგ, რაც საქართველოს „ეტალონი სკოლის დირექტორი“ გამოავლინა, ტყეშელაშვილმა ფრთები გაშალა და ბიზნესკომპანიების რეიტინგების დადგენას მიჰყო ხელი. 2011 წლის განმავლობაში მან „საქართველოს ბანკების ასოციაციასთან“, „მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაციასა“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციასთან“ ერთად ლუდსახარშები, ბანკები და სხვა ფირმები დააჯილდოვა.

**2010 წელს გოჩა ტყეშელაშვილმა საქართველოს პატრიარქიც დააჯილდოვა „ეტალონის ოქროს ორდენით“. პატრიარქის „ლოცვა-კურთხევით მოქმედმა“ ტყეშელაშვილმა 2011 წელს სააღდგომოდ და საახალწლოდ ღვინო „ეტალონი“ გამოუშვა და მის რეკლამას ეს „მედიაპედაგოგი“ პირადად ეწეოდა. „ეტალონის“ თითო ბოთლი 11-დან 14 ლარად იყიდებოდა. საპატრიარქო ამგვარ საკითხებზე ადრეც ხუჭავდა თვალს, როცა 90-იან წლებში მისი ქოლგის ქვეშ „მოღვაწე“ ფირმები გადასახადისგან გათავისუფლებული იყვნენ და საქართველო დაუბეგრავი თამბაქოს ნაწარმითა და სპირტიანი სასმელებით აავსეს.**

**საპატრიარქო ამჯერადაც დუმს იმაზე, რომ მოზარდთათვის განკუთვნილი „მისი ლოცვა-კურთხევით მოქმედი ყველაზე ეროვნული საგანმანათლებლო პროექტი“ ღვინის წარმოებითა და რეკლამირებით არის დაკავებული.** რეკლამაში საგანგებოდ არის ხაზგასმული, რომ ღვინო „ნაკურთხი თაფლით არის შეზავებული“. ეს, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა კურთხევა პირდაპირ კომერციული მიზნით არის გამოყენებული. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საბავშვო გადაცემის სახელწოდებით ღვინის გამოშვება იგივეა, რომ რუსებმა არაყი ჩამოასხან და მას „Спокойной ночи, малыши“ დაარქვან!

ამასობაში კი **თავგასული გოჩა ტყეშელაშვილი „ეტალონის“ ნიშნით უკვე კომპანია „მითანას“ ხორცის პროდუქტებს აწარმოებს, ხოლო უახლოეს პერიოდში სხვადასხვა ადგილობრივ მწარმოებელთან ერთად უალკოჰოლო სასმელების, ტკბილეულის, მინერალური წყლის, ჩაის, პურ-პროდუქტების, ნაყინის და კვების სხვა პროდუქტების გამოშვებას გეგმავს.**

გასაგებია, რომ „მედიაპედაგოგმა“ ტყეშელაშვილმა განათლებით დაიწყო, მერე აშკარა მლიქვნელობაზე გადავიდა და ბიზნესსაც ეწია. ოღონდ რა შუაშია აქ ან საქართველო, ან ბავშვები?!

**თამარ დავითულიანი**

**P.S. სიტყვა „ეტალონი“ გაზომვის საშუალებას ნიშნავს. საფრანგეთში, სევრის საერთაშორისო ბიუროში, დღესაც ინახება სიგრძისა და მასის ეტალონები. ფართო გაგებით, სიტყვა „ეტალონი“ იდეალური საზომის მნიშვნელობით იხმარება. გოჩა ტყეშელაშვილმა მოახერხა ამ „იდეალური საზომის“ მითვისება და ახლა სხვადასხვა ბიზნეს–სუბიექტზე ჰყიდის მისი გამოყენების უფლებას. ამასაც ხომ მოხერხება უნდა? ფრანგებს გონება ისევე რომ უჭრიდეთ, როგორც ტყეშელაშვილს, მას, დიდი ხანია, სპირტიან ქილაში ჩასვამდნენ და სევრის ბიუროს თაროზე კილოგრამისა და მეტრის ეტალონებს შორის მიუჩენდნენ ადგილს!**

ბრალდება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მანამდე სიმართლის გარკვევის იმედი კიდევ მქონდა, ახლა ყველაფრის იმედი დამეკარგა. გამომძიებელ ვაჟა გელაშვილის კაბინეტში სასტიკად მცემეს, მირტყეს სახეში, დამიზიანეს ნეკნები და თან ჩვენების შეცვლას მთხოვდნენ. ამ ამბიდან მეორე დღეს ელიავას ბაზრობასთან ორმა უნომრო მანქანამ მომიჭრა გზა, გადმოვიდა სამი მამაკაცი, მცემეს, მომაბჯინეს იარაღი, ზურგში დანით სამი ჭრილობა მომაყენეს, ორჯერ მესროლეს კიდეც შესაშინებლად და მეუბნებოდნენ, შეცვალე ჩვენება, დაწერე, რომ მენაღარიშვილისთვის თანხა საერთოდ არ მიგიცია და ბანკების საკითხიც სამუდამოდ დაივიწყეო.**

# გაკოტრებული ბიზნესმენი ირაკლი მენაღარიშვილს თაღლითობაში ადანაშაულებს



**რატომ უჩივის გაკოტრებული ბიზნესმენი გიორგი გიორგაძე ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს, რის გამო სცემეს სასტიკად და რა თანხის დაბრუნებას ითხოვს დაზარალებული, „საქართველო და მსოფლიოს“ ამ საკითხებზე სასაუბროდ გიორგი გიორგაძე დაუკავშირდა, რომელსაც მიაჩნია, რომ მენაღარიშვილს პოლიტიკაში ყოფნის მორალური უფლება არ აქვს.**

## ირაკლი მენაღარიშვილი სულ ცინიკურად მეუბნებოდა, მე მიხეილ სააკაშვილს მოვახლდევინე ბოდიში და შენ ვინ ხარო!

— ჩემი გალიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი კვლავ ცდილობს პოლიტიკაში ადგილის დამკვიდრებას და, როგორც შევიტყვე, ახლა ბიძინა ივანიშვილის გუნდში სურს გაწევრიანება. ქართულ პოლიტიკაში ასეთი ხალხის დრო უნდა დამთავრდეს. საქმე, რომელიც ორი ათეული წელია გრძელდება, კარგად ადასტურებს მენაღარიშვილის თაღლითობას. მინდა, ყველამ გაიგოს, ვინ არის სინამდვილეში ირაკლი მენაღარიშვილი.

**— რა გაკავშირებდათ ირაკლი მენაღარიშვილთან და კონკრეტულად რაში სდებთ ბრალს?**

— მე წარსულში ქუთაისში ჯერ ავეჯის ქარხნის დირექტორი ვიყავი, მერე — ხის ტარის ქარხნის დირექტორი, ფულიანი კაცის სახელი მქონდა. 1991 წლიდან ბიზნესსაქმიანობას ქალაქ მოსკოვში ვეწეოდი. 1993 წელს ჩემთან მოვიდა რუსეთ-საქართველოს ერთობლივი კორპორაცია „ენერგიის“ ხელმძღვანელი მოსკოვში, ოლეგ ბაშარული და შემომთავაზა მონაწილეობა ერთობლივი პროგრამის განხორციელებაში, რაც გამოიხატებოდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ასე გავიცანი მაშინდელი საქართველოს ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი. ამ ორმა პიროვნებამ დამარწმუნა, რომ მიმეღო მონაწილეობა აღნიშნულ საქმეში. 1993 წელს დავინიშნე კორპორაცია „ენერგიის“ გენერალური დირექტორის მოადგილედ კომერციულ დარგში. კომპანიის ერთობლივ საქმიანობაში მენაღარიშვილის რაიმე სახით მონაწილეობაზე ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო. მენაღარიშვილმა მოსკოვში გამაცნო გერმანელი ბიზნესმენი ჰანს ეილერი და მისი თანაშემწე, ეროვნებით სომეხი, ვინმე ანდრეი. დავსახეთ სამუშაო გეგმა და ხუთივე ჩამოვფრინდით თბილისში. ეილერი და ანდრეი მოვაწყვეთ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის სასტუმროში, მათი გზის, კვებისა და სასტუმროს ხარჯები მე გადავიხადე. მენაღარიშვილმა და გერმანელებმა ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით გააფორმეს საბუთები კრედიტების მისაღებად და ისევ ერთად გავფრინდით მოსკოვში. დავიწყეთ მუშაობა ინვესტიციების მოსაზიდად, ბუნებრივია, ამისთვის საჭირო იყო საწყისი კაპიტალი, რისთვისაც დიდძალი თანხა დავხარჯე.

1994 წელს მენაღარიშვილმა მე და ბაშარულს გვითხრა, კრედიტების გაცემა დროებით შეჩერებულიაო და შემოგვთავაზა სამთავრობო დონეზე ერთობლივი კომერციული საქმიანობის წარმოება. საქართველოდან უკრაინაში უნდა გაგვეტანა ჩაი და კონიაკი და იქიდან შემოგვეტანა შაქარი, რაც კარგ მოგებას მოგვიტანდა. დავთანხმდით, მაგრამ ამ საქმისთვის საჭირო თანხა აღარ მქონდა, მაიძულეს, ჩემს სახელზე მოსკოვში, ბანკ „გიპარტიდან“ გამომეტანა სესხი — 55 000 აშშ დოლარი, რომელიც დროთა განმავლობაში თავისი 3%-იანი დანამატით 102 500 აშშ დოლარი გახდა. ყველაფერი გავყიდე, რომ არ დავეჭირე, ორი ბინა, მანქანა. ოჯახით, ფაქტობრივად, ქუჩაში დავრჩი. მოვალეებიც მაწუხებდნენ და 2001 წელს პროკურატურას მივმართე.

**ვენდობოდი და პატივს ვცემდი მენაღარიშვილს, ამიტომ, ამ საქმის გარდა, 10 000 აშშ დოლარი პირადად მენაღარიშვილს მივეცი, 9 800 აშშ დოლარი კი — ვაჟა შუბლაძეს.** მენაღარიშვილის უშუალო მითითებით, ჩვენი ერთობლივი საქმის გარდა, 12 000 აშშ დოლარი გოგი ქირიას გადავეცი, ვინაიდან ამ დროს წამოიჭრა კიდევ ერთი პრობლემა: ირაკლი მენაღარიშვილის ჯანდაცვის მინისტრობის დროს თბილისში, ბახტრიონის ქუჩაზე, დაიწყო მედიკოსთა 18-სართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯანდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი გოგი ქირია. მშენებლობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გამო მათ უჩივლეს და საკითხის მოსაგვარებლად მენაღარიშვილმა მაიძულა, გოგი ქირიასათვის 12 000 აშშ დოლარი გადამეცა, რომ ხალხი გაეჩუმებინა და მისთვის არ ეჩივლათ.

**ამ საქმეში გარეული იყო კიდევ „აბსოლუტბანკი“, შემოსული „შავი ფული“ მთლიანად იქ ირიცხებოდა. პირადად ედუარდ შევარდნაძე მფარველობდა ამ ბანკს.**

როგორც აღვნიშნე, **სულ მოზიდული თანხა 35 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა მალე მივხვდი, რომ ეს საქმე მათ აღარ აინტერესებდათ, რადგან ეს 35 მილიონი ჩაიჯიბეს. არ ვიცი, ვის რამდენი შეხვდა, მაგრამ მე კაპიკი არ მიმიღია ამ საქმიდან. ჩემისთანა კაცისთვის ასეთი ხალხის მორევა რთული აღმოჩნდა.**

**— თავად მენაღარიშვილი რას გპასუხობდათ, როცა კუთვნილ თანხას სთხოვდით?**

— საქმემ წააგოო, მეუბნებოდა. როდესაც პროკურატურაში შევიტანე განცხადება, საქმის გამოძიება რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის უფროსს, ვაჟა გელაშვილს დაევალა, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბერს გამოიტანა დადგენილება საქმის არაღძვრის შესახებ, ვინაიდან ირაკლი მენაღარიშვილზე პროკურატურაში შესულ საქმეზე პირადად ედუარდ შევარდნაძემ დაადო რეზოლუცია: „გთხოვთ, გაითვალისწინოთ მენაღარიშვილის დამსახურებაო“. გამოდის, რომ შემოსული ინვესტიციების საკუთარ ბანდაში განაწილება და თანხის ბანკებში საკუთარ ანგარიშებზე შენახვა ხალხის წინაშე დამსახურება ყოფილა.

**გადაცემა „60 წუთისთვისაც“ მომზადდა სიუჟეტი, რის გამოც უფრო თამამად ვიყავი, რადგან მეგონა, სიმართლე აღარ დაიმალებოდა, მაგრამ სიუჟეტი აკაკი გოგიჩაიშვილმა ეთერში არ გაუშვა.**

**— რა პასუხი გაგცათ აკაკი გოგიჩაიშვილმა?**

— აკაკი გოგიჩაიშვილმა მითხრა, გადაღებული კადრები წაგვეშალაო. ერთი თუ წაეშალა, 6 კასეტა სად წაიღო? სულ 7 კასეტა გადავიღეთ.

**— ირაკლი მენაღარიშვილის გარდა, ხელისუფლების მაღალჩინოსნებიდან თუ მონაწილეობდა ვინმე ამ საქმეში?**

**— მე პირადად მენაღარიშვილს ვეკონტაქტებოდი. იყვნენ ვიღაცები, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, მაგრამ მთავარი ის იყო.**

**იმავე საღამოს პოლიციაში წამიყვანეს. თუ მანამდე სიმართლის გარკვევის იმედი კიდევ მქონდა, ახლა ყველაფრის იმედი დამეკარგა. გამომძიებელ ვაჟა გელაშვილის კაბინეტში სასტიკად მცემეს, მირტყეს სახეში, დამიზიანეს ნეკნები და თან ჩვენების შეცვლას მთხოვდნენ. ამ ამბიდან**

მეორე დღეს ელიავას ბაზრობასთან ორმა უნომრო მანქანამ მომიჭრა გზა, გადმოვიდა სამი მამაკაცი, მცემეს, მომაბჯინეს იარაღი, ზურგში დანით სამი ჭრილობა მომაყენეს, ორჯერ მესროლეს კიდეც შესაშინებლად და მეუბნებოდნენ, შეცვალე ჩვენება, დაწერე, რომ მენაღარიშვილისთვის თანხა საერთოდ არ მიგიცია და ბანკების საკითხიც სამუდამოდ დაივიწყეო. სახლში გვირეკავდნენ და გვემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ ჩემი ოჯახის წევრებს. სამი შვილის მამა ვარ და შემეშინდა, სხვა გზა აღარ მქონდა, შევცვალე ჩვენება — ირაკლი მენაღარიშვილს ჩემთვის 10 000 აშშ დოლარი არ გამოუძალავსთქო. მერე ამით მაშანტაჟებდა გამომძიებელი, თუ არ გაჩერდები, ახლა ჩვენების შეცვლისთვის გაგებინებ პასუხსო. **ნერვიულობის შედეგად ინფარქტი დამემართა. თავად კრიმინალმა ვაჟა გელაშვილმა კი ამ საქმეზე ირაკლი მენაღარიშვილს ფული გამოსძალა. მეტიც, მისი მეუღლე საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და ისიც დააწინაურებინა, მე კი ყველასგან მოტყუებული დავრჩი.**

ვაჟა გელაშვილმაც მითხრა, საქმეს წაუგია და რაღა თანხას ითხოვო. ვინ ეკითხება პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსს, საქმემ მოიგო თუ წააგო? მისი მოვალეობაა, საქმე გამოიძიოს. საბოლოოდ, გამომძიებელმა გელაშვილმა დაადგინა: 53 ათას 400 აშშ დოლარი დაგიხარჯავსო, არადა, 350 ათასი დავხარჯე. საიდან გამოთვალეს, არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის არც ეს თანხა გადაუხდიათ. 50 ათას დოლარზე ლაპარაკობ, არ გრცხვენია, საქმოსანი კაცი ხარო, — მეუბნებოდა ვაჟა გელაშვილი. ვაჟა გელაშვილი მენაღარიშვილის მინისტრობის დროს იქით აკითხავდა მას სამინისტროში ვითომდა დასაკითხად, თავად ერთხელაც არ მოსულა პროკურატურაში.

**ირაკლი მენაღარიშვილი სულ ცინიკურად მეუბნებოდა, მე მიხეილ სააკაშვილს მოვახდევინე ბოდიში და შენ ვინ ხარო!**

**— თქვენ მიერ დახარჯული თანხის მტკიცებულებები გაქვთ?**

— რა თანხაც დავხარჯე, ამის თაობაზე დოკუმენტები პროკურატურაში დევს. ამის მერე რამდენიმეჯერ დამკითხეს პროკურატურაში და დაადგინეს, რომ სიმართლეს ვამბობდი, მაგრამ ეს საქმე რატომღაც დღემდე „გაყინულია“. 2007 წელს გენერალური პროკურორის მოადგილეს, ნიკა გვარამიასაც მივმართე, რათა გარკვეულიყო სიმართლე, მაგრამ შედეგი არც ამ ცდას მოჰყოლია. მე არ გავჩერდები, ისევ ვაპირებ საჩივრის შეტანას. ვითხოვ, მენაღარიშვილისა და პროკურატურის ზოგიერთი თანამშრომლის დასჯას, 300 000 აშშ დოლარის დაბრუნებას, რომელიც ირაკლი მენაღარიშვილმა და მისმა ამფსონებმა თაღლითური გზით გამომძალეს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**P.S. ჩვენ ირაკლი მენაღარიშვილს დავუკავშირდით, რომელსაც გია გიორგაძე თაღლითობაში ადანაშაულებს, და რამდენიმე კითხვა დავუსვით:**

**— ბატონო ირაკლი, ჩვენ დაგვიკავშირდა მოქალაქე გია გიორგაძე, რომელიც თანხის გამოძალვასა და თაღლითობაში გადანაშაულებთ. რა პასუხს გასცემთ მის ბრალდებებს?**

— გირჩევთ, თავი არ შეიწუხოთ ამ თემაზე საქმის გარკვევით, ვინაიდან ეს არის უსაფუძვლო, აბსურდული ისტორია, რომელიც, დიდი ხანია, გარკვეულია. სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ეს პიროვნება თავს არ მანებებს.

**— წლების წინ თქვენ ეწეოდით საერთო ბიზნესსაქმიანობას?**

— მე უკვე გიპასუხეთ შეკითხვაზე...

**— ბუნებრივია, გაგვიჩნდა ეს შეკითხვა.**

— გასაგებია, შეიძლება ბევრი შეკითხვა გქონდეთ, მაგრამ ჩემი საქმეა, გიპასუხებთ თუ არა. მისგან შეიძლება ბევრი შემაშფოთებელი ისტორია მოისმინოთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მათ არანაირი საფუძველი არ გააჩნია.

**— მაშინ რატომ გდებთ უსაფუძვლოდ ბრალს, როგორ ფიქრობთ?**



— რთული სათქმელია, მე ვერ გავარკვიე, რა სურს მას. ერთადერთი მოტივი შეიძლება ის იყოს, რომ თანხის გამოძალვა უნდოდეს. კარგა ხანია, ვიღაც-ვიღაცების მეშვეობით რაღაც კომპენსაციას ითხოვს.

**— გიორგაძე ამბობს, რომ სარჩელის შეტანას აპირებს თქვენ წინააღმდეგ...**

— ეს მისი უფლებაა და დიდი ხანია, ურჩევენ ამის გაკეთებას, მაგრამ იმის მაგივრად, რომ კანონის ფარგლებში იმოქმედოს, შანტაჟს მიმართავს. მე მის ფსიქიკაზე ზემოქმედება არ შემიძლია, თუ თავად არ მიხვდება საკუთარი ნაბიჯების უპერსპექტივობას.

**— ბატონო ირაკლი, გიორგაძე აცხადებს, რომ კუთვნილი თანხა არ გადაუხადეთ...**

— მგონი, მკაფიოდ გამოვხატე ჩემი პოზიცია. თქვენ პირველი არ ბრძანდებით და, სამწუხაროდ, ალბათ, არც უკანასკნელი, ვისაც ეს ადამიანი შეაწუხებს, მაგრამ რა ვქნა!

**— მაგრამ, თუ ცილს გწამებთ, პასუხი ხომ უნდა გასცეთ?**

— მე მას უკვე გავეცი პასუხი, ისევე, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არაერთხელ გასცეს პასუხი. ახლა უკვე მისი საქმეა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს: შეწყვეტს ამ უაზრო ქმედებას თუ იმავეს გააგრძელებს.

**— როგორ გაეცით პასუხი, პირადად შეხვდით?**

— პასუხი იმ ადამიანების მეშვეობით გავეცი, ვინც თავად გამომიგზავნა. პირადად არ შევხვდი და არც არასდროს შევხვდები. როცა მან პირველად შეიტანა საჩივარი პროკურატურაში, ოფიციალური განცხადებაც გამოქვეყნდა პრესაში. მას შანტაჟის აბსურდული გზა აქვს არჩეული, ამიტომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელებას აღარ ვაპირებ.

**გამომძიებელი ვაჟა გელაშვილი, რომელსაც გიორგაძე საქმის გაყალბებაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ გელაშვილის კაბინეტში სცემეს, უარს აცხადებს კომენტარზე.**

**— ბატონო ვაჟა, ჩვენ დაგვიკავშირდა გია გიორგაძე, რომელიც ირაკლი მენაღარიშვილთან გარიგებაში გადანაშაულებთ.**

— მე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ეგ საქმე ინახება პროკურატურაში და, თუ რაიმე გაინტერესებთ, მიბრძანდით, გადახედეთ მასალებს და დასკვნები თავად გამოიტანეთ.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის წასვლით კი „ნაციონალურ მოძრაობას“ გარანტირებული აქვს ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზე. ამ უკანასკნელის წასვლით მის ადგილს ალტერნატიული ძალა დაიკავებს, ასეთს ივანიშვილი და მისი გუნდი წარმოადგენენ. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ისინი ისევე გაკოტრდებიან, როგორც დღევანდელი ხელისუფლება, რადგან მათი იდეოლოგიური თუ საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია იგივე იქნება, როგორიცაა სააკაშვილისა და მისი გუნდის, ხოლო მათი დამაბალანსებელი ახალი პროამერიკული ძალა უკვე აღარ იარსებებს. ამ შემთხვევაში, სისტემა გაიხსნება და ოპოზიციური ფლანგი კვლავ გამოთავისუფლდება, რაც ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის აღმასვლას შეუწყობს ხელს და ეს ოპოზიცური ძალა შეიძლება ამერიკელების მხრიდან არაკონტროლირებადი აღმოჩნდეს, რაც ამერიკელების ინტერესებში არ შედის.**

# საქართველო — ამერიკული თამაშის ახალი მსხვერპლი



**რამდენიმე თვეა, რაც პოლიტიკით დაინტერესებული ქართული საზოგადოება იმის ფიქრშია, თუ რას აპირებს სააკაშვილი მის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით — დარჩება იგი ხელისუფლებაში რაიმე სხვა თანამდებობაზე თუ საერთოდ წავა პოლიტიკიდან. მიხეილ სააკაშვილის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდეგ ყველა ქართველის ყურადღება ერთი რამისკენ იყო მიმართული — რა უთხრა ამერიკის პრეზიდენტმა ბატონ სააკაშვილს. საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში იმედის ნაპერწკალი გააღვივა სააკაშვილთან შეხვედრისას ბარაკ ობამას მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ხელისუფლების ფორმალურ გადაცემასთან დაკავშირებით.**

ვისაც ოდნავ მაინც ესმის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა და ამერიკული საგარეო პოლიტიკის უმთავრესი სტრატეგიული პრინციპები, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამერიკელები მიხეილ სააკაშვილის გაშვებას პენსიაზე ჯერ არ აპირებენ, ვინაიდან მას ჯერ კიდევ ის სტრატეგიული ამოცანები არ ამოუწურავს, რომლებიც მას ოკეანისგაღმელებმა დააკისრეს. მან მომავალ პოლიტიკურ თამაშებში, რომელსაც ქართული პოლიტიკური სისტემის არქიტექტორი ამერიკელები გეგმავენ საქართველოში, მათ მიერვე კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების მეშვეობით, საკვანძო ადგილი უნდა დაიკავოს ბიძინა ივანიშვილთან და მის პროამერიკულ, ლიბერალურ გუნდთან ერთად. ამას მოწმობს პრეზიდენტის მიერ პარლამენტში დეპუტატების წინაშე გამოსვლისას გაკეთებული განცხადებაც, როცა მან პირდაპირ აღიარა ხელისუფლებაში დარჩენა და საკუთარ გუნდთან ერთად მრავალი წლის განმავლობაში ქვეყნის მართვა. ქვეყანაში, სადაც პოლიტიკურ პროცესებს სრულად და ტოტალურად ამერიკელები აკონტროლებენ და სადაც არც ერთი გადაწყვეტილების მიღება და გახმოვანება არ ხდება მათთან შეუთანხმებლად, არც ასეთი ტიპის განცხადება გაკეთდებოდა თვითნებურად.

**ნებისმიერ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების ანალიზისას, აუცილებელია ყურადღების გამახვილება სოციუმის ნაციონალურ ხასიათზე, მის ღირებულებით ორიენტირებსა და მენტალობაზე.** ამის შემდეგ კი შესაძლებელია პოლიტიკურ პროცესებში გარკვევა და გარკვეული დასკვნების გაკეთება. ქართული საზოგადოება დასავლური საზოგადოებისაგან განსხვავდება თავისი კოლექტიური ბუნებითა და პატრიარქალურობით, რომელიც აქცენტს ძლიერ, ქარიზმატულ ლიდერზე აკეთებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა 2003 წელს რევოლუციური გადატრიალების გზით, როდესაც მას მხარი დაუჭირა ქართული საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ისეთი ტიპის პატრიარქალურ საზოგადოებებში, როგორსაც ქართული საზოგადოება წარმოადგენს, ყურადღებას არ ამახვილებენ იმაზე, თუ ვინ არის ლიდერის გარშემო. მთავარია, საზოგადოებას მოსწონდეს ესა თუ ის ლიდერი და მას აღჭურვავს განუსაზღვრელი ძალაუფლებით. ქართველების ეს ბუნება ბრწყინვალედ შეისწავლეს ჩვენმა ამერიკელმა „პატრონებმა“, რომელთაც სტრატეგიული გეოპოლიტიკური ინტერესები აქვთ კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში. ისინი ცდილობენ, საკუთარი გავლენა შეინარჩუნონ საქართველოზე მათ მიერ კონტროლირებადი ძალების მეშვეობით და მათ მიერ შემოთავაზებული დემოკრატიულობანას თამაშით. ამ მიზნით, როგორც ჩანს, ამერიკელმა სტრატეგებმა გარკვეული კორექტივები შეიტანეს საქართველოში, პოლიტიკური პროცესების გაკონტროლების მიზნით.

ამერიკული პოლიტიკური სისტემა, თუ ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების კლასიკოსებს ჩარლზ ლინდბლომს და რობერტ დალს დავესესხებით, წარმოადგენს პოლიარქიას, ანუ მრავალთა მმართველობას, რომელშიც მართვა ხორციელდება რამდენიმე სხვადასხვა ავტონომიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით. ძალაუფლება პოლიარქიის დროს ტრადიციულად გადანაწილებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მსხვილი საზოგადოებრივი სტრუქტურების მიერ. ამერიკაში ყველაზე მძლავრ ასეთ საზოგადოებრივ ჯგუფებს წარმოადგენენ ბიზნესელიტა და სტრატეგიული კვლევითი ცენტრები, რომლებიც დებენ სხვადასხვა პოლიტიკურ სტრატეგიას, მათი ინტერესების სფეროში არსებული ქვეყნების პოლიტიკური თუ სოციალური სისტემების კვლევის შემდეგ. ამერიკული პოლიტიკური სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ძალა თუ პრეზიდენტი იძულებულია, დაემორჩილოს მათ მოთხოვნებსა თუ სტრატეგიებს, ეს იქნება ობამა თუ ნებისმიერი სხვა. ასე რომ, დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა თქვა ობამამ. **ამერიკაში პრეზიდენტი ერგება სისტემას და არა სისტემა — პრეზიდენტს.** აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკელმა სტრატეგებმა თამაშის ახალი გეგმა შეიმუშავეს საქართველოსთვის პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის შესანარჩუნებლად.

**რაც შეეხება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, შეიძლება ითქვას, რომ, დიდი ალბათობით, სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად დარჩება ხელისუფლების უმაღლეს პედესტალზე. ამერიკელები ცდილობენ ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემის შექმნას და მის ფაქტობრივ დახურვას, ხოლო იურიდიულად ის ღია იქნება.** საერთოდ პოლიტოლოგიაში ორი ტიპის პოლიტიკური სისტემა გამოიყოფა: ღია და დახურული. დახურულიც, თავის მხრივ, იყოფა ორ ტიპად: ერთის მხრივ, როდესაც სისტემა დახურულია როგორც იურიდიულად, ასევე ფაქტობრივად, და მეორე, როდესაც იგი ღიაა იურიდიულად, მაგრამ ფაქტობრივად დახურულია. **ჩვენს შემთხვევაში ადგილი ექნება მეორეს, იურიდიულად პოლიტიკური სისტემა ღია იქნება, ანუ დემოკრატიული, ხოლო ფაქტობრივად — დახურული, ანუ არადემოკრატიული.**

**ამერიკელებს და მათ მიერ კონტროლირებად ქართველ „პრარაბებს“ საქართველოში ანგლოსაქსურ ქვეყნებში არსებული ანალოგის გადმოტანა სურთ. ისინი ცდილობენ, შექმნან ორი პოლუსი, ორივე, რა თქმა უნდა, მართული იქნება ვაშინგტონიდან.** შეიქმნება ისეთი სიტუაცია და ისეთი ტიპის დემოკრატიული სისტემა, რომელიც ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკის თეორეტიკოსმა ჟოზეფ შუმპეტერმა შემდეგნაირად დაახასიათა: „დემოკრატია წარმოადგენს ინსტიტუციონალურ პროცედურას (მექანიზმს), რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუმთა მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღწევას, ელექტორატის ხმების მოსაპოვებლად კონკურენტული ბრძოლის გზით“. ეს ნიშნავს, — როდესაც პოლიტიკურ სისტემაში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები იბრძვიან არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, თუ ამ კონცეფციას მივუსადაგებთ ქართულ პოლიტიკურ რეალობას, ეს ორი პოლიტიკური სუბიექტი დაიწყებს ბრძოლას ქართველი ამომრჩევლის ხმების მოსაპოვებლად. ამომრჩეველს კი სხვა რა დარჩება, თუ არა ხმა მისცეს ამ ორიდან რომელიმე ერთს, რომელთა ღირებულებითი ორიენტირები თუ მსოფლმხედველობა არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისე, საინტერესოა, რა განსხვავება შეიძლება არსებობდეს (საუბარია მსოფლმხედველობრივზე) ქალბატონ ხიდაშელსა და ბატონ ბოკერიას შორის, ორივე სოროსის „კანტორიდანაა“ და ორივე გაჟღენთილია ანტიეროვნული, ანტიმართლმადიდებლური ღირებულებებით.

**უნდა ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობამ ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილში იმედგაცრუება გამოიწვია მრავალ მიზეზთა გამო. მან ვერ გადაწყვიტა ის საკითხები, რომელთა გადასაწყვეტად მას ნდობა გამოუცხადა ქართული საზოგადოების უმრავლესობამ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ და 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ფორმალურად მისი არჩევის დროს. მან ვერ მოახერხა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესი, პირიქით, რეგრესს განიცდის, რამაც მოსახლეობის დიდი ნაწილის კიდევ უფრო გაღატაკება გამოიწვია. მისი მმართველობის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევის მაჩვენებელმა გაუსწრო შევარდნაძის დროინდელ მაჩვენებელს, ადგილი ჰქონდა არჩევნების გაყალბებას და, რაც მთავარია, მან ვერ მოახერხა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უფრო მეტიც: მისმა მმართველობამ კიდევ უფრო მეტად დააშორა საქართველო თავის ძირძველ ტერიტორიებს.** ეს არის ის მიზეზები, რომლებმაც ხელისუფლების წინააღმდეგ მრავალათასიანი მიტინგები გამოიწვია, ხოლო საზოგადოების მხრიდან წამოსული მოთხოვნების შეუსრულებლობამ მოსახლეობის დიდი ნაწილი და ხელისუფლება დააშორა ერთმანეთს. ამ ყველაფერმა ქვეყანაში გამოიწვია ლეგიტიმურობის კრიზისი, რომლის დროსაც არსებული ხელისუფლება არ სარგებლობს ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერით, მაგრამ იგი ინარჩუნებს საკუთარ ძალაუფლებას გაყალბებული არჩევნების მეშვეობით.

**დღეს არსებულ ლეგიტიმურობის კრიზისში ლომის წილი ოპოზიციასაც მიუძღვის, რომელმაც ვერ შეძლო საზოგადოებიდან წამოსული ენერგიისათვის სწორი მიმართულების მიცემა და ხელისუფლების იძულება, დათმობებზე წასულიყო;** პირიქით, გადამწყვეტ მო- ▶

## ამერიკელმა სტრატეგებმა თამაშის ახალი გეგმა შეიმუშავეს საქართველოსთვის პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლის შესანარჩუნებლად

## ბელარუსი უკრაინას ემბარგოს უმზადებს

**უკრაინის სახელმწიფო ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სამსახური უკრაინული პროდუქციის ბელარუსში შეტანაზე ბელარუსის მთავრობისგან წინააღმდეგობას არ გამორიცხავს.** უწყების ინფორმაციით, ბელარუსული მხარის მოთხოვნით, 2 მარტს უკრაინისა და ბელარუსის შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს შორის შეხვედრა შედგა. შეხვედრაზე უკრაინულმა მხარემ ბელარუსს სიტუაციის მოგვარების გზები შესთავაზა, რადგანაც უკრაინაში ბელარუსული რძის ნაწარმის შეტანაზე გარკვეული პრობლემები უკვე არსებობს. თუმცა შეხვედრისას ბელარუსმა, თავის მხრივ, არ გამორიცხა, რომ უკრაინიდან პროდუქციის შეტანა გაძნელდეს.

## რუსეთმა სირიის შესახებ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა ხმა

**რუსეთის, ჩინეთისა და კუბის წარმომადგენლებმა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოში სირიის შესახებ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა.** რეზოლუციაში არის მოწოდება, დაუყოვნებლივ შეწყდეს ძალადობა, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ხორციელდება და გზა გაეხსნას ქვეყანაში ჰუმანიტარული ორგანიზაციების შესვლას. მათი ინფორმაციით, ჟენევაში წარმოდგილ რეზოლუციას 37 ქვეყანამ მისცა ხმა, 4 დელეგაცია კი კენჭისყრაში არ მონაწილეობდა, მათ შორის სირიის დელეგაცია, რომელმაც პროტესტის ნიშნად დებატები ჯერ კიდევ სამშაბათს დატოვა.

გეოპოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ამერიკელებმა პოლიტიკაში შემოსვლა აიძულეს საქართველოში საკმაოდ ავტორიტეტულ და პატივსაცემ ბიზნესმენსა და მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს**

◀ მენტში უკანაც დაიხია, რამაც საზოგადოების მხრიდან სრულიად საფუძვლიანი უკმაყოფილება გამოიწვია ოპოზიციური სპექტრის მიმართ და საზოგადოების ოპოზიციური ნაწილი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს, ნიჰილისტურად განაწყო პოლიტიკური პროცესებისადმი. ამან ოპოზიციური პარტიების რეიტინგების მკვეთრი დაცემა გამოიწვია. ხელისუფლების მიმართ არსებული ნეგატიური მუხტის მაორგანიზებელი ოპოზიციური პოლიტიკური სუბიექტის არარსებობის პირობებში, **სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ დაიწყეს ტოტალური კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე. ისინი შეეცადნენ პოლიტიკური სისტემის იმაზე მეტად დახურვას, ვიდრე მანამდე არსებობდა.** ასეთი ტიპის პოლიტიკური სისტემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს სისტემის გარეთ არსებული კონტრელიტის ფორმირებას, რომელიც სარგებლობს მოსახლეობაში არსებული უკმაყოფილებით როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მიმართ და გადატრიალების გზით ამხობს არსებულ ხელისუფლებას. საქართველოს შემთხვევაში, რევოლუციური პოლიტიკური ძალა შეიძლებოდა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილიყო გარე ძალებისაგან (ამერიკელებისაგან), ჩვენი ხელისუფლებისა და ურეიტინგო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, რაც ამერიკელების ინტერესებში არ შეიძლებოდა შესულიყო.

**შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სიტუაციიდან გამომდინარე, ამერიკელებმა პოლიტიკაში შემოსვლა აიძულეს საქართველოში საკმაოდ ავტორიტეტულ და პატივსაცემ ბიზნესმენსა და მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს** (ვისაც სჯერა იმის, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში ვაჟიშვილის თხოვნით წავიდა, ეს მისი — მიამიტი ქართველის პრობლემაა), რომელმაც ლოკომოტივის ფუნქცია უნდა შეასრულოს და არაეროვნული და პროამერიკული, ლიბერალური ჯგუფი უნდა შეიყვანოს პოლიტიკურ სისტემაში, რითაც უნდა აღადგინოს დარღვეული პოლიტიკური ბალანსი, რომელიც დაირღვა ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების უნიათობის გამო. ბალანსის აღდგენით შეიქმნება ორპოლუსიანი პოლიტიკური სისტემა და ამომრჩეველი იძულებული იქნება, არჩევანი გააკეთოს ამ ორი ძალიდან რომელიმეზე, სხვა ალტერნატივა მას არ ექნება. ამ არგუმენტების გასამყარებლად აუცილებელია, დავაკვირდეთ ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეულ პოლიტიკურ სუბიექტებს: რესპუბლიკელებსა და ალასანიას პარტიას, რომელთა რეიტინგი, ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევებით, 1 ან 2%-ს შეადგენს და რომელთა მიმართ საქართველოში მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს მათი ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური იდეოლოგიის გამო. აქვე მინდა დავამატო ქალბატონ ნანა დევდარიანის წერილიდან ერთი ძალიან საინტერესო პასაჟი, რომელიც შიგნიდან აკვირდებოდა მოვლენებს და რომელმაც დატოვა „ქართული ოცნება“: ...„ივანიშვილის ბანაკში ორი მეგობარი პარტია იმასაც უწყვეტს ჯერ არშექმნილ პარტიას, ვინ იყოს მის რიგებში და ვინ — არა“. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელ ორ პარტიაზეა საუბარი, რომლებიც პირდაპირ კონტროლდებიან ამერიკელი კურატორებისაგან. ცნობილი ამერიკელი სტრატეგის, **სტივენ მანის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ივანიშვილი ლიბერალური ვირუსით დაავადებული ინდივიდების შეყვანას ცდილობს პოლიტიკურ სისტემაში**, რათა ამერიკელებს ქართული პოლიტიკური სისტემის გაკონტროლების საშუალება მისცეს ლიბერალური ვირუსით ინფიცირებული ადამიანების მეშვეობით, რომლებიც მომავალში შექმნიან ერთ-ერთ მძლავრ პოლიტიკურ ფლანგს.

**ორპოლუსიანი პარტიული სისტემის შესაქმნელად მიხეილ სააკაშვილის დარჩენაც აუცილებელია, ვინაიდან, თუ სააკაშვილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში არ ჩაუდგება სათავეში „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს უკანასკნელი გაქრება პოლიტიკური სცენიდან, როგორც გაქრა მისი წინამორბედი „მოქალაქეთა კავშირი“, რაც, დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არ შედის ამერიკელების ინტერესებში.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერ პატრიარქალურ საზოგადოებაში და მათ შორის — ქართულში, საზოგადოება აქცენტს აკეთებს ქარიზმატულ ლიდერზე და არა პარტიულ იდეოლოგიაზე ან პროგრამაზე. გვინდა თუ არა, სააკაშვილს აქვს ქარიზმა, ამიტომ რიგი ადამიანებისა ამ ხელისუფლების მომხრეები რამდენიც არ უნდა იყვნენ, პირადად მას აძლევენ ხმას და არა „ნაციონალურ მოძრაობას“. ნურავინ იტყვის, რომ ქართველი ამომრჩეველი პარტიული პროგრამების კითხვით იკლავს თავს და ამის შემდეგ აკეთებს არჩევანს რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე.

**სააკაშვილის წასვლით კი „ნაციონალურ მოძრაობას“ გარანტირებული აქვს ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზე. ამ უკანასკნელის წასვლით მის ადგილს ალტერნატიული ძალა დაიკავებს, ასეთს ივანიშვილი და მისი გუნდი წარმოადგენენ. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ისინი ისევე გაკოტრდებიან, როგორც დღევანდელი ხელისუფლება, რადგან მათი იდეოლოგიური თუ საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია იგივე იქნება, როგორიცაა სააკაშვილისა და მისი გუნდის, ხოლო მათი დამაბალანსებელი ახალი პროამერიკული ძალა უკვე აღარ იარსებებს. ამ შემთხვევაში, სისტემა გაიხსნება და ოპოზიციური ფლანგი კვლავ გამოთავისუფლდება, რაც ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის აღმასვლას შეუწყობს ხელს და ეს ოპოზიცური ძალა შეიძლება ამერიკელების მხრიდან არაკონტროლირებადი აღმოჩნდეს, რაც ამერიკელების ინტერესებში არ შედის.** თუ დავეყრდნობით უკანასკნელი საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებს, რომელიც საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ თანადაფინანსებით ჩატარდა, ამერიკელების რეიტინგი საქართველოში სულ უფრო ეცემა, ამიტომ ამერიკელებისთვის უკეთესი ხდება ორი პოლიტიკური ძალის დარჩენა პოლიტიკურ არენაზე, რადგან ორივე მათი კონტროლის ქვეშ იქნება. სააკაშვილის ამოცანა ხდება „ნაციონალური მოძრაობის“ შეყვანა სისტემაში, ივანიშვილისა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, — მის გარშემო არსებული რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიის. არ გამოვრიცხავ, მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულების შემდეგ, ის წავიდეს პოლიტიკიდან. მან უკვე ერთ-ერთ მის წერილში აღნიშნა, რომ არ აპირებს პოლიტიკაში ყოფნას ორ წელზე მეტხანს.

სააკაშვილი, სავარაუდოდ, სათავეში ჩაუდგება „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნებში, ამაზე მან პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: **„როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი ყველაფერს გავაკეთებ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში გაიმარჯვოს“.** მის გარეშე სახელისუფლო პარტიას არანაირი შანსი არ ექნება. „ნაციონალური მოძრაობას“ გაამარჯვებინებენ ისეთი პროცენტული მაჩვენებლებით, რამდენიც საჭირო იქნება უმრავლესობის შესაქმნელად პარლამენტში, რითაც სახელისუფლო პარტიას მიეცემა შესაძლებლობა, დააკომპლექტოს მთავრობა. პრეზიდენტი კი დარჩება პოლიტიკაში, მაგრამ რა თანამდებობაზე — პარლამენტის თავმჯდომარე იქნება თუ პრემიერ-მინისტრი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

**ორპოლუსიანი პარტიული სისტემის შექმნის შემდეგ, ორი დიდი მოთამაშის მიერ პოლიტიკურ სისტემაში არსებული სხვა პატარა პოლიტიკური პარტიები თანდათან გაირიყებიან სისტემიდან, ზოგიერთს კი ეს ორი ძალა შეისრუტავს.**

**ირაკლი უბილავა**




**ამერიკელების რეიტინგი საქართველოში სულ უფრო ეცემა, ამიტომ ამერიკელებისთვის უკეთესი ხდება ორი პოლიტიკური ძალის დარჩენა პოლიტიკურ არენაზე, რადგან ორივე მათი კონტროლის ქვეშ იქნება**

## დიმიტრი მედვედევმა ხმა მეუღლესთან ერთად მისცა

**რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი საარჩევნო უბანზე მეუღლესთან ერთად მივიდა.** დიმიტრი მედვედევმა და სვეტლანა მედვედევამ 2-2 ბიულეტენი აიღეს — საპრეზიდენტო და მუნიციპალური არჩევნებისთვის. თუმცა არჩევანის გაკეთების შემდეგ ელექტრონულმა საარჩევნო ყუთმა დიმიტრი მედვედევის ბიულეტენები არ მიიღო. როგორც რუსული მედია აღნიშნავს, პრეზიდენტმა სიმტკიცე გამოიჩინა და საბოლოოდ მისი ორივე ბიულეტენი ურნაში მოთავსდა.

## საფრანგეთი სომეხთა გენოციდის შესახებ ახალ კანონს ამზადებს

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ სომეხთა გენოციდის უარყოფისთვის სპეციალური სანქციების დაწესების შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადება ბრძანა.** პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 28 თებერვალს ქვეყნის კონსტიტუციურმა საბჭომ დოკუმენტის პირველი ვერსია არაკონსტიტუციურად სცნო. როგორც სასამართლოს დადგენილებაშია აღნიშნული, სომხების გენოციდის უარყოფისთვის ნებისმიერი პირის დასჯით პარლამენტი „გამოხატვის თავისუფლებაზე არაკონსტიტუციურ თავდასხმას“ ახორციელებს.

## ნობელის პრემიაზე 231 კანდიდატს წარადგენენ

**ნობელის პრემიის კომიტეტის განცხადებით, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წელს 231 კანდიდატი იქნება წარდგენილი.** პრეტენდენტთა შორის არიან უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ბრედლი მენინგი — WikiLeaks-სთან დაკავშირებულ სკანდალში მთავარი დამნაშავე, რომელიც სასამართლოს განაჩენს ელოდება; რუსი უფლებათა დამცველი სვეტლანა განუშკინა, რომელიც უკვე მეოთხედ არის ნობელის პრემიაზე წარდგენილი; აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, კომპანია Microsoft-ის დამფუძნებელი ბილ გეიტსი, გერმანიის ექს-კანცლერი ჰელმუტ კოლი და სხვები.

მსოფლიო

## პოლიტიკური ერთობის საშუალება

**„ეს სერიოზული ნაბიჯია. ჩვენ ევროკავშირის სტაბილურობის გაძლიერებისთვის მოქმედების უნარი გამოვავლინეთ და ვიპოვეთ ახალი საშუალებები, რითაც დიდი პოლიტიკური ერთობის მიღწევას შევძლებთ“,** — აღნიშნა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ევროკავშირის საბიუჯეტო პაქტთან დაკავშირებით. პაქტს არ უერთდება დიდი ბრიტანეთი, რამდენადაც მას საკუთარი ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის საფრთხედ მიიჩნევს. დოკუმენტზე ხელმოწერას არც ჩეხეთი აპირებს, რადგან მიიჩნევს, რომ იგი ქვეყანას სარგებელს არ მოუტანს.



## ოლიმპიადას დედოფალი გახსნის

**დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე და მისი მეუღლე, პრინცი ფილიპი 27 ივლისს ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე 2012 წლის თამაშებს გახსნიან.** სამეფო წყვილი საპატიო მისიას 80 000 მაყურებლის წინაშე შეასრულებს. ბრიტანეთის სამეფო ოჯახი ოლიმპიური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. დეკემბრის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ ელისაბედ მეორეს შვილიშვილი პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ქეით მიდლტონი 2012 წლის ოლიმპიადის საპატიო ელჩები გახდნენ. ელისაბედ მეორემ ოლიმპიური თამაშები 1976 წელს კანადაში გახსნა.

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ვის რაში სჭირდება ჩვენი ქართველობა? ჩემი წილი ქართველობაც მიჩუქნია, ვისაც უნდა»



### ერეკლე დეისაძე:

# მართლმადიდებელი ვარ!

**„ღმერთი ჩემი მეგობარია“, — აცხადებს სკანდალური ნაწარმოების — „საიდუმლო სირობის“ ავტორი ერეკლე დეისაძე. თავს არა მწერლად, არამედ „სათაურის დამწერად“ მიიჩნევს და ამბობს, რომ მისთვის ტაბუდადებული თემა არ არსებობს. ვისთვის წერს, რატომ სურს პოლიტიკოსობა და მიაჩნია თუ არა, რომ ულირსი გზით მოიპოვა პოპულარობა, ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**— ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადე, რომ იოლი გზა აირჩიეთ. „არ მინდოდა წლები დამეკარგა იმისთვის, რასაც ერთ დღეში მოვახერხებდი. ეს ვიცოდი. ამიტომ ჯობია, დავტკბე იმით, რაც მაქვს“... როგორ ფიქრობთ, რა გაქვთ დღეს და რისთვის სჭირდებოდა პოპულარობა ერეკლე დეისაძეს?**

— „საიდუმლო სირობის“ გამოსვლის შემდეგ უფრო მეტი მეგობარი შევიძინე, ამას გარდა, ჩემი სექსუალური პარტნიორების რაოდენობაც გაიზარდა, უფრო მეტ გოგოს მოვწონვარ, თუმცა ბევრი ადამიანიც დავკარგე. „საიდუმლო სირობა“ არ ყოფილა ერთჯერადი აქტი. მსგავსი ხმაურის გამოწვევას მომავალშიც ვაპირებ, თუმცა, ეს შეიძლება უკვე სულ სხვა კუთხით მოხდეს. უბრალოდ, სოციალური სტატუსი უნდა შევიცვალო.

**— ის იმიჯი, რომელიც ახლა გაქვთ, სოციალური სტატუსის შეცვლაში ხელს არ შეგიშლით?**

— მე, პირველ რიგში, საკუთარი თავისთვის მაქვს დასამტკიცებელი, თუ რამდენად შემიძლია რაღაცის შეცვლა და ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა. მაგრამ მე ერთი რამ ვიცი: რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც „საიდუმლო სირობის“ ავტორ ერეკლე დეისაძედ დავრჩები, რადგან ხალხს ის ამახსოვრდება, რაც შოკში აგდებს.

**— მიიჩნევთ თუ არა საკუთარ თავს წარმატებულ ადამიანად?**

— მიუხედავად იმისა, რომ ხან მაქვს ფული და ხან არა, საკუთარ თავს წარმატებულად მივიჩნევ. მატერიალურ ფასეულობებს დეპრესიაში არასდროს ჩავუგდივარ. საერთოდ, დეპრესია ძალიან იშვიათად მაქვს, მაგრამ, თუ შევატყვე, რომ მეწყება, საკუთარი იმიჯით ტკბობას ვიწყებ. საკუთარი წარმატებით კმაყოფილი ვარ, იმიტომ დავწერე ეს წიგნი, რომ ამიერიდან რაც არ უნდა გავაკეთო, „საიდუმლო სირობის“ სახელი გაყიდის ყველაფერს, ყველაზე ცუდსაც კი. ესეც წარმატების ერთგვარი ფორმულაა. ნებისმიერი იმიჯი საინტერესოა, თუ ხალხი ამაზე საუბრობს. მაგალითად, ამ საუკუნეში ჩემთვის ერის მამობა გოიმობაა, მე უბრალო ალმწერი ვარ.

**— აცხადებ, რომ კარგი მარკეტოლოგი ვარო. ვისთვის წერს ერეკლე დეისაძე, მოსახლეობის რა სეგმენტზეა გათვლილი თქვენი ნაწარმოებები?**

— თავიდან ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის ვწერდი. მაგრამ დღეს ჩემთვის საინტერესო არ არის ხელოვანი, რომელსაც კონკრეტული წრე ჰყავს. მინდა, ჩემ შესახებ ყველამ იცოდეს. **საქართველოში დღეს ხელოვანები ერთ ადგილს ტკეპნიან. ყველაზე მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ქვეყანაში კრიტიკის კულტურა არ არსებობს. თუნდაც ჩემი ნაწარმოების შესახებ კრიტიკულ თვალსაზრისს სიამოვნებით მოვისმენდი, ოღონდ არა ისეთ გარჩევას, როგორიც მოჰყვა ამ წიგნს, ეს რა დაწერაო.**

## «რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც «საიდუმლო სირობის» ავტორ ერეკლე დეისაძედ დავრჩები»

**— ფიქრობთ, რომ „საიდუმლო სირობა“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია?**

— ვფიქრობ, ეს არის საშუალო დონის ნაწარმოები, იმიტომ, რომ უარესიც იწერება და მათ სკოლებშიც კი ასწავლიან. მაგალითად, „ჰაკი აძბას“ რატომ ასწავლიან სკოლაში, ვერ ვხვდები. როცა გავიგე, რომ აკა მორჩილაძის ტექსტი შეიტანეს სასკოლო სახელმძღვანელოებში, ეს ფაქტი ჩემთვის მისასალმებელი იყო.

ვფიქრობ, დღეს ბევრი კარგი მწერალი გვყავს და მათ აქვთ შანსი, უცხოეთშიც გაიცნონ. იმიტომ, რომ **სირცხვილია, როცა 21-ე საუკუნეში მსოფლიოს კიდევ რუსთაველით „ებლატავები“.** თუ კარგი ქვეყანა ხარ, რაიმე ღირებული ამ დროში შექმენი.

**— არ მოგწონთ „ვეფხისტყაოსანი“?**

— შინაარსობრივად არ მომწონს, მაგრამ ფორმით მშვენიერია, თუმცა ცოტა დამღლელია.

**— რატომ დამკვიდრდა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ჟარგონი, უხამსობა, როგორ ფიქრობთ, ასე უნდა წერდეს და საუბრობდეს მწერალი?**

— როცა საქმე ლიტერატურას ეხება, ვფიქრობ, ეს პრობლემა არ არის. ყველაფრის უფლება გაქვს. თუ მწერალი საკუთარ თავს ტაბუს უწესებ, ვერ განვითარდები. **ლიტერატურა ხომ ტაბუების მსხვრევაა, პოეზია კი — დამაჯერებელი ტყუილი.**

მწერალი, რომელსაც კომპლექსები არ აქვს, მწერალი არ არის. მე ვწერ ჩემს შიშებსა და კომპლექსებზე. სწორედ ამის დაძლევის საშუალებაა ლიტერატურაა.

**— არ გიფიქრიათ, რატომ უნდა იყოს ვილაცის კომპლექსებისა და შინაგანი აგრესიის გამოვლინება მკითხველისთვის საინტერესო?**

— მკითხველი „ჭორიკანაა“. კარგი გაგებით, მას უყვარს სხვისი რაღაცების გაგება.

**— ამბობთ, რომ არ გიყვართ გამეორება. თუმცა გზა, რომელიც აირჩიეთ, პოპულარობის მოპოვების ნაცადი ხერხია. მაგალითად, თავის დროზე ლაშა ბუღაძის „გიორგი რუსს“ ასეთივე უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რამაც შემდგომში ბუღაძის პოპულარობა განაპირობა. არ ფიქრობთ, რომ საქართველოში ნებისმიერი მიაღწევს პოპულარობას, თუ სხვების გრძნობებს შეურაცხყოფას მიაყენებს?**

— ლაშა ბუღაძის ნაწარმოების გამოქვეყნებიდან ათი წელი გავიდა და, წესით, ჩემს ნაწარმოებზე ხმა არ უნდა ამოეღოთ, მაგრამ, რადგან „საიდუმლო სირობას“ უფრო დიდი პროტესტი მოჰყვა, დავრწმუნდი, რომ სწორად მოვიქეცი, როცა ეს ნაწარმოები დავწერე. **მე საზოგადოების მაჯისცემას ვუსმენ და ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია მისი სუსტი წერტილი დავინახო და თითი დავაჭირო.** ეს საქმიანობა ძალიან მიყვარს.

საქართველო ისეთი პატარა ქვეყანაა, ნებისმიერი, ვინც თავის შიშს დაძლევს, პოპულარობის მოპოვებას შეძლებს.

**— იოლად მოპოვებული პოპულარობა, შესაძლოა, ასევე იოლად დაკარგოთ და ხვალ აღარავის ახსოვდეს ერეკლე დეისაძე. ღირდა ულირსი გზით მოპოვებული პოპულარობა?**

— მე არ მიმაჩნია, რომ პოპულარობა ულირსი გზით მოვიპოვე, პირიქით, ძალიან კარგი ნაბიჯი გადავდგი. პოპულარობის დაკარგვის არ მეშინია, უკვე ორი წელი გავიდა და დღემდე იმ 90-გვერდიან ბროშურაზე საუბრობენ, რომელიც ლიტერატურული თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. ეს ნაწარმოები არის სოციალური მოვლენა და გარკვეული ცვლილებები გამოიწვია ქვეყანაში — ვიღაცებმა ღიად დაიწყეს ტაბუდადებულ თემებზე საუბარი. **მე მწერალი კი არა, სათაურის ავტორი ვარ. უბრალოდ, ვერთობი.**

**— თან საზოგადოებას ნერვებს უშლი?**

— კი, ეგეც მართობს, რადგან საზოგადოება მეც ნერვებს მიშლის.

**— რა გიშლით ნერვებს ყველაზე მეტად, რაც თქვენს პროტესტს იწვევს?**

— მესმის, რომ მშიშარა ადამიანები არსებობენ და ყველას თავისი არჩევანი აქვს, მაგრამ მაინც ძალიან მაღიზიანებს, როცა ქვეყანაში რაღაც უსამართლობა ხდება და ამაზე ხმას არავინ იღებს. როცა საკითხი რელიგიასა და საპატრიარქოს ეხება, გამოვა მრევლი და აპროტესტებს. არადა, სჯობს, ის უსამართლობა გააპროტესტონ, რომელიც ქვეყანაში ხდება.

ამას გარდა, ქართველებს პროტესტის კულტურა არ გააჩნიათ. მაგალითად, როცა გამოსულია ადამიანი ქუჩაში და ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ ვითარებას აპროტესტებს, მიდის მასთან ჟურნალისტი და ეკითხება, თუ რატომ დგას აქციაზე. ის პასუხობს, რომ თურმე მამულს და სარწმუნოებას ართმევენ. **არავინ არაფერს არ გვართმევს, ვის რაში სჭირდება ჩვენი ქართველობა? ჩემი წილი ქართველობაც მიჩუქნია, ვისაც უნდა. არ მესმის, ვისი ეშინიათ.**

**— იქნებ გლობალიზაციის ეშინიათ? გლობალიზაცია განსაკუთრებით მცირე ერებს უქმნის საფრთხეს...**

— მაგ შიშმა დაღუპა ბევრი ქვეყანა და საბჭოთა კავშირიც სწორედ მაგ ჩაკეტილობამ დაანგრია. **ეროვნულობა საერთოდ რას ნიშნავს, არ ვიცი. ფეხებზე მკიდია ქართველობა და ეგეთი რაღაცები. ჩემთვის ყველა ადამიანი ძვირფასია და ხანდახან ჯიბრზე მინდა, რომ, მაგალითად, სომეხი გავხდე.**

## «სირცხვილია, როცა 21-ე საუკუნეში მსოფლიოს კიდევ რუსთაველით «ებლატავები»

ადამიანების ეროვნებისა და რელიგიური ნიშნით დაყოფა არ შეიძლება, ვინაიდან ყველა ქვეყანას თავისი კულტურული თუ ისტორიული ღირსება გააჩნია.

**— ღირსება, რომელიც, ალბათ, ნებისმიერმა ერმა უნდა დაიცვას?**

— დაიცვას, არა! საკუთარი გამოცდილება სხვა ერებს უნდა გაუზიაროს. მაგალითად, როცა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ვამაყობთ, ის არ არის მხოლოდ საქართველოს საკუთრება, ის მთელი მსოფლიოს საკუთრებაა.

იმდენი პრობლემაა გასაპროტესტებელი, ესენი რასაც აპროტესტებენ, ჩემთვის ძალიან სასაცილოა. ან კიდევ: ამ ფორმულირებას რომ არიან ჩაბღაუჭებულები, „მამული, ენა, სარწმუნოებაო“ — ეს ჩემთვის მიუღებელია.

**— სწორედ ენა, მამული და სარწმუნოება რომ არ დაეცვათ, ჩვენ, შესაძლოა, დღეს საერთოდ არ ვყოფილიყავით.**

— იმ დროში დასაცავი იყო, როცა მართლა მოდიოდნენ და გვართმევდნენ.

**— დღესაც ხომ ბევრი მტერი ჰყავს საქართველოს?**

— მტერი გვყავს, მაგრამ, როცა კომპიუტერს და ინტერნეტს აღიქვამ მტრად, და ინგლისური ენის სწავლება ენის წართმევასთან ასოცირდება, ჩემთვის ეს გაუგებარია.

**— დღეს სასულიერი პირები თავად სარგებლობენ და რეგისტრირდებიან სოციალურ ქსელებში.**

— ბევრ სასულიერო პირს ინტერნეტი და ინგლისური დიდ საფრთხედ მიაჩნია. დღეს საქართველო ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი მრევლია და მეორე ნაწილს სახელი ჯერ ვერ მოვუძებნე. გამოდიან და აბსურდულ რაღაცებს აპროტესტებენ. მაგალითად, მეჩეთის მშენებლობას აპროტესტებს ხალხი და არავის გაუპროტესტებია, როცა პოლიციის შენობაში კაცი მოკლეს. ეს ჩემთვის სამარცხვინოა. ვფიქრობ, მეჩეთების მშენებლობაზე უფრო დიდი პრობლემებია საქართველოში. აშენდეს მეჩეთი, რატომ არ უნდა აშენდეს?

**— გითქვამს, რომ გინდა პოლიტიკოსობა. „ფეისბუქში“ გვერდიც კია შექმნილი — „ავირჩიოთ ერეკლე დეისაძე პრეზიდენტად“. რატომ გინდათ პოლიტიკოსობა, ისევ მხოლოდ საკუთარი თავის პოპულარიზაციისთვის?**

— მინდა რაღაც შეიცვალოს. რადგან ამ ქვეყანაში დღევანდელი პოლიტიკოსები ვერაფერს აკეთებენ, ამიტომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ხელოვანმა ხალხმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. პარლამენტში იმდენი გოიმი ზის, საჭიროა, ხელოვანი ხალხი მივიდეს და რაღაც შეცვალოს.

**— თუმცა ბევრის აზრით, რომ ხელოვანმა თავისი საქმე უნდა აკეთოს და პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიოს.**

— აპოლიტიკური ხელოვანი დეგენერატია. ეს შეხედულება საბჭოთა გადმონაშთია, რადგან კულტურა იყო სისტემის შესანარჩუნებელი მანქანა. შეიძლება გლობალურ საკითხებში არ ჩაერიო, მაგრამ, როცა „მარშრუტკით“ მგზავრობაში 80 თეთრს იხდი, ხომ ნიშნავს, რომ ეს შენც გეხება? ჩვენთან კი რა ხდება? ახლო წარსულში ჩვენთან ჯანსულ ჩარკვიანი კი იჯდა პარლამენტში, მაგრამ ამან უფრო „დაურხია“ ქვეყანას. მე ვისურვებდი, მაგალითად, პარლამენტში ყოფილიყო ირაკლი ჩარკვიანი, თუმცა მიმაჩნია, რომ ხელოვანი პარლამენტში პარტიული ნიშნით არ უნდა იყოს.

**— მომავალ პოლიტიკოსს რჩეული პარტია თუ ჰყავს?**

— არა, ყველა პარტია მეზიზღება, რადგან ვერ ვხედავ ახალ სახეებს, ახალ იდეებს. **ჩემთვის მიუღებელია ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, როცა ორი-სამი კაცი წყვეტს, ვინ უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და იმღეროს. მარტო საკუთარი გემოვნება არ უნდა დაიკმაყოფილონ, ეს საკითხი კომპეტენტური ხალხის გადასაწყვეტი უნდა იყოს. დღეს ყველაზე მთავარი პრობლემა უგემოვნობაა. რაღა დროს ტოტო კუტუნიოა? დედაჩემი აღარ უსმენს მაგას.**

**— ანუ კულტურის მინისტრს გემოვნებას უწუნებ?**

— კულტურის მინისტრს ერთი ნაკლი აქვს — ჯაზით ტვინი წაილო. კარგია ჯაზმენების ჩამოყვანა, მაგრამ **ბევრი ნიჭიერი ქართველ მუსიკოსია და სჯობს, მათ მისცენ ის თანხა. დღეს კი რა ხდება? ფულს მოგცემენ, თუ მათ მაისურს ჩაიცვამ, მაგრამ ამით უკვე დამოუკიდებლობას კარგავ.** ასეთმა საქციელმა ბევრი ხელოვანი დაღუპა, მაგალითად, ზუმბა, ლექსენი, რომელიც ცოტა ხნის წინათ „კურტუმოს აქნევდა“ და პატრიოტებს მიუძღოდა. ელემენტარულად, ქართული ესტრადაც არ არსებობს ჩვენთან, ყველაფერი ახლიდან გასაკეთებელია.

**— თუ პოლიტიკოსობა გსურთ, ალბათ, თვალს ადევნებთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. პარლამენტში პრეზიდენტის ბოლო, ხმაურიანმა გამოსვლამ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?**

— თავიდან ბოლომდე ცირკი იყო. სულ ერთი და იგივე ხალხი ტრიალებს. არც ერთი მხარის არ მჯერა.

**— რაც შეეხება რელიგიას... თქვენ წერთ: „ღმერთი მარკეტინგულად შეფუთული წმინდა სახის პროდუქტია, მისით იმართება მასა, რომლის ცნობიერებაც სავსეა ნალექით“. გყავთ თუ არა მართლმადიდებელი მეგობრები და თუ ფიქრობთ, რომ ამ ნაწარმოებით მათ რელიგიურ გრძნობებს, რწმენას შეურაცხყოფა მიაყენეთ?**

— მე თავადაც მართლმადიდებელი ვარ და ჩემი ნაწარმოებით, არა მგონია, შეურაცხყოფილები დარჩენილიყვნენ. რატომ ისაკუთრებენ რელიგიას ვიღაცები და მიაჩნიათ, რომ მათი საკუთრებაა, ვერ ვხვდები. ღმერთი ჩემი მეგობარია და მე არ მეშინია მისი, რადგან, თუ გეშინია, როგორ გეყვარება?

**— „საიდუმლო სირობის“ გამოსვლას მოჰყვა პროტესტის ტალღა, რამაც 8 ახალგაზრდის დაპატიმრება გამოიწვია. ღირდა ამად ეს წიგნი?**

— ისინი ხულიგნები იყვნენ, დააშავეს და კანონიდან გამომდინარე დაიჭირეს, თუმცა თავად ფაქტზე მაინც ვწუხვარ.

**— თუმცა თავად ნინო ჯანგირაშვილმაც განაცხადა, რომ დაპატიმრებული პირები დამნაშავეები არ იყვნენ.**

— უკეთესი იქნებოდა, ეს ახალგაზრდები კი არა, ისინი დაეპატიმრებინათ, ვინც ისინი შეცდომაში შეიყვანა. ისინი მხოლოდ მსხვერპლნი არიან.

**— რაზე მუშაობთ და რას ეტყვით ახალს საზოგადოებას, რაც აქამდე არ გითქვამთ?**

— ვწერ ნაწარმოებს, რომელსაც „დამლაგებელი“ ჰქვია. საზოგადოება სულ სხვა დეისაძეს გაიცნობს. ამას გარდა, სხვა ინტერესებიც მაქვს, მინდა მუსიკალური ალბომი ჩავწერო, მასაჟისტობაც მინდა, შევისწავლო. ამას წინათ ხელში ჩამივარდა ძალიან საინტერესო წიგნი, სადაც საუბარია იაპონურ თერაპიაზე — თითების დაჭერით, რამაც ძალიან დამაინტერესა. ასე რომ, მომავალში, შესაძლოა, მასაჟისტი ერეკლე დეისაძეც ვიხილოთ. ვფიქრობ, ადამიანებს ამ პროფესიის მეშვეობით უფრო მეტ სიკეთეს მოვუტან, მაგრამ ცოტათი ადამიანებმაც გამიგონ.

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს გლეხების 80%-ს არ აქვს საშუალება, რომ მიწის ფართობი დაამუშაოს, ამიტომ ქვეყნის ინტენსიური სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი (60%), ფაქტობრივად, დაუმუშავებელია. გარდა ამისა, გლეხს ზურგზე აწევს მიწისა და სარწყავი წყლის გადასახადი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ გაიზარდა. დღესდღეობით ჩვენი სოფლის მეურნეობა განიცდის კრიზისს და, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სულ უფრო მასშტაბურ და მწვავე ხასიათს იღებს...“

პაატა კოღუაშვილი:

# ჩვენ დღეს ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენის პრობლემის წინაშე ვდგავართ



**ხელისუფლების მიერ საგულდაგულოდ გაპიარებული სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ გეგმასა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი.**

**— ბატონო პაატა, ამასწინათ სააკაშვილმა პარლამენტში, ყოველწლიური ანგარიშის ფარგლებში, ძირითადი ყურადღება სოფლის მეურნეობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ ეს მისი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიაც, რომელიც, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია, მეტწილად ამაზე იგება. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ეს ყველაფერი?**

— სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა;

მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;

სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობის მნიშვნელოვანი ელემენტია;

განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების საჭიროება, ამიტომ ერთიან სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

სოფლის მეურნეობისა და საერთოდ სოფლისადმი საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, იქიდან ჩანს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობს არაპროფესიონალი, დარგის არმცოდნე ადამიანი. ეს არის სწორედ აგრარული მეურნეობის, გლეხკაცისა და აგრარული მეცნიერების აბუჩად აგდება და მათ მიმართ არასერიოზული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება, რითაც ეს ხელისუფლება მოსვლის დღიდან გამოირჩეოდა.

**დღეს გლეხების 80%-ს არ აქვს საშუალება, რომ მიწის ფართობი დაამუშაოს, ამიტომ ქვეყნის ინტენსიური სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი (60%), ფაქტობრივად, დაუმუშავებელია. გარდა ამისა, გლეხს ზურგზე აწევს მიწისა და სარწყავი წყლის გადასახადი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმეჯერ გაიზარდა. დღესდღეობით ჩვენი სოფლის მეურნეობა განიცდის კრიზისს და, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სულ უფრო მასშტაბურ და მწვავე ხასიათს იღებს...**

**— პარლამენტში გამოსვლისას სააკაშვილმა ისიც თქვა, რომ დღევანდელი მდგომარეობით სოფლის მეურნეობის სექტორი 35%-ით გაიზარდა. რამდენად ახლოსაა ეს ციფრი რეალურ მონაცემებთან?**

— ეჭვი მეპარება, ასე იყოს, იმიტომ, რომ რეალურად ეს არ ასახულა არც ერთ სექტორზე და არც ერთ მიმართულებაზე. ერთადერთი, რაშიც ზრდა შეინიშნებოდა, იყო ღვინის ექსპორტი, მაგრამ ესეც იმდენად მცირე ოდენობით, რომ არა მგონია, ამას რამე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აგერ გვაქვს ფაო-ს მონაცემები, რომელშიც წერია, რომ **2003-2010 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების ინდექსი მინუს 29% იყო საქართველოში.** ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელი მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის. ასე რომ, რომელ ზრდაზეა საუბარი, ჩვენ დღეს ქვეყნის შიმშილისაგან გადარჩენის პრობლემის წინაშე ვდგავართ და ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი კეთდება.

**— კი მაგრამ, აბა, რას ემსახურება სააკაშვილის მიერ წარმოდგენილი ოთხპუნქტიანი გეგმა?**

— არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ მთავრობას დღემდე არ გააჩნია მიღებული და გაცხადებული აგრარული პოლიტიკის კონცეფცია, სამოქმედო გეგმა (სტრატეგია) და პროგრამა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართულებით არსებული პრობლემების გადაჭრა. რაც შეეხება იმ გეგმას, რომელიც თქვენ ახსენეთ, ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ვერანაირ დადებით შედეგს ის ვერ მოიტანს, ვინაიდან, ძალიან მარტივად თუ ვიტყვით, მასში არ არის ის ძირითადი პრობლემები დანახული, რაც რეალურად გააჩნია ჩვენს სოფლის მეურნეობას და გლეხკაცს — სოფლის მაცოცხლებელსა და გარდამქმნელს, ქვეყნის ნომერ პირველ მარჩენალს.

**— თქვენი აზრით, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება, თუ, უბრალოდ, არაპროფესიონალიზმს შეიძლება დავაბრალოთ?**

— მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: ის, რასაც აკეთებს მთავრობა სოფლის მეურნეობის სფეროში, არის არაეფექტიანი და უშედეგო. ხელისუფლება არ ფიქრობს ამ დარგის განვითარებასა და მოღონიერებაზე, იმიტომ, რომ მისი მიზანია, რაც შეიძლება მეტი გაჭირვება იყოს სოფლად, რომ როგორმე მოსახლეობა აიყაროს იქიდან. მერე მათ მიწებს გაასხვისებენ უცხოელებზე; არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ მივიღე ინფორმაცია, რომ **ახლახან კახეთში 5000 ჰექტრამდე მიწის ფართობი მიჰყიდეს ირანელებს.**

**ჩემის აზრით, ხელისუფლება გეგმავს სასოფლო მიწის ბიზნესის წარმოების საშუალებად, შემოსავლის წყაროდ გადაქცევას, ხოლო თუ რა მდგომარეობაშია გლეხი და როგორ უნდა იარსებოს, ეს უკვე არ აინტერესებს.**

**პრემიერ-მინისტრ გილაურს და მის ეკონომიკურ გუნდს არ ესმით სოფლისა და სოფლის მეურნეობის როლი, ადგილი და მნიშვნელობა.**

მათ არ ესმით, რომ ეროვნული აგრარული პროდუქციის წარმოება ქვეყნის იდენტურობისა და კულტურული ტრადიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატარებელია... ჩვენ გვაქვს იმის პოტენციალი, რომ ვიყოთ მსოფლიოს იმ ხუთ-ექვს ქვეყანას შორის, რომლებიც უნიკალურია თავისი აგრარული პროდუქციით, მაგრამ ვიმეორებ: იმ პირობებში, როცა არშემდგარი ექიმი განაგებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა აბარია ადამიანს, რომელსაც, გამოცდილებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ დარგის არანაირი ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, რამე წინსვლაზე და განვითარებაზე, უბრალოდ, საუბარიც ზედმეტია. ჩვენ ასე ვერაფერს მივაღწევთ, ის კი არა, დღეს რა მდგომარეობაც გვაქვს, ხვალ და ზეგ შეიძლება ისიც სანატრელი გაგვიხდეს...

**— სააკაშვილის ინიციატივით, უახლოეს მომავალში ყველა რაიონში ამოქმედდება საინფორმაციო-სამეურნეო ცენტრები, რომელთა მიზანიც მოსახლეობის ინფორმირება იქნება. თქვენი აზრით, რამდენად დროული და მისაღებია ეს ინიციატივა?**

— დასაწყისშიც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ ხელისუფლების მიერ გატარებულ არც ერთ ღონისძიებას აქამდე დადებითი შედეგი არ მოუტანია და ვერც ამ ცენტრების გახსნა მოიტანს, ვინაიდან, რეალურად მათ არ აინტერესებთ სოფელი და სოფლის მეურნეობა. ყველაფერს თავი დავანებოთ, მთავრობას რომ სოფელი არ ადარდებს, იქიდანაც ჩანს, რომ ამ ქვეყანაში ერთი აგრარული უმაღლესი სასწავლებელიც არ არის; დაცინვაა ის, რაც მოხდა და რასაც აკეთებს ბენდუქიძე, თავის გუნდთან ერთად აგრარული უნივერსიტეტის მიმართ. პრაქტიკულად ყველაფერი მოშალეს და გაანადგურეს იქ, აბრალა დარჩა აგრარული უნივერსიტეტისგან და ახლა კიდევ ეს კაცი დასცინის საზოგადოებას, მე იქ კულინარიის აკადემია გავაკეთეო. ეს ადამიანი, თავისი ხედვით, თავისი აზროვნებით, უნდა მოსცილდეს სახელმწიფოს, არ შეიძლება, მისი რჩევებით იმართებოდეს აგრარული მეცნიერება და განათლება.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება განასხვავებს: ა)სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებასა და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად, ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა – სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.

**აგრარული მეცნიერება, მისი არსებობა-არარსებობის საკითხი საქართველოში ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული** (აგრეთვე, უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც 2010 წლის ბოლოს კვლევით ორგანიზაციებს მთავრობამ ჩამოართვა იურიდიული პირების სტატუსი და განყოფილებების უფლებებით შეიყვანა უნივერსიტეტებში. სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემის ამგვარი ორგანიზება ქვეყნის მიმართ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან, მათი აზრით, „სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა“.

**— დასაწყისში თქვენ სოფლის მოსახლეობისთვის ხელშეწყობის პროგრამებზე საუბრობდით. ახლახან ხელისუფლებამ ვაუჩერები დაარიგა, როგორ ფიქრობთ, ეს არ იყო გარკვეული ხელშეწყობა?**

— მოდით, ამ შემთხვევაში შედეგიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ. ამ **ვაუჩერების დარიგება ბიუჯეტს 27 მილიონი ლარი დაუჯდა, რაც ჩვენისთანა ქვეყნისთვის დიდი თანხაა. ყველაფერს თავი დავანებოთ, ეს პირდაპირ ურტყამს ინფლაციას, ანუ დადებით შედეგს კი არ იძლევა, არამედ ანგრევს ეკონომიკას.** აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, თუ სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს საბოლოოდ ამ ყველაფერმა, მაგრამ ხელისუფლებას ეს არ აინტერესებს; ის არ აკეთებს გათვლას გრძელვადიან პერსპექტივაზე, იმიტომ, რომ მისთვის მთავარია პიარი და არა შედეგი...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენ, როგორც ამ დარგის სპეციალისტი, გამოსავალს რაში ხედავთ, რა რესურსი გააჩნია ხელისუფლებას არსებული პრობლემების გადასაჭრელად?**

— ნაწილობრივ ამაზე უკვე ვისაუბრე და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ, უწინარესად, საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამისა და სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება უახლოესი წლების ამოცანები (კონკურენტუნარიანი, სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგების მაღალი ტემპებით განვითარება) და მათი განხორციელების საშუალებები საქართველოს საშუალო და გრძელვადიანი (10-15 წლიანი) მიზნების გათვალისწინებით (ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და აგრარული კრიზისის დაძლევა, სასურათის ექსპორტის გაფართოება და სურსათის იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება). უამისოდ არაფერი გამოვა. საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომელთაც წარმატებით შეუძლიათ აგრარული სექტორის განვითარების რეალური სტრატეგიისა და შესაბამისი პროგრამის შემუშავება.

**აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართავ პრეზიდენტ სააკაშვილს თხოვნით, რომ შეგვხვდეს 3-4 აგრარიკოსს. ჩვენ მას გავაცნობთ შემუშავებულ პროგრამას, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი, თუ რა სჭირდება დღეს ყველაზე მეტად ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, სოფელს და გლეხკაცს. ესაა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დასაბუთებული, საფუძვლიანი სტრატეგია, რომლის რეალიზაცია არც თუ ისე დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული.**

## ქვეყნის ინტენსიური სავარგულების 60 პროცენტი დაუმუშავებელია

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე სააკაშვილს საქართველოს ხედების ალბომი უდევს. თუ რომელიმე ხედი მოგეწონებათ და „დაალაიქებთ“, ეს „ლაიქი“ ავტომატურად მიხეილ სააკაშვილს ემატება. ასე მან უკვე საქართველოს ხედების მოყვარულთა 72 ათასი ხმა მიითვისა.**

# პრეზიდენტი რომ «ფეისბუქზე» «ლაიქებს» მოიპარავს, ის არჩევნებს არ გააყალბებს?!




**პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას სააკაშვილი სულ უფრო მეტს რომ ცრუობს, ამას ოპოზიციაც ხედავს და მოსახლეობაც, თუმცა ამჯერად ნურც „საყოველთაო“ დაზღვევაზე შევჩერდებით და ნურც 1000-ლარიან ვაუჩერებზე. სხვა ბრალდებათა შორის პრეზიდენტს ისიც წაუყენეს, რომ საქართველოს ბალნეოლოგიური კურორტები მამამისის – ნიკოლოზ სააკაშვილის ხელში გადავიდა. პრეზიდენტმა ჯონდი ბაღათურიას „ტალახის აბაზანებისკენ“ მიუთითა და ისიც დააყოლა, „ტალახში გორაობა მაინც გიყვარსო“! მანდატურებს კი მოუწოდა, „კარგად დაეზილათ“ ოპოზიციონერი.**

დარბაზიდან გავარდნილმა და მოგვიანებით უკან დაბრუნებულმა სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ მამამისი ბალნეოლოგიურის მხოლოდ დანიშნული დირექტორია და არა მისი მფლობელი. რაკილა ჩვენმა „ეფექტიანმა“ მთავრობამ საჯარო რეესტრი მართლაც საჯარო გახადა, საბუთის მოპოვება დიდ პრობლემას აღარ წარმოადგენს. კერძოდ, ბალნეოლოგიური კურორტის შესახებ ვკითხულობთ: „შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი **თბილისი-სპა** ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“ რეგისტრირებულია 2005 წლის 15 ივლისს იურიდიულ მისამართზე ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქუჩა №9-ში. გენერალური დირექტორია ნიკოლოზ სააკაშვილი. შპს-ში სახელმწიფოს წილი 100 პროცენტია.

თითქოსდა, რას ვერჩით პრეზიდენტს, ბალნეოლოგიურის მფლობელი სახელმწიფოა, მამამისი კი — მხოლოდ მისი ხელმძღვანელი, თუმცა საჯარო რეესტრი სხვა დოკუმენტსაც ინახავს. მის თანახმად კი 2012 წლის 12 იანვარს იმავე იურიდიულ მისამართზე — ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქუჩა №9-ში რეგისტრირებულია „შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი თბილისი-სპა ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის განვითარების ფონდი“, რომლის დირექტორი არა ნიკოლოზ სააკაშვილი, არამედ ვინმე ალექსი გახარიაა, ხოლო მისი იურიდიული ელექტრონული მისამართი თავად მეტყველებს, თუ ვის ეკუთვნის იგი: saakashvilicenter@gmail.com.

სადამფუძნებლო დოკუმენტებში ვკითხულობთ: „ფონდის“ დამფუძნებელია ნიკოლოზ სააკაშვილი (დაბადებული 24.06.1944 წ. თბილისში). ფონდის მიზნებია „შპს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი თბილისი-სპა ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის განვითარების ხელშეწყობა; უცხოელი და ადგილობრივი დონორების მოზიდვა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის და საქართველოს კურორტების განვითარების ხელშეწყობის მიზნით; სოციალური სამედიცინო-სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელება ავადმყოფების, ღარიბების, ლტოლვილებისა და სოციალურად დაუცველი პირების დასახმარებლად და სხვ.

**მიზნები ისეთივე კეთილშობილურია, როგორც უმცროსი სააკაშვილისა, რომელთაც პარლამენტში წელიწადში ერთხელ გამოცხადების შემდეგ იგი ისევე ადვილად ივიწყებს, როგორც 100-დოლარიანი პენსია და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა დაივიწყა.**

სააკაშვილისგან სიცრუე აღარავის უკვირს, თუმცა ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ეს საქართველოს პრეზიდენტისთვის კვლავაც უცნობია. არც ის სჯერა ვინმეს, რომ მამამისს პრობლემებს ან საგადასახადო შეუქმნის, ან კუდი და სოდი, ან თუნდაც ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო. თბილისში, გორგასლის 9-ში მდებარე ბალნეოლოგიური კურორტი (როგორც სხვა კურორტები, რომლებზე „ზრუნვაც“ უფროს სააკაშვილს ნებაყოფლობით აუღია საკუთარ თავზე) ისევე ეკუთვნის მას, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის მთელი კორპუსი მის ყოფილ მეუღლესა და დღევანდელი პრეზიდენტის დედას.

**გიული ალასანია აქტიური ბიზნესმენი 2004 წლის ზაფხულიდან გახდა და ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს აკონტროლებს. პრეზიდენტის დედამ 2004 წლის ზაფხულში ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად დააფუძნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა, რომელიც მალე დამოუკიდებელ უნივერსიტეტად — „საქართველოს უნივერსიტეტად“ გადაკეთდა.**

**ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა რამაზ ხუროძემ უნივერსიტეტის წილი სიმბოლურ ფასად – 200 ლარად სწორედ გიული ალასანიასა და მის მეგობარსა და ბიზნესპარტნიორ მანანა სანაძეს დაუთმო.** ალბათ, სწორედ ამის წყალობით გადაურჩა ხუროძე კორუფციაში ბრალდებასა და დაპატიმრებას, როცა გაცილებით ნაკლები დანაშაულისთვის სხვებს ფულიც აართვეს და „ვირის აბანოც“ ახეხინეს. 2005 წელს კი გიული ალასანიამ სახელმწიფოსგან პირდაპირი წესით 2106 კვ.მ ფართობის შენობა მიიღო მის შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად, ხოლო საიჯარო ქირად მხოლოდ 250 დოლარის გადახდა დაეკისრა.

2008 წლიდან კი ტექნიკური უნივერსიტეტის დაახლოებით 15827 კვ.მ უკვე „საქართველოს უნივერსიტეტის“ საკუთრებად ირიცხება. დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილ კორპუსს, რომელშიც გიული ალასანიას უნივერსიტეტია განთავსებული, „კოსტავას ქ.№77-ა“ მისამართი აქვს, ნაცვლად — „კოსტავას ქ.№77“-ისა, რაც იმას ნიშნავს, რომ გიული ალასანიამ საკუთარი სტატუსი და პრივილეგია სახელმწიფო ქონების მისათვისებლად გამოიყენა. გასულ წელს ეს ინფორმაცია რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა გაახმიანა, მაგრამ მისთვის სააკაშვილს პასუხი არ გაუცია. ალასანიას ინტერესები „საქართველოს უნივერსიტეტით“ არ შემოიფარგლება. გიული ალასანია არის შავი ზღვის უნივერსიტეტის პრორექტორი. მისმა შვილმა, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი ამ უნივერსიტეტს სიმბოლურ ფასად გადასცა მიწა თბილისში, სადაც დღეს უნივერსიტეტის ახალი კორპუსი შენდება. 2009 წელს კი გიული ალასანია კიდევ ერთი უნივერსიტეტის დამფუძნებლებში ჩნდება, კერძოდ მან აუქციონზე შეიძინა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის 14%-იანი წილი, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ სხვა დაინტერესებული მხარე არ არსებობდა.

**„ტალახის აბაზანები“ არც თავად სააკაშვილს აწყენდა, მაგრამ ვინ და როგორ მიაბრძანებს მას და, მით უფრო, ვინ დაზელს, კვლავაც უცნობია.** ერთი კი ფაქტია, რომ მისი ტყუილები მხოლოდ ახლობელ-მეგობრების ქონების დაცვაზე როდია მომართული; „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე სააკაშვილს საქართველოს ხედების ალბომი უდევს. თუ რომელიმე ხედი მოგეწონებათ და „დაალაიქებთ“, ეს „ლაიქი“ ავტომატურად მიხეილ სააკაშვილს ემატება. ასე **მან უკვე საქართველოს ხედების მოყვარულთა 72 ათასი ხმა მიითვისა.** ფორუმებზე მოწოდებაც კი გაჩნდა, რომ სააკაშვილის გვერდზე არც ერთი, თვით ყველაზე წარმტაცი ფოტო არ დაალაიქოთო!

ბალნეოლოგიური კურორტი და უნივერსიტეტები იქით იყოს, მაგრამ **კაცი რომ „ფეისბუქზე“ „ლაიქებს“ მოიპარავს, ის არჩევნებს არ გააყალბებს?!**

**თამარ დავითულიანი**

# გალღეტილი ხერხემალი...



**ამ სიტყვებით სააკაშვილმა საკუთარ ხერხემალს – ვანო მერაბიშვილს მოსწმინდა პირი, როცა პარლამენტში ყოველწლიურ მოხსენებაზე ოპოზიციამ მისი მთავრობისა და გარემოცვის კორუმპირებულობაზე მიუთითა და მაღალჩინოსანთა სახლების ფოტოებიც აუფრიალა.**

რატომ ვერ აღმოაჩინა ჩვენმა ოპოზიციამ „კორუფციის დამმარცხებელი“ ჩვენი მთავრობის წევრების სამზე მეტი ფეშენებელური ვილა, გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილმა თვალის დაუხამხამებლად განაცხადა, რომ ეს ტყუილია (გოკა გაბაშვილიც დაემოწმა) და მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა: „აი, მაგალითად, ვანო მერაბიშვილი, რა გალღეტილიც იყო, ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ისეთივე გალღეტილი დარჩა!“

**პოლიგლოტმა სააკაშვილმა თუ უცხო ენებიც ისეთივე „სრულყოფილად“ შეისწავლა, როგორც მშობლიური, მაშინ გასაგები ხდება, რატომ ვერ აგებინებს, მაგალითად, რუსებს, რა უნდოდა და რა თქვა სინამდვილეში. სიტყვა „გალღეტილს“ ქართველები არა სიღარიბის, არამედ ცრუპენტელობის, „გაცვეთილობის“, „ყველაფერზე წამსვლელის“ აღსანიშნავად ხმარობენ. თუმცა... იქნებ სააკაშვილს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა მერაბიშვილზე ლაპარაკობდა?**

ასეა თუ ისე, „გალღეტილობის“ თემა კვლავაც აქტუალურია: ჯერ ის გაირკვა, რომ სააკაშვილი საკუთარ ოფიციალურ გვერდზე ფეისბუქში „ლაიქებს“ იპარავს; საქართველოს ხედების ალბომში რომელიმე ფოტოს თუ მოიწონებთ, ეს მოწონება ავტომატურად სააკაშვილის მოწონებად ფიქსირდება. ასე და ამგვარად, საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა უკვე 72 ათასი „ლაიქი“ მიითვისა.

ახლა ისიც გახდა ცნობილი, რომ იმავე ოფიციალურ გვერდზე ბოტ სისტემაა ჩართული და საათში 300 „მომწონებელი“ ფიქსირდება. ყოველწამიერად „იწონებენ“ ფეისბუქის მომხმარებლები მიშიკოს და ამ გზით 78 ათასი იუზერი გიჟდება, ისე „მოსწონს“ მიხეილ სააკაშვილი! ფორუმებში იცინიან, იცინიან, კვდებიან სიცილით: „მალე გამორთონ, თორემ საქართველოს მოსახლეობას გადააჭარბებს!“

სააკაშვილი პირადად რომ „ჩალიჩობს“ „ფეისბუქში“, ეს არც ჩვენ გვჯერა, მაგრამ მისი გუნდიდან ვიღაცები ხომ სხედან და პრეზიდენტს, რომელიც კომპიუტერთან მაინცდამაინც ვერ მეგობრობს (ასე თავად მისი გარემოცვა ლაპარაკობს), ვირტუალურ, „საყოველთაოდ მოწონებულ“ პრეზიდენტ სააკაშვილს უხატავს! ისიც ბედნიერია და ვერ გაუგია, რას ერჩიან მას ახირებული ოპოზიციონერები და საძაგელი ჟურნალისტები.

**გალღეტილები არიან, თქვენო აღმატებულებავ, ისეთივე გალღეტილები, როგორიც თქვენს მოსვლამდე იყვნენ და თქვენი მესამედ მოსვლის შემდეგაც გალღეტილები იქნებიან, იმ 78 ათასი თქვენი „მომწონებლისგან“ განსხვავებით, რომლებიც საკუთარ თავს და თქვენ დაგხარიან!**

**თამარ დავითულიანი**

# ციხეს რად უნდა გაზეთი!

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში უარყოფენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ციხეებში პატიმრებისთვის ბეჭდური გამოცემების შეგზავნა აიკრძალა. სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი თეა სუხიშვილი ამბობს, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება.**

საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ომბუდსმენის ოფისის პრევენციისა და მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია იმნაძემ „ნეტგაზეთთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამანათით პრესის შეტანა, ბოლო რამდენიმე თვეა, არაოფიციალურად აიკრძალა.

**„სასჯელაღსრულებითს დაწესებულებებში არსებულ მაღაზიებში უმრავლესობა გაზეთებისა არ იყიდება, გარდა გაზეთ „კვირის პალიტრისა“ და სპორტული გაზეთისა. ჩვენი თვალითაც ვნახეთ, რომ გაზეთების უმრავლესობა არ შედის ციხეებში“,** — აღნიშნა ინტერნეტ-გამოცემასთან საუბრისას ნათია იმნაძემ.



**კონფლიქტი ისრაელსა და სომხეთს შორის, ებრაულ და სომხურ მსოფლიო დიასპორას შორის ასევე წარმოდგება იერუსალიმსა და წმინდა მიწაზე სომხური ორთოდოქსული ეკლესიების, მონასტრების, კონგრეგაციებისა და სომხური ქრისტიანული მრევლის სტატუსის გადაუჭრელობის პრობლემიდანაც. ბევრი სომხური ეკლესია ებრაელების მიერ გაძარცვულია, უსამართლოდ დახურულია, ექსპროპრიირებულია ან დანგრეული. „ებრაული სახელმწიფოს" მიერ ქრისტიანების მიმართ სიძულვილით აღზრდილი ებრაელი სამხედროები ავტომატებით ხელში არაერთხელ შევარდნილან სომხურ ეკლესიებში და მრევლისთვის ცეცხლი გაუხსნიათ.**

კონსპიროლოგია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-8 (140-146)

**მეოცე საუკუნის დასაწყისში სიონისტებმა ფართო ცრუმეცნიერული კამპანია წამოიწყეს სომეხთა „სემიტური" წარმოშობის დასამტკიცებლად. ამ პროპაგანდისტულ სამუშაოში მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ასეულობით ებრაული წარმოშობის მეცნიერი ჩართეს. ისინი წარმატებით ჩანერგეს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის არმენოლოგიურ აკადემიურ ინსტიტუტებში.**

XX საუკუნის 30-იანი წლებისთვის ეს მზაკვრული იდეა „სომეხთა იუდეიზაციის" კარგად აწყობილ პროექტად ჩამოყალიბდა, რომელიც ებრაელი და თურქი ისტორიკოსებისა და ფსიქოლოგების მიერ იყო შემუშავებული. სომეხთა სემიტური წარმოშობის შესახებ ლექციებით ებრაელი მეცნიერები სკოლებში, საავადმყოფოებში, უნივერსიტეტებში, სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში გამოდიოდნენ ბალკანეთში, პოლონეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში. გზადაგზა იმასაც ცდილობდნენ, რომ სომეხთა 1915 წლის ჟლეტის მნიშვნელობა მინიმუმამდე დაეყვანათ ან საერთოდ „ამოეჭრათ" ხალხის მეხსიერებიდან. ნამდვილი ტერორი ხორციელდებოდა იმ სომეხ მეცნიერთა მიმართ, რომლებიც ამ ცრუმეცნიერულ თეორიებს უარყოფდნენ და მსოფლიო საზოგადოებრიობისგან სომეხთა გენოციდის აღიარებას მოითხოვდნენ.

**კონფლიქტი ისრაელსა და სომხეთს შორის, ებრაულ და სომხურ მსოფლიო დიასპორას შორის ასევე წარმოდგება იერუსალიმსა და წმინდა მიწაზე სომხური ორთოდოქსული ეკლესიების, მონასტრების, კონგრეგაციებისა და სომხური ქრისტიანული მრევლის სტატუსის გადაუჭრელობის პრობლემიდანაც. ბევრი სომხური ეკლესია ებრაელების მიერ გაძარცვულია, უსამართლოდ დახურულია, ექსპროპრიირებულია ან დანგრეული. „ებრაული სახელმწიფოს" მიერ ქრისტიანების მიმართ სიძულვილით აღზრდილი ებრაელი სამხედროები ავტომატებით ხელში არაერთხელ შევარდნილან სომხურ ეკლესიებში და მრევლისთვის ცეცხლი გაუხსნიათ. ულტრა-ორთოდოქსი ებრაელები ეკლესიების წინ იკრიბებიან და ქრისტიანებს შესვლას უშლიან, ემუქრებიან, წყევლიან, კისრიდან ჯვრებს აგლეჯენ. სომხური ეკლესიები ვანდალიზმის რეგულარულ აქტებს განიცდის.**

მიუხედავად ამისა, „ებრაული სახელმწიფო" იძულებულია, შეეგუოს ქრისტიანული ეკლესიების არსებობას, ხოლო სომხებმა წმინდა მიწაზე სასწაულით მოახერხეს არაერთი ტაძრისა და რელიგიური საკუთრების შენარჩუნება. ათასობით წლის განმავლობაში დაგროვებული ძვირფასეულობა, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, ლიტურგიის საგნები და სხვა რარიტეტები (ნაწილობრივ საიდუმლო ადგილებში გადამალული). ეს ურიცხვი განძი ფასდაუდებელია. ისრაელს, კარგა ხანია, თვალი აქვს დადგმული ამ სიმდიდრეზე და, თუ დღემდე არ მიისაკუთრა, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სომხეთი, სომხური დიასპორა და გავლენიანი სომხური ლობი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. „სვლა მხედრით" — ასე შეიძლება შეაფასო ტელავივის მარში არარატისკენ.

**ისრაელის შეღწევა კავკასიაში და ებრაელების მიერ მთელი რეგიონის დამორჩილება სომხეთისთვის სიკვდილია. უეჭველია, რომ ამ შემთხვევაში სომხეთი მეორე ლიბანად იქცევა.**

ებრაელები რომ ყველაზე უმოწყალო და სისხლისმსმელი დამპყრობლები არიან, მსოფლიო პალესტინელებისა და ლიბანის მაგალითზე დარწმუნდა. თუ სომხეთამდე მიაღწიეს, მთელ მოსახლეობას ამოჟლეტენ.

**ირანის შემდეგ ისრაელის მთავარი მტერი სომხეთია და სწორედ ამაშია ისრაელის კავკასიისკენ ლტოლვის კიდევ ერთი საიდუმლო.**

აზერბაიჯანის მთავარ სამხედრო მრჩევლად და ფაქტობრივ პატრონად ქცევის შემდეგ ისრაელი საკუთარ მომაკვდინებელ მიზანს მიუახლოვდა. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღის გამო არსებული კონფლიქტი „ჯადოსნური ჯოხია" ისრაელისთვის.

კავკასიის მუსლიმებს ხელს აძლევთ ამ ორთაბრძოლის გულგრილი ყურება და უნებისყოფო ლოდინი, ვიდრე ისრაელი და მისი მარიონეტები (ანგლოსაქსები) კავკასიას დაეუფლებიან? ისტორიამ ცხადყო, როგორ ექცევიან ანგლოსაქსები დაპყრობილ ხალხებს. ყველგან, სადაც მათ ფეხი დადგეს, არ დაუშვიათ ენობრივი, რელიგიური ან კულტურული ავტონომია. **ამერიკელი ინდიელების გენოციდი დღესაც რჩება ყველაზე საშინელ გენოციდად, რომელთანაც კაცობრიობის ისტორიის ვერც ერთი სიმხეცე ვერ მივა. თუ ებრაელები და ანგლოსაქსები კავკასიის ბატონ-პატრონები გახდებიან, ადგილობრივ მუსლიმებს ამერიკელი ინდიელების ბედი ელით.**

თუმცა კავკასია ცხელი ემოციებისა და მჩქეფარე ვნებების ადგილია, სადაც ტრადიციულად ნაპერწკალიც კი კმარა ადგილობრივი ჯიგიტების გასაცოფებლად. კავკასია სისხლის აღების ადგილია, ხოლო რუსეთმა კავკასიელ ხალხებს არა მარტო სიცოცხლე შეუნარჩუნა, არამედ არ გაანადგურა მათი ენები და რელიგია, თუმცა მტკიცედ და მკაცრად მოქმედებდა, რითაც სტუმართმოყვარე, მაგრამ შურისმაძიებელ კავკასიურ გულებში ნაიარევი დატოვა. ჩეჩნეთის ომისა და სხვა კონფლიქტების დროს ახლობელთა დაკარგვის შემდეგ კავკასიელებს რაციონალურად აზროვნება არ შეუძლიათ, შურისძიება სწყურიათ, ამის შემდეგ კი ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა.

**კავკასიის მუსლიმებს შორის 2 ურთიერთგამომრიცხავი კონცეფცია მეფობს. პირველის იდეოლოგია თვითგამოცხადებული იჩქერიის პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა და მისმა შემცვლელმა კავკასიის ემირატის ემირმა დოკუ უმაროვმა ჩამოაყალიბეს. თავის საგანგებო მოწოდებაში** (რომელშიც კავკასიის ემირატის შექმნა გამოაცხადა 2007 წლის ოქტომბერში)**, მან ისრაელი, ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს მუსლიმთა მტრებად გამოაცხადა და მათთან შეურიგებელი ბრძოლისკენ მოუწოდა.**

**მეორე კონცეფცია 2007 წლის ნოემბერში იარმუკ იამაათის მეთაურმა ანზორ ასტემიროვმა გაახმოვანა, რომელმაც უმაროვის მოწოდების დენონსაცია მოახდინა და თეთრი სახლი ირიბად „მტრების" სიიდან გამორიცხა, ისრაელზე არაფერი უთქვამს, ხოლო შეერთებულ შტატებს ღიად მიმართა დახმარებისთვის რუსებისა და მათი აგრესიის წინააღმდეგ „სამართლიან ბრძოლაში".**

## 3. რათა კავკასია ისრაელი გახდეს

**რატომ ილტვიან ებრაელები კავკასიისკენ?**

ორ მიზეზს უკვე შევეხეთ: **კავკასია კოზირია ისრაელის ბრძოლაში რუსეთის, ირანისა და სომხეთის წინააღმდეგ. თანაც, კავკასია სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნედლეულის მოპოვებისა და ტრანსპორტირების გასაღებია.**

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

**კავკასია ებრაული რელიგიისთვის მნიშვნელობით მეორე ზონაა, სადაც ნოეს კიდობანი და რელიგიურ-ეზოთერული ცოდნაა დავანებული. ებრაელები სწორედ კავკასიაში იმედოვნებენ ახალი მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც სინათლეს მოჰფენს მოსეს რწმენასა და თალმუდს,** რათა ისევე გაანადგურონ, როგორც ყველა სხვა მტკიცებულება გაანადგურეს ერაყში, ყოფილ ბაბილონში შეჭრისას, ეგვიპტეში ბოლო დროის მოვლენებისას და პლანეტის სხვა რეგიონებში მომხდარი არეულობებისას.

**კავკასია მჭიდროდ არის დაკავშირებული ხაზარეთის ისტორიასთან – ადრე შუა საუკუნეების ებრაულ სახელმწიფოსთან, რომელიც კიევის რუსეთმა გაანადგურა. კავკასია, ფაქტობრივად, ხაზარეთის გაგრძელებაა, მისი ზურგი ან „უკანა ეზო".** მეკობრული ებრაული სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აკონტროლებდა ვოლგისა და დონის ქვედაწელს და წვეთი წყალივით წააგავდა დღევანდელ „ებრაულ სახელმწიფოს", — მისი წინამორბედი იყო. **კავკასია ებრაელებს მაგნიტივით იზიდავს ებრაულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირისა და სხვა საიდუმლოებების გამო.**

კავკასია ბევრი რამით მენტალურად ისრაელს ჰგავს, ებრაელებისთვის „თავისიანს" წარმოადგენს. არსად მსოფლიოში ტიპიური ებრაელი, „ებრაულ სახელმწიფოში" დაბადებული, თავს არ გრძნობს ისე, როგორც საკუთარ სახლში, გარდა საზღვრისპირა ზოლებისა მეზობელ არაბულ სახელმწიფოებთან (ლიბია, ეგვიპტე და სხვ.) და კავკასიისა. ფუნდამენტალური სხვაობა თვალში საცემი არ არის და მხოლოდ დროთა განმავლობაში „საბრთაგან" (ასე უწოდებენ საკუთარ თავს „წმინდა მიწაზე დაბადებულნი") უკეთესნი ახერხებენ გააცნობიერონ, რომ **ტიპიური ებრაული მენტალობის მქონენი კავკასიაში მხოლოდ ნაძირალები და მორალურად მახინჯები არიან.** საუბედუროდ, თანამედროვე ცხოვრებაში სწორედ ისინი დომინირებენ, და არა მხოლოდ კავკასიაში.

როგორც არ უნდა იყოს, მხოლოდ ტიპიურ ებრაელ ბიზნესმენს შეუძლია საქმე ისე წაიყვანოს, „როგორც ისრაელში", სიამოვნება მიიღოს იმ აზრისგან, რომ არაკეთილსინდისიერი ვაჭრობისა და სიცრუის ამ ზონაშიც კი ებრაელები „უფრო მაგრები" არიან.

**ისრაელი კავკასიას განიხილავს როგორც ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების, ანუ ისრაელისა და მისი მეზობელი მუსლიმების კონფლიქტის გასაღებს. კავკასიის მუსლიმთა გადაბირებით ებრაელები საკუთარი დიქტატის წინააღმდეგ ერთიან ფრონტს გახეთქავენ და ამავე დროს გარემომცველი ქვეყნების საზოგადოებრივ და რელიგიურ ცნობიერებაზე ზეგავლენის ბერკეტს შეიძენენ.**

და ბოლოს, ებრაელ-სეფარდების (არაბული ესპანეთიდან, ეთიოპიიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, ირანიდან, კავკასიიდან და ზოგიერთი სხვა რეგიონიდან გამოსულთა) და ევროპელი ებრაელი-აშკენაზების (ხაზარების ნარევი გერმანელებთან, ბალტებთან და სლავებთან) ათასწლოვან სისხლიან დაპირისპირებაში კავკასია სეფარდების ფორპოსტია და ამავე დროს, — მათი ბრძოლის ველი. **თუ კავკასიის ხელში ჩაგდება ისრაელის ძალისხმევით მოხერხდება, მაშინ სეფარდები გაიმარჯვებენ. თუ კავკასიის მიტაცებაში ანგლოსაქსების** (აშკენაზების ვასალებისა და მოკავშირეების) **ჩართვა მოხერხდა, აშკენაზები პოზიციებს აღიდგენენ.** სიხარბე და ძალაუფლების პათოლოგიური სიყვარული აიძულებს ებრაელ აშკენაზებს, დააყოვნონ ამერიკის შეერთებული შტატების ჩართვა: ასე განაგრძობს მახრჩობელა კურდღლის გადაყლაპვას იმ შემთხვევაშიც კი, თუ აცნობიერებს, რომ მასში ბომბი დევს.

**სხვა მნიშვნელოვანი მოტივებია: რუსეთთან დაპირისპირება, ნავთობი და გაზი, გეოგრაფიული (სტრატეგიული) მნიშვნელობა, ბუნებრივი და სხვა სიმდიდრეები.**

რა თქმა უნდა, არის კიდევ ისრაელის კავკასიის მიმართ მწველი ინტერესის სხვა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხასიათის კატალიზატორებიც, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილთან შედარებით ეს მეორეხარისხოვანია.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ არასტაბილურობის წლებში (მეოცე საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლები) კავკასია იქ მცხოვრებმა ნახევარმა მილიონმა ებრაელმა დატოვა. მათი არცთუ მცირე ნაწილი ისრაელში დაფუძნდა. მაგრამ ისინიც კი, ვინც ისრაელში არ წავიდა, მასთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებენ. ბევრმა ისრაელის მოქალაქეობა მიიღო.

ეს ადამიანები შეკავშირდნენ და მძლავრი სათემო ორგანიზაცია (le maan iocei kavkaz) შექმნეს, რომლის მეშვეობითაც კავკასიაში ექსპერტების, კონსულტანტების, მრჩევლების, ბიზნესმენების, სპონსორების სახით ბრუნდებიან. ეს ადამიანები ან მათი მშობლები (თუკი ისინი ისრაელში არიან დაბადებულნი) კავკასიურ საზოგადოებაში უმაღლეს სოციალურ ნიშას იკავებდნენ და ადგილობრივ ელიტას მიეკუთვნებოდნენ. შესაძლოა, მათ დაბრუნებას არც არავითარი ბოროტება მოჰყოლოდა, რომ არა ებრაელი აშკენაზების, სეფარდებზე უფრო დიდი პირანიების მიერ მათი სიხარბის, შურისა და თავხედობის წახალისება ამ რეგიონში აგრესიული ჩანერგვისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ყველა ადრინდელი ელექტრონული მისამართი დახურულია და საფოსტო ყუთები დაბლოკილია, ჩემი მკითხველები მაინც ახერხებენ ჩემთან დაკავშირებას. მწერენ საქართველოდან, თეირანიდან, სტამბოლიდან, ინგუშეთიდან, დაღესტნიდან. წერილებისა და საუბრების მიხედვით ჩანს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არცთუ საზეიმო ვითარებაა. ბევრი რაიონი არც ისე კარგ მდგომარეობაშია, მოძრაობა და სიცოცხლე მხოლოდ გროზნოში იგრძნობა, რადგან რუსეთი ცდილობს, მშვიდობა ფულით იყიდოს, ჩეჩნეთი კი ფუნქციონირებს არა როგორც რუსეთის ნაწილი, არამედ როგორც ცალკე ქვეყანა, რომელიც „საზღვარს აქეთ" მხოლოდ დროებით არის. მილიციის (ახლა უკვე პოლიციის) განყოფილებებში, სახელმწიფო დაწესებულებებში გულგატეხილობა სუფევს, ხოლო მოსკოვს დაქვემდებარებული ადგილობრივი ხელმძღვანელობა ცდილობს, თავისიანებს დაანახოს, რომ ყველაფერს რუსების ჯიბრზე აკეთებს.

უბრალო ხალხი თითქოს ვაკუუმში ცხოვრობს, არ იცის, რას ელოდოს მომავალში. მოსახლეობის მხოლოდ ვიწრო, ჭრელი წრე არის მოცული ენთუზიაზმითა და სწრაფი ცვლილებების მოლოდინით. მხოლოდ მათთვის არის საყოველთაო გულგატეხილობის ფონზე დღესასწაული. მათ ახალი საკურორტო ზონებისა და ოტელების მშენებლობაზე მიუწვდებათ ხელი; ისინი გიგანტურ აგროკომპლექსებს ხსნიან, „რომლებიც მთელ კავკასიას დააპურებს"; ისინი, კაცმა არ იცის, საიდან მოსულ მილიონობით ინვესტიციას ატრიალებენ; ძვირფას ჰომეოპატიურ და სტომატოლოგიურ კაბინეტებს აფუძნებენ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაშ ასე, ამერიკას ახლა განსაკუთრებით ხელს აძლევს ბუნტები, აჯანყებები, უკმაყოფილების ტალღები მთელ მსოფლიოში, გარდა საკუთარი ტერიტორიისა. მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში არასტაბილური გარემო უნდა შეიქმნას მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროკავშირში. ეს აშშ-ს მისცემს რესურსებს, რაც ასე სჭირდება, ახლო და შუა აღმოსავლეთი კი ნებისმიერ წუთს შეიძლება იქცეს საომარი მოქმედებების თეატრად.**

# მოკვდი დღესვე, ანუ რევოლუცია — ამერიკის მთავარი საექსპორტო საქონელი

**თუ რუსეთის შემთხვევაში მოარულ კლიშედ იქცა ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკა, რომელზეც დამყარებულია დროებითი კეთილდღეობა, დღეს შეიძლება დამტკიცდეს, რომ ამერიკა არანაკლებადაა დამოკიდებული ექსპორტზე. ოღონდ ამ ქვეყნის კეთილდღეობა იმ რევოლუციების ექსპორტზეა დამოკიდებული, რომელიც XXI საუკუნეში საგარეო ბაზრებისთვის მთავარ საექსპორტო საქონლად იქცა.**

რუსული რევოლუციის ისტორიული არსი და პრინციპული მოწყობა რუსეთის სახალხო ბუნტისაგან ორი ფაქტორით განსხვავდებოდა. ეს იყო შეთქმულება რუსეთის უმაღლესი წრეების შიგნით, რომლის მიზანი იყო, ხელისუფლებისაგან ჩამოეშორებინა ერთი ელიტური ჯგუფი და ჩაენაცვლებინა ის მეორით ან რამდენიმე სხვა ჯგუფით. მეორე განსხვავება კი რევოლუციურ სიტუაციაზე სხვა სახელმწიფოების მხრიდან უშუალო გავლენა და ზემოქმედება იყო. და თუ 1917 წლის რევოლუციაში რუსეთში გერმანიის მონაწილეობა თვალნათელია და ბრიტანეთი კი სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის მთავარი კულისებსმიღმა დირიჟორი იყო, გასული საუკუნის მეორე ნახევარში და ჩვენს საუკუნეშიც მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა — ახლა რევოლუციების მთავარი ექსპორტიორის ტიტულს მტკიცედ ფლობს ამერიკის შეერთებული შტატები.

## პარიზის ლათინურ კვარტალში

**რატომღაც მიღებულია, რომ თანამედროვე რევოლუციების ანალიზი სერბეთისა და საქართველოს რევოლუციებით უნდა იწყებოდეს, რასაც, როგორც წესი, უკრაინა მოჰყვება ხოლმე. სინამდვილეში ეს არაა საკმარისი, რამდენადაც ეგრეთ წოდებული ფერადი რევოლუციების პროტოტიპად 1968 წელს საფრანგეთში პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის ჩამოგდების მიზნით მომხდარი სტუდენტური რევოლუცია უნდა ჩაითვალოს.**

შარლ დე გოლი მიზანმიმართულად აშენებდა ძლიერ, სუვერენულ და მართალაც დამოუკიდებელ საფრანგეთს, მაგრამ 1965-დან 1968-წლამდე განხორციელებულმა მისმა პოლიტიკამ ძალიან დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ის ინტერესებს.

სამი წლის განმავლობაში საფრანგეთმა აშშ-დან 1,5 მილიარდი დოლარის ოქროს ექვივალენტი გაიტანა და ამით ამგვარი გაცვლის საოცარი პრეცენდენტი შექმნა. საფრანგეთის კვალდაკვალ მწვანე ქაღალდებით ამერიკას მიაკითხეს გერმანიამ, იაპონიამ და დიდმა ბრიტანეთმაც კი. ეს ამერიკული ინტერესებისათვის მიყენებული სერიოზული დარტყმა იყო, ამ დარტყმის ავტორი კი დე გოლი გახლდათ. 1968 წელს აშშ-მა დააწესა პირველი შეზღუდვა კუპიურების ოქროზე თავისუფლად გადაცვლის მიმართულებით.

გარდა ამისა, **1966 წელს საფრანგეთი გამოვიდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის — ნატოს შემადგენლობიდან და ალიანსი იძულებული გახდა, პარიზში მდებარე შტაბბინა საჩქაროდ გადაეტანა ბრიუსელში. უფრო მეტიც, გენერალმა მკაცრად გააკრიტიკა ისრაელის მოქმედებები ექვსდღიან ომში, შემდეგ კი გაიცხა აშშ-ის ომი ვიეტნამთან. მან განსაკუთრებული ურთიერთობების აწყობა დაიწყო გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირთან.**



**არავინ თქვას, რომ საბჭოთა კავშირი თავისით დაიშალა. საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა აშშ-ისა და მისი სატელიტების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად. ეს ამერიკის მიზანი იყო, რასაც პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებდა კიდეც**

1968 წლის 2 მაისს პარიზის ლათინურ კვარტალში, სადაც სორბონის მრავალი ფაკულტეტია, ზოგიერთი საყოფაცხოვრებო პრობლემითა და სწავლების მოძველებული მეთოდებით პროვოცირებული სტუდენტური ბუნტი დაიწყო. ათიოდე დღის შემდეგ პარიზში სტუდენტების, პროფკავშირების, ზოგიერთი პარტიისა და ორგანიზაციის გრანდიოზული მანიფესტაცია დაიწყო, ოღონდ ლოზუნგები უკვე სულ სხვა იყო: „დე გოლი — არქივში!“, „მშვიდობით, დე გოლ!“ „შარლ, წასვლის დროა!“. ქვეყანა სრულად პარალიზებული იყო, სტუდენტები აღარავის ახსოვდა და რევოლუციური ჯგუფები ერთადერთს — დე გოლის მოშორებას ითხოვდნენ.

მაგრამ გენერალმა სიტუაციასთან გამკლავება მოახერხა. 30 მაისს მან ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა და მისმა პარტიამ ხმათა თითქმის 74%-ით გამარჯვება მოიპოვა. ეს არნახული წარმატება იყო. პარლამენტის პალატაში პირველად მოიპოვა ერთმა პარტიამ აბსოლუტური უმრავლესობა.

მიუხედავად ამისა, **დე გოლისადმი ნდობა შერყეული იყო, პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა მისი საწინააღმდეგო კამპანიის შედეგები. საფრანგეთში 1969 წლისათვის დე გოლის მომხრეობა არა მხოლოდ არამოდური, არამედ სამარცხვინოც კი იყო. ერთი წლის შემდეგ პრეზიდენტი, რომელსაც თავისი კურსის გაგრძელების საშუალება აღარ გააჩნდა, თანამდებობიდან გადადგა, წელიწად-ნახევრის შემდეგ კი აორტის გასკდომის შედეგად გარდაიცვალა.**

დე გოლის შემდეგ ეგრეთ წოდებული თავისუფალი დასავლური სამყაროს არც ერთ ლიდერს აღარ უცდია, აშშ-ისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა განეხორციელებინა. ევროპის ყველა ქვეყანამ კარგად აითვისა დე გოლისათვის ჩატარებული გაკვეთილი, პარიზის ლათინურ კვარტალში მომხდარი რევოლუცია კი თანამედროვე ფერადი რევოლუციების სახედ იქცა.



**ახლა რევოლუციების მთავარი ექსპორტიორის ტიტულს მტკიცედ ფლობს ამერიკის შეერთებული შტატები**

## რეიგანომიკის საოცრება – ასე მსოფლიო ჯერ არავის მოუტყუებია

**საბჭოთა კავშირში 1990-1991 წლების „რევოლუციაც“ პირდაპირ კავშირშია დე გოლის ეკონომიკურ და ანტიამერიკულ პოლიტიკასთან.**

დე გოლმა დოლარების ოქროზე გადაცვლით ძლიერ შეუწყო ხელი ბრეტონ-ვუდის ფინანსური სისტემის ნგრევას და ამერიკის ეკონომიკის გაჭედვას. 60-იანი წლების დასასრულიდან 80-იანის დასაწყისამდე აშშ დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე ღრმა კრიზისში ჩაეფლო. ხსნა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის სახით მოვიდა. მიღებულია, ჩავთვალოთ, რომ რეიგანომიკამ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური სასწაული მოუვლინა — ყველაფერი გადასახადების შემცირებასა და სხვა ლიბერალურ მანიპულაციებს ეყრდნობოდა. სინამდვილეში ამ ყველაფერში თუ რამ მართლაც არის სასწაულებრივი, ეს ტყუილია. რეიგანის მმართველობისას სინამდვილეში გადასახადები გაიზარდა. „სასწაული“ კი ეყრდნობოდა ორ რამეს, რომელთაგან არც ერთს არაფერი ჰქონდა საერთო ლიბერალიზმთან. პირველი დოლარისათვის ოქროს ექვივალენტზე უარის თქმა იყო. მეორე იყო სახელმწიფოებრივი ხარჯებისათვის იმდენის სესხება, რამდენიც ვალის დაბრუნებას საერთოდ აღარ გულისხმობს.

ამრიგად, გარკვეული დროით (როგორც გაირკვა, ათი წლით), შეუზღუდავ ფინანსურ რესურსზე დაყრდნობით, აშშ-მა გამოაცხადა თავისი პოლიტიკის მიზანი და არსი — საბჭოთა კავშირის განადგურება. ეკონომიკური პარადიგმის ფარგლებში საბჭოთა კავშირი განწირული იყო, რამდენადაც მას არ შეეძლო, რაიმე დაეპირისპირებინა აშშ-ის ხელთარსებული „განუსაზღვრელი კრედიტისათვის“. სინამდვილეში მხოლოდ ამ „განუსაზღვრელ კრედიტს“ ეფუძნებოდა კაპიტალისტური სისტემის უპირატესობა სოციალისტურთან შედარებით და ეს ფსევდოუპირატესობა გახდა საბჭოთა კავშირში 1990-1991 წლების რევოლუციის ძირითადი მოტივიც.

არავინ თქვას, რომ საბჭოთა კავშირი თავისით დაიშალა. საბჭოთა კავშირი გარდაიცვალა აშშ-ისა და მისი სატელიტების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად. ეს ამერიკის მიზანი იყო, რასაც პირდაპირ და არაორაზროვნად აცხადებდა კიდეც. ამერიკამ მიაღწია მიზანს ჯერ გორბაჩოვის გამყიდველობაზე, შემდეგ კი ელცინის ხელისუფლებისაკენ სწრაფვაზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მზად იყო, დიდი ქვეყანა გაეწირა შედარებით პატარა ქვეყანაში გაპრეზიდენტებისათვის.

## მაიდანის გავლით

**უკარიანის მეორე პრეზიდენტი თავის მემუარებში წერს: როდესაც მეკითხებიან, ხომ არ აზვიადებენ ანალიტიკოსები ნარინჯისფერი რევოლუციის მსვლელობაში აშშ-ის როლსა და გავლენას, მე ვპასუხობ: პირიქით, ისინი სათანადოდ ვერ აფასებენ მას“.**

კუჩმამ მშვენივრად იცის, რასაც ამბობს, ამ საქმეში აშშ-ს უდიდესი წვლილი აქვს, უკრაინის საქმეებში ამერიკის ოფიციალური თუ არაოფიციალური პირების პირდაპირი ჩარევის ჩათვლით. აშშ-ის ამჟამინდელმა ელჩმა რუსეთში, ნარინჯისფერი რევოლუციების სპეციალისტმა მაკფოლმა ვლადიმერ პოზ- ▶

**ცხადია, რუსეთმა რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა, მაგრამ, დიდი ხანია, ნათელია, რომ დასავლეთი სირიასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციას არ გაითვალისწინებს. გენასამბლეის წევრების დასარწმუნებლად, არ მიეცათ ხმა რეზოლუციისათვის, სირიის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ბაშარ ჯაფარი აცხადებდა, რომ ამ რეზოლუციის მიღება მხოლოდ ხელს შეუწყობდა კონფლიქტის შემდგომ გაღრმავებას. ამ პოზიციას რუსეთიც იზიარებს. როგორც გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, მოსკოვი ცდილობდა, დოკუმენტი გაცილებით ბალანსირებული გაეხადა და სირიის ოპოზიციისადმი მოთხოვნების შემცველი შესწორებებს სთავაზობდა გაეროს, მაგრამ რუსეთის ყველა შეთავაზება უარყოფილ იქნა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნერისათვის მიცემულ ინტერვიუში აბსოლუტურად მშვიდად აღიარა ამ ჩარევისა და ზეწოლის შესახებ. ეს კიდევ უფრო სასაცილოა იმიტომ, რომ ყოველივე ბუშის საძაგელმა ადმინისტრაციამ ჩაიდინა, ობამას კარგი ადმინისტრაცია კი მსგავსს არაფერს აკეთებს და ბუშისდროინდელ საქმეებზე პასუხს არ აგებს.

**გასაგებია, რომ მიზანმიმართულად ანტიამერიკული დე გოლი მოიშორეს, მაგრამ რას ერჩოდნენ უკრაინელ პრეზიდენტებს, რომლებსაც ამგვარი ანტიამერიკანიზმი არც დასიზმრებიათ? აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ეს არაა საკმარისი, საჭიროა კიდევ აშკარა ანტირუსული პოზიციაც.**

სამაგიეროდ, იანუკოვიჩს გაპრეზიდენტების წუთიდან არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს პოსტსაბჭოთა საბჭოში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის. პოსტსაბჭოთა ინტეგრაციისათვის წინააღმდეგობა უკვე ძლიერი ანტირუსული ქმედებაა. ამერიკელებს იანუკოვიჩი ჯერჯერობით აწყობთ როგორც საკმარისად ანტირუსული პრეზიდენტი.

თავად იანუკოვიჩი ამას ხმამაღლა არასდროს აღიარებს, მაგრამ გულის სიღრმეში მან მშვენივრად იცის, რომ ინტეგრაციის მიმართულებით ნებისმიერი მოძრაობა მის ქვეყანაში ახალი რევოლუციის საწინდარი გახდება. სხვა საკითხია, რომ მხოლოდ ამგვარი ნაბიჯებისგან თავის შეკავებაც მისი მშვიდი ცხოვრების გარანტია არაა. **აშშ-ს უკრაინაში საქართველოს ან ბალტიისპირეთის მსგავსი ანტირუსული ხელისუფლება სჭირდება და იანუკოვიჩს ჯერ მხოლოდ ითმენენ, ვიდრე შემცვლელი მოიძებნებოდეს. მაგრამ თუ ტიმოშენკო ციხიდან გამოვა, მომდევნო პრეზიდენტის ვინაობის შესახებ საკითხი უმალ გადაწყდება სიკეთის იმპერიის უმაღლესი კურთხევითა და მისივე მხარდაჭერით. აშშ-ს მხოლოდ ანტირუსული უკრაინა სჭირდება, უკრაინა, როგორც რუსეთისათვის პრობლემების შექმნის ინსტრუმენტი.**

### ყველა თოკი ყულფად გამოიკვანძება

„განუსაზღვრელი კრედიტის" სისტემამ, ანუ „რეიგანომიკის საოცრებამ" 30 წლის მანძილზე უზრუნველყო აშშ-ის ჰეგემონია. ახლა ამერიკის სამხედრო და სოციალური ბიუჯეტები მთელი ბიუჯეტის დეფიციტის ტოლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამხედრო და სოციალური პოლიტიკა მხოლოდ ვალით ფინანსდება. **ნორმალური ეკონომიკის ფარგლებში ამერიკა საკუთარ თავს ვერც ერთის უფლებას მისცემდა და ვერც მეორის, მაგრამ ვერც უარს იტყვის ამ ყველაფერზე, რადგან ამ შემთხვევაში აშშ-ის კრახი, ანუ XXI საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა გარდაუვალი იქნება.**

დროის საკითხი ერთადერთი, რაზეც ექსპერტები ვერ თანხმდებიან. როდის მოხდება ეს? ამ საკითხზე დასავლეთის თავისუფალ ლოგიკაში ერთადერთი პასუხი არსებობს: რაც გვიან, მით უკეთესი. შენ მოკვდი დღესვე, მე კი მერე მოვკვდები.

ამიტომ **სიკეთის იმპერია „დასასრულის გაწელვის" პოლიტიკის ორ მიმართულებას აწარმოებს. პირველი მიმართულებაა — მთელი მსოფლიო უნდა ზანზარებდეს და ამერიკა ერთადერთ სავანედ რჩებოდეს, მეორე კი — მუდმივად არსებობდეს დიდი ომის წამოწყების საშუალება, რათა, როდესაც პირველი მიმართულება საკმარისი აღარ იქნება, ამგვარი ომი ერთადერთი გამოსავალი იქნება.**

როგორც ამბობენ, ომი ყველაფერს ჩამოწერს. ამერიკელები არ მოითმენენ ცხოვრების დონის დაწევას, ამიტომ ომმა უნდა გაამართლოს მთელი ის სიმძიმე, რაც ამერიკელ ხალხს ელის, მათ შორის ის უდიდესი ტერაქტებიც, რომლებიც ომის დაწყების საბაბად ან დაუმორჩილებელი მტრის წარმოუდგენელი არაადამიანობის დემონსტრირებისთვის იქნება საჭირო.

თავის დროზე ერაყის ხელთ მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის დამადასტურებლად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გაეროს რაღაც კაფსულა აჩვენა. ახლა ამ კაფსულის როლში ირანის ბირთვული პროგრამაა. **ყველაფერი მეორდება და ვერავინ, ვერავითარი გაერო ვერ აღუდგება წინ ომის დაწყებას, როდესაც ამას ამერიკა გადაწყვეტს.**

ამერიკის, ევროკავშირისა და იაპონიის ვალები წლიურ საერთო შიდა პროდუქტს გაუტოლდა და მათი რეფინანსირება დღითიდღე რთულდება. მალე ყველა დაინახავს, რომ მეფე შიშველია და ამ თვალის ახელას სიკეთის იმპერიამ რაღაც უნდა დაუპირისპიროს.

**მაშ ასე, ამერიკას ახლა ძალიან აძლევს ხელს ბუნტები, აჯანყებები, უკმაყოფილების ტალღები მთელ მსოფლიოში, გარდა საკუთარი ტერიტორიისა. მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში არასტაბილური გარემო უნდა შეიქმნას მთელ პოსტსაბჭოთა სივრცესა და ევროკავშირში. ეს აშშ-ს მისცემს რესურსებს, რაც ასე სჭირდება, ახლო და შუა აღმოსავლეთი კი ნებისმიერ წუთს შეიძლება იქცეს საომარი მოქმედებების თეატრად.**

დღევანდელი მოღვაწეობა ისეა მოწყობილი, რომ აგენტმა ხანდახან არც კი იცის, რომ აგენტია და უფრო მეტიც, ოპერაციისთვის უკეთესია, თუ არ ეცოდინება. რეფლექსური მართვის თეორიები საკმაოდ გასაგებად აღწერს სიტუაციას, რომლის დროსაც მართვადმა ობიექტმა არაფერი იცის მმართველის მოქმედებების შესახებ. რევოლუციურ მასებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რაში მონაწილეობენ.

შეუძლებელია, მოუგო ამერიკას, როდესაც თამაში მისი წესებით მიდის. სწორედ ამიტომ გამოსავალი დაფაზე ფიგურების არევაა. მხოლოდ ამ ერთადერთი საშუალებითაა შესაძლებელი ქვეყნის შენარჩუნება.

odnako.org

# ორს ვწერთ, ერთს ვიმახსოვრებთ

**24 თებერვალს ტუნისში გაიმართა „სირიის მეგობართა" შეხვედრა. ეს არის რეჟიმის მოწინააღმდეგე არაბული და ევროპული სახელმწიფოების კავშირი, რომელიც შექმნეს მათ, ვინც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის წინააღმდეგია, ცხადია, აშშ-ის მეთაურობით. შეხვედრაზე დასამეგობრებლად მიიწვიეს რუსეთიც და ჩინეთიც.**


„სირიის მეგობართა" შეხვედრა

ახლა მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებსა და მასმედიაში მუსირებს აზრი სირიის ტერიტორიაზე კბილებამდე შეიარაღებული და ცისფერ ბერეტებში გამოწყობილი სამშვიდობოების შეყვანის შესახებ. **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 13 თებერვალს განაცხადა, რომ სირიაში უცხოელი სამშვიდობოების შესვლა დასაშვებია მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1. თუ დამასკო მიიწვევს მათ; 2. თუ შეწყდება ძალადობა.** ლავროვმა უკიდურესად ზუსტად განმარტა: „სამშვიდობო მისიას, ანუ, როგორც მას გაეროს ენაზე უწოდებენ, მშვიდობის მხარდაჭერის მისიას ჯერ უნდა ჰქონდეს მშვიდობა, რომელსაც შემდეგ მხარს დაუჭერს".

**უნდა აღინიშნოს, რომ მათ წინააღმდეგ, ვინც ჯიუტად არ იზიარებს დასავლურ იდეებს სირიული მშვიდობის სწორად ხედვის შესახებ, უკანასკნელ დღეებში აქტიური საინფორმაციო ომია გაჩაღებული. მელნით შეტევებისათვის გამოიყენება მეთოდები, რომლებიც ძალიან ჰგავს ამერიკული პროპაგანდის ცივი ომის დროინდელ ხრიკებს.**

15 თებერვალს დაიწყეს ავბედითი ხმების გავრცელება შეიარაღებული სირიელი ოპოზიციონერების წინააღმდეგ რუსული გაზის გამოყენების შესახებ. როგორც ჩანს, ეს გაზი „აკრძალულთა" კატეგორიიდანაა და თავისი საშინელი მახასიათებლებით ძალიან ჰგავს მოარული ცოცხალი მიცვალებულების შესახებ ჰოლივუდური ფილმების ტრიოქსინს. 14 თებერვალს არაბული ტელეარხის — „ალ-არაბიას" საიტზე გამოქვეყნდა მასალა სირიელი სამხედროების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ. სირიის არმიიდან დეზერტირებულმა სამხედრო ოფიცერმა აბდულ რაზეკმა განაცხადა, რომ სამხედროები ოპოზიციის წინააღმდეგ ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების რაღაც „აკრძალულ მომწამვლელ გაზს" იყენებენ. მისივე მტკიცებით, სირია ამ გაზს რუსეთისაგან იღებს, მაგრამ მისი გამოყენების თაობაზე მითითებებს ირანი იძლევა.

ეს პროპაგანდისტული შედევრი, რომელსაც დღეს დასავლური მასმედიის მიერ მის სამიზნე აუდიტორიას მიეწოდება, მართლაც მცირედ თუ განსხვავდება ანტისაბჭოთა თემაზე გამოგონილი ისტორიებისგან.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ასადს გადადგომისაკენ მოუწოდებს. ცხადია, თამაში ერთ კარში მიმდინარეობს და შეიარაღებულ ოპოზიციაზე ამ რეზოლუციაში არაფერია ნათქვამი.

**ცხადია, რუსეთმა რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა, მაგრამ, დიდი ხანია, ნათელია, რომ დასავლეთი სირიასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციას არ გაითვალისწინებს. ზუსტად ასევე არ გაითვალისწინებს სირიის ოფიციალურ პოზიციას. გენასამბლეის წევრების დასარწმუნებლად, არ მიეცათ ხმა რეზოლუციისათვის, სირიის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ბაშარ ჯაფარი აცხადებდა, რომ ამ რეზოლუციის მიღება მხოლოდ ხელს შეუწყობდა კონფლიქტის შემდგომ გაღრმავებას. ამ პოზიციას რუსეთიც იზიარებს. როგორც გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, მოსკოვი ცდილობდა, დოკუმენტი გაცილებით ბალანსირებული გაეხადა და სირიის ოპოზიციისადმი მოთხოვნების შემცველ შესწორებებს სთავაზობდა გაეროს, მაგრამ რუსეთის ყველა შეთავაზება უარყოფილ იქნა, რის შემდეგაც რუსეთმა რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.**

სამაგიეროდ გაეროსთან, აშშ-თან და დანარჩენ სახელგანთქმულ მშვიდობისმყოფელებთან სოლიდარობის შესახებ ზარ-ზეიმით განაცხადა „ალ ქაიდამ". მისმა ლიდერმა აიმან ალ-ზავაჰირიმ 12 თებერვალს სირიისა და მუსლიმანური სახელმწიფოების მოსახლეობას მოუწოდა, ჩამოაგდონ მოქმედი პრეზიდენტი ასადი.

**მაშ, ვის მხარეს არიან ისინი, ვინც ასადს გადადგომისაკენ მოუწოდებს?**

თავისუფლად შეიძლება, რუსეთისა და ჩინეთის ვეტოს მიუხედავად, სირია ნატოს მიტევის მსხვერპლი გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ასე მიიჩნევს ორგანიზაცია „Stop NATO"-ს წარმომადგენელი რიკ როზოფი, რომლის აზრიც არგუმენტების ნამდვილად არაა მოკლებული. როგორც როზოფი აღნიშნავს, ნატოს შეტევა 13 წლის წინ უკვე განხორციელდა სერბეთზე, რომელზე შეტევისათვის ნატოს წევრ ქვეყნებს საერთოდაც არ ჰქონდათ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. იგივე სცენარი იყო ლიბიაშიც. როზოფის აზრით, არავითარი შეიარაღებული ამბოხი არ მოხდებოდა, მის მონაწილეებს გარეშე ძალებისაგან მხარდაჭერის იმედი რომ არ ჰქონოდათ.

სირიის საკითხზე საუბრისას შეუძლებელია გვერდი აუარო ნაციონალური უშიშროების საბჭოს ექსდირექტორისა და „მოსადის" ექსდირექტორის, მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციის უდავო მცოდნის, ეფრიმ ხალევის აზრს.

ხალევი მიიჩნევს, რომ **ამერიკამ უნდა გაითვალისწინოს სირიაში რუსეთის ინტერესები, მაგრამ რუსეთსაც მართებს რაღაცის გათვალისწინება და ბაშარ ასადის ხელისუფლებაში დატოვებაზე უარის თქმა.** ხალევის თანახმად, აშშ და რუსეთი განახორციელებენ გაცვლას: გაითვალისწინებენ ერთმანეთის ინტერესებს.

ამის შემდეგ ცალევმა გამოთქვა საინტერესო აზრი თეირანში აიათოლას რეჟიმზე გამანადგურებელი დარტყმის შესაძლებლობების გაჩენის თაობაზე, რუსებზე კი იგი არსებითს სხვას არაფერს ამბობს, გარდა იმისა, რომ მათ არ შეუძლიათ კიდევ ერთი მარცხი იგემონ არაბულ სამყაროში. ხალევი აცხადებს: „მათი ორი მთავარი კლიენტი — სადამ ჰუსეინი და მუამარ კადაფი ჩამოაგდეს და რუსეთმა დათმო".

**ახლა რუსეთი სირიისათვის იარაღის მიწოდების კონტრაქტების რეალიზებას ახორციელებს. კონტრაქტები 2014 წლის ჩათვლით გაგრძელდება, მათი ღირებულება კი მინიმუმ მილიარდ-ნახევარ დოლარს შეადგენს.** შესაძლოა, სწორედ მიმდინარე წელს გაზრდილი საკონტრაქტო თანამშრომლობის მასშტაბები მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. **კონტრაქტების თანახმად, რუსეთის ფედერაცია ასადს მიაწვდის თვითმფრინავებს — „Як-130УБС"-სა და „МиГ-29М2"-ს. პერსპექტივაში მოსკოვი დამასკოსთვის სხვადასხვა ტიპის საბრძოლო გემების, წყალქვეშა ნავების, მოდერნიზებული „ЗРК С-125"-ისა და სხვა შეიარაღების მიყიდვას აპირებს. ეს პერსპექტივა კიდევ ორ მილიარდადაა შეფასებული. ამრიგად, მაშინ, როდესაც ირანის ბაზარი უკვე უპერსპექტივოა, ლიბიისა კი მთლიანად დაიკარგა, სირია რუსული შეიარაღების უმსხვილესი იმპორტიორია.**

გარდა ამისა, ამჟამად სირია რუსეთს უხდის 2005 წელს მიღებული სამხედრო ტექნიკის ვალს, ასევე ანაზღაურებს დავალიანებას სამოქალაქო მომსახურებისა და საქონლისათვის, მაგრამ რა მოხდება, თუ სირიაში შეიცვლება პოლიტიკური ხელმძღვანელობა? რუსეთისათვის ესოდენ კეთილსასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგი ძნელი წარმოსადგენია. საეჭვოა, აშშ-ის ან „ალ ქაიდას" მიერ დასმულმა სირიის ახალმა პრეზიდენტმა საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება და რუსეთისათვის ძველი ვალის გასტუმრება მოინდომოს. არადა, ურთიერთგათვლით რუსეთისადმი სირიის საერთო ვალი 13,4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სირიაზე საუბრისას ისრაელელი ექს-უფროსი ირანზე ფიქრობს. ორს ვწერთ, ერთს ვიმახსოვრებთ... აი რა წერია „Izrus"-ის სტატიაში: „ვაშინგტონი იძულებული იქნება, მოსკოვს გადაუხადოს სამხედრო სფეროში დამასკოს მასზე ორიენტირების სახით. სანაცვლოდ მოსკოვმა უნდა გადაუხადოს ამერიკელებს ასადის ჩამოგდების სახით. ამ შემთხვევაში ირანული საფრთხე მოიხსნება..." ასე რომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ **სირიაზე საუბრისას ხალევი ირანზე ფიქრობდეს, ირანზე საუბრისას კი — რუსეთზე, რადგან მასზე ფიქრის გარეშე მსოფლიო რუკის თავზე უმალ ჩნდება „ცივი ომის" საშინელი აჩრდილი.**

topwar.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპისათვის ჰეროინის მიწოდებაზე პასუხისმგებელია დაახლოებით 30 ნარკოკლანი, რომელთგან ყოველი ნარკოტრაფიკის „საკუთარ“ მონაკვეთს აკონტროლებს. ამ მაგისტრალის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი „დრენიცკის მონაკვეთია“, რომელიც პრიზრენს, კლინს, ისტოკს მოიცავს და კოსოვოს ჩერნოგორიესა და მაკედონიასთან აკავშირებს. „დრენიცკის დაჯგუფების“ შემოსავლების მთავარი წყაროებია არა მხოლოდ ჰეროინით, არამედ იარაღით, მოპარული ავტომანქანებით, სიგარეტითა და ალკოჰოლით უკანონო ვაჭრობა, ასევე ადამიანებით ვაჭრობაც.**

# «საკაიფო» დემოკრატია, ანუ «ჰეროინის რესპუბლიკა» კოსოვო

**19 თებერვალს პრიშტინაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე უილიამ ბერნსი კოსოვოს პრეზიდენტ ატიფეტა იახიაგას და პრემიერ-მინისტრ ხაშიმ ტაჩის შეხვდა. ბერნსმა კატეგორიულად განაცხადა, რომ „აშშ მხარს არ დაუჭერს ნებისმიერ ქმედებას, რამაც, შესაძლოა, კოსოვოს დამოუკიდებლობას ავნოს“. ამის შემდეგ ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონი დაინტერესებულია პრიშტინისა და იუგოსლავიის ნამსხვრევებზე გაჩენილი სხვა ახლადგამომცხვარი დემოკრატიების შემდგომი „ევროპული ინტეგრაციით“. თავად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებმაც „დამოუკიდებელი კოსოვოს“ შექმნას შეუწყეს ხელი, რეგულარულად მჟღავნდება ცალსახად არასასურველი ფაქტები „ახალი დემოკრატიის“ შესახებ. ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკობიზნესის პრობლემებზე მომუშავე მრავალი ექსპერტი გახსნილად უწოდებს კოსოვოს „ჰეროინის რესპუბლიკას“.**



კოსოვოს ნარკომაფიას აშშ-ის სამართალდამცავი ორგანოები აბსოლუტურად უშედეგოდ ებრძვიან, უკვე 20 წელზე მეტია. 2011 წლის 27 ნოემბერს გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებულ დანაშაულთან და ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს დირექტორის თანაშემწე კრის სვეკერი CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში იძულებული გახდა, ეღიარებინა: „კოსოვოელი ალბანელების დამნაშავეობრივი დაჯგუფებები, რომლებიც უპირატესად ნიუ იორკსა და აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა მეგაპოლისებში მოქმედებენ, წარმოადგენენ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას ფედერალური აგენტებისათვის ამ ბანდების მიერ ჩადენილ დანაშაულებათა განსაკუთრებული სისასტიკის გამო“.

**კოსოვოს მაფიის ამ მახასიათებელს — განსაკუთრებულ საფრთხესა და განსაკუთრებულ სისასტიკეს — ამერიკელი წესრიგის მცველნი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში შეეჯახნენ.**

1996 წელს აშშ-ის ნაციონალურმა ანტინარკოტიკულმა სადაზვერვო კომიტეტმა (NNICC) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ კოსოვოელმა ალბანელებმა საკუთარი კონტროლი დაამყარეს ეგრეთ წოდებულ ბალკანურ მარშრუტზე. **„ჰეროინი „ოქროს ნახევარმთვარიდან“ გადააქვთ ევროპაში, საიდანაც „ბალკანური მარშრუტის“ სახელით ცნობილი კონტინენტური და საზღვაო გზების კომბინაციით მისი უდიდესი ნაწილი აშშ-ში ხვდება,** — ეწერა დოკუმენტში. — „ბალკანური მარშრუტის“ ნარკოტრაფიკი მოიცავს საბერძნეთს, ბულგარეთს, ყოფილ იუგოსლავიას, რუმინეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, ავსტრიას, გერმანიასა და იტალიას. იტალიიდან ჰეროინი საზღვაო გზით მიეწოდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

მოხსენების ავტორთა შეფასებებით, კოსოვო უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო, რომლის გავლითაც მოძრაობდა მთელი ნარკოტრაფიკის 76%. აღინიშნებოდა კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: კოსოვოელი ნარკობარონების ურთიერთქმედება ტერორისტულ ორგანიზაცია „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობის ხარჯზე ღებულობდა იარაღის შესაძენ ფულსა და თურქეთის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობის დაფინანსებას. რამდენიმე წლის შემდეგ ქურთი სეპარატისტების მიერ დამუშავებული ეს ტექნოლოგია კოსოვოს მაფიამ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად მოირგო.

90-იანი წლების დასასრულს ევროკავშირის ხელისუფლება, როგორც იქნა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა მიეღო დაგვიანებული ზომები კოსოვოს მაფიოზური კლანების ნარკოექსპანსიის საწინააღმდეგოდ.

**კოსოვო უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო, რომლის გავლითაც მოძრაობდა მთელი ნარკოტრაფიკის 76%. აღინიშნებოდა კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: კოსოვოელი ნარკობარონების ურთიერთქმედება ტერორისტულ ორგანიზაცია «ქურთისტანის მუშათა პარტიასთან»**

1998 წლის 16 ივნისს 58 კოსოვოელი ალბანელი მადრიდსა და ბარსელონაში ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობისათვის, ძარცვისა და გამოძალველობისათვის დააკავეს.

1998 წლის 15 ოქტომბერს ინტერპოლმა იტალიის, გერმანიის, ესპანეთისა და ნორვეგიის პოლიციებთან ურთიერთქმედებით ჩაატარა კოორდინირებული სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც გისოსებს მიღმა აღმოჩნდა ნარკობარონი გაში აგიმი და 124 სხვა კოსოვოელი ბანდიტი.

1999 წლის 13 იანვარს მილანში კარაბინერებმა მასობრივი წმენდა განახორციელეს და 60-ზე მეტი კოსოვოელი დააკავეს. ამასთან, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა დიეგო მასიმ განაცხადა, რომ „ალბანური მაფიის მოქმედება ქვეყანაში სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს“. ადამიანი იფიქრებდა, რომ კიდევ 5-6 ასეთი სპეცოპერაცია და კოსოვოს რვაფეხას კისერს მოუგრეხდნენ, მაგრამ...

1999 წელს დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე მოულოდნელად გამოჩნდა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია“. მის ჭეშმარიტად ჰუმანურ მიზნებს — მილოშევიჩის ტოტალურ რეჟიმთან ბრძოლას, კოსოვოს ტერიტორიაზე დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას — უდიდესი მხარდაჭერით შეხვდნენ აშშ-ისა და ევროკავშირის მთელი რიგი ქვეყნების უმაღლეს პოლიტიკურ დონეებზე, მაგრამ ეს მხარდაჭერა ძირითადად მორალური იყო, რამაც კოსოვოელი მებრძოლები თავიანთი სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის მოძებნის პრობლემის წინაშე დააყენა. მაგრამ როგორც კი ალბანელმა სეპარატისტებმა ფინანსური საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა დაიწყეს, უმალ აღმოჩნდნენ დასავლური პრესის მამხილებელი ცეცხლის პირისპირ.

1999 წლის 26 მაისს ამერიკულმა გავლენიანმა გამოცემამ „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტეისი სალივანის ჟურნალისტური გამოძიება, რომელშიც საუბარი იყო აშშ-ში ალბანური დიასპორის კავშირზე „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ შავი ფულის გათეთრებისა და კოსოვოში იარაღის კონტრაბანდის საქმეებთან. მთავარი ფიგურანტი იყო ვიღაც ადრიან კრასნიკი, „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ საველე მეთაური, რომელიც ნიუ იორკში დაფუძნდა. ათი წლის შემდეგ ეს სახელი კიდევ ერთხელ გამოჩნდა აშშ-ის წამყვანი გაზეთების ფურცლებზე „კრასნიკის მაფიოზურ კლანად“ წოდებულ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით. ამ კლანის 30-ზე მეტი წევრი ნიუ იორკში ნარკოტიკებით ვაჭრობის, რეკეტისა და შეკვეთილი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ჟურნალისტებმა გაცილებით სერიოზული ფაქტებიც აღმოაჩინეს:

**„ალბანელმა სეპარატისტებმა სერბულ პროვინცია კოსოვოში შექმნეს ჰეროინით ვაჭრობის მასშტაბური ქსელი, რომელიც მოიცავს პაკისტანის ოპიუმის პლანტაციებს და შვეიცარიაში იარაღის შავ ბაზარს. აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში ნარკოტრაფიკით ისინი წელიწადში დაახლოებით ორ მილიარდ დოლარს შოულობენ“.**

წრე შეიკრა, პრიშტინადან „როიტერის“ ინფორმაციის შემდეგ: „სერბეთის განმათავისუფლებელი არმია კადრებს თავისი მხარდამჭერი დამნაშავეობრივი დაჯგუფებებიდან არჩევს“.

ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. თანდათან ამოტივტივდა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის“ საველე მეთაურების კონტაქტები დასავლეთის სპეცსამსახურებთან. მაგალითად, განსიორგ გეიგერი, რომელიც გერმანიის უშიშროების სამსახურის დირექტორად დაინიშნა, 1996 წელს პირდაპირ კავშირში იყო ალბანელ სეპარატისტებთან. მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ტირანში უშიშროების სამსახურის მძლავრი რეზიდენტურის შექმნა იყო. სამსახურის აგენტები მონაწილეობდნენ „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისათვის“ ბოევიკების გადაბირებაში ალბანეთის ტერიტორიაზეც და კოსოვოელ დიასპორას შორისაც იტალიურ ქალაქებში — ტირესტსა და ბარიში. ბუნდესვერის სპეციალური ძალების სარდლობა დაკავებული იყო „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიისათვის“ ბოევიკების გაწვრთნით, მათთვის უნიფორმებისა და საბრძოლო აღჭურვილობის მიწოდებით. ამერიკულ პრესაში ცსს-ს გამოსააშკარავებელი მსგავსი სტატიების გაჩენის შემდეგ აშშ-ის კონგრესი იძულებული გახდა, ოფიციალური გამოძიება დაეწყო. ▶



**«ჰეროინი «ოქროს ნახევარმთვარიდან» გადააქვთ ევროპაში, საიდანაც «ბალკანური მარშრუტის» სახელით ცნობილი კონტინენტური და საზღვაო გზების კომბინაციით მისი უდიდესი ნაწილი აშშ-ში ხვდება»**

**თუ დოუ ჯონსის ინდექსს ოქროს საბაზრო ფასთან თანაფარდობით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ, მიუხედავად დოუ ჯონსის ინდექსის კრიზისისწინა ნიშნულზე დაბრუნებისა, ოქროსთან მიმართებაში ის 50 პროცენტით გაუფასურდა და ახლა არის ზუსტად იმავე ადგილას, სადაც 2009 წლის მარტში იყო — ვარდნის ყველაზე დაბალ წერტილში. საოცარი ისაა, რომ 2011 წლის გაზაფხულზე დოუ ამ წერტილსაც და 40-პროცენტიან ზღვარსაც ჩასცდა „ოქროს ექვივალენტის“ დონიდან.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პარალელურად კოსოვოში მოვლენები თავისი გზით ვითარდებოდა და 2008 წლის თებერვალში მსოფლიოს რუკაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოჩენამ დაადასტურა, რომ კოსოვოს მაფიასა და მასთან დაკავშირებულ საველე მეთაურებს ყველაფერი შერჩათ. ამის შემდეგ **კოსოვოელი ალბანელების ორგანიზებული დამნაშავეობრივი ჯგუფი, ფაქტობრივად, ლეგალური გახდა კოსოვოში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კი დამნაშავეთა სამყაროს ლიდერობა მოიპოვა.**

სხვადასხვა შეფასებით, **ალბანური მაფია აკონტროლებს დასავლეთ ევროპის ნარკობაზარზე გატანილი ჰეროინის 75%-ს და აშშ-ში გაყიდული მთელი ჰეროინის დაახლოებით ნახევარს. ალბანური ნარკოკარტელი „კამილა“ მსოფლიოს ხუთ უძლიერეს ნარკოკარტელს შორისაა.**

**ევროპისათვის ჰეროინის მიწოდებაზე პასუხისმგებელია დაახლოებით 30 ნარკოკლანი, რომელთაგან ყოველი ნარკოტრაფიკის „საკუთარ“ მონაკვეთს აკონტროლებს. ამ მაგისტრალის ერთ-ერთი საკვანძო რგოლი „დრენიცკის მონაკვეთია“, რომელიც პრიზრენს, კლინს, ისტოკს მოიცავს და კოსოვოს ჩერნოგორიესა და მაკედონიასთან აკავშირებს. „დრენიცკის დაჯგუფების“ შემოსავლების მთავარი წყაროებია არა მხოლოდ ჰეროინით, არამედ იარაღით, მოპარული ავტომანქანებით, სიგარეტითა და ალკოჰოლით უკანონო ვაჭრობა. ასევე ადამიანებით ვაჭრობაც.**

**იტალიისა და შვეიცარიის საზღვარზეც ნარკოტრაფიკს კოსოვოელი ალბანელები აკონტროლებენ.** მათ მნიშვნელოვან დასაყრდენ პუნქტს ევროპაში შვეიცარია წარმოადგენს. იარაღით ვაჭრობის ცენტრები ბერნსა და ბაზელშია განლაგებული.

**შვედეთსა და ნორვეგიაში კოსოვოელი ალბანელები ნარკოვაჭრობის 80%-ს აკონტროლებენ, ისინი არიან მთავარი დისტრიბუტორები საბერძნეთის კოკაინის, ჰეროინისა და მარიხუანის ბაზრებზე.** ბერძნულ ტრანსფერს ალბანელები იყენებენ მიგრანტი ალბანელებისა და იმ არალეგალების გადასაყვანად თურქეთიდან, პაკისტანიდან, შრი-ლანკადან, ჩინეთიდან, რომლებიც ასევე კურიერები არიან ნარკოტიკების მიწოდების საქმეში. ანალოგიურ დერეფანს წარმოადგენს ადრიატიკის ზღვაც, რომელიც იტალიისა და ალბანეთის სანაპიროებს აერთიანებს.

**სლოვაკეთის პოლიციის მონაცემებით, ავღანური ჰეროინის თითქმის 100% ქვეყანაში „ბალკანური ტრაფიკით“, კოსოვოს გავლით ჩადის.** ბოლო დროს ალბანელებმა რუმინეთის პორტებს დაადგეს თვალი. ასე რომ, კოსოვო ნამდვილი „ჰეროინის რესპუბლიკაა“.

2009 წელს პოპულარულმა გამოცემამ „ლონდონ დეილი ნიუსმა“ ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ ბრიტანეთის დედაქალაქის მთელი რაიონები უკვე აღარ შედის ქვეყნის კანონმდებლობის იურისდიქციაში. იქ კანონებს ორგანიზებული დამნაშავეობრივი დაჯგუფებები და რადიკალი ისლამისტები ამყარებენ, ამ „პარალელურ სამყაროში“ მთავარ ძალას კოსოვოელი ალბანელები წარმოადგენენ.

მაგრამ კოსოვოელ ბანდიტებს შორის ყველაზე ამაზრზენი და შემზარავი დანაშაულით თავად მხარის პრემიერ-მინისტრმა ხაშიმ ტაჩიმ გაითქვა სახელი — 90-იან წლებში იგი სათავეში ედგა დამნაშავეობრივ დაჯგუფებას, რომელიც დაკავებული იყო ადამიანთა გატაცებებით, ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობითა და შეკვეთილი მკვლელობებით. ისტორია დასრულდა იმის დემონსტრირებით, თუ რა მძლავრი მფარველი ჰყავს „ჰეროინის დემოკრატიას“, მიუხედავად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მხრიდან საერთაშორისო გამოძიების მოთხოვნისა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისათვის ტაჩი არავის დაუსჯია.

კოსოვოელ კაციჭამიებთან დაკავშირებით დასავლურმა სპეცსამსახურებმა და მათმა მფარველებმა მსოფლიო პოლიტიკის უმაღლესი ეშელონებიდან იგივე შეცდომა დაუშვეს, რაც თავის დროზე თალიბებთან გეოპოლიტიკური თამაშისას. პრიშტინელი მაფიოზები კონტროლს აღარ ექვემდებარებიან და იმ ხელს კბენენ, რომელიც აჭმევთ.

**არ შეიძლება ითქვას, რომ კოსოვოელი მაფიოზების მფარველებმა სპეცსამსახურებში არაფერი იცოდნენ მათი კავშირების შესახებ ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებთან. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია“ 2000 წელს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა და მიანიშნა, რომ ის დაფინანსებას იღებს ჰეროინით საერთაშორისო ვაჭრობის გზით, ასევე ისლამური ქვეყნებისა და კერძო პირების, მათ შორის უსამა ბენ ლადენისაგან.** მაგრამ პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტები ხანდახან სალ აზრზე მაღლა დგას, რის წყალობითაც აფართოებენ კიდეც საკუთარ „ბიზნესს“ კრიმინალური ელემენტები. ასეააწყო ურთიერთობები კოსოვოს ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფმა თალიბანთან, რომლის განკარგულებაშიცაა ოპიუმის ყაყაჩოს მსოფლიოში უდიდესი პლანტაციები. შედეგად **ექსპერტები აცხადებენ, რომ კოსოვოში შეიქმნა ნარკოტიკების წარმოების ინდუსტრია, ეთნიკური ალბანელები კი ავღანური ნარკოტიკებით მთელ ევროპულ და ჩრდილოამერიკულ ბაზრებს ამარაგებენ.**

თავისთავად ნარკოტიკები ყველაზე ეფექტური საშუალებაა „ურწმუნოთა“ ცივილიზაციების შიგნიდან დასანგრევად. კოსოვოს ნარკოდოლარების დაბანდება დაიწყეს მსოფლიო ჯიჰადის მზადების საქმეში.

თუმცა, მიუხედავად ამდენი თვალსაჩინო ფაქტისა, „ჰეროინის რესპუბლიკა“ კვლავაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პატრონაჟის ქვეშ რჩება. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა გრძელდება.

stoletie.ru

# მსოფლიო ფინანსური სისტემა მოკვდა, გაუმარჯოს ომს!

**აქამდე იშვიათად თუ ვინმეს უნახავს აზრის ისეთი რადიკალური გაყოფა ორ პოლარულ ბანაკს შორის, როგორიც დღესაა! ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი მსოფლიო ფინანსური სისტემის ტოტალურ კოლაფსს წინასწარმეტყველებს, მეორე ნაწილი — შეუჩერებელ ზრდას. გულგრილები, ანუ ამ ორ პოზიციას შორის შუალედურის მომხრენი პრაქტიკულად არ არსებობენ.**



**ისტორიის მანძილზე მსგავსი არაფერი ყოფილა, ამიტომ პროგნოზის გაკეთება ძალზე ძნელია და თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრაც, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება საბირჟო რალი. ერთი რამ ცხადია: დოუ ჯონსი და მასთან ერთად დანარჩენი საფონდო ბაზრები მსოფლიოში 20 ათასისკენ მოძრაობას იწყებენ**

ორივე ბანაკს სავსებით ღირსეული არგუმენტები მოჰყავს: ახლო აღმოსავლეთში მრისხანე ომის აჩრდილი, სულის მღაფავი ალმავალი ტრენდი, რომელიც იანვრის პირველი დღეებიდან დაიწყო, ევროპაში ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება და საერთო შიდა პროდუქტის შესახებ ავბედითი პროგნოზები, მზარდი უმუშევრობა, საბერძნეთის სრული უპერსპექტივობა, გარედან მიღებული „დახმარების“ მოცულობათა მიუხედავად, — ყველაფერი იმის მტკიცებულებად გამოიყენება, რომ საფონდო სამყარო გარდაუვალი აღსასრულის პირასაა.

მეორე მხრივ, ოკეანის გაღმიდან ყოველ კვირას მომავალი ცნობები არნახულად ნათელი მაკროეკონომიკური სტატისტიკის შესახებ, საერთო შიდა პროდუქტის ზრდა, უმუშევრობის შემცირება, მომხმარებელთა ნდობის ინდექსის აფეთქება, ბაზრებზე კოლოსალური ლიკვიდურობა, პრაქტიკულად ნაჩუქარი კრედიტები და ასე შემდეგ ცალსახად მიანიშნებს საფონდო ბირჟის სტაბილურ სამომავლო ზრდაზე.

მაინც ვინაა მართალი ბოლოს და ბოლოს? რისთვის უნდა ემზადოს რიგითი წესიერი ადამიანი უახლოესი მომავლისათვის? თუ ნეგატიური ან პოზიტიური ინფორმაციების ნაკადით განპირობებული წუთიერი შესაბამისი ვნებათაღელვის დიქტატიდან განთავისუფლებულნი შევხედავთ სიტუაციას, შესაძლებელი გახდება მისი აბსოლუტურ პერსპექტივაში გაანალიზება.

მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის ყველა ამ ორმაგ შეფასებასთან და წინააღმდეგობრივ პროგნოზებთან დაკავშირებული პრობლემა მხოლოდ ერთი რამეა: ჩვენ ვცდილობთ, რეალობა თავად ამ რეალობის შიგნიდან შევაფასოთ. თანაც ვაფასებთ გარედან თავსმოხვეული ტერმინოლოგიითა და საზომი შკალით. საკმარისია ამ თავსმოხვეული რეალობის ჩარჩოებიდან გასვლა და ყოველგვარი გაორება გაბათილდება. სანაცვლოდ სულისშემხუთავი გარკვეულობა და ერთმნიშვნელობა დაისადგურებს.

ჩვენ რატომღაც აბსოლუტური შკალით ვაფასებთ ეკონომიკურ განვითარებას, მაგალითად, დოუ ჯონსის ინდექსის მიხედვით. არადა, უკვე არაერთი დღეა, ეს ინდექსი 13 ათასიან ზღვარზე მერყეობს, იმავე ზღვარზე, რომელზეც 2008 წლის კრიზისის წინ იყო. დოუ დაბრუნდა, გადალახა რა 2009 წლის მარტში არნახული ვარდნის შედეგები. ამ ყველაფრის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრიზისი დაძლეულია და ამ დასკვნის ნამდვილობა პოზიტიური მაკროეკონომიკური სტატისტიკით დავამოწმოთ.

მაგრამ პესიმისტების ბანაკის რიგითი ანალიტიკოსი დოუ ინდექსის ამჟამინდელ მდგომარეობაში მხოლოდ წინანდელ პიკთან დაბრუნებას ხედავს და საკრედიტო-ფინანსური სისტემის ნეგატიურ მდგომარეობაზე დაყრდნობით აკეთებს პროგნოზს საფონდო ბაზრის მოსალოდნელ ნგრევასა და ორმაგი ფსკერის სცენარის მოსალოდნელობაზე.

სინამდვილეში რეალურად მსგავსი არაფერი ხდება, იმიტომ, რომ რეალობაში თავისთავად არ არსებობს საფონდო ბაზარი და ის არ იზომება აბსოლუტური შკალებით. რეალობა ყოველთვის ფარდობითია. 1000-დოლარიანი ხელფასი ბევრია თუ ცოტა? ბევრია, თუ ერთი პური 50 ცენტი ღირს, ბინის გადასახადი კი 200 დოლარს არ აღემატება, მაგრამ ეს თანხა არაფერია, თუ პური 15 დოლარად იყიდება და მოკრძალებული ბინის დასაქირავებლად 1500 დოლარს გთხოვენ. ყველაფერი პირობითია და რეალური სურათი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდება, თუ ორიენტირები სწორად შეირჩევა.

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა ერთადერთი აბსოლუტური ორიენტირი — ოქრო. ვერაფერი უფრო მუდმივი და უფრო განსაზღვრული ჯერჯერობით ვერ მოიფიქრეს. თუ ოდესმე მოიგონებენ, მასზე მერე ვიმსჯელებთ, მანამდე კი მხოლოდ ოქრო გვაქვს აბსოლუტური ორიენტირის სახით.

**თუ დოუ ჯონსის ინდექსს ოქროს საბაზრო ფასთან თანაფარდობით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ, მიუხედავად დოუ ჯონსის ინდექსის კრიზისწინა ნიშნულზე დაბრუნებისა, ოქროსთან მიმართებაში ის 50 პროცენტით გაუფასურდა და ახლა არის ზუსტად იმავე ადგილას, სადაც 2009 წლის მარტში იყო — ვარდნის ყველაზე დაბალ წერტილში. საოცარი ისაა, რომ 2011 წლის გაზაფხულზე დოუ ამ წერტილსაც და 40-პროცენტიან ზღვარსაც ჩასცდა „ოქროს ექვივალენტის“ დონიდან.**

გამოდის, რომ დოუ ჯონსის ინდექსის მიერ ასახული ბაზრის ღირებულება თუ 13 000-ს უტოლდება, ესეც კი სრული ფიქციაა, რომელიც ქვეყანას მსოფლიო ცენტრალური ბანკების პირდაპირი ინტერვენციის გზით განხორციელებული ხელოვნური დეფიბრილაციის შედეგად მოევლინა.

მიაქციეთ ყურადღება უმნიშვნელოვანეს გარემოებას: **2009 წლის იანვრამდე დოუ ჯონსის ინდექსის გრაფიკი და ოქროზე მისი პროექცია სრულად ემთხვეოდა ერთმანეთს და სინქრონულად მოძრაობდა.** ამის შემდეგ კი მოხდა რაღაც ისეთი, რამაც სრულიად მოსწყვიტა ფინანსური ბაზარი რეალობას, ბაზრის რეალური ღირებულება კი შეცვალა რაღაც ფიქციით.

ახლა მთავარი ისაა, რა იქნება შემდგომ. შესახედავად ვიღაცას, შესაძლოა, პარადოქსალურად მოეჩვენოს, მაგრამ ყველაზე სავარაუდო სცენარია, რომ დოუს ინდექსმა განაგრძოს მოძრაობა 20 ათასისაკენ, შემდეგ — 30 ათასისაკენ და ასე შემდეგ განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ამ დროის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ეკონომიკის შესაძლებლობაზე, იარსებოს ორ პარალელურ რეალობაში: საფონდო კაპიტალიზაციის პირობით მსოფლიოში და ოქროს ექვივალენტის რეალურ ღირებულებაში.

ისტორიის მანძილზე მსგავსი არაფერი ყოფილა, ამიტომ პროგნოზის გაკეთება ძალზე ძნელია და **თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრაც, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება საბირჟო რალი. ერთი რამ ცხადია: დოუ ჯონსი და მასთან ერთად დანარჩენი საფონდო ბაზრები მსოფლიოში 20 ათასისკენ მოძრაობას იწყებენ.**

და ბოლოს, მთელი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო ფინანსური სისტემა მკვდარია, ის დიდი ხნის წინ მოკვდა და, თუ ამჟამად კიდევ აკეთებს რაღაც მოძრაობებს, ეს მხოლოდ სპაზმებია იმ ელექტროდენის განმუხტვის შედეგად, რომელსაც მას ხელმარჯვე რეანიმატორები უგზავნიან.

i-business.ru

არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარშალმა ჟუკოვმა თავის მემუარებში, რომლებიც ხრუშჩოვის სიკვდილის შემდეგ დაწერა, პირდაპირ მიუთითა, რომ სტალინი განსაკუთრებით კომპეტენტური სტრატეგი იყო.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (139-146)

## სტალინი – „უვარგისი“ სარდალი

**ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის კრიტიკის ეშხში ისე შევიდა, რომ „დახურულ მოხსენებაში“ განაცხადა, თითქოს უმაღლესმა მთავარსარდალმა არ იცოდა, რა ხდებოდა ფრონტებზე. ამ აბსურდული მტკიცების „ბუნებრივ“ არგუმენტად გამოიყენა პრიმიტიული მსჯელობა, რომ სტალინი არასოდეს ყოფილა ფრონტზე, არც ერთ გათავისუფლებულ ქალაქში არ ჩასულა, თუ არ ჩავთვლით „ელვისებურ ჩასვლას მოჟაისკის გზატკეცილზე ფრონტის სტაბილურობის პირობებში“, სტალინის ბრძანებები არცთუ იშვიათად „არ ითვალისწინებდა სიტუაციას ფრონტის მოცემულ უბანზე“ და ა.შ.**

ჩვენს მკითხველებს მკვლევართა პუბლიკაციებზე დაყრდნობით უნდა ვუთხრა, რომ არავის, განსაკუთრებით კი, იმ სარდლებს, უპირველეს ყოვლისა, გენერალური შტაბის უფროსებს, ვინც უშუალოდ იყვნენ ჩართული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებისა და დირექტივების მომზადებაში, **არავის, არასოდეს ასეთი სისულელე არსად წამოსცდენია.**

მარშალმა ჟუკოვმა თავის მემუარებში, რომლებიც ხრუშჩოვის სიკვდილის შემდეგ დაწერა, პირდაპირ მიუთითა, რომ სტალინი განსაკუთრებით კომპეტენტური სტრატეგი იყო. მარშალი ვასილევსკი თავის წიგნში სპეციალურად ჩერდება ხრუშჩოვის აღნიშნულ შეფასებაზე და კატეგორიულად არ ეთანხმება მას. ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი სტალინს მოიხსენიებს როგორც უნიჭიერეს უმაღლეს მთავარსარდალს.

ხრუშჩოვს ეშმაკი არ ასვენებს და განაგრძობს ცილისწამებას, იმოწმებს მარშალ ბაგრამიანს, რომელიც იმ დროს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო, და წერს, რომ 1942 წელს, როცა წითელი არმიის ნაწილებისთვის ხარკოვის რაიონში არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა, „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ხარკოვის ალყაში მოქცევის ოპერაციის შეწყვეტის შესახებ“.

ამას კი მოჰყვა ის, რომ გერმანელებმა ალყაში მოაქციეს ჩვენი სამხედრო დაჯგუფებები, „რის შედეგადაც დავკარგეთ ასი ათასობით ჩვენი ჯარისკაცი. ესეც თქვენი სტალინის სამხედრო „გენია“, აი, რად გვიჯდებოდა იგი ყველას“.

ასე ამბობდა ხრუშჩოვი, მაგრამ მხედართმთავრების უმეტესობა სტალინს კი არა, თვით ნიკიტა ხრუშჩოვს ადანაშაულებს ხარკოვის ოპერაციის წარუმატებლობაში.

აკადემიკოსი სამსონოვი წერს, რომ მარშალი ჟუკოვი არ იზიარებდა ხრუშჩოვის აღნიშნულ შეფასებას.

მარშალმა ვასილევსკიმ აშკარა სიცრუე უწოდა ხარკოვის ოპერაციის ხრუშჩოვისეულ ვერსიას.

ნიშანდობლივია, ხრუშჩოვის გადადგომის შემდეგ გამოცემული დიდი სამამულო ომის „მოკლე ისტორია“ ხარკოვთან დამარცხების პასუხისმგებლობას სტალინსა და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტს კი არ აკისრებს, არამედ ფრონტის სარდლობას (*იხ. მითითებული წიგნის 1970 წლის გამოცემა, გვ. 164-165*). ასეთი შეფასება ემთხვევა 1942 წლის 26 ივნისის სტალინის წერილს, რომელიც მრავალგზისაა ციტირებული სხვადასხვა ნაშრომში, მათ შორის რ. პორტუგალსკის, ა. დომანკისა და ა. კოვალენკოს მიერ შედგენილ მარშალ ტიმოშენკოს ბიოგრაფიაში (1994 წელი), რომელშიც ავტორები პასუხისმგებლობას აკისრებენ არა მარტო ბაგრამიანს (რომელიც ნიკიტამ თავის მოხსენებაში მოწმედ დაასახელა), არამედ ტიმოშენკოსაც და ხრუშჩოვსაც.

აი, რა ფასი აქვს ნიკიტას ლაყბობას და მის „ობიექტურ“ შეფასებებს: კულტის წინააღმდეგ „მებრძოლმა“ ხრუშჩოვმაც და ბაგრამიანმაც ხელი გარდაცვლილ სტალინს შეაწმინდეს.

ხრუშჩოვს თავისი თავი ადარდებს და საკუთარი ცოდვებისგან განსაწმენდად იღვწის და არა ისტორიული სიმართლის დასადგენად. „დახურულ მოხსენებაში“ იგი უნებურად „ხსნის კარტებს“,



გროვერ ფერი

როცა აცხადებს, რომ ვინც სტალინისადმი უსიტყვოდ მორჩილებაზე უარს განაცხადებდა ან „შეეცდებოდა თავისი შეხედულების, თავისი სიმართლის დამტკიცებას, **განწირული იყო ხელმძღვანელი კოლექტივიდან გასარიცხად,** მორალური და ფიზიკური განადგურებისთვის“.

**„ხელმძღვანელი კოლექტივიდან გარიცხვის“ შიშის გამო დუმდა თურმე ნიკიტა, უფრო მეტიც, ხოტბას ასხამდა ბელადს.**

## კარიერისტის ვნებანი

ხრუშჩოვი რომ ტყუის, იქიდანაც ჩანს, რომ თავისი ნათქვამის დასადასტურებლად ვერც ერთ მაგალითს ვერ ასახელებს.

მორალურად და ფიზიკურად განადგურებას რაც შეეხება, თავად განსაჯეთ: მარშალი ტიმოშენკო სტალინის გარდაცვალების შემდეგ კიდევ 17 წელიწადს ცხოვრობდა, ხრუშჩოვი — 18 წელიწადს, ბაგრამიანი — 29 წელიწადს. მთელი ცხოვრების მანძილზე ისინი თავიანთ აზრზე იდგნენ ხარკოვის მარცხთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთ მათგანს პასუხი არ უგია, მით უფრო, არავინ „გაუნადგურებია“.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო მკვლევარი და გენერალი ვოლკოგონოვი სტალინის მიმართ სიმპათიურად არ იყო განწყობილი, ობიექტურად მიიჩნევდა, რომ **ხრუშჩოვს წლების შემდეგ ან მეხსიერებამ უღალატა, ან მოხსენების ამ ნაწილში იგი ელემენტარულად იტყუებოდა და ცდილობდა, „უკანა რიცხვით თავისთვის შეექმნა ისტორიული ალიბი“** (*Сталин. Политический портрет, მეორე ტომი, თავი მე-8, გვ. 771*).

კიდევ ერთი სისულელე მოხსენებიდან, რომელიც ხრუშჩოვმა პარტიის XX ყრილობის დელეგატებს წარუდგინა:

„ვურეკავ ვასილევსკის და ვევედრები:

— აიღეთ, ალექსანდრ მიხაილოვიჩ, რუკა, — ვეუბნები. — აჩვენეთ ამხანაგ სტალინს, რა მდგომარეობაც შეიქმნა.

უნდა ითქვას, რომ სტალინი ოპერაციებს გლობუსის მიხედვით გეგმავდა (*გამოცოცხლება დარბაზში*). დიახ, ამხანაგებო, აიღებდა გლობუსს და მასზე გვიჩვენებდა ფრონტის ხაზს. ჰოდა, ამიტომაც ვეუბნებოდი ამხ. ვასილევსკის, აჩვენეთ რუკაზე ვითარება“.

ეს არის აშკარა ტყუილი, შეიძლება ითქვას, ყველაზე აშკარა ტყუილი ხრუშჩოვის მთელ მოხსენებაში. არავის უცდია, რამენაირად დაედასტურებინა ასეთი ურცხვი მონაჭორი. სამაგიეროდ ძალიან ბევრი ავტორი კატეგორიულად უარყოფს მას, ზოგი აღშფოთებულიც კი არის. ამას დაგიდასტურებთ მრავალი სარდლის მოგონებებიდან, აგრეთვე, მოლოტოვის მიერ ამ საკითხზე გამოთქმული აზრი.

## სტალინი აკნინებდა მარშალ ჟუკოვის დამსახურებას

ხრუშჩოვი იმდენად პატარა კაცი იყო, მსოფლაღქმის იმდენად ვიწრო ჰორიზონტით, რომ ისეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორიც პარტიის ყრილობის ტრიბუნა იყო, მოხსენებაში, რომელიც „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, საკუთარ პიროვნულ, შეიძლება ითქვას, დერეფნის საუბრებსა და განცდებს, როგორც წესი, მისი მწირი ფანტაზიით შექმნილ კოლიზიებს ყოვლად დაუსაბუთებლად სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციებიდან წარუდგენდა დელეგატებს.

თვითონ წვრილფეხა ინტრიგანი სხვის წარმოჩენას ცდილობს ამ როლში.

აი, ამის ერთ-ერთი მაგალითი.

ხრუშჩოვი: „სტალინი დიდ ინტერესს იჩენდა ამხ. ჟუკოვის, როგორც სამხედრო სარდლის (*ასეა დედანში, თითქოს სარდალი არასამხედრო შეიძლება იყოს, მით უფრო მაშინ, როცა ლაპარაკია სამხედრო მოღვაწეზე. ასეთი „მარგალიტები“ მთელ მოხსენებაშია გაბნეული. — ა.ს.*) შეფასების მიმართ. მას არაერთხელ უკითხავს ჩემთვის, რა აზრის ვიყავი ჟუკოვზე, და მეც ვეუბნებოდი:

— ჟუკოვს ვიცნობ დიდი ხანია, იგი კარგი გენერალია, კარგი სარდალია.

***(რამდენად უაზროდ ჟღერს ნიკიტას პასუხი, ჩვენმა მკითხველმა, ალბათ, უკვე მიაქცია ყურადღება: სტალინი ხშირად ეკითხებოდა ხრუშჩოვს, თუ რა აზრისაა იგი ჟუკოვზე და ხრუშჩოვიც ყოველ ჯერზე უპასუხებდა — ჟუკოვს დიდი ხანია ვიცნობო... ან სტალინს სჭირდა ამნეზია, ან ხრუშჩოვი გვატყუებს. ან ამის დამწერს სულ არ აინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ ყრილობის დელეგატები ასეთ უაზრობას. რადგან უნდა მიეღოთ როგორც უმაღლესი თანამდებობის პირის მიერ თქმული ჭეშმარიტება!***

***ანტისტალინელებს თვითონ სჭირთ პიროვნების კულტის მონება. განვაგრძოთ).***

ომის შემდეგ სტალინმა ჟუკოვზე ათასნაირი ჭორების მოყოლა (!) დაიწყო, იგი მეუბნებოდა:

— აი, თქვენ აქებდით ჟუკოვს, არადა, იგი ამას არ იმსახურებს. ამბობენ, რომ ჟუკოვი ფრონტზე რომელიმე ოპერაციის წინ ასე იქცეოდა: აიღებდა ერთ მუჭა მიწას, დაყნოსავდა და შემდეგ იტყოდა, შეიძლება შეტევის დაწყება თუ, პირიქით, არ შეიძლებოდა დასახული ოპერაციის განხორციელება.

მაშინ ამაზე ასე ვუპასუხე:

— არ ვიცი, ამხ. სტალინ, ეს ვინ მოიგონა, მაგრამ ეს ტყუილია.

ეტყობა, სტალინი თვითონ იგონებდა ასეთ ამბებს, რათა დაეკნინებია მარშალ ჟუკოვის როლი და სამხედრო ნიჭიერება“.

***წიგნის ავტორი გროვერ ფერი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ხრუშოვი ცრუობს.***

**ხრუშჩოვის გარდა სხვას არავის გაუგონია, რომ სტალინს რაიმე მსგავსი ეთქვას. ჟუკოვისავე თქმით, რომელსაც ხშირად იმოწმებენ სხვა ავტორები, სტალინს მისთვის შეურაცხყოფა არასოდეს მიუყენებია,** თუმცა 1946 წელს თანამდებობრივად დააქვეითა. მარშლის სიტყვები ხრუშჩოვის მიმართ გამოთქმულ საყვედურადაც კი შეიძლება განვიხილოთ, რადგან ძნელად თუ წარმოვიდგენთ სხვა მიზეზს, რისთვისაც დასჭირდა ჟუკოვის ამ შენიშვნის ჩაწერა თავის მოგონებებში.

**სტალინმა მართლაც გადაიყვანა ჟუკოვი ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე მაშინ, როცა გაირკვა, რომ მარშალმა სახელმწიფოს კი არ გადასცა გერმანული ალაფი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ომის დროს გერმანიის მიერ მიყენებული უდიდესი ზარალის დასაფარად, არამედ მიითვისა, თანაც დიდი რაოდენობით.**

*(ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ერთი, ბურუსით მოცული ფაქტი, რომელიც ამ მითვისებასთან არის დაკავშირებული. საქმის დეტალები გამოქვეყნდა, როგორც გროვერ ფერი მიიჩნევს, აშკარად ოფიციოზური ჟურნალის „Военные архивы России“ 1993 წლის პირველ ნომერში, გვ. 175-245. მომდევნო ნომერი არ გამოსულა. ჟურნალმა შეწყვიტა არსებობა).*

ჟუკოვის დაქვეითების მიზეზები ყველასთვის ცნობილი იყო. ხრუშჩოვი აშკარად ეპირფერებოდა ჟუკოვს. ძალიან მალე — 1957 წელს ხრუშჩოვს მარშლის მხარდაჭერა დასჭირდა, რათა დაემარცხებია „სტალინისტები“ — მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და შეპილოვი, როცა ისინი ხრუშჩოვის გადაყენებას შეეცადნენ.



მარშალი ჟუკოვი გამარჯვების აღლუმზე

## ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ფეხქვეშ გათელვა. ხალხთა მასობრივი გადასახლება

ხრუშჩოვი: „აღმაშფოთებელია ქმედებანი, რომელთა ინიციატორი იყო სტალინი და რითაც უხეშად ფეხქვეშ გაითელა საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლი- ▶

## არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გასახლების თემაზე საუბრისას ხრუშჩოვს არავითარი „საიდუმლოება“ არ გამოუაშკარავებია, რადგან ყველამ საკმაოდ კარგად უწყოდა ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს აქციები ხორციელდებოდა. „ზეშთაგონებად“ შეიძლება შევაფასოთ სტალინის წინააღმდეგ წამოყენებული მხოლოდ სამი ბრალდება.**

◀ ტიკის ძირითადი პრინციპები. ლაპარაკია მშობლიური ადგილებიდან მთელი ხალხების მასობრივ გასახლებაზე, მათ შორის, ყველა კომუნისტსა და კომკავშირელზე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ამასთან, ასეთი გადასახლებები არ იყო ნაკარნახევი სამხედრო მოსაზრებებით.

არათუ მარქსისტ-ლენინელის, არამედ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის გონებაში ვერ თავსდება ასეთი ვითარება — გარკვეული პირების ან ჯგუფების მტრული მოქმედების გამო როგორ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მთელ ხალხებს, ქალების, ბავშვების, მოხუცების, კომუნისტებისა და კომკავშირელების ჩათვლით, და მათ წინააღმდეგ განხორციელდეს მასობრივი რეპრესიები...“

ხალხთა მასობრივ გასახლებაზე რომ ლაპარაკობდა, ხრუშჩოვმა დაასახელა ყარაჩაელები, ყალმუხები, ბალყარელები, ჩეჩნები და ინგუშები. რაღაც მიზეზების გამო მას „დაავიწყდა“ ყირიმელი თათრებისა და ვოლგისპირელი თათრების დასახელება.

გასახლების თემაზე საუბრისას ხრუშჩოვს არავითარი „საიდუმლოება“ არ გამოუაშკარავებია, რადგან ყველამ საკმაოდ კარგად უწყოდა ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს აქციები ხორციელდებოდა. „ზეშთაგონებად“ შეიძლება შევაფასოთ სტალინის წინააღმდეგ წამოყენებული მხოლოდ სამი ბრალდება:

**1) გასახლება ტარდებოდა „ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე“; 2) იგი არ იყო ნაკარნახევი რაიმე „სამხედრო მოსაზრებით“; 3) „მთელი ხალხები“ დაისაჯნენ „ცალკეული პირების ან ჯგუფების მტრული მოქმედების გამო“.**

სწორედ ამ „მხილებებს“ განვიხილავთ თანმიმდევრობით.

მოვლენები, რომლებიც გასახლების მიზეზი გახდა, ოპერაციების განხორციელება და მათი შედეგები ძალიან კარგად არის წარმოდგენილი საბჭოთა არქივების დოკუმენტებით. თუმცა მთელი ეს ინფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლამდე გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ უეჭველია, რომ ამ მასალებზე ხრუშჩოვს ხელი მიუწვდებოდა. მას ან მის თანაშემწეებს უნდა სცოდნოდათ, რამდენად შორსაა სინამდვილიდან „დახურული მოხსენების“ კრიტიკული პასაჟები.

თავად განსაჯეთ.

**1. გასახლებას დაქვემდებარებულ პირთა სიიდან გამონაკლისების დაშვების მაგალითები მოჰყავს იგორ პიხალოვს თავის წიგნში იმ დოკუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც გამოქვეყნებულია რუსი ექსპერტის, ნ. ბუგაის ნაშრომებში;**

**2. სამხედრო თვალსაზრისით, დეპორტაციები უზრუნველყოფდა წითელი არმიის ზურგების უსაფრთხოებას.**

ეროვნებათა გასახლების მიზეზებიც საყოველთაოდაა ცნობილი: მოსახლეობის უმეტესობა აქტიურად ან პასიურად მხარს უჭერდა გერმანიას, მონაწილეობდა ამბოხებებში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რითაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს. ამასთან ერთად, გამორიცხული არ იყო, რომ 1944 წელს გერმანია აღმოსავლეთისკენ კვლავ არ დაძრავდა თავის არმიებს, როგორც ეს წინა სამი წლის განმავლობაში ხდებოდა.

სათქმელია ისიც, რომ მკვლევარები ნ. ბუგაი და ა. გონოვი აშკარად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი დეპორტაციების მიმართ, მაგრამ ისინიც კი აღნიშნვენ: „საბჭოთა მთავრობამ, კაცმა რომ თქვას, სწორად აირჩია პრიორიტეტები და მათი გამომუშავების დროს ეყრდნობოდა თავის უფლებას, დაემყარებინა წესრიგი ფრონტის ხაზს უკან, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიაში...“

სწორედ აქაა უპრიანი, გავახსენოთ მკითხველებს ის, რაც ხრუშჩოვმა „დახურულ მოხსენებაში“ იუმორისტული ელფერით თქვა: „უკრაინელები ასეთ ხვედრს გადაურჩნენ იმიტომ, რომ ისინი ძალიან ბევრნი არიან და ვერსად გაასახლებდი, თორემ იგი მათაც გაასახლებდა *(სიცილი, გამოცოცხლება დარბაზში)*“.

უნდა ჩავთვალოთ, რომ ხრუშჩოვი ხუმრობდა (!) და სერიოზულად არ განუცხადებია, რომ სტალინი უკრაინელების გასახლებას აპირებდა. თუმცა შესაძლებელია, ხრუშჩოვმა იმიტომ დაასახელა უკრაინელები, რომ ნაცისტების მხარეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკრაინის მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი მონაწილეობდა. მაგრამ ესეც კი სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა წითელი არმიის ზურგში დასავლეთისკენ მისი ძლევამოსილი წინსვლის დროს 1944-1945 წლებში. ყირიმელი თათრებისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის ანტისაბჭოთა აჯანყებების მასობრივი ხასიათის გათვალისწინებით, ქვეყნის ხელისუფლებას სრული საფუძველი ჰქონდა, ეფიქრა, რომ მსგავსი რამ შეიძლება უკრაინაშიც მომხდარიყო;

**3. საკითხი, შეიძლება თუ არა მთელი ხალხის გასახლება, ორ ნაწილად უნდა გავყოთ.**

**პირველი. რამდენად მასობრივი ხასიათის იყო მეამბოხეთა მოძრაობა ამ ეთნიკურ ჯგუფებში?** ნამდვილად იყო ისინი იმდენად ფართო, რომ მონაწილეობდა მოსახლეობის უმრავლესობა? ჩვენი მონაცემებით, რომელთაც ქვემოთ შევეხებით, აჯანყებები მასობრივი ხასიათის იყო და მათში მოსახლეობის არანაკლებ ნახევარი მონაწილეობდა.

**მეორე. გენოციდის საკითხი.** მცირე ეროვნული ჯგუფის დანაწევრება, რომლის წევრები ენით, ისტორიით, კულტურით მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულები, ფაქტობრივად, მათ დაღუპვას გამოიწვევდა.

**ჩეჩნების, ინგუშებისა და ყირიმელი თათრების შემთხვევაში, ნაცისტებთან თანამშრომლობამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ „მხოლოდ დამნაშავეების“ იზოლაცია და დასჯა გაანადგურებდა მათ, როგორც ერს. ამის ნაცვლად ეროვნულმა უმცირესობებმა შეინარჩუნეს თავიანთი ერთობა, ხოლო მათი რაოდენობა ბოლოს და ბოლოს გაიზარდა.**



კავკასიიდან ჩეჩნების დეპორტაცია ეშელონით

## ჰიტლერელებთან თანამშრომლობა ჭეშმარიტად მასობრივი იყო. მაგრამ აქ ვაწყდებით ერთ რთულ საკითხს: როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება?

### ყირიმელი თათრები

**ყირიმელი თათრები მასობრივად გაასახლეს. მათი დეპორტაციის ბევრი დოკუმენტი ამჟამად განსაიდუმლოებულია. სამწუხარო ისაა, რომ კომენტარები უაღრესად ტენდენციურია, მაგრამ თვით დოკუმენტები — ფრიად საინტერესო.**

აი, ზოგიერთი მონაცემი, რომლებიც ამ მასალებიდანაა ამოღებული:

**1939 წლისთვის ყირიმელი თათრების რაოდენობა 218 000 იყო. ეს ნიშნავს, რომ 22 000, ანუ მოსახლეობის 10 პროცენტი წვევამდელი ასაკის მამაკაცები იყვნენ. საბჭოთა წყაროების უახლესი მონაცემებით, 1941 წელს 20 ათასი ყირიმელი წვევამდელი გამოიქცა საბჭოთა შეიარაღებული ძალებიდან; 1944 წელს იმავე რაოდენობის ყირიმელი მოხალისე გერმანელების მხარეს გადავიდა და იარაღით ხელში იბრძოდა წითელი არმიის წინააღმდეგ.**

მაშასადამე, ჰიტლერელებთან თანამშრომლობა ჭეშმარიტად მასობრივი იყო. მაგრამ აქ ვაწყდებით ერთ რთულ საკითხს: როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება?

**შეიძლებოდა, არც არაფერი გაეკეთებინა და ყველანი დაუსჯელად დაეტოვებინა, რაც ნაკლებად დასაშვები ჩანს.**

შეიძლებოდა 20 000 დეზერტირი დაეხვრიტა. შეიძლებოდა ყველა, წვევამდელი ასაკის ახალგაზრდა ციხეში ჩაესვა, მაგრამ ერთიცა და მეორეც ნიშნავდა ყირიმელი თათრების ამოწყვეტას.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მთელი ხალხის გადასახლება შუა აზიაში, რაც განახორციელა კიდეც 1944 წელს. მათ მისცეს მიწა და რამდენიმე წლით გადასახადებისგან გაათავისუფლეს. ყირიმელი თათრები ამოწყვეტას გადარჩნენ, ხოლო 1950-იანი წლების ბოლოსთვის მათი რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა.

### ჩეჩნები და ინგუშები

**1943 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დაახლოებით 450 000 ჩეჩენი და ინგუში ცხოვრობდა. ეს ნიშნავს, რომ მათ შორის 40-50 ათასი წვევამდელი ასაკის მამაკაცი იყო. 1942 წელს, ანუ მაშინ, როცა გერმანელი ნაცისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში წარმატებას წარმატებაზე აღწევდნენ, 14 576 მამაკაცი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, მათგან 13 560 ან დეზერტირი გახდა, ან დაიმალა, ან შეუერთდა მთიანეთში მოქმედ აჯანყებულთა თუ ბანდიტთა დაჯგუფებებს.**

ჩეჩენი და ინგუში მოსახლეობის გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან მასობრივი თანამშრომლობა ეჭვს არ იწვევს. 2000 წლის 23 თებერვალს რადიო „თავისუფლებამ“ გადასცა ჩეჩენი ნაციონალისტების ინტერვიუ, რომელშიც ისინი ტრაბახობდნენ, რომ 1943 წლის თებერვალში განახორციელეს პროგერმანული, ანტისაბჭოთა აჯანყება, ზუსტად იმ დროს, როცა გერმანიის შემოტევა კავკასიაზე ყველაზე წარმატებული იყო. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს აჯანყება ნაცისტური დროშის ქვეშ მიმდინარეობდა და მისი მიზანი ნაცისტურ გერმანიასთან კავშირის შეკვრა იყო.

როგორც ბუგაი და გონოვი აღნიშნავენ, დეპორტირებულთა შორის **მსხვერპლი მათი საერთო რაოდენობის 0,25 პროცენტს არ ასცილებია:** „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ანგარიშების მიხედვით, 493 269 ადამიანი ჩეჩენი და ინგუში, ასევე სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც დაპატიმრებულები იყვნენ, 180 ეშელონით გადაიყვანეს. ოპერაციის დროს დაიღუპა 50 კაცი, 1 272 — გზაში გარდაიცვალა“ (N.E. Bugai, A.M. Gonov. “The Forced Evacuation of the chechens and the Ynguch”, გვ. 56).

თუ გავითვალისწინებთ, რომ დეპორტაცია ტარდებოდა ზამთრის თვეებში, იმ დროს, როცა მიმდინარეობდა უდიდესი ომი ევროპის და, შესაძლოა, მსოფლიო ისტორიაში, ეს ციფრები განსაკუთრებით მაღალი არ უნდა მოგვეჩვენოს.

დაბოლოს, შეგვიძლია **დავასკვნათ: ხრუშჩოვის მიერ წამოყენებულ დებულებათა საწინააღმდეგოდ, რომ 1) გამონაკლისები მაინც იყო; 2) გადასახლების სერიოზული სამხედრო საფუძველი არსებობდა; 3) ღალატი მასობრივი ხასიათისა იყო.**

ხრუშჩოვმა კიდევ ერთხელ იცრუა.

### „ლენინგრადის საქმე“

„დახურულ მოხსენებაში“ ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ ომის შემდეგ, როცა ქვეყანა პოლიტიკურ აღმავლობას განიცდიდა, „უცებ გაჩნდა ეგრეთ წოდებული ლენინგრადის საქმე. როგორც ამჟამად უკვე დადასტურებულია, ეს საქმე შეთითხნილი იყო. უდანაშაულოდ დაიღუპნენ ამხ.ამხ. ვოზნესენსკი, კუზნეცოვი, როდიონოვი, პოპკოვი და სხვები.

როგორ მოხდა, რომ ადამიანები ხალხის მტრებად გამოაცხადეს და გაანადგურეს?

ფაქტები გვიჩვენებს, რომ „ლენინგრადის საქმეც“ იმ თვითნებობის შედეგია, რომელსაც უშვებდა სტალინი პარტიის კადრების მიმართ“.

„ლენინგრადის საქმე“ საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. ბევრი მიზეზი არის, ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ფალსიფიკაციასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ უმძიმეს დანაშაულობებთან. ხრუშჩოვის მტკიცება, რომ მთელი ეს საქმე შედეგია სტალინის თვითნებობის, ზუსტად ის შემთხვევაა, როცა „დახურული მოხსენების“ ავტორი აბსოლუტურად უგულებელყოფს სიმართლეს.

რიგი წლების განმავლობაში ხრუშჩოვი წამოსწევდა საკითხს, თუ კერძოდ ვინ უნდა აგოს პასუხი „ლენინგრადის საქმის“ გამო, მაგრამ ყოველთვის სხვადასხვაგვარად ამბობდა, როგორც ჩანს, იმის გათვალისწინებით, თუ რას მოითხოვდა მომენტი.

სტალინის სიკვდილის შემდეგ „ლენინგრადის საქმის“ შესახებ საკითხი პირველად ლავრენტი ბერიამ წამოაყენა. 1953 წლის 25 ივნისს, ანუ მის დაპატიმრებამდე ერთი დღით ადრე მან ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს გაუგზავნა მოხსენებითი ბარათი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის — მ. რიუმინის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ბერიამ რიუმინს ბრალი დასდო „ლენინგრადის საქმის“ საგამოძიებო მასალების ფალსიფიცირებაში. ეტყობა, დოკუმენტმა გარკვეულად ჩააფიქრა ხრუშჩოვი, რადგან იქ პირდაპირ ბრალი ედებოდა სემიონ იგნატიევს სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის — მ. რიუმინის საქმის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ბერიამ რიუმინს ბრალი დასდო „ლენინგრადის საქმის“ საგამოძიებო მასალების ფალსიფიცირებაში. ეტყობა, დოკუმენტმა გარკვეულად ჩააფიქრა ხრუშჩოვი, რადგან იქ პირდაპირ ბრალი ედებოდა სემიონ იგნატიევს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების ყოფილ მინისტრს, ხრუშჩოვის პროტეჟეს, რომელიც ამ თანამდებობიდან სტალინის სიცოცხლეში გაათავისუფლეს.

ერთი წლის შემდეგ, 1954 წლის 3 მაისს, სკკპ ცკ პრეზიდიუმმა, რომელსაც სათავეში ხრუშჩოვი ედგა, დაამტკიცა დადგენილება „ლენინგრადის საქმეზე“. მთავარ დამნაშავედ დასახელდა იგნატიევის წინამორბედი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პოსტზე, ვიქტორ აბაკუმოვი. რამდენიმე დღის შემდეგ ლენინგრადის პარტიული აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა ხრუშჩოვი და აბაკუმოვთან ერთად პასუხისმგებლობა ბერიას დააკისრა. მაგრამ ფაქტია, რომ ამ საქმის გამოძიების დროს ბერიას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა არც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან, არც შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და არც ცენტრალური კომიტეტის მხრიდან ევალებოდა მათი კონტროლი.

**ორი წლის შემდეგ კი, როცა პარტიის XX ყრილობის ტრიბუნიდან თავის „დახურულ მოხსენებას“ კითხულობდა, ნიკიტამ მთელი პასუხისმგებლობა სტალინს დააკისრა. წელიწადზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, 1957 წლის ივნისში განაცხადა, რომ სტალინი თურმე ვოზნესენსკის და სხვა „ლენინგრადელების“ დაპატიმრების წინააღმდეგი იყო და რომ მთავარი როლი მათ დაპატიმრებასა და დახვრეტაში ბერიამ და მალენკოვმა ითამაშეს!**

რას უნდა დაუჯერო, რა უნდა ირწმუნო? აშკარაა ერთი რამ: როგორიც გინდა ყოფილიყო მალენკოვის როლი, ბერიას ამ საქმესთან არავითარი შეხება არ ჰქონდა. არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია, ვიფიქროთ, რომ 1957 წელს ხრუშჩოვი სიმართლეს ლაპარაკობდა, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ დროს.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხომ არ დამარცხებულა სტალინი ამ ორთაბრძოლაში? შესაძლებელია დაიბადოს ასეთი შეკითხვა, რადგან ნახევარი წლის შემდეგ ჰიტლერელები მაინც თავს დაესხნენ სსრკ-ს. ამ ომის დაწყება საბჭოთა ბელადმა ვერ გათვალა, რითაც უნდა აიხსნას ჩვენი საშინელი დამარცხებანი პირველ პერიოდში. მხოლოდ მიამიტი ადამიანი დაიჯერებს, რომ ეს მართლაც ასე იყო. ზემოთ აღწერილ შეხვედრას სტალინი თავისი სცენარით წარმართავდა, მან იცოდა, რამდენად საშიშია გერმანიის პოზიცია სსრ კავშირის მიმართ და რომ ომი გარდუვალია.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-8 (139-146)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### ჰიტლერის ფანდები

**სტალინისა და ჰიტლერის ყველაზე უფრო რთული დაუსწრებელი ორთაბრძოლა 1940 წლის ნოემბერში გაიმართა. მაშინ გერმანიის მთავრობის მიწვევით ბერლინში ჩავიდა საბჭოთა მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეორე პირი ქვეყანაში — ვიაჩესლავ მოლოტოვი.**

საბჭოთა დელეგაციის ჰიტლერთან შეხვედრის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს თარჯიმანი ბერეჟკოვი წიგნში „დიპლომატიური ისტორიის ფურცლები" (1982 წელი). იგი ხაზს უსვამს შეხვედრის დეკორატიულ რიტუალობას, რომელიც გამიზნული იყო სტუმრების ფსიქოლოგიურად დათრგუნვისთვის. ორმა მაღალმა ესესელმა, რომლებიც შავ უნიფორმაში იყვნენ გამოწყობილი და თავის ქალის გამოსახულებიანი ქუდები ეხურათ, საზეიმოდ გახსნეს უზარმაზარი კარი, აქეთ-იქით დადგნენ, გაიჭიმნენ და ფაშისტური მისალმებით აღმართეს მარჯვენა ხელი. უზარმაზარი კაბინეტი, რომელიც დარბაზს ჰგავდა, უზარმაზარი საწერი მაგიდა, დიდი გლობუსი და ამ ანტურაჟთან შედარებით ფიურერის ციცქნა ფიგურა.

სტუმრებისადმი პატივისცემისა და კეთილგანწყობილებისთვის ხაზგასასმელად, ჰიტლერი მიეახლა მათ, ყველას ხელი ჩამოართვა და სასაუბროდ მიიპატიჟა. წარმოთქვა შესავალი სიტყვა იმის შესახებ, რომ **ინგლისი ფაქტობრივად წელშია გატეხილი და მალე გამოაცხადებს კაპიტულაციას, გერმანია აკონტროლებს მთელ დასავლეთ ევროპას და დროა ბრიტანეთის იმპერიის გასანაწილებლადო.**

ღერძის ქვეყნებმა — გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ უნდა იცოდნენ საბჭოთა მთავრობის მოსაზრებანი ამ საკითხზე.

მოლოტოვმა უყურადღებოდ დატოვა ჰიჰტლერის განცხადება და შესთავაზა კონკრეტული, პრაქტიკული საკითხების განხილვა. კერძოდ, გვინდაო ვიცოდეთ, რატომ გაიგზავნა გერმანიის ჯარები ფინეთში, სამხედრო მისია კი — რუმინეთში საბჭოთა მთავრობასთან კონსულტაციის გარეშე? ამით ხომ ირღვევა თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც 1939 წელს დაიდო?

ფიურერი ცდილობდა მოლაპარაკება მისთვის სასურველი კალაპოტით წარემართა და მოლოტოვს მსოფლიოს განაწილებაზე ლაყბობით აბრუებდა. **ამ განაწილებაში იგი საბჭოთა კავშირს იწვევდა, რაც, მისი სიტყვებით, განამტკიცებდა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას. სტალინს მითითება ჰქონდა მიცემული მოლოტოვისთვის, მტკიცედ დაეცვა საბჭოთა მთავრობის პოზიცია: გაერკვია აღმოსავლეთის მიმართულებით გერმანიის ჯარების კონცენტრაციის მიზეზები და დაეფიქსირებინა ჰიტლერის რეაქცია ამ საკითხებზე.** როგორც ბერეჟკოვი წერდა: „სამსახიობო ნიჭის მიუხედავად, ჰიტლერმა ვერ შესძლო საკუთარი დაბნეულობის დამალვა"... იგი არეულ-დარეულად და არადამაჯერებლად უპასუხებდა. მოლოტოვმა დაამატა, რომ შექმნილი სიტუაცია მოსკოვის შეშფოთებას იწვევს და ამიტომ სურს მკაფიო პასუხის მიღება გერმანიის მთავრობისგან.

ჰიტლერი იძულებული იყო, განეცხადებინა, რომ საქმეში გარკვეული არ არის. მან კვლავ დაიწყო ლაპარაკი მსოფლიოს განაწილების თავისი იდეის შესახებ და ამით შეეცადა, დაემალა გერმანიის ჭეშმარიტი განზრახულება. საბჭოთა კავშირს სთავაზობდა განევრცო თავისი გავლენა სამხრეთის მიმართულებით ინდოეთის ოკეანემდე...

„აქ მოლოტოვმა შეაწყვეტინა ჰიტლერს, — აღნიშნავს ბერეჟკოვი — მიუთითა, რომ უაზრობად მიაჩნია ამგვარი ხასიათის კომბინაციების განხილვა. საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია უზრუნველყოს იმ რაიონების სიმშვიდე და უშიშროება, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრება საბჭოთა კავშირს".

უეჭველია, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელის ასეთი ქცევა აიხსნება სტალინის მითითებით, აღეკვეთა ჰიტლერის მცდელობა მოლაპარაკება წარემართა საბჭოთა კავშირისთვის აქტუალური პრობლემებისთვის გვერდის ავლით. **ჰიტლერისთვის უნდა დაგვემტკიცებინა, რომ მას საქმე აქვს ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელიც არ უღალატებს თავის იდეოლოგიურ პრინციპებს.** ჰიტლერი ორპირობდა, ეშმაკობდა, ტყავიდან ძვრებოდა, ცრუობდა, სტალინი კი, მოლოტოვის სახით, ნათლად აჩვენებდა, რომ მხოლოდ მოლაპარაკების პატიოსნად წარმართვას აპირებს თავისი ინტერესების დაუფარავად. **როგორც ჩანს, ჰიტლერმა იგრძნო, რომ დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩნდა და სტალინთან დიპლომატიური ორთაბრძოლის ეს ეტაპი წააგო. ამიტომ მან შეწყვიტა მოლაპარაკება საჰაერო განგაშის მომიზეზებით.**

იმ პერიოდში ბრიტანეთის ავიაცია სისტემატურად განახორციელებდა ბერლინზე თავდასხმას და, როგორც ჩანს, ეს თავდასხმაც გერმანიის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის დელეგაციის ჩასვლასთან იყო მისადაგებული. ამით ხაზი ესმებოდა იმასაც, რომ ჰიტლერის განცხადება ინგლისის წელში გატეხვის თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამებოდა და დიდი ბრიტანეთი არც კაპიტულაციას აპირებდა და არც მესამე რაიხთან რაიმე სახის გარიგებას. გამორიცხული არ არის გაერთიანებული სამეფოს ხელმძღვანელების ასეთი ფანდიც: საბჭოთა წარმომადგენლებისთვის შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ გერმანია კვლავაც განაგრძობს ომს ინგლისთან და ამიტომ არ ღირს ყურადღების მიქცევა გერმანიის ჯარების აღმოსავლეთის მიმართულებით კონცენტრაციისთვის; ამით განამტკიცებდნენ ჰიტლერის გეგმას აღმოსავლეთისკენ დაძვრის თაობაზე.

**„მომდევნო დღეს მეორე შეხვედრა გაიმართა ჰიტლერთან, — წერს ბერეჟკოვი, — ამ დროისთვის მოსკოვიდან უკვე მივიღეთ დაშიფრული დეპეშა. გუშინდელი შეხვედრის შესახებ ანგარიში უკვე განეხილათ და დელეგაციამ მიიღო ინსტრუქციები შემდგომი მოქმედების თაობაზე. საბჭოთა მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა გერმანელების წინადადებაზე, არ დათანხმდა ჰიტლერის მცდელობას, ჩართულიყო „ბრიტანეთის ქონების" განაწილების შესახებ დისკუსიაში. ამასთან, კვლავ დაგვიდასტურეს მითითება, რათა გერმანიის მთავრობას განემარტა საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო ჩრდილოეთ ევროპის უსაფრთხოებასთან"...**

ბერეჟკოვი არ წერს, თუ ვისგან მოდიოდა ეს მითითებები. ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ საკითხზე მოეწვიათ მთავრობის სხდომა, უნდა ვიფიქროთ, რომ მითითება მიღებული იყო ან პოლიტბიუროდან ან უშუალოდ სტალინის მიერ იყო გამოგზავნილი. მეორე ვარიანტი უფრო რეალური ჩანს, რადგან იმ დროისთვის სტალინი უპირობო ხელმძღვანელი იყო ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის. ამგვარი საკითხების კოლეგიალური გადაწყვეტა, როგორც წესი, მიზანშეუწონელია.

საბჭოთა დელეგაციის მეორე შეხვედრას ჰიტლერთან არაფერი შეუცვლია. მოლოტოვი განაგრძობდა სტალინის მითითების ზუსტად შესრულებას, ფიურერი და რიბენტროპი კი კვლავ ცდილობდნენ, შეენიღბათ გერმანიის მზადება საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. მოლოტოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი უკმაყოფილოა გერმანული მოწყობილობა-დანადგარების საბჭოთა ▶

ლონდონი საჰაერო დაბომბვის შემდეგ



უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1941 წელს ჰიტლერმა განაცხადა: „სტალინი — რუსეთის ბრძანებელი, გონიერია. იგი არასოდეს ღიად არ გაილაშქრებს გერმანიის წინააღმდეგ“. და კიდევ: „სანამ სტალინი ცოცხალია, არავითარი საშიშროება არ გვემუქრება: იგი საკმარისად ჭკვიანი და ფრთხილია“.**

კავშირისთვის მოწოდების შეფერხებით; ასეთი პრაქტიკა დაუშვებელია, რადგან საბჭოთა მხარე ზუსტად ასრულებს გერმანიასთან ეკონომიკური თანამშრომლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ჰიტლერმა უპასუხა, რომ მისი ქვეყანა აწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს ინგლისთან და ამიტომ იძულებულია, მოახდინოს მთელი თავისი რესურსების მობილიზება.

და აქ, როგორც ბერეჟკოვი წერს, მოლოტოვმა მკვეთრად შეუტია:

— მაგრამ ჩვენ ეს-ესაა მოვისმინეთ, რომ ინგლისი, ფაქტობრივად, უკვე წელშია გატეხილი. მაშ, რომელი ქვეყანა იბრძვის სასიკვდილოდ და რომელი სასიცოცხლოდ?!

ჰიტლერი ამჯერადაც გაოგნდა პასუხით, თუმცა ამჯობინა შეეკავებინა თავი, გაუგებრად წაიბურტყუნა, რომ ინგლისი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გატეხილი და ამ მიმართულებით ზოგი რამ გასაკეთებელი დარჩა, საერთოდ კი საუბრის თემა ამოწურულია და მოლაპარაკებას განაგრძობს რიბენტროპი.

მესამე რაიხის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი საბჭოთა კავშირს შესთავაზა, მიერთებოდა სამთა პაქტს (გერმანია, იტალია, იაპონია). საჰაერო განგაშმა კვლავ აიძულა ბუნკერში გადასულიყვნენ. მოლოტოვმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ინგლისის სწრაფად განადგურება რეალისტური არ ჩანს, ის, რაც დელეგაციამ ამ საკითხზე მოისმინა, ისევე ნაკლებსარწმუნოა და ნაკლებდამაჯერებელი, როგორც განმარტება რუმინეთსა და ფინეთში გერმანიის ჯარების ყოფნის შესახებ. რიბენტროპმა განაცხადა, რომ ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხები განხილულ უნდა იქნას ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით. ამით დამთავრდა საბჭოთა დიპლომატიური დელეგაციის ვიზიტი გერმანიასთან.

დღეს ცნობილია, რომ უკვე მაშინ ამუშავებდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის სტრატეგიას, ჰიტლერმა კი მოლოტოვთან შეხვედრის კვირაძალს ხელი მოაწერა საიდუმლო განკარგულებას, რომელშიც ნათქვამი იყო: **„უახლოესი მომავლის რუსეთის პოზიციის გასარკვევად პოლიტიკური მოლაპარაკება იწყება. იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება ამ მოლაპარაკების შედეგი, უნდა განვაგრძოთ ადრე გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაო აღმოსავლეთისთვის. ამ საკითხის შესახებ შემდგომ მითითებას მოგაწვდით, როგორც კი დავამტკიცებ ოპერაციის გეგმის ძირითადი დებულებებს“.** ეს „ბარბაროსას გეგმა“ 18 დეკემბერს დაამტკიცეს. დირექტივა იწყებოდა ასე: **„გერმანიის შეიარაღებული ძალები ინგლისთან ომის დამთავრებამდე მზად უნდა იყოს საბჭოთა რუსეთის გასანადგურებლად ელვისებური ლაშქრობით... მზადება უნდა დამთავრდეს 1941 წლის 15 მაისამდე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამ თავდასხმისათვის მზადება არ გახმაურდეს“.**

ვინ გაიმარჯვა ამ დიპლომატიურ ორთაბრძოლაში? სტალინი — მოლოტოვის სახით ღიად და პატიოსნად იბრძოდა. ფიურეს გასაგებად აუხსნეს, რომ საბჭოთა კავშირი შეშფოთებულია გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკით, არ გამორიცხავს ომისთვის სამზადისს, მაგრამ, ამასთანავე, არ ეშინია ამისა და არ აპირებს უღალატოს პრინციპებს და გაურიგდეს ფაშისტებს. ჰიტლერი, რა თქმა უნდა, მიხვდა: მისი დიპლომატიური ხრიკები სტალინმა გაშიფრა, რამაც ფიურერი დაამცირა. ჰიტლერმა ვერ შეძლო სტალინის სიფხიზლის მოდუნება.

**ხომ არ დამარცხებულა სტალინი ამ ორთაბრძოლაში? შესაძლებელია დაიბადოს ასეთი შეკითხვა, რადგან ნახევარი წლის შემდეგ ჰიტლერელები მაინც თავს დაესხნენ სსრკ-ს. ამ ომის დაწყება საბჭოთა ბელადმა ვერ გათვალა, რითაც უნდა აიხსნას ჩვენი საშინელი დამარცხებანი პირველ პერიოდში. მხოლოდ მიამიტი ადამიანი დაიჯერებს, რომ ეს მართლაც ასე იყო. ზემოთ აღწერილ შეხვედრას სტალინი თავისი სცენარით წარმართავდა, მან იცოდა, რამდენად საშიშია გერმანიის პოზიცია სსრ კავშირის მიმართ და რომ ომი გარდუვალია. უფრო მეტიც, სულ მალე სტალინს უკვე მაგიდაზე ედო დაზვერვის პატაკი მოსალოდნელი ომის დაწყების სავარაუდო თარიღის შესახებ. ეს იყო 15 მაისი.**

როგორ უნდა ემოქმედა საბჭოთა კავშირს ამ ვითარებაში? სამხედრო თვალსაზრისით, ლოგიკური იქნებოდა, დაესწრო მოწინააღმდეგისთვის და პირველს დაერტყა. მაგრამ ამის პოლიტიკური შედეგები შეიძლება კატასტროფული აღმოჩენილიყო საბჭოთა კავშირისთვის. იგი მსოფლიოს წინაშე წარსდგებოდა, როგორც გერმანიასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დამრღვევი მხარე. გერმანიას შესაძლებლობა მიეცემოდა, ან კავშირი დაედო ინგლისთან, ან მიეღწია მისი ნეიტრალიტეტისთვის, მოეპოვებინა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა და ადეკვატური პასუხი მიეგო მტრისათვის. იაპონიას კი ყველა საფუძველი ექნებოდა, საბჭოთა კავშირისთვის ომის გამოსაცხადებლად.

სტალინს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, განეგრძო დაძაბული მზადება ომისთვის, ამასთან, ეცადა, რაც შეიძლება გადაეწია საომარ მოქმედებათა დაწყების თარიღი.

იმ ფაქტმა, რომ ჰიტლერმა 15 მაისს არ დაიწყო ომი, შექმნა შთაბეჭდილება, რომ აგრესიამ გარკვეული ხნით გადაიწია (ამას იტყობინებოდა დაზვერვაც). ივნისის დასაწყისიდან ყველა საფუძველი არსებობდა, ევარაუდათ, რომ გერმანიის თავდასხმა ერთი წლით გადავადდა, და შესაძლებელი იყო გაეგრძელებინათ წითელი არმიის გადაიარაღება.

**როგორ უნდა ემოქმედა სტალინს? იგი დარწმუნებული იყო, რომ ომი ცხრა მთას იქით არ არის. ერთი შეხედ-**




# სტალინს ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა, განეგრძო დაძაბული მზადება ომისთვის, ამასთან, ეცადა, რაც შეიძლება გადაეწია საომარ მოქმედებათა დაწყების თარიღი

**ვით, ასეთ სიტუაციაში მას სასწრაფოდ უნდა შეეგროვებინა ჯარები დასავლეთის საზღვართან და გამოეცხადებინა საყოველთაო მობილიზაცია. მაგრამ ეს აღიქმებოდა საბჭოთა კავშირის აგრესიულობის დადასტურებად, ხოლო ჰიტლერი ისარგებლებდა ვითარებით, რათა სტალინი ომის ვერაგ გამჩაღებლად წარმოედგინა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისთვის.**

ამასთანავე, ჯარების დისლოკაციის მასშტაბური შეცვლა და მოსახლეობის საყოველთაო მობილიზაციის განხორციელება ორ-სამ დღეში წარმოუდგენელია. ასეც რომ მომხდარიყო, დასავლეთის საზღვრებთან **წითელი არმიის ნაწილების კონცენტრაციის შემთხვევაში გერმანელებს შეეძლებოდათ ერთი მძლავრი დარტყმით გაენადგურებინათ ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები და სწრაფად დაეპყროთ რუსეთის მთელი ევროპული ნაწილი, რისი იმედიც ჰიტლერს ჰქონდა.**

ეს რომ მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი არ არის, დამტკიცდა 1967 წელს ახლო აღმოსავლეთში, როცა არაბებმა მარცხი განიცადეს, უწინარეს ყოვლისა, იმის გამო, რომ დემონსტრაციულად შეაგროვეს თავიანთი ჯარები ისრაელის საზღვართან. ისრაელმა დაარტყა ავიაციით, შეუტია მიწაზე და უცებ დაამთავრა ყველაფერი. აი ამის მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო, საბჭოთა კავშირის ჯარების კონცენტრირება რომ მოეხდინა თავის დასავლეთ საზღვრებთან 1941 წლის გაზაფხულზე.

ჰიტლერმა თუ შეგნებულად გადასწია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დრო 15 მაისიდან 22 ივნისამდე, ეს უნდა ჩაითვალოს გონიერ გადაწყვეტილებად, რადგან მან ამით შესძლო სტალინის სიფხიზლის მოდუნება. მაგრამ საბჭოთა ლიდერს იმედად ყოფნაღა დარჩენოდა, კერძოდ იმისა, რომ ჰიტლერი, უწინარეს ყოვლისა, შეეცდებოდა ინგლისელების მხრიდან საფრთხის მოცილებას და შემდეგ იაპონელებთან გამართავდა მოლაპარაკებას ერთობლივი მოქმედების კოორდინაციის საკითხებზე.

ყველა შემთხვევაში, საბჭოთა ლიდერის აქტიური მოქმედება გამორიცხული იყო. იგი იმთავითვე წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ 1941 წლის იანვარში თავდაცვის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ და გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა გიორგი ჟუკოვი. ასე რომ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მას უნდა დაესახა და განეხორციელებინა ღონისძიებები აგრესიის მოსაგერიებლად. და თუ დღეს უმაღლეს მთავარსარდალს კი არა, მას მოიხსენიებენ „გამარჯვების შემოქმედად“ (რაც სრულიად უსამართლოა), წითელი არმიის აშკარა მოუმზადებლობის გამო სწორედ მან უნდა აგოს პასუხი. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი პირველი დამარცხებების მთავარი მიზეზი მარტივად შეიძლება აიხსნას: მტერი ჩვენზე ძლიერი იყო.

## ფინალი

1941 წლის 22 ივნისი მნიშვნელოვანწილად დღემდე რჩება ისტორიულ ამოცანად. ჩვენი ამოცანა არ არის მისი ამოხსნა. გამოვიყენებთ კომპეტენტური ისტორიკოსის, ო. ვიშლევის ცნობებსა და დასკვნებს. იგი დიდი ხნის მანძილზე სპეციალურად სწავლობდა ამ პრობლემას და გამოწვლილვით აქვს გაანალიზებული პირველწყაროები და ლიტერატურა მის შესახებ.

სტალინს ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ 1941 წლის ივნისში დაწყებული ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. 1940 წლის ზაფხული „თაფლობის თვე“ იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, მაგრამ ეს პერიოდი მალევე დამთავრდა.

საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ, როცა ჰიტლერმა ბრიტანეთის ჯარებს ნება მისცა, სამშობლოში გაქცეულიყვნენ, ვერმახტის ნაწილებმა საბჭოთა საზღვრებთან დაიწყეს კონცენტრირება. ინგლისიდან თავდასხმის შიში გერმანიას არ ჰქონდა.

სტალინმა იცოდა, რომ ბერლინში შეუდგნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმების დამუშავებას და იძულებული გახდა ქვეყანა, მომავალი ომისთვის ინტენსიურად მოემზადებინა. ვიშლევი ხაზს უსვამს: **„სტალინი ცდილობდა თავიდან აეცილებინა გერმანიასთან შეტაკება, რადგან სალად ჰქონდა გაანალიზებული ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მისი შეიარაღებული ძალების მზადყოფნის არასაკმარისი დონე და ის, თუ რა უდიდეს საშინელებას უქადდა საბჭოთა კავშირს გერმანიის აგრესია. სწორედ ამით, და არა „ჰიტლერისა და ფაშიზმისადმი სიმპათიით“, არა გერმანიასთან „მეგობრობის“ ილუზიით, რის საზოგადოებისთვის თავს მოხვევასაც ცდილობს ზოგიერთი ავტორი, განსაზღვრული იყო ის ყველაფერი, რასაც მოსკოვი აკეთებდა 1941 წლის გაზაფხულიდან იმისთვის, რომ არ ჩაბმულიყო მესამე რაიხთან ომში.**

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი რამეს კი არ უთმობდა ჰიტლერს, არამედ ცდილობდა, დიპლომატიური გზებით გაეძნელებინა მოსალოდნელი აგრესიის დაწყება, ამასთან, აძლიერებდა საბჭოთა კავშირის თავდაცვით პოტენციალს. ბერლინის მიმართ საკმაოდ მკაცრი კურსი ხორციელდებოდა. დიპლომატიის უკომპრომისობასთან ერთად გერმანიისთვის ნედლეულის რესურსების მიწოდების დაბრკოლება იყო გამოყენებული. საბჭოთა ხელმძღვანელობის ძირითადი მოთხოვნები იყო: გერმანია-საბჭოთა კავშირს შორის მიღწეულ შეთანხმებათა შესრულება და ბერლინის მიერ აღმოსავლეთ ევროპის იმ რაიონების ექსპანსიაზე უარის თქმა, რომლებსაც საბჭოთა კავშირი თავისი უსაფრთხოების ზონად მიიჩნევდა. ამასთან ერთად, კრემლი ცდილობდა ურთიერთობის გაუმჯობესებას მოსაზღვრე ქვეყნებთან“.

არც ერთი ამ ამოცანის ბოლომდე გადაწყვეტა არ მოხერხდა. სამაგიეროდ სტალინმა ორი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა: 1941 წლის მარტის ბოლოს თურქეთმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში იგი დაიცავდა ნეიტრალიტეტს, ამით გავიმაგრეთ ჩვენი სამხრეთის საზღვრები; დაიდო სსრკ-იაპონიის პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ, რამაც შეამცირა ორ ფრონტზე საომარ მოქმედებათა წარმოების საშიშროება.

მაგრამ არ დარჩა იმედის ნატამალი, რომ გერმანია ხანგრძლივ ომში ჩაეფლობოდა იუგოსლავიასთან და საბერძნეთთან. მაშასადამე, საბჭოთა კავშირზე თავდასხმა უახლოეს დროში იყო მოსალოდნელი.

მაშინ, 1941 წლის აპრილ-მაისში სტალინმა სხვა ტაქტიკა აირჩია: ერთდროულად კომპრომისის ძიება და სამხედრო ძალის დემონსტრირება. ყველა შესაძლებლობით თავდასხმის დრო უნდა გაწელილიყო შემოდგომამდე, როცა ჯერ გზების ატალახების და შემდეგ დიდი ყინვების გამო ვერმახტი საბჭოთა კავშირზე არ გამოილაშქრებდა.

ჰიტლერს უნდოდა სტალინის მოტყუება ვერსიის შემოგდებით, რომ თითქოს საბჭოთა საზღვრებთან გერმანიის ჯარების გადმოსროლა ბრიტანეთის მთავრობის ყურადღების მოდუნების მანევრია, ვერმახტის ძალების ინგლისში გადასხდომის წინ. მაგრამ ეს ეშმაკობა ჩაეშალა. 1941 წლის მარტში სტალინმა მიიღო რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, რომ ჰიტლერმა ვერ მოიპოვა უპირატესობა ვერც ჰაერში, ვერც ზღვაზე და ამიტომ უარი თქვა, გადაესხა ჯარები ბრიტანეთის კუნძულებზე. ლონდონში არ გამორიცხავდნენ მასთან გარიგების შესაძლებლობას. ჰესის გადაფრენამ დიდ ბრიტანეთში კიდევ უფრო გააძლიერა ეჭვი ამ მიმართებით. არც ის იყო დიდი საიდუმლო, რომ ამ ქვეყნის არაერთი გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე ჰიტლერთან დაახლოების მომხრე რჩებოდა.

**«სტალინი ცდილობდა თავიდან აეცილებინა გერმანიასთან შეტაკება, რადგან სალად ჰქონდა გაანალიზებული ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, მისი შეიარაღებული ძალების მზადყოფნის არასაკმარისი დონე და ის, თუ რა უდიდეს საშინელებას უქადდა საბჭოთა კავშირს გერმანიის აგრესია»**

გაგრძელება იქნება

რუბრიკას უძღვება არმაზ სანებლიძე

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„იყო დრო, სტალინზე სომხები ამბობდნენ, სომეხიაო, ოსები ამბობდნენ, ოსიაო. როცა 90-იანი წლებიდან სტალინი დიქტატორად გამოაცხადეს, არც სომხები, არც ოსები არ იჩემებენ, ჩემიაო. დავინახეთ, რომ ნამდვილად ქართველია!“**

## სირიელების «ლეგიტიმური წარმომადგენელი»

**ევროკავშირის ლიდერებმა, რომლებმაც ბრიუსელში სირიის საკითხებისადმი მიძღვნილი ორდღიანი სამიტი დაასრულეს, სირიის ნაციონალური საბჭო სირიელების „ლეგიტიმურ წარმომადგენლად“ აღიარეს.** „ევროკავშირი მხარს უჭერს სირიის ოპოზიციას თავისუფლებისათვის, ღირსებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში, აღიარებს სირიის ნაციონალურ საბჭოს სირიელების ლეგიტიმურ წარმომადგენლად და მიუწოდებს სირიის ოპოზიციის ყველა წევრს, გაერთიანდნენ ახალი სირიისათვის მშვიდობიან ბრძოლაში, სადაც ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი იქნება“, — ნათქვამია სამიტის მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში. სამიტის მონაწილეები მიუწოდებენ სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადს, დათმოს ხელისუფლება და გზა გაუხსნას ქვეყანაში დემოკრატიულ წარმონაქმნებს.



## ჰილარის დავალება კონგრესს

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის შეფასებით, „ჯექსონ-ვენიკის შესწორების გაუქმება კონგრესის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს და ეს იმ მომენტისთვის უნდა მოხდეს, როდესაც რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ოფიციალურად გახდება (2012 წლის ზაფხული).** ეს ამერიკულ ბიზნესს სარგებელს მოუტანს. ჩვენ კონგრესისგან ამ საკითხზე წარმატებულ კენჭისყრას და რუსეთთან ვაჭრობისთვის ნორმალური სტატუსის მინიჭებას ველით“, — განაცხადა კლინტონმა. ამ განცხადებით კლინტონმა იმ კონგრესმენებს უპასუხა, რომლებიც აცხადებენ, რომ ჯექსონი-ვენიკის შესწორების გაუქმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს, თუ კონგრესი პარალელურად რუსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ რეზოლუციას მიიღებს. თეთრმა სახლმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ კონგრესის მიერ ასეთი დოკუმენტების მიღების წინააღმდეგია.

# სტალინით ნებისმიერი ერი იამაყებდა



**ჩვენი გაზეთის მკითხველები კვლავ აქტიურად ეხმაურებიან „საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაციებს, რომლებიც იოსებ სტალინის მოღვაწეობას ეხება. რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში თუ ინტერნეტგზავნილებში ისინი მადლობას გვიხდიან იმისთვის, რომ გამოქვეყნებული წერილები არ არის ცალმხრივი, მაქსიმალურად ობიექტურია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ერთ სისტემაშია მოქცეული, შემთხვევით ხასიათს არ ატარებს.**

„ასეთი სისტემატურობა, მე მგონი, საბოლოოდ მოგვცემს მთლიან სურათს, თუ სინამდვილეში როგორი იყო იმ პერიოდის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელსაც დღეს ყოველმხრივ განაქიქებენ და ისე წარმოგვიდგენენ ვითარებას, თითქოს ისტორია საერთოდ არ გვქონია.

ჩემმა თაობამ მეტ-ნაკლებად იცის სიმართლე, მაგრამ მომდევნო თაობის ახალგზრდებისთვის საბჭოთა პერიოდი არის ერთი შავი ლაქა. რომ ჰკითხოთ, რატომო, ვერაფერს გიპასუხებენ. **ხრუშჩოვის დროინდელ ანტისტალინელებზე უფრო დღეს „დემოკრატი“ და „რეფორმატორი“ პოლიტიკოსები და ცრულიბერალები აქტიურობენ და ენერგიულად ცდილობენ, შეასრულონ დაკვეთა, რომელიც შეერთებული შტატებიდან აქვთ მიღებული.**

მოკლე ჭკუა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ვერ გაიგოს, რატომ ებრძვიან სტალინს მაინც და მაინც დღეს, ანუ ბელადის გარდაცვალებიდან 58 წლის შემდეგ. ებრძვიან მთელი მონდომებით და პროპაგანდისტული აპარატის ყველა შესაძლებლობით.

საქმე ის არის, რომ **მათმა ნაქებმა კაპიტალისტურმა წყობილებამ ვერც ჭეშმარიტი თავისუფლება მოუტანა ხალხებს, ვერც მშვიდობა და სტაბილურობა, ვერც სოციალური პროგრესი და ა. შ.**

**ებრძვიან სტალინს, რათა ხალხის შეგნებაში გადაფარონ ის მოუწყობელი ცხოვრება, რომელიც დამკვიდრდა ჩვენთან,** პოსტსაბჭოთა სივრცეში, საერთოდ ყველგან: ეკონომიკის რეცესია და ფინანსური კრიზისები, პერმანენტული ამბოხებები (თუნდაც, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში), ცრუ დემოკრატია — გაყალბებული არჩევნები, უსახსრობა, საყოველთაო გაჭირვება, დემოგრაფიის პრობლემები, გაუნათლებლობა, უკულტურობა და ა. შ.

ნაცვლად იმისა, რომ წარსულიდან აიღონ და დაამკვიდრონ ის, რაც კარგი იყო, ის, რაც ქვეყანას გამოადგებოდა, ყველაფრის უარყოფა, უგულებელყოფა მიმდინარეობს, ისტორიული გამოცდილება არაფრად მიაჩნიათ.

თქვენს გაზეთს გაუძნელდება, წინ აღუდგეს ასეთ ტოტალურ შემოტევას, მაგრამ, ეგებ, „საქართველო და მსოფლიო“ არის ის სუფთა წყაროს თვალი, რომელსაც უნდა დაეწაფოს ჩვენი ახალგაზრდობის ის თაობა, რომელსაც ტვინები ისე გამოურეცხეს, რომ თავიანთი სამშობლოს უახლესი ისტორიის შესახებ არაფერი იციან“.

აი, ასეთი წერილი გამოგვიგზავნა **თეიმურაზ სამიტაშვილმა,** რომელიც როგორ გვწერს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, მაგრამ, თანატოლების მსგავსად, „დროებით უმუშევარია“.

„ბატონებო, — ინტერნეტით გვატყობინებს თავის პოზიციას **ბატონი გუჯა,** რომელსაც საკუთარი გვარის მიწერა მიზანშეწონილად არ ჩაუთვლია, — ადამიანების ერთ ნაწილს არასოდეს არ აქვს სინდისი. ასეთები ყოველთვის მერყევები არიან და მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ ნებისმიერ ვითარებაში. ასეთები არათუ გაყიდიან სამშობლოს, არამედ საკუთარ მშობლებსაც და ცოლშვილსაც ზედ მიაყოლებენ, ოღონდ მათ კეთილდღეობას არაფერი დააკლდეს.

ეს მარადიული პრობლემაა.

**ჩვენი, რიგითი, პატიოსანი ადამიანების ვალია მათ მუდმივ უსამართლობას ასევე მუდმივად ვებრძოლოთ, ვამტკიცოთ სიმართლე და თაობიდან თაობას გადავცეთ. ალბათ, ეს არის ქრისტეს გზაც — სიმართლის მარადიული დაცვა.**

ღმერთმა გაძლება და ამ მძიმე და საპატიო ტვირთის ტარების შესაძლებლობა მოგცეთ!“

იგივე ავტორი თავის მეორე შეტყობინებაში გვწერს, რომ სრული სისულელეა, როცა ანტისტალინელები სტალინს გაუნათლებლობას სწამებენ. იგი ფენომენალურად განათლებული პიროვნება იყო და მისი ცოდნა სხვადასხვა დარგში, ლიტერატურაში, ტექნიკაში, ისტორიასა და ა.შ. თანამედროვეთა გაკვირვებას იწვევდა.

მის აზრს მთლიანად იზიარებენ ჩვენი მკითხველები: **გივი ვარშანიძე, თენგიზ ქავთარაძე** და სხვები.

ჩვენი რესპონდენტი, რომელიც ფსევდონიმს — **მონატრებული** — აწერს თავის ბარათს, ასე მოგვმართავს: **„ნეტავი ვიცოდეთ ის სიმართლე, რომელიც უსინდისოდ მიწებებულ ლაქას ჩამოსწმენდს ამ დიდ პოლიტიკოსს, რომელმაც იხსნა მსოფლიო ფაშიზმისგან“.**

გულწრფელ მადლობას გვეუბნება ქალბატონი **მარინა ივერიელი** იმ შრომისთვის, რომელიც გავწიეთ სტალინის ეპოქის ღირსეულად წარმოჩენისთვის.

**„მე კარგად მახსოვს,** — გვწერს იგი, — **იყო დრო, სტალინზე სომხები ამბობდნენ, სომეხიაო, ოსები ამბობდნენ, ოსიაო. როცა 90-იანი წლებიდან სტალინი დიქტატორად გამოაცხადეს, არც სომხები, არც ოსები არ იჩემებენ, ჩემიაო. დავინახეთ, რომ ნამდვილად ქართველია! მაგრამ დღეს სწორედ ქართველები ყველაზე მეტს გავიძახით, დიქტატორიაო.**

**ყველაფერი ჩვენი ბრალია! როდის ვისწავლით ქართველები ერთმანეთის სიყვარულს, ერთობას, გატანას, დაფასებას?**

**შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.**

## «ებრძვიან სტალინს, რათა ხალხის შეგნებაში გადაფარონ ის მოუწყობელი ცხოვრება, რომელიც დამკვიდრდა ჩვენთან»

ქალბატონი **ნინო ბარათაშვილი** კი ასეთ ამონარიდს გვთავაზობს ერთ-ერთი პუბლიკაციიდან“

„— თქვენ საიდან ხართ? — ეკითხება სტალინი ზინოვიევს.

— მე ბალტიისპირეთიდან ვარ.

— გიყვართ თქვენ რუსეთი?

ზინოვიევი მხრებს აიჩეჩს და დუმს.

— მე პარტიის ლიდერებს ფულით და განძეულობით ვამარაგებდი, — განაგრძობს სტალინი, — თქვენ ყველამ კი ფული ჩაიჯიბეთ და საგანძური საზღვარგარეთ გაანიავეთ. თქვენ სტალინი სულელი გგონიათ. ასე აღარ გაგრძელდება!

მცირე დუმილის შემდეგ სტალინი განაგრძობს:

— თქვენ გიყვართ ეს ქვეყანა? აი, მე — ქართველ სტალინს ეს ქვეყანა მიყვარს. თქვენ კი მხოლოდ ამ ქვეყნის ძარცვა გიყვართ“.

ქალბატონ ნინოს მადლობლები დავრჩებით, თუ შეწუხდება და გვაცნობებს მის მიერ მოყვანილი ციტატის წყაროს.

**თარხან სამდიდაშვილი** გორიდან გვწერს, რომ ისტორია ულმობელია, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, ყველას თავისას მოჰკითხავს.

„სტალინს რომ აგინებენ — ადამიანის უფლებები მის დროს შელახული იყოო, ესაა სამართალი?! მაშინ იყო მშრომელი კაცი წელში გამართული და ამაყი, რომ მუშა იყო თუ კოლმეურნე.

დღეს ვაჭრებად ვიქეცით, გადამყიდველებად, რაც ადრე სამარცხვინო იყო.

**თუ პატიოსანი კაცი იყავი, არავინ გერჩოდა, დღეს შიშმა და სილაჩრემ დაისადგურა სტალინის სამშობლოში. ჯერ იყო და გორში ხმა არავინ ამოიღო სტალინის ძეგლის მოხსნის გამო, ახლა არავინ კითხულობს, სადაა ის ძეგლი და რატომ არ დადგეს სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოში, როგორც დაგვპირდნენ?**

არ ვკითხულობთ იმიტომ, რომ დაშინებული ვყავართ პოლიციას, გამგებელს, გუბერნატორს, ყველას, ვისაც არ ეზარება.

აგერ, ორი დღის წინათ სოლომონ ქიმერიძე ხაშურის პოლიციაში მოკლეს და ოჯახმაც კი ხმა არ ამოიღო, სოფელზე რაღა უნდა ვთქვა, ცნობილი სოფელია ქვიშხეთი!

ეს ხელისუფლება სტალინის ლანძღვით ვერ გაძღა“.

**„დასანანია, რომ ქართველები თავიანთ ისტორიას ანადგურებენ. ჯერ სტალინის ძეგლის აღებით თავზე ლაფი დავისხით, შემდეგ ჰიტლერს შევადარეთ! ხოდა გიყვარდეთ მიშა სააკაშვილი და იძახეთ — მიშა! მიშა!** — არ მალავს თავის შეხედულებას ქალბატონი **ქეთი თეთრაშვილი, — სტალინი ჩვენი ისტორიაა. ნებისმიერი ერი იამაყებდა ასეთი შვილით, ჩვენ — ვლანძღავთ, სხვისი ფეხის ხმას აყოლილები!“**

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც პატივი დაგვდო და გამოგვეხმაურა.

**კვლავაც ველოდებით თქვენს წერილებს, ძვირფასო მკითხველებო!**

მოკლედ

## ავღანეთში ნატოს ორი ჯარისკაცი მოკლეს

**ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განცხადებით, სამხრეთ ავღანეთის სამხედრო ბაზაში ალიანსის ორი ჯარისკაცი მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, გასროლა ყანდაგარის პროვინციაში ავღანეთის ნაციონალური არმიის წევრმა და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა თავდამსხმელმა განახორციელეს.** ოფიციალური პირები ზერაის მხარეში ამბობენ, რომ ცეცხლი იმ ადამიანმა გახსნა, ვინც აღნიშნულ სამხედრო ბაზაზე ავღანელებს წერა-კითხვას ასწავლიდა. გაურკვეველია, რატომ ჰქონდა ბაზაში დარჩენის უფლება მასწავლებელს და რატომ მიუწვდებოდა ხელი იარაღზე. ნატოს ძალების მეთაური ავღანეთში ჯენ ალენი მომხდარს ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ყურანის დაწვის ინციდენტს უკავშირებს.



## ობამა არ იტყუება

**აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, ის არ იტყუება, როდესაც ირწმუნება, რომ ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობა მიუღებელია.** მისი თქმით, ირანმა და ისრაელმა უნდა გააცნობიერონ, რომ ის სინამდვილეში იმას გულისხმობს, რასაც ამბობს. ობამა ირანზე დარტყმის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ დარტყმის შემთხვევაში თეირანს საფუძველი ექნება, მსხვერპლის როლში წარმოიდგინოს თავი.

საქართველო სახელმწიფოდან, ადვილი შესაძლებელია, კოსმოპოლიტურ კონგლომერატად გარდაიქმნას და სახელწოდებაც კი შეუცვალონ, ხოლო მის სათავეში ქართველის ნაცვლად ეთნიკური თურქი, არაბი ან სხვა ვინმე მოგვევლინოს

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვისთვის შენდება ლაზიკა?

**ჟურნალ „თბილისელების“ 2012 წლის 29 იანვრის მე-4 ნომერში კავკასიის პრობლემების ცნობილი ექსპერტის, ბატონ მამუკა არეშიძის ჟურნალისტთან საუბარს რომ გაეცნობით, მწარე ფიქრები მოგეძალებათ, ჩვენი ბედკრული ქვეყნის ავბედითი აწმყოსა და კიდევ უფრო სავალალო პერსპექტივების გამო. ბატონმა მამუკამ გააჟღერა, რომ ლაზიკის აშენებას შავი ზღვის სანაპიროზე მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის დაკვეთითა და დაფინანსებით აპირებს; ასევე ჩაიდება უცხოეთში მცხოვრები სომხების მილიარდობით დოლარი, რამეთუ აშენებულ ქალაქში ბინას თურმე სირიიდან ჩამოსახლებული სომხები დაიდებენ ე. წ. თურქ-მესხებთან ერთად.**



შიმშილმა და სიღატაკემ, არნახულმა უმუშევრობამ მილიონ-ნახევრამდე ქართველი აიძულა, მშობლიური მიწიდან აყრილიყო და ლამის მსოფლიოს ყველა კუთხეში გაფანტულიყო. სანაცვლოდ **საქართველოს ლაჟვარდოვან მთა და მდელოს ათასი ჯურის ხალხი შემოესია, არ გვაკლია ანგლო-საქსი, თურქი, არაბი, ჩინელი, სომეხი და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ. თუ ეს პროცესი, რომელსაც დემოგრაფიული აგრესია-ოკუპაცია შეიძლება ეწოდოს, კვლავაც გაგრძელდება, მაშინ სულ მალე ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს მთელი მოსახლეობის ჯამში 30-40 პროცენტამდე ჩამოქვეითდება;** საქართველო სახელმწიფოდან, ადვილი შესაძლებელია, კოსმოპოლიტურ კონგლომერატად გარდაიქმნას და სახელწოდებაც კი შეუცვალონ, ხოლო მის სათავეში ქართველის ნაცვლად ეთნიკური თურქი, არაბი ან სხვა ვინმე მოგვევლინოს, როგორც დღეს აშშ-ში, რომელიც ერი სახელმწიფო არ არის. ამჟამად მისი პრეზიდენტი ეთნიკური აფროამერიკელია, ხოლო ხვალ შეიძლება ეთნიკური ანგლო-საქსი გახდეს. **საქართველოში დღეს გვყავს ქვეყნის მეთაური, რომელიც რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის, ველარ გაგვირკვევია. ეს გარემოება მას ხელს არ უშლის, უცხოტომელთა სასარგებლო საქმეები აკეთოს. ხომ უნდა მიხვდეთ, პატივცემულო მკითხველო, სააკაშვილი ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე ასე დაჟინებით რატომ ითხოვდა, ეროვნების აღნიშვნა არ ჩაწერილიყო პირადობის დოკუმენტში?**

როცა მე, ამ სტრიქონების ავტორმა, 2003 წლის ივლისში ქუთაისის ცენტრალურ ბაღში სააკაშვილს ვკითხე: **„რატომ ხართ ეროვნების აღნიშვნის წინააღმდეგი?“,** მან მიპასუხა: **„ჩემს ეროვნებას გულში ვგულისხმობ“.** ამ პასუხზე ირონიულად ჩავიღიმე; ჩაიღიმა მის გვერდით მდგომმა ირაკლი ოქრუაშვილმაც.

უბედურებაა დემოგრაფიული აგრესიები, რაც სხვა არაფერია, თუ არა ომის გარეშე სხვა ხალხის ტერიტორიის ოკუპაცია-დაუფლება.

საქართველომ უკვე იწვნია დემოგრაფიული აგრესიის საბედისწერო შედეგი ოსი ეთნოსის მხრიდან. ოსები, იგივე ალანები, არ დასჯერდნენ თავიანთ მიწა-წყალს ჩრდილოეთ კავკასიაში და ძველი დროიდანვე იჭრებოდნენ სამხრეთით — ქართულ მიწებზე. მე-14 საუკუნეში მათ მოთმინებიდან გამოიყვანეს საქართველოს მეფე გიორგი მეხუთე-ბრწყინვალე. შემდეგში შიდა ქართლის ფეოდალებმა — მაჩაბლებმა შემოღწეული ოსები მუშა ძალად გაიხადეს და თავიანთ მიწებზე დააფუძნეს. ოსებს ამ მიწებიდან ფეხი აღარ მოუცვლიათ და ქართველებზე უფრო მეტადაც მრავლდებოდნენ, თანაც თავხედობდნენ (გაიხსენეთ ჯაყოს მაგალითი). ოსებმა ჯერ იყო და ავტონომიური ოლქის სტატუსი მოიხვეჭეს, ხოლო 1989 წლის აღწერის შედეგებით, ოლქის ტერიტორიაზე 65 პროცენტით, ქართული მოსახლეობის რიცხოვნებას დიდად გადაუსწრეს — რესპუბლიკად გარდაქმნის მადაც აღეძრათ. დღეს, მ. სააკაშვილის ხელისუფალთა გეოპოლიტიკური სიბრმავის შედეგად, რომლის გამოვლენა 2008 წლის ცხინვალის ავანტიურა იყო, შიდა ქართლის ეს ქართული მიწა ლამის საბოლოოდ დავკარგეთ.

საქართველოს მსგავსად, სხვა ეთნოსის, კერძოდ, ალბანელთა დემოგრაფიული აგრესიის მსხვერპლი გახდა სერბია, რომლის ისტორიულ ტერიტორიას — კოსოვოს დემოგრაფიულად სწრაფად გამრავლებადი მუსლიმანი ალბანელები დაეპატრონენ და, ოსების მსგავსად, დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს.

**თუ გავაგრძელებთ დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიბეცეს, ანუ სწრაფვას ავბედითი ნატოსკენ, მაშინ ადვილი შესაძლებელია, სამცხე-ჯავახეთის სომხობაც ავამხედროთ ავტონომიის მოთხოვნით, რაც კულისებში გაჟღერებულია კიდეც.**

**უნდა გვჯეროდეს, ქართველებო, რომ ლაზიკის აშენების იდეა გარედანაა თავსმოხვეული, გარედან ფინანსდება და გარე ძალების სასარგებლო სამსახურში იქნება ჩაყენებული — სხვა ლოგიკა გამორიცხულია.**

ჯერ კიდევ 1946 წელს ლიბანიდან რეპატრირებული 2 ათასი სომეხი, გვახსენებს მამუკა არეშიძე, ბათუმის ნავსადგურიდან სომხეთში გამგზავრების ნაცვლად, საცხოვრებლად აჭარის ზღვისპირეთში განთავსდა.

წლების მანძილზე აფხაზეთში, ასევე ზღვის სანაპიროზე, ათი ათასობით სომეხი დაფუძნდა (გაიხსენეთ ამ მხრივ სომხეთის ეკლესიის ძალისხმევა). ახლა კიდევ ლაზიკა სომხური მოსახლეობით და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში აღმოჩნდება საქართველო. აკი, უკვე შექმნილია საზოგადოებრივი ორგანიზაცია მეტად აგრესიული, მრავლისმთქმელი შინაარსით — „შავიზღვისპირეთის სომეხთა კავშირი“. ასე რომ, პერსპექტივაში საქართველოს ზღვისპირეთის ზონის დაკარგვა ემუქრება.

ჩვენ, ქართველებს, ისღა დაგვრჩენია, საპირწონე ღონისძიებებზე გადავიდეთ: დავიწყოთ დემოგრაფიული აგრესია-შეღწევები სომხეთში, კერძოდ, დავეუფლოთ სევანის ტბის სანაპიროებს, შევქმნათ იქ „სევანის ტბისპირეთის ქართველთა კავშირი“...

შეშინდით, ძმებო, სომხებო? მშვიდად იყავით, არ აფორიაქდეთ, რამეთუ ჩვენ, ქართველები, არ ვაპირებთ სხვათა მიწების მოწილეობას, მით უმეტეს, წართმევას. ჩვენ ურყევად ვაცხადებთ:

**„სამშობლოს
არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ
შეგვეცილება!..“**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი, ქუთაისი**

# უმუშევრის ბედი ამერიკაში და საქართველოში

**სააგენტო Associated Press-მა სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული დამნაშავე ამერიკულ ციხეში უმუშევრობის შემწეობას იღებდა. ენტონი გარსიას, მეტსახელად ჩოპერს (ითარგმნება როგორც მჭრელი, მკუწავი) 2008-დან 2010 წლამდე 30 ათას დოლარზე მეტი დაერიცხა. ამ დროს იგი სასჯელს ლოს ანჟელესის ციხეში იხდიდა. ჩეკებს მისი მამა და ორი მეგობარი გოგონა იღებდნენ, ჩეკის განაღდების შემდეგ კი მათ თანხა გარსიასა და მისი ბანდის წევრების ციხის ანგარიშებზე შეჰქონდათ.**

მკვლელი გარსიას უმუშევრობის ყოველთვიური შემწეობა 1600 დოლარს შეადგენდა. ფორმალური თვალსაზრისით, გარსია მართლაც უმუშევარია, თუმცა მთელ ამ ისტორიაში ჩვენთვის სულ სხვა რამ არის მნიშვნელოვანი. **საქართველოს ამერიკელებზე უფრო ლიბერალური ხელისუფლება გამუდმებით ამტკიცებს, რომ უმუშევრობა შემცირდა, მაგრამ ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ქვეყნის მოსახლეობის 70% უპირველეს პრობლემად სწორედ უმუშევრობას მიიჩნევს.**

გამოცხადებული 15,5%-ის მიღმა კი არ ჩანან ის ადამიანები, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთი მთავრობამ დასაქმებაში ჩაუთვალა.

საქართველოს უმუშევართა კავშირმა არაერთი აქციაც ჩაატარა პარლამენტის წინ, ცარიელი ქვაბებიც აზრახუნა პარლამენტის გასაგონად, მაგრამ კარგად უზრუნველყოფილ დეპუტატებს ყურიც არ გაუბარტყუნებიათ. იმედგადაწურულმა უმუშევრებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სარეფერენდუმო საკითხიც შეიტანეს: **„უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოში უმუშევარს შემწეობა“?** ცესკო ჯერჯერობით დუმს, ქართული კაპიტალიზმი კი არც გაფიცვებს სცნობს და არც უმუშევრის დახმარებას.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ 2011 წლის პირველი ნახევრის საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ **ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში შედის, რომლებშიც მოსახლეობის საშუალო ფენა არ არსებობს, ან საშუალო კლასია ძალზე მცირერიცხოვანია.**

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მტიცებით, 2011 წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 16,5 პროცენტით შემცირდა და ამჟამად 15,5 პროცენტს შეადგენს.

**„უმუშევრობის დონის შემცირებასთან მიმართებაში პოზიტიური ტენდენცია აშკარად შეიმჩნევა. გასული წლიდან მოყოლებული, საქართველოში უმუშევრობა ეტაპობრივად მცირდება და ეს — იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური სიტუაცია არცთუ სახარბიელოა. თუ ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებს ან თუნდაც ევროპულ ქვეყნებს შევადარებთ, საქართველოს სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა თვალსაჩინოა“,** — განაცხადა გილაურმა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.




„საქართველოს სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა“ იმდენად თვალსაჩინოა, რომ უმუშევრებს არც ახლო მომავალში ელით რაიმე სიკეთე: ზოგს საქსტატი „შეამცირებს“, ზოგს — შიმშილი. ამერიკელი მკვლელი ციხეშიც კი ახერხებს უმუშევრის შემწეობის მიღებას, ქართველი კი ხან პარლამენტის კარზეა ატუზული და ხანაც — ცესკოსი. თუმცა აქ არც კაპიტალიზმის ხიბლზეა ლაპარაკი და არც ორმანეთიანი ყველის ნოსტალგიაზე. **სინამდვილეში საქართველოში უმუშევრობის შემწეობა არსებობს და მას პარლამენტარები იღებენ. 3-4 ათას ლარს ისინი სწორედ იმაში იღებენ, რომ არ მუშაობენ, მათი ნაწილი კი საერთოდაც არ ცხადდება სამსახურში.**

როგორც ირკვევა, ქართველ უმუშევრებთან შედარებით არა მარტო ამერიკელი, არამედ ჩინელი პატიმრებიც კი უკეთეს მდგომარეობაში არიან: **„თბილისის კორტების ყოფილ ტერიტორიაზე, იუსტიციის სახლის მშენებლობაზე უკანონოდ მუშაობენ ჩინელი მუშები – ჩინური ციხეების ტუსაღები, რომლებიც თბილისში მშენებლობაზე სადილად ბრინჯს ლებულობენ და ღამით თავშესაფარს დასაძინებლად, ხოლო საქართველო ჩინურ სამშენებლო ფირმას ამ მუშა-პატიმრებისთვის ჰონორარებს უხდის. და ასეთი რამ ხდება ქვეყანაში, რომელსაც უმუშევართა უზარმაზარი რაოდენობა ჰყავს. ასეთი ობიექტების მშენებლობაზე ბევრი უმუშევარი ქართველის დასაქმება შეიძლებოდა“,** — აცხადებს პარლამენტის ყოფილი წევრი და სამოქალაქო აქტივისტი ალეკო შალამბერიძე.

ქართველ უმუშევრებს კი ისღა დარჩენიათ, ან ჩინეთის ციხის გავლით იშოვონ სამუშაო საკუთარ ქვეყანაში, ან საქართველოს პარლამენტში მოხვედრა სცადონ, სხვაგვარად შემწეობის იმედის ფუჭია.

**თამარ დავითულიანი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## წინდა ფეხსაცმელი

**შვეიცარიულმა კომპანიამ Barefoot Company-მა მომხმარებელს უნიკალური წინდების ახალი ხაზი შესთავაზა. წინდები ფეხსაცმლის ფუნქციას ითავსებს და მომხმარებელს ფეხსაცმელი აღარ სჭირდება.** ამ წინდებით შეგიძლიათ პარკში ისეირნოთ, ივარჯიშოთ ან მთაში მოგზაურობისას ჩაიცვათ. პროდუქცია იმ ადამიანებზეა გათვლილი, რომელთაც ფეხშიშველა სიარული უყვართ, თუმცა ამ შემთხვევაში დაცული იქნებით მიკრობებისა და გაციებისგან, რადგან წინდები სხვადასხვა მასალისგან არის შექმნილი.



# 10 მიტოვებული ადგილი დედამიწაზე

**დედამიწაზე არის მრავალი მიტოვებული ქალაქი, რომელთაგან ზოგიერთი ტურისტების საყვარელი ადგილია, ზოგიერთთან სტუმრობა კი საშიშია, მაგრამ არალეგალურად მაინც ხერხდება.**



## ქვიშაში ჩაფლული ქალაქი

**კოლმანსკოპი არის მოჩვენებების ქალაქი სამხრეთ ნამიბიაში. 1908 წელს ქალაქის ახლოს მდებარე პორტში ბრილიანტის ციებ-ცხელებით შეპყრობილი უამრავი ადამიანი ჩადიოდა გასამდიდრებლად. ორი წლის განმავლობაში კოლმანსკოპის ადგილას უნაყოფო ქვიშიან უდაბნოში დაარსდა ქალაქი, რომელიც სავსე იყო კაზინოებით, სკოლებით, საავადმყოფოებითა და საცხოვრებელი სახლებით. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბაზარზე ალმასის ფასმა დაიკლო და დასასრულის დასაწყისიც ამით დაიწყო.** 1950-იან წლებში ქალაქმა დაცარიელება დაიწყო და ქვიშა ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. მალე რკინის ჭიშკრები ჩამოინგრა, ლამაზი ბაღები და სუფთა ქუჩები ქვიშამ დაფარა, კარებმა და ფანჯრებმა ჭრიალი დაიწყო... ფანჯრების მინების ნამსხვრევები მთელ უდაბნოში ეყარა. ასე დაიბადა ახალი მოჩვენებების ქალაქი. დღესდღეობით რამდენიმე შენობა კვლავ კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ მრავალმა მათგანმა დაკარგა საკუთარი სიდიადე და მოჩვენებების სამყოფელად გადაიქცა.



## მუშების სახლი

**პრიპიატი არის მიტოვებული ქალაქი ჩრდილოეთ უკრაინაში. აქ ცხოვრობდნენ ჩერნობილის ბირთვული ელექტროსადგურის მუშები, რომლებმაც ქალაქი ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, 1986 წელს დატოვეს.** ამ შემთხვევამდე ქალაქის მოსახლეობა 50 000 ადამიანს აღწევდა. დღემდე ეს ადგილი ითვლება მუზეუმად, რომელიც ასახავს გვიანდელი საბჭოთა კავშირის ეპოქას. საცხოვრებელი სახლები, საცურაო აუზები, საავადმყოფოები და სხვა დანიშნულების შენობები მიტოვებულია ნივთებთან ერთად. ადამიანებმა ყველა საჭირო ნივთი დატოვეს: ტელევიზორები, სათამაშოები, ავეჯი, ძვირფასეულობა და ტანსაცმელი. მოსახლეობას ჰქონდა უფლება, წაეღო მხოლოდ საქმიანი ქაღალდები, წიგნები და სუფთა ტანსაცმელი. 21-ე საუკუნის დასაწყისში ეს ქალაქი მთლიანად გაიძარცვა, თუმცა ზოგიერთი შენობა ხელშეუხებელი დარჩა. მრავალი შენობა დაზიანდა, წვიმისას მათი უმეტესობა იტბორება. საოცარია, რომ აქ ხეები შენობებში და მათ სახურავებზეც იზრდება.



## ზღაპრული კურორტი

**თავდაპირველად ეს კურორტი ჩრდილოეთ ტაივანში მდიდრებისათვის შენდებოდა, თუმცა, მრავალი ფატალური შემთხვევის გამო, მისი მშენებლობა შეჩერდა.** ფულისა და სურვილის ნაკლებობის გამო კურორტი სამუდამოდ დავიწყებას მიეცა. გავრცელდა ჭორი, რომ მშენებლობის დროს გარდაცვლილთა სულები ამ ადგილას ბინადრობდნენ. მთავრობა თავს არიდებს ამ საკითხზე საუბარს და სწორედ ამიტომ უცნობია იმ არქიტექტორების სახელები, რომლებაც მისი მშენებლობა დაგეგმეს. კურორტის მშენებლობა არასდროს განახლდება და ეს ადგილი არასდროს იქნება გამოყენებული სხვა დანიშნულებით, რადგან სულებისათვის საცხოვრებლის განადგურება ცუდ საქმედ მიაჩნიათ.



## ომის საშინელება

**პატარა სოფელი, რომელსაც Oradour-sur-Glane ჰქვია, სავსეა საშინელებებით. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელმა ჯარისკაცებმა დახოცეს 642 ადამიანი საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო.** თავდაპირველად გერმანელების სამიზნე იყო Oradour-sur-Glane-სთან ახლოს მდებარე Oradour-sur-Vayres-ი, თუმცა 1944 წლის 10 ივნისს ისინი შეცდომით შეიჭრნენ Oradour-sur-Glane-ში. ერთ-ერთი გადარჩენილი ადგილობრივის მოგონებებში წერია, რომ კაცები ფარდულებში დაამწყვდიეს, ფეხებში დაცხრილეს და ტანჯვა-წამებით სიკვდილისთვის გაწირეს. გერმანელება ცეცხლი გაუხსნეს ქალებსა და ბავშვებს, როდესაც ისინი ჩაკეტილი ეკლესიიდან გაქცევას ცდილობდნენ. მოგვიანებით კი სოფელი გერმანელებმა დაანგრეს.



## შუა საუკუნეების ქალაქი

**კრაკო იტალიის სამხრეთში, მატერას პროვინციაში, მდებარეობს. ეს შუა საუკუნეების ქალაქი აშენებულია მთების გარშემო ხორბლის მეურნეობისა და სხვა მარცვლეული კულტურის განვითარებისათვის. კრაკო 1060 წლით თარიღდება, იმხანად ეს მიწა ეკუთვნოდა არქიეპისკოპოს არნალდოს. ეკლესიასთან ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენდა ქალაქის მოსახლეობაზე.**

1891 წელს კრაკოს მოსახლეობამ გადააჭარბა 2 000 ადამიანს, მაგრამ ცუდმა სამეურნეო პირობებმა ქალაქი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. 1892 წლიდან 1922 წლამდე 1 300-ზე მეტი ადამიანი გადავიდა ჩრდილოეთ ამერიკაში საცხოვრებლად. ცუდ სამეურნეო პირობებს დაემატა მიწისძვრა, მეწყერი და ომი, რამაც ხელი შეუწყო მასობრივ მიგრაციას. 1959 წლიდან 1972 წლამდე მომხდარმა მეწყერებმა და მიწისძვრებმა კი ჩამოშალა ქანები, რომლებზეც ქალაქი იდგა. 1963 წელს კი უკანასკნელმა 1 800 მოქალაქემაც დატოვა იგი.



## აკრძალული კუნძული

**კუნძული უნკანჟიმა ერთ-ერთია იმ 505 კუნძულს შორის, რომელიც იაპონიის ნაგასაკის პრეფექტურიდან 15 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იგი ასევე ცნობილია როგორც საბრძოლო გემების კუნძული. 1890 წელს კომპანია მიცუბიშმა გადაწყვიტა ამ კუნძულის შეძენა და ზღვის ფსკერიდან ნახშირის მოპოვება დაიწყო. მაშინ ააშენეს იაპონიისათვის პირველი ბეტონის შენობა. ბეტონის სახლები განკუთვნილი იყო ზღვაში მომუშავე მუშებისათვის და ასევე იცავდა კუნძულს ქარიშხლებისაგან.**

1959 წელს კუნძულის მოსახლეობა საგრძნობლად გაიზარდა და ერთ ჰექტარზე 835 ადამიანს აღწევდა. 1960 წელს, როდესაც იაპონიაში ნახშირი ნავთობმა შეცვალა, მრავალი ნახშირის საბადო დაიკეტა მთელი ქვეყნის მასშტაბით. 1974 წელს კი მიცუბიშმა ოფიციალურად გამოაცხადა საკუთარი ნახშირის საბადოს დახურვის შესახებ და მოსახლეობამაც დაიწყო კუნძულის დატოვება. დღესდღეობით კუძნული ცარიელი და მიტოვებულია, იქ ტურისტების ჩასვლაც კი სასტიკად აკრძალულია.



## უკანონო ქალაქი

**ჰონკონგის ახლოს მდებარეობდა ქალაქი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ იქნა იაპონიის მიერ. როდესაც იაპონია დამარცხდა, არც ბრიტანეთსა და არც ჩინეთს არ სურდა პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რის გამოც ეს ქალაქი სრულიად უკანონო და დაუმორჩილებელი გახდა.** ათწლეულების მანძილზე მოსახლეობასთან ერთად ქალაქში ნაგვის რაოდენობაც იზრდებოდა. მაღალი შენობები ხელს უშლიდა ქალაქში მზის შუქის შემოსვლას და მთელი დღის განმავლობაში ქუჩები ლამპიონებით იყო განათებული. ეს იყო ადგილი, სადაც საროსკიპოები, კაზინოები, ოპიუმისა და კოკაინის გამსაღებლები და საიდუმლო ქარხნები იმართებოდა ავტორიტეტების მიერ. საბოლოოდ ქალაქი ჩინეთისა და ინგლისის საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე განადგურდა. ▶



## სიყვარული კლავს

**წმინდა ვალენტინის დღესთან დაკავშირებით ბრიტანელმა მედიკოსებმა ახალი კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. მათ დაამტკიცეს, რომ ისეთ გრძნობას, როგორიცაა სიყვარული, შიში და მწუხარება ინფარქტისა და შესაბამისად, სიკვდილის გამოწვევა შეუძლია.** კარდიო-ქირურგ ალექსანდრ ლიონს მიაჩნია, რომ დაუძლეველი შიში, ძლიერი სულიერი ტკივილი ან პირიქით, დიდი სიხარული, შესაძლოა, გულის უკმარისობის მიზეზი გახდეს. ამ ფენომენს „გატეხილი გულის სინდრომს" უწოდებენ. დაავადების მიზეზი სტრესის კარდიომიოპათიაა. ამ დროს ორგანიზმში დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოიყოფა, რაც გულის ქვედა კამერების პარალიზებას იწვევს და მთელი დატვირთვა ზედა კამერებზე გადააქვს. ადრე მიიჩნეოდა, რომ ადრენალინი გულს სწრაფად მუშაობას აიძულებს. თუმცა ექიმ ლიონის აღმოჩენა იმაზე მეტყველებს, რომ ასე ყოველთვის არ ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ადრენალინი პირიქით, სისუსტეს იწვევს და გულის მუშაობას პარალიზებას უკეთებს, რასაც საბოლოოდ ადამიანის გარდაუვალი სიკვდილი მოჰყვება.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საბჭოთა მოგონებები

**კადიკცჰანი არის ყველაზე პატარა ქალაქი, რომელიც განადგურდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად.** მოსახლეობა იძულებული იყო, საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასულიყო, რათა ჰქონოდა წყალი და ესარგებლა სკოლებითა და საავადმყოფოებით. მათ სახლები 2 კვირის განმავლობაში უნდა დაეტოვებინათ, სანაცვლოდ სახელმწიფო მათ ახალ საცხოვრებელ სახლებს სთავაზობდა. ერთ დროს 12 000-იანი ქალაქი ახლა სრულიად უდაბურია.



## მოჩვენებების ქალაქი

**ვაროშა არის დასახლება არაღიარებულ ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკაში. 1974 წლამდე, სანამ თურქეთი შეიჭრებოდა კვიპროსში, ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კურორტი იყო. ბოლო წლებში კი ის მოჩვენებების ქალაქად გადაიქცა. ყოველწლიურად იზრდებოდა ტურისტების რიცხვი და სწორედ ამიტომ მუდმივად შენდებოდა ახალი შენობები და სასტუმროები.**

როდესაც თურქეთის არმიამ მოიპოვა კონტროლი, ამ ტერიტორიაზე შესვლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ თურქი სამხედროებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თანამშრომლებისათვის. არსებობდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ვაროშას კვიპროსისათვის დაბრუნებას, თუმცა კვიპროსელმა ბერძნებმა ეს გეგმა უარყვეს. 34 წლის განმავლობაში ქალაქს არავინ აქცევდა ყურადღებას. ამ ხნის განმავლობაში უპატრონობით ვაროშა სრულიად განადგურდა: ქუჩებსა და შენობებში ხეების ფესვებია გახლართული, მიტოვებულ პლაჟებზე კი ზღვის კუები ბინადრობენ.



## დაკარგული ქალაქი

**საზარელი ქალაქი აგდამი ერთ დროს 150 000 ადამიანით იყო დასახლებული. 1993 წელს, ყარაბახის ომის დროს ქალაქი მთლიანად განადგრუდა, მოსახლეობა გადასახლდა აზერბაიჯანსა და ირანში.**

## მოსვირინგებული თმა

**მამაკაცები თმის ცვენას ძალიან განიცდიან და თმის გადანერგვის ოპერაციაში უამრავ თანხას ხარჯავენ. თუმცა სვირინგის მხატვარი ძლიერ სქესს შედარებით იაფ ალტერნატივას სთავაზობს. თუკი ტატუირების რამდენიმესაათიან მტკივნეულ პროცედურას გაუძლებთ, თავზე თმა მოიხატება და მოკლედ შეკრეჭილი თმის ეფექტი გარანტირებულია.**

ეს ორიგინალური იდეა იან ვოტსონს მოუვიდა. როდესაც ვოტსონი 20 წლის იყო, ძმა გარდაეცვალა. ამ ამბავმა ვოტსონი ისე დაამწუხრა, ძლიერი სტრესის შედეგად თმის ცვენა დაეწყო. იანი თმის ცვენას ვერ შეეგუა და ნაკლის დამალვაზე ფიქრი დაიწყო.

ერთხელ ქვრივ რძალს სთხოვა, კალმისტრით მისთვის თავზე წვრილი წერტილები დაეხატა. მართლაც, შეკრეჭილი თმის ეფექტი მიიღეს. მიხვდა, რომ ეს, ერთი შეხედვით სასაცილო იდეა მოგებას მოუტანდა და რამდენიმეწლიანი კვლევის შემდეგ გახსნეს დაწესებულება, რომელშიც თავზე სვირინგს აკეთებენ. დღეს ეს დაწესებულება დიდი პოპულარობით სარგებლობს.



## საშიში ხეები

**ინგლისის პროვინცია ბოქსტედში მდგარ მუხის ხეს „ჩაქუჩის საშინელებათა ხეს" უწოდებენ. ის განსაკუთრებით შემზარავად ღამით გამოიყურება და ყველა პატარას აშინებს.**

მხატვარმა შარლოტა ლაურმა ხეს ადამიანის ფორმა მისცა. მისი ორივე ტოტი ხელგაშლილია და თითქოს ვიღაცის დაჭერას აპირებს. ხე ძალიან ძველია და ტურისტების ყურადღება არ აკლია.

ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ხე სახელწოდებით „ბუნების ყვირილი", რომელიც ინგლისის სოფელ სტოვლანგტოფტიში დგას. უცნაური ფორმის ხეს უჩვეულოდ დაკლაკნილი ტოტები აქვს. მას ხშირად მხატვარ ედვარდ მუნკის ნამუშევარს — „ყვირილს" ადარებენ.







## ევროპარლამენტის შვილი






**სახელგანთქმული ევროპარლამენტარი იტალიელი ლიცია რონზული, რომელიც სხდომებს ჩვილთან ერთად ესწრებოდა, ისევ მოხვდა მედიის ყურადღების ცენტრში. ახლა მისი შვილი 18 თვისაა, რომელიც ევროპარლამენტის სხდომებს დედასთან ერთად ისევ ესწრება და პოლიტიკურ პროცესებშიც „მონაწილეობს".**

პატარა ვიქტორია ფოტოგრაფებმა სტრასბურგში მიმდინარე სხდომაზე გუშინ გადაიღეს, როდესაც დედის მსგავსად ყურსასმენებით ისმენდა დისკუსიებს და ახალი გადაწყვეტილების მიღებას ხელის აწევით ემხრობოდა. პირველად ვიქტორია ევროპარლამენტში 2010 წლის სექტემბერში გამოჩნდა. საქმიანმა დედამ მეტად ბუნდოვანი შინაგანაწესი, რომელიც დედებს შვილების სამსახურში მიყვანის უფლებას რთავდა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მას 7 კვირის შვილი მკერდზე ჩამოკიდებულ ნაჭერში ჰყავდა გახვეული და დისკუსიებში მონაწილეობას იღებდა.

## ცხოვრება ველოსიპედზე

**ფრანგი მხატვარი გუილაუმე ბლანჩეტი ერთი წლის განმავლობაში ველოსიპედზე იძინებდა, საჭმელს ჭამდა და ტანსაცმელსაც კი რეცხავდა. ბლანჩეტი სიამოვნებით იხსენებს იმ დროს, როდესაც საყვარელ ველოსიპედზე სადილიც კი მოამზადა.**

„ერთადერთი, რაც არ მსიამოვნებდა, იყო ის, რომ ველოსიპედზე შიშველი ვბანაობდი და ყველა მიყურებდა. სხვადასხვა ქვეყანაში ვიმოგზაურე და უამრავ ლამაზმანს შევხვდი. თუკი სასეირნო ბილიკზე რომელიმე მათგანი დამემგზავრებოდა, ფლირტზეც კი არ ვამბობდი უარს", — ამბობს ბლანჩეტი.

მხატვარი მთელი დღე ველოსიპედით მოძრაობდა და მხოლოდ ღამე იძინებდა, რასაკვირველია, ველოსიპედზე. მან „საკუთარი ცხოვრება ველოსიპედზე" ფირზე აღბეჭდა და მიუძღვნა 64 წლის მამას, რომელმაც თავის დროზე ველოსიპედით 120 000 კმ დაფარა.



# ჯონ ტეფტი: საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ ჟურნალისტებთან და ქმნის რუსეთის, როგორც აგრესორისა და დამპყრობლის ხატს

**თბილისი, 5 მარტი, საქინფორმი. „საქინფორმი“ აქვეყნებს საქართველოში აშშ-ის ელჩ ჯონ ტეფტის 2008 წლის 10 აგვისტოს საიდუმლო დეპეშა №1353-ს, რომელიც საიტ „WikiLeaks“-ზე გამოქვეყნდა (იბეჭდება უცვლელად, საქინფორმის თარგმანი).**




## კონფიდენციალურად

**შეტყობინების თემა: პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.**

**გასაიდუმლოებულია აშშ-ის ელჩ ჯონ ტეფტის მიერ 1.4 B და D მიზეზებით.**

1. შეტყობინების დასაწყისი: პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ამის შესახებ ეცნობა რუსეთის ფედერაციის საგანგებო წარმომადგენელს საქართველოში. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მინისტრ ტყეშელაშვილს განზრახული აქვს, ტელეფონით დაუკავშირდეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განაცხადოს, მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და განიხილოს დევნილებისათვის დერეფნის გახსნის საკითხი;

2. ქართულმა ჯარებმა გორის ჩრდილოეთით თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ჯარებს ეუწყა საქართველოს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მიღებულია რამდენიმე შეტყობინება, რომ რუსეთის ჯარები გორის მხარეს იერიშს განაგრძობენ. ქალაქის მოსახლეობის ნაწილი რუსეთის ჯარების შემოჭრის შიშით ქალაქს ტოვებს;

3. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სტუბი საქართველოში ჩამოვიდნენ. ისინი 11 აგვისტოს თბილისში პრეზიდენტ სააკაშვილთან შეხვედრას, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების განხილვას და შემდგომში რუსული მხარისათვის მის წარდგენას გეგმავენ;

4. უკრაინის ელჩმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას მიაწოდებს. სამი დღის შემდეგ მოსახლეობა, რომელიც რუსული აგრესიისაგან იტანჯება, სურსათს და მედიკამენტებს მიიღებს;

5. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ბათუ ქუთელიამ ელჩს განუცხადა, რომ რუსეთის საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე და გარეუბანში მდებარე ავიამშენებელ ქარხანაზე;

6. საქართველოს მთავრობისა და მისი უწყებების ინტერნეტრესურსებთან დაშვება დახურულია. სავარაუდოდ, მათ რუსეთის სპეცსამსახურები დაესხნენ თავს. ხელისუფლებამ რუსული ტელეარხების ტრანსლაცია აკრძალა და დომენ „ru“-სთან დაშვება დაბლოკა. **მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ ჟურნალისტებთან, ქმნის რა გლობალური საზოგადოებისათვის რუსეთის, როგორც აგრესორისა და დამპყრობლის ხატს, და ინფორმაციას მათთვის სასურველ შუქზე წარმოაჩენს. თუმცა ქართველ პოლიტიკოსთა განცხადებები ყოველთვის ზუსტი არ არის. საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გასაშუქებლად კრემლისადმი ოპოზიციურ პოპულარულ რუს ბლოგერებსაც იყენებს.** შეტყობინების დასასრული;

7. კომენტარი: **სიტუაციის ზუსტი ანალიზის მიღწევა სულ უფრო რთული ხდება იმ მიზეზით, რომ ბრძოლები გრძელდება, ქართული სარდლობა დაიშალა და კონტროლის სისტემა დაირღვა. მაღალი თანამდებობის პირები ზოგჯერ საომარი მოქმედებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაციას გვაწვდიან. მიმდინარე მოვლენების შესახებ ადგილობრივი მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც ყოველთვის ადეკვატური არ არის. თუმცა ცხადია, რომ საინფორმაციო წყაროებში უპირატესად საქართველოს მთავრობისთვის ხელსაყრელ მოვლენებს აშუქებენ. ამ კუთხით უაღრესად სასარგებლოა აქტუალური ინფორმაციის სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელების აშშ-ისეული გამოცდილების გამოყენება.** კომენტარის დასასრული.

# ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საკითხი ისევ გაურკვეველია



**ზუგდიდელთა სავიზიტო ბარათი — ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებული ბოტანიკური ბაღი — ხუთ წელზე მეტხანს უპატრონოდ იყო მიგდებული. მას შემდეგ, რაც ბოტანიკური ბაღი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ჩამოართვეს, ვერა და ვერ გაირკვა, თუ ვის დაქვემდებარებაში მოექცა, რის გამოც მზრუნველი ხელის გარეშე დარჩენილი ბაღი გავერანდა და გაჩანაგდა, განადგურდა უნიკალური ჯიშის ხეები.**

ადგილობრივი ხელისუფლება ამ ხნის განმავლობაში სულ ითხოვდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან, რომ დაეთმო მისთვის ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრო, რომლის კუთვნილებაც იყო ბაღი, ფორმალურად ჯიუტად არ თმობდა მას. ამ საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ თოდუაც. **„ბოტანიკური ბაღი ყველაზე მტკივნეული საკითხია ჩემთვის. მახსოვს შატალოზე დავდიოდით იქ ბავშვობისას. დღეს ეს ბაღი დანგრეული და გაჩანაგებულია. ისიც ვიცი, რომ ბაღი უპატრონოდ არის მიგდებული და არც საჯარო რეესტრშია გატარებული, ჰაერშია გამოკიდებული, ეკონომიკის სამინისტრო ამბობს, ჩემიაო. ჩემი სურვილია, ბოტანიკური ბაღი და დადიანების მუზეუმი იყოს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, ერთ კომპლექსში“,** — აღნიშნა რამდენიმე თვის წინ ზუგდიდელებთან შეხვედრისას ფრიდონ თოდუამ.

ადგილობრივი ხელისუფლებისა და მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევამ და აქტიურობამ შედეგი გამოიღო. გასული წლის დეკემბერში ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც იქნა, გადაეცა ზუგდიდის ადგილობრივ ხელისუფლებას. ყველა ფიქრობდა, რომ ბოტანიკურ ბაღში უმალვე დაიწყებოდა აღდგენითი სამუშაოები, მაგრამ სამი თვე გავიდა და ბაღში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს. არც ორგანიზაციული საკითხებია მოგვარებული.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ლევან კონჯარიას განმარტებით, ჯერჯერობით არ არის გარკვეული, თუ რა ფორმით უნდა იარსებოს და იფუნქციონეროს ბოტანიკურმა ბაღმა.** არის მოსაზრებები, რომ ბოტანიკურ ბაღს მიუერთონ ზუგდიდის ცენტრალური ბულვარი, ასევე ანაკლიისა და ნამუხურის ტურისტული ინფრასტრუქტურა და ჩამოყალიბდეს ერთიანი სტრუქტურა, თუ რამდენხანს გასტანს ეს პროცესი, გარკვეული არ არის. არადა, ბოტანიკური ბაღი საჩქაროდ ითხოვს შველას.

ბოტანიკური ბაღისადმი დაკავშირებული საკითხის გაჭიანურება განაპირობა ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური სტადიონის დემონტაჟმა, სადაც, ბაღის გაფართოების მიზნით, მიმდინარეობს სამუშაოები. ზუგდიდის რეკონსტრუქციის ავტორის, ლევან სოლოღაშვილის განმარტებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებს ესპანელ არქიტექტორთა ჯგუფი. **„საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ, ზუგდიდის ბულვარს აღვუდგინოთ ძველი ფუნქცია, ბულვარი გაიზრდება სიგრძეში და დაუკავშირდება დადიანების ეზოს“,** — აღნიშნა ლევან სოლოღაშვილმა. ამასვე ითხოვდა საზოგადოება „ზუგდიდელიც“. **„ჩვენი სურვილიცაა, დადიანების ბაღს დაუბრუნდეს ძველი იერსახე, როგორიც დადიანების დროს იყო — ბულვარი შეუერთდეს ბოტანიკურ ბაღს“,** — განაცხადა საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ ოთარ ფაცაციამ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.



ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru